

652  
1999

ଓଡ଼ିଆ  
ISSN 0134 3459

# ବ୍ୟାକାରୀ ଜ୍ଞାନ

୧୨  
୧୯୯୯

Յ Ե Բ Ը Ա Յ Յ Ո !



## FRIDTJOF NANSEN INTERNATIONAL FOUNDATION

Международный фонд Фритьофа Нансена

Տայրամուսութեան կայուղագոյացութեան ակտուալիտեան  
„մշեեցութեան“ մշեցուցեցեան, Տայրամուսութեան մշերածուած  
յացմութեան աշարժուած տարբանացութեան տացմխագութեան,  
աշարժուած ացտոնութեան րշեացուցակութեան շահենացեան սածքուած  
թշշռեան, Տայրամուսութեան պատմագութեան մշեցուցակութեան  
այացմութեան այացմուցեան, ծագուած չափալ չափալեան

Հաջարած պատմութեան ծագուած չափալ!

Օնքուրնացուոնալուրու პոլութիւնուն գալուարեածուատվուն, յարուած  
Շեմովմեցածուու, Տամելունուրու, Տայրամույմեցու Տայմունունուատվուն դա  
Ցողաձակացուու քամանութուրու օդալուցու յուրացուցակուատվուն ոյզեն  
ցենուցեատ Հաջարած նորացուցակու քամանութուն, նոծելուն პրեմուն  
լուրեալուն գորութուու նանեցուն Տայրամուսութեան Տրեմուն

Президент

prof. Ю. Бредикис

Генеральный  
секретарь


Феликс Бахчинян



# კულტურული აზრი

27

დასებულია 1958 წელს



დეკემბერი, №-12  
1999

საქართველოს მფრინავთა კავშირისა და აზრის  
ორგანიზაციის სალიტერატურო-საზოგადოებრივი  
უკრალი

## მთავარი რედაქტორი

სანდორ ბერიძე

## სარედაქციო საბჭო:

გურაბ გორგილაძე

ანგორ კულაძე

გენრიეტა ქუთათელაძე  
(პასუხისმგებელი მდივანი)

ხათუნა შუშანიძე  
(მხატვრული რედაქტორი)

ტასრ ცხოვიძე  
(ტექნიკური რედაქტორი)

## საკონსულტაციო საბჭო:

ვახტანგ ახვლელიანი

ნური ვერძაძე

მოთა გოიძე

დავით თეღრიაძე

ოზია იოსელიანი

დავით მჭედლური

ალექსანდრე სამსონია

რამაზ სურმანიძე

თამაზ წიმინდენიძე

ამირან ხაბაგი

შრიღონ სალვაში

ჯემალ ჯაყალი

რედაქციის მისამართი: მედიქიმულის ქ. №21  
ტელ: 7-03-64

# პრეზიდენტის კრონი



აპირან ხაბაში

## რა ლამაზი ხარ!

რა ლამაზი ხარ სიცოცხლევ,  
სიცოცხლევ რა ლამაზი ხარ!  
ცერზე მიმინოდ მიზიხარ,  
მარჯვენა ბეჭზე მაზიხარ.

ხან მოქვითინე ფანდური,  
ხან მოღუღუნე საზი ხარ  
და მაინც სულ არ გემდური,  
და მაინც რა ლამაზი ხარ!

მღელვარე ბაირალი ხარ,  
წყაროს დუდუნა ჰანგი ხარ.  
შწვანე ბალნარი, ბალი ხარ,  
მყიფარი ფარშავანგი ხარ...

ვაი, რომ ერთხელ მოსვლა ხარ  
და ვანა ასევე ასი ხარ,

ვაი, რომ წარმავალი ხარ,  
და მაინც რა ლამაზი ხარ!..

რა ლამაზი ხარ სიცოცხლევ,  
სიცოცხლევ რა ლამაზი ხარ!  
ცერზე მიმინოდ მიზიხარ,  
მარჯვენა ბეჭზე მაზიხარ!

## 306 გააკატივებს

გულში გაჩრილმა მზისფერ ისრებით,  
ჭრელ-ჭრელ მინდვრებში ღამე ვათიე,  
მიწაზე თუ ხარ, დიდხანს იქნები,  
მიწას ასცდები, ვინ გაპატიებს.

დაუსიზმრება ცელისპირები  
ჩემს მაღალ მუხლებს, მინდვრად დაჩოქილს,  
მომეზმანება თეთრი ზვინები,  
მიწას მიველტვი, მიწის ნაშობი...

მომცელეთ ჩეარა, მომცელეთ-მეთქი,  
წამილეთ მკლავზე გადაწვენილი,  
მზის სისხლნასვამი, წვიმების უეთქით,  
მზით ნაფერები, მზით მოვლენილი.

მე მზე მიყვარდა, ვუყვარდი მზესაც,  
ღვიად მიხმობდნენ მე დაბადებით,

თვალებში მიკრთის ცახცახა ზეცა,  
ძარღვებში ტირის მზის ნაკადები.

მზისფერი სისხლი წვეთავს ჩემიდან,  
მე ისევ მზისფერ სიზმარებს გედავ  
და გთხოვთ საბრძელში ნულა შემიტანთ,  
იმდენი მზე მაქეს სულ გადავბუგავ.

ქარებს მიპქონდა ჩემი ღიღინი,  
ასე ვყოფილვარ უამით უამიდან,  
ეს, ვანა ხმაა მართლა ჭრიჭინის,  
ეს მიწა მღერის ჩემი ბაგიდან...

გულში გაჩრილმა მზისფერ ისრებით,  
ჭრელ-ჭრელ მინდვრებში ღამე ვათიე,  
მიწაზე თუ ხარ დიდხანს იქნები,  
მიწას აცსდები, ვინ გაპატიებს!

## თუ მათულები...

ჩვენი ქელქები, ჩვენი ფიჭვები,  
ვით მამლუქები ჩვენი ბიჭები,  
აპყავთ გემებზე ტანგაბაწრული,  
ტანდახოკილი, ტანდაკაწრული.

გემს გაპყვებიან, სხვად მოკვდებიან,  
უცხო აკვნებად გადირწევიან,  
სხვა დარბაზებში დაღონდებიან,  
სხვის საწოლებად გაითლებიან...

და ყოველლამე სადღაც ქრებიან,  
ჩვენი ქელქები, ჩვენი ფიჭვები,  
უცხო გემებზე ზღვებს მიპყვებიან,  
ვით მამლუქები, ჩვენი ბიჭები...

უცხო ჭვეუნებში დგას სასთუმალი,  
ფარშავანგებით, ლეგა იჩმებით,

წიფლის-საწოლზე, მტერი დუშმანი,  
კვლავ საქართველოს იკლებს სიზმრებით.

ჩვენი ტყეები, როგორც დედები,  
გზებს გაპყურებენ სველი თვალებით  
და მოჩურჩულე თეთრი თელები,  
ნისლის ლეჩაქებს აფრიალებენ...

ო, გაუფრთხილდით ახალ ნერგიანს,  
რომლებიც ახლა იფოთლებიან,  
თორებ ხვალ ისევ ზღვას გაპყვებიან,  
უცხო აკვნებად გაითლებიან...

ჩვენი ქელქები, ჩვენი ფიჭვები,  
ვით მამლუქები ჩვენი ბიჭები,  
გემებზე აპყავთ ტანგაბაწრული,  
ტანდახოკილი, ტანდაკაწრული...

## ცაფვილი იხაი

დღეს ნაჭრების ფარჩის იას,  
როცა ნაღდი ია ჰქვია,  
რომ ნამდვილი ტყის იები,  
ნაჭრისაზე იაფია.

დღეს ბულბულებს ვინდა უსმენს,  
იმათ ნამდვილ ტია-ტიას...  
ბასგიტარით შენამფრთხალმა,  
ოქროს ბუდე მიატია...

დღეს რაც მართლა ძვირფასია,  
ყველაფერი იაფია,  
დღეს თვით ოქროც იაფია  
და ჭართების კიაფია...

ვითომ, ვითომ პოეტები  
ურჩევნიათ სიტყვაფრთიანთ,  
უნაღდონი ძვირფასია,  
ნამდვილები იაფია.

ორ შაურად აფასებენ  
კაი ლექსის ცრემლის თქრიალს,

ლექსი, ლექსი კი არა და,  
დღეს თვით ოქროც იაფია.

ვინ ვის ბაძავს ღმერთმა იცის,  
ფასი არ აქვს სიტყვას ფრთიანს,  
მიმბაძველი ძვირფასია,  
მისაბაძი იაფია!

რა დავარქება ამ ქვეყანას,  
სადაც ტყვია ძვირფასია,  
საწამლავი ძვირფასია,  
მაგრამ ლექსი იაფია...

მერე რა, თუ ულრანები  
შენი კალმით გიყაფია,  
მობრახუნე ძვირფასია,  
მოჩურჩულე იაფია...

იმას ველი, როცა ისევ,  
ფასს დასდებენ სიტყვას ფრთიანს,  
როცა ნაღდი ტყის იები,  
აჭობებენ ფარჩის იას!

## ვედრება

დგას კაცი ტაძრად,  
ღმერთს ევედრება,  
ჯიშის, ჭილაგის  
ბედნიერებას.

ამოდის მზე და  
ბინდი თეთრდება...

დგას ირემი და  
მზეს ევედრება...

ვდგავარ ლოცვად და  
ვდგავარ ვედრებად...  
მზეო მაღალო,  
ნუ მიატოვებ ქვეყნირებას!

## მა და ფოთოლცვანა

წვიდა მზე და გაზაფხული,  
აღტაცება, აღმაფრენა, გაოცება,  
ერთურს ვუყურებთ დაზაფრული,  
მე და ფოთოლცვენა, მე და ფოთოლცვენა.

ამ გზებზე მზის რგოლით ვთამაშობდი,  
მითებით, ზღაპრებით, ბილინებით...

დამშვიდდა ქარი და ქარაშოტი,  
ნახვამდის, ძილი ნების, ძილინების...  
იყო გაზაფხული, ფერთა ფენა,  
დაშთა შემოდგომის ოქროცვენა,  
ვუყურებ სარკმელში ფოთოლცვენას,  
მიყურებს ფანჯრიდან ფოთოლცვენა.

## აჭარა და რაჭა

წიაკითხე — „აჭარა“,  
მოაკვეცე — „ა“  
და ბოლოდან, დარჩა რა...  
რაჭა, ჩვენი რაჭა...

აპა, ნენევ აჭარა,  
ქვე ბატონო, რაჭა,

აჭარაა ფანჯარა,  
რაჭა ქვეყნის მაჯა...  
საქართველოდ დარჩა,  
მოსულ ღუშმანს დარჩა რაც...  
მთაში ჩვენი რაჭა,  
ზღვასთან ჩვენი აჭარა!

## გათუმის სახლები

ბათუმის სახლებო,  
ბათუმის სახლებო,  
სახლებო ახლებო,  
სახლებო მაღლებო!

წვიმების წეარუნით,  
ქარების ფრიალით,  
მეტრდზე დაფებით,  
მემორიალით...

ბათუმის სახლებო,  
ბათუმის სახლებო,  
ქარებში მოგახით,  
მომეცით ჰერი,  
ორი ოთახი...

რამდენერ ზეცა თავს დამეტრიტა,  
რამდენი წვიმი თავს დამეტირა,  
ჰერი მოგთხოვეთ,  
განა მეტი რა!

წვიმისგან მიცავდნენ  
ჭადრები შრიალით,  
იმ ჭადრებს საჩუქრად,  
ხვალ ჩემი მემორიალი...

ბათუმის სახლებო,  
ბათუმის სახლებო,  
სახლებო ახლებო,  
სახლებო მაღლებო!

## ერთი სიზყვით...

ზოგი კაცი ალვაა,  
ზოგი კაცი ნაძვია.  
ნაძვი, ნაძვი, რომელიც  
ქარმა მიმოარწია.

ზოგი კაცი ძელჭვაა,  
მუხა და აკაცია,  
ერთი სიტყვით კაცია,  
მართლა, მართლა კაცია!

ზოგი კაცი თხმელაა,  
თხმელა, არ აკაცია,

ერთი სიტყვით, უბრალოდ,  
მართლა არაკაცია...

რამდენ თხმელას ვუძახე,  
მუხა და აკაცია  
და დავრწმუნდი, თხმელაა,  
თხმელა არ აკაცია!

ზოგი კაცი ძელჭვაა,  
მუხა და აკაცია,  
ერთი სიტყვით კაცია,  
მართლა, მართლა კაცია!

## ჩვით პირდიოთება

ათიათასი გავწმინდე ტომი,  
ამ წიგნებს ჩემი ტვინის ქვაბში  
ეძინათ...  
ოჰ, ის რაც თავში მიძევს  
მსუბუქად,  
ჩემს დაღლილ ხელებს  
ძალზე ემძიმათ...



## აზორო პულბა

### აკოკალიშვილი

გაგრძელება

\* \* \*



იდგა იქშუა  
მეგიდოს გორჩე  
და ომომავალ  
მზეს შესცეკ-  
როდა. მის სულში ამოსულიყო ეს მზე  
და მის სულშივე უნდა ჩასულიყო.

— ჩავსვენება ეს მზე, ომზირ და  
მოლენ შენთან, — უთხრა იქშუამ და  
ხელები გაშალა, ღრმად ჩაისუნთქა  
ჰაერი და, მზის სხივები, როგორც ფო-  
კუში, ისე გადაუტყდა გულის კოვზზე.

კიდევ უფრო გაიშალა მხრებში  
იქშუა და მზესაგით გაბრწყინდა, ასე  
გაცისკროვნებული აიჭრა იგი მაღლა და  
გადაანათა ზეცა.

ათა საოცრად, რაღაცნაირი  
ჟრარგანცდილი სითბო (და მაინც  
არიშველი) გელვრებოდათ ზეციდან და  
იძრებოდით ნეტარებაში.

და იგრძნო ომზირმა, რომ  
თვითონაც სული იყო მარადი და  
ყოვლისმომცველი თითქმის.

იქვე, ხელმარჯვნივ, პაწია კარი  
შეიჭრა კლდეში და მოეჩვენა, რომ  
ელოდნენ იმ კარს იქით. გადააბიჯებდა  
კარის ზღურბლს და... ოღმოჩნდებოდა  
ის უცხო(ეთში).

დაუძხეს, უხმეს კიდეც: — ომზირ,  
დადგა უამი — დიადი წუთი, რომ  
ეზიარო მარადისობასა და  
ჟეშმარიტებას (ჟეშმარიტს საერთოდ),  
მარადისობა — ჟეშმარიტება  
(ჟეშმარიტი) და ჟეშმარიტებაც  
(მარადისობა) ხომ მარადიულია

თავისთავად! შეუერთდები შენ სულს  
მარადისს, ამძლავრდება იგი შენში და...

შედის გამოქვაბულში. საოცრად  
სწორედ, როგორ გაეტია პაწია,  
სარკმლისხელა კარში და არ გაიჭედა  
შიგ?!

გამოქვაბული გადანათებული...  
ჯორკოზე თეთწვერა ბერი ზის  
გაუნძრებულად. თვალები ზეცისფრად  
აელვარებია.

— თვალებში მიყურე და... ჩაიძირე  
შიგ! მიყურე და მოიქეცი ისე, როგორც  
გიარნახონ ჩემმა თვალებმა, — უთხრა  
ბერმა შეფიქრიანებულ ომზირს და  
შუბლზე მიიღო შეტყუპებული ცერი და  
საჩვენებელი, — გრძნობის შვიდივე  
განცდა რომ დაგეუფლოს...

შვიდი საფეხური — აღმავალი...  
რომლის გავლის შემდეგ შეგეძლება  
ისეთი ზეგავლენა მოახდინო ასტრალურ  
სხეულზე, რომ... მაგრამ ჯერ ეს  
საფეხურები (შვიდივე) უნდა აიარო შენ,  
ომზირ თავდგირიძე!

აპა, ეს საფეხურებიც!

ომზირი პირველ საფეხურზე:

ასეთ ყოფას „ფეხების განბანას“  
უწოდებენ ეზოთერულ მოძლვრებაში  
(ეზოთერიაში) და აპა, ესმა იმ თეთრი  
ბერის ბუბუნა ხმა ომზირ თავდგირიძეს:  
— შეხე, შეგირდო ჩემო, აი, ამ ცენარეს,  
კარგად დაკვირდი! ხედავ, ფესვებს რომ  
იდგამსა?

— მინერალური ნიადაგი  
მცენარესთან შედარებით დაბლა დგას

როგორლაც...

ოსტატმა ხელი აწია მაღლა: — ჰოდა, მცენარეს ამ დროს შეუძლია თქვას, შენ ჩემზე დაბლა დგახარ, მაგრამ მე უშენობა მაინც არ შემიძლია, რადგანაც: საარსებო საზრდოს მე შენგან ვდებულობ და ეს რომ გაიაზრო შენ... — წამით ჩაფიქრდა ბერი და იმის გულში გავლილი ფიქრიც გაუშმიანდა ოშირს:

— ქედს ვიხრო მე ნიადაგის წინაშე, კი ხარ შენ ჩემთან შედარებით დაბალი არსება, მაგრამ პატივს გცემ დიდად, რადგან შენზეა დამოკიდებული ჩემი სიცოცხლე. ჩემს ყოფასა და ყოფიერებას მთლად შენ გიმადლი!

— ცხოველიც ასე უნდა მიმართავდეს მცენარეს. ასეა საერთოდ: თუკი ავალშიეთ ჩენ ყველამ იდამიანამდე, შედარებით მაღალ საფეხურზე შემდგარმა მასზე დაბალ საფეხურზე მყოფს ასე უნდა მიმართოს:

— შენ, ჩემზე დაბალ საფეხურზე

არსებულია, შენ გიმადლი მე ჩემს ყოფა-ყოფიერებას. და ასეა ეს იემუამდე და იმის ამაღლებამდე. თორმეტი მოწაფე რომ ახლავს, ისინი მასზე დაბალ საფეხურებზე დგანან. ქრისტეც ამ თორმეტიდან იღებს თავის სიცოცხლეს, ამ თორმეტიდან ამოზარდა იგი და იზრდება ასე. ეტყვის კიდეც თავის მოწაფეთ: — ჩემს ყოფიერებას მე თქვენ გიმადლით, შენც ჩემთ შეგირდო, უნდა ჩაეფლო ამ კოსმოსურ მდინარებაში და განიცადო უნდა, როგორ ხრის თავს მაღალი მდაბლის წინაშე და როცა ამ ჩევებასაც გამოიმუშავებ საბოლოოდ, მაშინ მოიპოვებ იმას, რასაც მიელტვი ას...

დგას ომზირი პირველ-საჭყის საფეხურზე და გრძნობს, რომ „ფეხების განბანა“ მართლაც ჩამოკავს უმაღლესი მეობის დაბალ „მე“-მდე ჩამოქვეითებას.

— მაშ, აინაც ვლე მეორე საფეხურზე, სულო ჩემო!

\* \* \*

— დიდ ტანჯვათათვის უნდა განემზადო შენ, შვილო ჩემო! — თქვა თეთრმა ბერმა და წყვდიადიც ჩამოწვა უკუნი.

„მზად ვარო“, უნდოდა ეპასუხა ომზირს ბერისათვის, მაგრამ ვიღამ აცალა?! ვიღაც-ვიღაცები მისცვიდნენ, ორმა უკან გაუკრა ხელები, ერთმაც თავი დაუჭირა, მეოთხემ ძალით დააღებინა პირი და გავარგარებული მარწუხიც მოიმარგვა: — ენა ზედმეტია აქ, ასე უბრძანებიათ თურმე მაღლითგან, — თქვა ჯალათმა და ენაც იმწამსვე ჩაუყლაბავს გავარგარებულ მარწუხს.

სისხლი თქრიალით გადმოსდის ომზირს პირიდან. ერთი ყლუპი სასულეში გადაცდება და გაბმული ხველება აუტყდება.

„ეს კიდევ ცოცხალი ყოფილა?!“ — დაიღრიალებს პირისისხლიანი ჯალათი

და მარწუხსაც შორს მოიქნევს. მარწუხიც გაიშლება კადელს შენარცხებული და გასისხლიანებული ენაც, რომელიც უპვე აღარ ეკუთვნოდა პატრინს, ძირს დავარდება ალმოდებული.

იწოდა ენა!

ესეც არ იქმარა ჯალათმა და სულშიც ჩააფურთხა ომზირს.

სამჯერ, სამჯერ ჩააფურთხეს ომზირ თავდგირიძეს სულში...

ზეცაც რომ თავზე ჩამოქვეცა?!

გაპყვირის, გაპყივის მძლლვარედ ჯალათი, არენაზე თავისი ოთხი მხლებლითურთ გამოჩნდება და სცენაც მაშინვე შეიცვლება: ორი მხლებელი გამათრახებს ომზირ თავდგირიძეს, ორიც გაროზგავს. ჯალათი კი გაპყივის ისევ: — გახადეთ ტანზე ამ დედამიწის მოღალატე!

და გაშიშვლებული ომზირიც ისე აწრიალდება, თითქოს გავარგარებულ ტაყაზე იწოდესო. სწორედ აქ მიწვდა ომზირს ჯალათის გაბანჯგლული ხელიც: ორი წენელი მოემარჯვებია სისხლმოწყურებულს: ერთი თხილისა და მეორე — ძეწნის.

ერთიც მოუნაცვლა ომზირს და მეორეც:

— დაგმე, დაგმე ე მაგ შენი უსუსური იქმუა! იგი აღარ არის უკვე! მოკვდა და გათავდა! ახლაც არ დაგმობ?! აღარ უნდა უარყო ის უწმინდური და უზარმაცესი კაცი?

— იგი ღმერთია... ძე ღვთისა!

— არა! კია იგი ძე ღვთისა, მაგრამ არაა ღმერთი!

— არა! ღმერთი თუკი არს მამა მისი, შვილიც ხომ ღმერთი იქნება თავისთვალი?! ხომ იყო მამაჩემი ადამიანი და მეც — ძე მისი ხომ ვარ ადამიანი?!

— არა, არა და არა! არაა იგი ღმერთი! როგორ დავიჯერო მისი ღვთაებრიობა, როცა ქალმა... დედაკაცმა შვა, არც ღმერთია მამამისი... იცი, ვინ არის იქმუას მამა?! ვინა და... ერთი არმაჟლი ლეგიონერი... ცოცხალი აღარაა უკვე... მარიამი კი... კახაა, ჩემი რომ დაადგა საწყალ იოსებს! ჰო, დროა ზურგი შეაქციო ამ ცოდვის შვილს და... ერთდროულად დავესხათ ამ მართლაც ღვთისმგმობელსა და აწგადასაშენებელს! საზიზღარი მონა...

სასიზღარიო, მაესტროს შთაგონებით ბრძანებდა ამას პირსისხლიანი ჯალათი და ომზირსაც დაუბრუნდება: წართმეული ძალა და იმედი, ამოახველებს და ჯალათსვე ჩაუბრუნებს ხახაში.

ამოისუფთავა ომზირმა შეფურთხებული სული და უჩვეულო შვებაც იგრძნო.

მაგრამ: ეს გაწმენდილი სული გამოეყო ომზირ თავდგირიძეს, სული

— მზესავით აელვარებული და ამ სულს ამათრახებდა ეს უწმინდური სული.

ყოველი დარტყმა უსაშველო და აუტანელ ტკივილს აყენებდა ომზირს, ტკივილი, მაგრამ იტანდა როგორლაც, სდიოდა სისხლი და ნაცვლად ამისა იგსებოდა იგი უფლისა სისხლით.

იყსო ომზირი სიწმინდით და მიწაც გამოეცალა ფეხეჭვეშ გაბრუუბულ ჯალათს. დაგორდა ძირს, მტვერსა და ლაფში ჩაიხრჩნენ მისი მხლებლებიც.

იდგა და მტკივნეულადაც განიცდიდა ყოველივე ამას ომზირ თავდგირიძე, იდგა და მკვიდრადაც იდგა დედამიწაზე, უხაროდა და ეამაყებოდა, რომ კაცი იყო იგი, ადამიანი.

### მესამე საფეხური:

— დაუტევე საფეხური მეორე და სდექ მესამეზე! — გაიგონა ომზირმა ოსტატის ხმა და იმანაც აინაცვლა ერთი საფეხურით.

ძეედან, მესამე საფეხურიდან წვდა მზერა მისი განაწამებ იქმუას, თავი მაღლა რომ ეცო და რაღაცას სთხოვდა თავის დიდ მამას.

იქით რომაჟლი ლეგიონერები ეკლის გვირგვინსა წნავდნენ.

— იქნებ შევეშველო იესოს და მისი ადგილი მე დავიკავო ჯარზე! მისი ტკივილიც მე გავითავისო! — ამის გაფიქრება ძლიერ მოასწრო ომზირმა და:

ეკლის გვირგვინიც დაადგეს თავზე იქმუას. მარცხნივ მიიხედა ომზირმა და ყველაზე ახლობელი კაცი დალანდა: სარკეში ვიხედებოდეო თითქოს, გულში გაივლო.

სარკის კაციც ომზირი იყო, ეკლის გვირგვინიანი. ირგვლივ ლეგიონერები შემოხვევიდნენ და დასცინოდნენ: — გაუმარჯოს იუდეის მეფეს, გაუმარჯოს მეფეს იუდეისას! — გაიძახოდნენ და მუხლებზე ეცემოდნენ ძე კაცის წინაშე.

თავზე ექლის გვირგვინი ედგა  
ორივეს.

სისხლი უცოდველი სდიოდათ...

### მეოთხე საფეხური:

დგას საკუთარი სხეულიდან განმორიდებული სული, თავზე ექლის გვირგვინი იდგას და ასე გატანჯული და გათანგული იღიქვაშ სამყაროს. მასში ჩამოტეულა ასე უსასრულო ხილული თუ უხილავი სამყარო და თვალთაგან ცისფერი მდინარე გადმოსდინდება. იქით, ოდნავ მოშორებით, მისივე სხეული ატოკებულა და მისკენვე მიედინება იმისეული ცრემლის მდინარე.

ის კაცი (სხეული მისი) მას აღარ ეკუთვნის უკვე და თვითონაც აღარაა იმისი, აღარც აღარდებს ომზირს მისი ბედი. უცხოა იგი მისთვის.

— ის სხეულია ჩემი და ისე ვატარებდი, როგორც ტანსაცმელს. აღარ მჭირდება უკვე ის ტანსაცმელი. ვუყურებ და გული მერევა.

თავისუფალი ვარ სხეულისაგან, თავის უფალი!

— ჯვარიც აქ აღმართულა! — გაიგონა ომზირმა და ჭირის ოფლი დაასხა.

„მე ჯვარცმულს სული მტკიოდა!“

თვალი უნებლიერ გაექცა სხეულისკენ. ისიც ჯვარს ეცვათ თურქე! ჰეკულან გადასულიყო ტკავილებისაგან, გადაშლილიყო თითქოს იმისი სახე.

აქეთაც — ჯვარცმა, ჯვარცმა — იქითაც!

### მეხუთე საფეხური:

(აქ მისტიური სიკვდილიც დაიწყოს უნდა)

„მე სხეული ვარ, რომელმაც ყოველგვარი ტანჯვა აიტან-გადაიტანა... — შორეთს იქით შორეთში შეანათა მან მწველი მზერა და აქ ჩამოეშვა წამიერად

მის თვალშინ ფარდა — წყვდია-დისფერი, — ჩემს ფეხქვეშ ატორტ მანებულა ბოროტების უფსკრული, რომელშიც ჩაღრილა ჩემშივე აბორგებული ტანჯვა-ვაების ნიაღვარი და თან გადავყოლილვარ. ამას ჭოქოხეთში, ქვესკნელში ჩასვლას ეძახიან!“ — გაიგონა დამდუღრული ხმა და ამიგმინა, ვამეო, — მე რა მინდოდა ნეტა ამ ჯინდაბაში და კურმტხეთში?! — ჩამოიხსნა ამ დროს მის წინ ჩამოფარებული ფარდაც და სულიერი სამყაროს შესასვლელის წინ აღმოჩნდა გაოგნებული.

— აპა, კარიბჭეც გაიღო! — წამოიძახა ოსტატმა და ომზირსაც უჩვეულოდ აუფანქერებულდა გული, — ჴ, რაღას ელოდები, შეაბიჯე შიგ! ეს შენი, შენეული სამყაროა... გაითავისებ და...

### მეექვსე საფეხური:

შებლი შეშმუხრია თეთრწვეროსან ბერს. ამით აგრძნობინებს თავის შეგირდს, რომ უკიდურესად უნდა დაიძაბოს და ასე ააბიჯოს ზევით, ერთ საფეხურით კიდევ აინაცვლოს და იგრძნობს ომზირიც რომ უახლოვდება იგი რაღაც შეუცნობელს, რაღაც უნდა გაცნობიერდეს მისთვის და უკვე ჩამოყალიბებული შეხედულებებიც შეეცვლება სამყაროზე.

მეექვსე საფეხურზე შემდგარს გააკინალ-შეაურულობს, მაგრამ შიში, თავისდა გასაკირად, არც დაეტყობა.

აგრე ბნელი სენაკი.

უცებ სანთელი წამოინთო შიგ და კუბოს მოჰკრა თვალი. შიგ ჩაწერიო, უბრძანებს ოსტატი და კუბოს ბინადარი ხდება ომზირიც.

კიდევ წამი და: აღარაა ომზირში სული...

— აღარა... მე — სული აღარ ვარ სხეულში, — დააფიქსირა და თეთრი ოსტატის ვედრებაც ესმა, ჩამოეშვიო

## ანზორ ქუდა

ძირს, შენსავ ფიზიკურ სხეულში ჩაბრუნდიო ისევ.

პოდა:

სულიც შემოუერთდა სხეულს.

ომზირი წამოდგა, ისე გადმოვიდა კუბოდან, თითქოს არც არაფერი მომხდარიყოს და მიწას დაადგა ფეხი. შეიგრძნო მიწის სითბო და ფესვებიც მაშინვე გაიდგა გაფეხვიერებულსა და გაპონერებულ მიწაში.

და დაისერა მისით სრულიად დედამიწა(!)

**მეშვიდე საფეხური:**

თეთრი ბერი — თეთრი ოსტატი ისევ:

შეფიქრიანებული ძალზე.

უტირის თვალები.

— ვფიქრობ, რომ... — შეყოვნდა წამით და თითქმის ნამტირალევი ხმით განაგრძო: — შეგეძლება შენ ამ საფეხურის ძლევაიც! — ხელი ხელს შემოჰკრა თეთრმა ბერმა და გაქრა ომზირის თვალსაწიერიდან.

— ამ საფეხურზე დგომა საპატიოა მეტად, ოლონდაც მისი სიტყვიერად აღწერაა შეუძლებელი, რადგან ამ საფეხურზე ყოფნა ღვთაებრივი ყოფაა უკვე, — მაინც გაერკვევით, ესმის ომზირს თავის თვალსაწიერს მიღმა დარჩენილი ოსტატის მისუსტებული ხმა, — ყოველივე ამის გამოხატვა შეიძლება საერთოდ, მაგრამ მხოლოდ იმას ეხელეშიფება იგი, ვისაც ფიზიკური სხეულის გარეშე ძალუძს ყოფა-აზროვნება.

და სასწაულიც!

ამეტყველდა ომზირის ირგვლივ ყველა და ყველაფერი. ენა აღარც კი იყო საჭირო აზრისა თუ ყოფიერების გამოსახატავად. თავისთავად იკითხებოდა საგანი, მისი ფიქრი და არსი.

— ენა მხოლოდ და მხოლოდ

ფიზიკური პლანის აღსაქმელად თუ გამოადგება კაცს და ამ საცეცხლს „ამაღლებას“ უწოდებენ, — ისევ მოწვდა იმის ყურს ოსტატის უკვე ამაღლებული ხმა და ისიც იხილა, თუ როგორ გამოიკვეთა სივრციდან თეთრი, გასპეტაებული ბერი, მოუახლოვდა და გადახვია, — გილოცავ, შენ ეზირე დიდ, უდიადეს საიდუმლოებას, ომზირს, და აწი გაფრთხილება უნდა ამ იღუმალს!

ერთიც გახსოვდეს: სიკეთეს უნდა მსაცხურებდე შენ! სიკეთესა და სიყვარულს უნდა ოესდე თვითონ სიკეთე და სიყვარული, შვილო ჩემო. იეშუაც ხომ ამიტომ მოვიდა დედამიწაზე და ასევე უნდა გაცნობიერდეს მისი მეორედ მოსვლაც! — გაიღიმებს თეთრი ოსტატი და გაუჩინარდება.

ის ადგილი კი, სადაც თეთრი ოსტატი იდგა, გაბრწყინებულიყო და სიკეთეცა და სიყვარულიც იქიდან მოითქმევოდა თითქოს.

სხვივი ნათელი...

და რაც მთავარია: იგრძნო ომზირმა, რომ შეეძლო თითქმის ყველაფერი, იგრძნო თავის თავში ამძრავებული ზემაღლებული სული(!)

— მომანატრებია მე ჩემი ენჯიდუ! — ხმამაღლა თქვა და იღიმართა მის თვალშინ ციხე ქაჯეთის, ცას რომ წვდებოდა თავისი წვეროთი.

გადაველო ომზირის მზერა მაღალ კარიბჭეს, წამით მარმარილოს შავ კიბესთან შეყოვნდა და მის თვალთა მზერაც აიტყორუცნა სულ მაღლა, მაღლა.

იორბინა შავი მარმარილოს კიბე, იქ სარკეს ჩაურა გვერდით და რომ ვეღარ დაინახა შიგ თავისი გამოსახულება, შეცდა და შეფაქრიანდა:

— მე... ჩრდილი დავკარგე, თუ ქუდი მხურავს უჩინმაჩინის? მაგრამ: ცა რომ ქუდად არ მიჩანს და დედამიწა — ქალამნად?!?

\* \* \*

კრავაი შინ არ დახვედრია იოსებს და ფიქრიც გაუმშარდა. ომზირთან თუ იქნებაო, გაიფიქრა უნებლიერ და დარეკა: — იოსები ვიჩ, ომზირ... კრავაი შენთანაა?! ნუღარ წამოვა, დამელოდოს... მოვდივარ!

ათ წუთში ადგილზე იყო. ერთმანეთი მიიკითხ-მოიკითხეს და ბჭობად დასხდნენ.

— მე მართლაც ათ საათზე გავდივარ ჩემი მანქანით... — შეფიქრიანებულიყო კრავაი, — ადრე დამიბარეს პურის ქარხანაში. მერე შეიძლება აღარც დარჩეს პურით... სიფრთხილეს მართლა არ ტკივა თავი, მაგრამ მაინც რა უნდა დამეგაროთოს? იქნებ აზვიადებდე, იოსებ და შენი მაესტროც ერთი ჩვეულებრივი ვინებ, უბრალო მოკვდავია და იმაზე მეტი, რაც სინამდვილეშია, არც შეიძლება იყოს... კაი, კაი... ვივლი ფრთხილად...

ომზირიც ჩაუფიქრდა ამ აბავს: — სამწუხაროა, რომ ამ ჩვენს მამაკაცურ თამაშში შენც დარჩი ჩათრეული...

— ჰო, ლაურა არ გვეყოფოდაო, უნდა გეთქვა, ომზირ... — აწრიალდა კრავაი როგორლაც. თითქოს სული უსწრებდა წინ და წამოდგა, მაგრამ მაინც მოერია თავს, სულშივე ჩაიკლა ის უცნაური სურვილი და იოსებს მიაჩერდა: — ეს, ამბავი შენ მოიტანე და...

— ჰო, მეც არ მომწონს, რომ შენც ხარ ჩათრეული ამ თამაშში... ეს შეგნებულად ხდება, კრავაი! — წამოიძახა აღლვებულმა იოსებმა და ომზირისკენ მიბრუნდა: — შენ რაღას ფიქრობ, ომზირ, ამზე?

— ჰმ.... — ფიქრებიდან გამოერკვა ომზირიც, — იქნებ სწორედ აქ დაუშვა მაესტრომ შეცდომა და... კრავ... კი არის მაესტრო უნიკალური გონი, მაგრამ შენთან დაპირისპირებაში შეიძლება... შენი საქმე, კრავაი, წმინდაა და ამ

წმინდა, ღვთაებრივ საქმეს შეიძლება მართლა ვერ მოერიოს მაესტრო... კარგია ეს, ძალიან კარგი! გათვლებში შეეშალა მაესტროს! აქეთ „სათნოების სასახლე“ და იიქით — მაესტრო... მაგრამ მაინც რა კავშირი უნდა ჰქონდეს მაესტროს „სათნოების სასახლესთან?!“.

— ჰო... სად „შავი სილუეტი“ და სად „სათნოების სასახლე“... ამბობს იოსები, — რა ხელი აქვს მაესტროს „სათნოების სასახლესთან“?

— სატანაა ის შენი მაესტრო, იოსებ და კაენ ადამიერ — მისი მსახური! კაენიც გვიშლის ხელს! ლაურაც ხომ მის ხელთაა!?

— ამიტომაცაა, რომ წინ ვეღარ წავსულვარ! — თავს ვეღარ მორევია იოსები, — საერთოდ რომ ამოიშლებოდეს იგი ამ არენიდან! კი შეიძლებოდა ამის დაშვება და... ფრთხებიც შეეკვეცებოდა, მაგრამ...

— მაგრამ დაგაკლდებოდა შენც... კრავაის შეხედა იოსებმა და სათქმელი აღარ დაამთავრა.

— ამიტომ: ჯერ არაფერიც არ უნდა ევნოს კაენ ადამიერს, — თვალები ამიუღლიმა ომზირმა.

— მეც ვხვდები ყველაფერს... ჩაფიქრდება კრავაი. ხან იოსებისკენ გააპარებს მზერას, ხანა — ომზირისკენ.

— შენ, კრავაი, მართლაც გმართებს სიფრთხილე... მაგრამ შენ და სიფრთხილე... — უნდოდა ხუმრობაში გაეტარებინა სათქმელი ომზირს, მაგრამ პირიქით კი გამოუვიდა, — გაგიღიზიანებია თურმე მაესტრო!

— ალბათ... გულს თუ ურევს მაესტროს შენი „სათნოების სასახლე“... — თავისთვის ჩაილაპარაკებს იოსები.

— მე მაესტროსიც მესმის, — ნაძალადევად გაიცინებს ომზირი და მუდარის თვალით შეხედავს თავის

დას,— კრავ, სალაპარაკო გვაქვს მე და  
იოსებს და....

— მარტო წავიდე? — მხრები აიჩეჩა  
ქრავამ და გავიდა.

ომზირი და იოსები მარტო რჩებიან.  
შეხედა ომზირმა იოსებს და წიმოუარა  
ფიქრმა ძველებურად, — „თითქმის  
გაუფერულებია აურა ჩემს ენჯიდუს“, —  
ავმა წინათერძობამ შეიძყრო და კრიკა  
შეეკრა. ჩარჩოსკენ მიბრუნდა ანაზდად  
და გულმაც რეჩხი უყო. წამის ერთი  
გაელვებაც საკმარისი დარჩა იმისათვის,  
რომ შავი სილუეტისთვის მოეკრა  
თვალი. ჩარჩოში იოსების სახემ გაიელვა  
და ისიც მაშინვე გაქრა.

სული ჩაეკაწრა ომზირს: „ნეტა რას  
უნდა ნიშნავდეს ყოველივე ეს?“

მაგრამ არც უცდია, პასუხი მაშინვე  
მიეღო თავის კითხვაზე და თვალი ჭიქურ  
გაუსწორა იოსებს: — ჩემს ჩარჩოში ხომ  
არ ჩაგიხედავს, იოსებ?“ — უსიტყვოდ  
ჰქითხა შეფიქრიანებულ მეობარს.

არაო, უპასუხეს იოსების თვალებმა  
და ომზირიც შეეშვა თავის ენჯიდუს.

— ომზირ, მგონი შენი დრო  
ჩამომდგარა, — ჩაილაპარაკა იოსებმა, —  
წითელი პარასკევი მოახლოებულა და  
დროში გადანაცვლება მოგიწევს. შენ

უნდა იხილო ჭვარცმა! მესამე დღეს კი—  
ცადამალება იესოს!

— მე პარასკევს ჩავერთვები ამ დიღ  
თამაშში, იოსებ...

— წინდწინ დაგილოცავ გზას...  
ვგრძნობ, რომ... გული მეუბნება, რომ  
თამაშის დამთავრებამდე ვეღარ ვნახავთ  
აწი ერთმანეთს...

— იოსებ... შენ გელოდებიან ქაჯეთის  
ციხეში... — აწრიალდა ომზირი თავის  
ფიქრის სავარძელში.

— მართლა მელოდებიან! —  
ფიქრიანად წამოიძახებს იოსებიც.

ომზირს თვალი არ მოუცილებია  
იოსებისათვის, მაგრამ არც უცდია  
ჩაძირულიყო იმის სულში, წაეკითხა  
მისი ფიქრი და ასე შეეხედა მომავალში.

გავიდა თითქმის ნახევარი საათი და  
შეინძრა ომზირი თავის ფიქრის  
სავარძელში, დროა, გაიფიქრა და  
შეეხმიანა იოსებს: — დროა, იოსებ! —  
წამოიწია, მაგრამ აღარ წამომდგარა  
თავისი ფიქრის სავარძლიდან.

— ჩემი მოქმედების გეგმას  
გაგაცნობ, ომზირ... — ფიქრებიდან  
იოსებიც გამორკვეულიყო.

... და დიდხანს, დიდხანს ბჭობდნენ  
ომზირი და იოსები: ჩანს, არაფერს

ორმა იოსები: — მგონი მართალი მაინც შენ  
უნდა იყო, ამიტომაც გითმობა...

— კაი, კაი, იოსებ, მაშ, შევთანხმდით!

და ახალი გზაც ჩნდება: ომზირისა  
და იოსების დიდი გზა...

\* \* \*

... და დიდხანს, დიდხანს ბჭობდნენ  
ომზირი და იოსები: ჩანს, არაფერს  
ორმა იოსები, მაგრამ იოსები? კი  
ჭირვეულობს, მაგრამ ბოლოს მაინც  
დაიხევს უკან, გაიღიმებს და ასე

ტრაექტორია.

იდგა კრავაი აღტაცებული და  
თვალს ვეღარ აშორებდა მისგან აღმავალ  
გაცისკროვნებულ ბორჯლალს,  
მაცოცხლებელ სხივებად რომ  
გაშლილიყო და სიცოცხლეც ჩაეთესა  
ყველგან და ყველაფერში.

წუხელ ამომავალი მზე ესიზმრა  
ქრავაის: ხელისგულზე ედო ეს  
გაბრწყინებული ბურთი და მთელი  
გულით შეჭაროდა ამ მშვენიერებას.

მერე ნელა შეისროლა მაღლა ეს  
საოცრება და მზეც აუყვა თავის ჩეულ  
გზას, ჩაჯდა რიტმში და მოხაზა თავისი

უკვე გადაღლილი მიეთარა თვალს  
და სხვათათვისაც აბულვრიალდა უკვე  
ათასჯერ კვლავ აღმდგარი, ჩვენს მიღმა  
შობილი დიადი სული.

კრავაისაც გამოეღვიძა.

ცხრა საათი შესრულებულიყო.

გასვლამდე ჯერ კიდევ რჩებოდა  
ღრო და ფიქრმა მოიცვა. უბრალოდ:  
მინებდა ფიქრს: „სათნოების სასახლე“...  
სასახლე შეიძლება მართლა  
პრეტენზიულია და იქნებ მართლა  
აჭობებდა „სათნოების სახლი“...  
სახლიო... მაგრამ „სახლი“ მაინც ძალიან  
მოქრძალებულია, კრძალვა და რიდი  
უნდა იგრძნობოდეს თავისთვად ამ  
სიტყვაში, მაგრამ უური რომ შეეჩინა  
„სასახლეს?!“ მერე და „სასახლე“ უფრო  
მაღალის, დიადის შთაბეჭდილებას  
ტოვებს... ზეცას უნდა წვდებოდეს...  
„სასახლეთი“ ცენტრობდი მთელი ამ  
ხნის განმავლობაში... ჩემი „სასახლე“  
ადრე ქოხიც ვერ გახლდათ და როცა  
მართლა სასახლედ გადმომცეს, რაო,  
აღარ მივიღო იგი სასახლედ?! ერთმა  
ასეც მითხრა, კი ორ მითხრა, მკითხა  
უფრო სწორად: „სათნოება და  
პრეტენზიულობა ერთ სიბრტყეზე  
როგორ წარმოგიდგნიაო? მაგრამ  
ვნახოთ, თუმცა რატომ ვნახოთო?  
სასახლე და მორჩა!“

ათი სრულდებოდა და მანქანა  
აამუშავა. რატომდაც გამხიარულდა:  
„მელოდებიან მე... და რაღანაც  
მელოდებიან, აღბათ მართლა ვჲირდები  
ვიღიაცას! იქნებ, ამიტომაც მიხარია და  
რატომაც არ უნდა გამხარებოდა?!“.  
სპიდომეტრი სამოცს უჩვენებდა და  
კრავაისაც აქ შეუწყდა ფიქრი.

„სულიკოს“ ღილინებს თავისთვის.  
სიჩქარეს უკლებს ნელ-ნელა.

სპიდომეტრის ისარი ორმოც-  
დაათზე დასულიყო.

საათზე დაიხედავს:

— ათი საათია... — თქვა და ზარებს

ჩამოჰკრესო თითქოს მის სულში:  
ერთიანად დაიძაბა და ღროც შეჩერდათ  
თითქოს, შეცბა.

დადუმებია გული რაღაც ავის  
მოლოდინში;

და:

მოსახვევში მსუბუქი ავტომანქანა  
შემოსრიალდა თითქოს საიდანლაც;

და როცა სკოლას გაუსწორდა  
კრავაი, ბავშვმა გადაურბინა წინ. მარტო  
მუხრუჭი რალის მიშველისო, გაუელვა  
უზნებაში და ამ ღროს იყო, რაღაც ძალაშ  
რომ აიძულა და მარჯვნივ მოაჭრევინა  
საჭე. წამიც და აქ უზარმაზარი ხე  
გადაუღობავს გზას...

...და ჩამობნელდება კრავაისათვის  
მოულოდნელად.

ტკივილი: არავითარი...

ოღონდაც: იძირებოდა თითქოს,  
იძირებოდა სადღაც ბლანტე სითხეში.  
სუნთქვით აღარც სუნთქავდა და აღარც  
ჭიროდა ჰაერი. მერე კი...

გვირაბი...

და კისრისტებით მიექანება იგი  
გვირაბის სილრმეში. სასრულიც აღარ  
უჩანს ამ უსასრულო სრბოლას.

ბოლოს: გაილია მაინც ეს გზა  
„უვალი“ და დიიდ სინათლეში შეიჭრა:  
მზე თვალს გჭრის, ეს სინათლე კი...  
მზეზე ათასჯერ უფრო კაშკაშა,  
მილიონჯერაც უფრო კაშკაშა, მაგრამ:  
უყურე რამდენიც გინდა, აისე თუ  
გნებავს მისი სითბოთი და სიმაღლით  
და არაფრიც დაგიშაგდება! წამითაც არ  
დაგიხამხამდება თვალი.

აპა, აიგსო კიდეც სინათლით,  
სითბოთი, სიმაღლით და სინათლის  
კაციც იხილა ამ დიად სინათლეში,  
სინათლეში სინათლედ გამოიკვეთა იგი  
და იცნო კრავამ იესო... იეშუა!

— წმინდაც მოხვედი ჩემთან.  
მიხარია, კრავაი, მიხარია... მაგრამ შენი  
გზა აქ რომ არ უნდა სრულდებოდეს?!  
შენ მხოლოდ შემოვლით ხარ აქ, აწი

## ანზორ ქუდბა

კიდევ უფრო წმინდა და ნათელი გზით იყლი შენ! ახლა კი გაბრუნდი უკან! ჩემი სინათლის აკვანში დარწევის კი ყოველთვის მოესწრები! წადი! შენ იქ ხარ საჭირო! აქ, ჩემთან გინდა იყო?! მაგრამ მე ხომ იქაც შენთან ვარ! შევიღობით გევლოს, კრავია! — გაიგონა სინათლის კაცის ალერსიანი ხმა და უცე მოფხიზლდა.

ლოკებზე სისველე იგრძნო და თვალები ამოისრისა: — სისხლი?! — წამოიყვირა, შეწუხებულმა. ვერ მიმხვდარიყო, მისი იყო ეს სისხლი, თუ სხვისი, ვიღაცის. გაახსენდა ყველაფერი: „მოსახვეში ლანდივით გაიელვებს მსუბუქი აგტომანქანა. ჩემქენ ორმოცდაათიოდე კილომეტრის სიჩარით მომავალი. მერე გავუსწორდით ერთმანეთს, სკოლასთან და... ვამე ბავშვი! მაგრამ ის რაღა იყო, საჭე მარჯვნივ რომ მიმახვევინა?! მერე კი წყვდიადი... კიდევ მერე გვირაბი და კიდევ იმის იქით — სინათლე სანეტარო... კაცი სინათლის! ნათლის კაცი... და გამობრუნება უკან! მაგრამ ბავშვი?! ბავშვი სად არის?! ვაითუ შემომაკვდა?! მაგრამ ხომ მითხრა სინათლის კაცმა, მიხარია, კრავია, წმინდად რომ მოდიო ჩემთან...“

— ცოცხალია, ცოცხალი! — გაიგონა კრავიამ და ფიქრიც იმწამსვე წარმოუჩნდა: — „მე კი, მაგრამ ბავშვი?!“ — თვალი გაახილა კრავიამ და თავი წამოსწია.

კრავია თვალებით ექტდა ბავშვს და დაინახა იგი, დაინახა აკანკალებული და სულ მთლიად ფერწასული.

— გადავრჩით, ორივე გადავრჩით! მაგრამ რატომ ორივე? სამივე გადავრჩით...

— ბედნიერი ქალი ყოფილხარ! იღბლიანი! პერანგში დაბადებული! მომილოცავს... — ხელი საფეთქელთან მიიტანა სახელმწიფო ავტოინსპექციის

თანამშრომელმა და კრავიასაც გაეღიმა.

აბა, სათნოება და სიკვდილი როგორ შეიძლებოდა, ერთ სიბრტყეზე მოთავსებულიყვნენ?!

ქუდბედიანი ბიჭი კრავიასთან მიიყვანეს. კრავიამაც ხელი თავზე გადაუსვა ბიჭს და ბიჭმაც ძირს დახარა თავი, — მაპატიეთ... მე არ მინდოდა, ვასიკ მომდევდა და...

— მადლობთ, მადლობა... — ლურლულებს კრავია. თავს მაღლა აიღებს და ტკბილი ჟრუანტელი დაუვლის მთელ ტანში.

„ესმა ჩემი ვედრება“... — გულში იტყვის კრავია და თვალს შეავლებს ირგვლივ შემოჯარულ ხალხს, — ყველას დიდი მადლობა, ასე რომ თანამიგრძნობთ... ჩემთან ხართ მთელი ამ ხნის მანძილზე.

— ეს ის ქალია, ხალხნო, უფასოდ რომ აჭმევს და ასმევს გაჭირვებულებს და... არც ღმერთმა მიატოვა ამ განსაცდელის უამს. ღმერთი შენთანაა და ეშმაკი რას დაგაკლებდა?! — ეუბნება კრავიას ხანში შესული ქალი.

— გუშინწინ ტელევიზიაში ვნახე... ის არის, ის! ეს მანქანაც... „სათნოების სასახლე“... „სათნოების სახლი“ უკეთესი იქნებოდა... სახლი სულთანაა ახლო, სასახლე კი სცილდება ამ სულს, როგორღაც ცივდებაო თითქოს... — თავისთვის იტყვის ალბათ მავან-მაგანი ლიტერატორი, მაგრამ იმასაც ვინ უშენს?

ვამეო, აღმოხდა კრავიას, როცა შეეძრა ჩვილი მუცელში, პაწია ფეხი შიგნიდან ამოპქრა სუნთქვაშეკრულ დედას და თავი შეახსენა:

სამი თვისაა და... შეიძრა! — უნდოდა საქვეყნოდ გაცხადებია კრავიას, მაგრამ თავი შეიკავა, — ნეტა ამხელა დრო მაინც როდის გავიდა? ნეტა იცოდეს იოსებმა და... — კრავიას ისე ნაზი გრძნობა დაეუფლა, ლამის

დალვრილიყო სითბოდ და სინათლედ.

ხარობდა მისი გრძნეული გული, სულსაც უხაროდა, რომ გადარჩა ის „სხვისი“ ბიჭი და იოსების ძესაც დაეღწია თაფა ამ განსაკლელისგან, ეძინა და გამოაღვიძეს მისი სისხლი და ხორცი, იგი, ვინც უნდა გააგრძელოს მამის სახელი და სიცოცხლე... საქმეზიც მისი... — ხელი ისე მიიღო მუცელზე, რომ არ შეემჩნიათ და გაედიმა უნებლიერთ.

ისევ შეიძრა პატია სული: — ეს მე  
ვარ, მე და უნდა მცნობდეთ!

კრავაიც მიეფერა და ისიც  
დამშვიდლა.

— မადლობთ, မადლობთ... —  
აამუშავა მანქანა კრავაძე.

უკვე არსალაც არ მიეჩინობოდა.

და ოოცა დაიშალო ხალხი და ის ქუდ-  
ბედიანი ბიჭიც თვალს მიეფარა, კრავაი-  
მავ მაშინ დაძრა მანქანა აღვილიდან.

— მე დღეს ღვთისმშობლის  
ეკლესიაში დიიდი სანთელი უნდა  
ავანთო! მაცხოვარს ავუნთებ  
სანთლებს... მე ვილოვებ... ვილოვებ...

\* \* \*

გალარჩაო?!

## წარმოუდგენელია...

— იე შუა! აქაც შენ გადამიღევი წინ,  
ნაზარეთი?! იიიგი გმფარველობს, კრავაი,  
შენ, თორებ...

— ნუ გვინდა, რომ დასაშვებია  
შენთვის ყველაფერი! რაღა მაინც-  
დამაინც კრავაი ამოიჩემე, ნიშანში  
ამოიღე ჩვენი რჩეული სული, მაესტრო?  
არაკანონიერად და ძალიან ბინძურად  
აკოშკრებ შენ შენს პატია სამყაროს,  
ბინძურით თამაში ჰქვია, მაესტრო; ამას,  
და...

— ნუდარ მიწინასწარმეტველებ,  
ნაზარე! მომავლის ხილვა რომ  
მდომებოდა, გამიჭირდებოდა ვითომ  
მომავალში წამით რომ შემეცვრიტა,  
შემეხდა! ეს თამაშია, მხოლოდ თამაში  
და ვაღმერთებ მე ამ თამაშს!  
სიცოცხლეც თამაშია... ერთიც  
გავერთიანდეთ და დავამხოთ იგი!  
ორივეს გვყყოფა ჩენ მისი ტახტი!

— შენ ვერ შეწვდები, მაესტრო,  
მამაჩიმის ტახტს... ჩემს ტახტს!

— გონს მოდი, ნაზარეთი!

— მამაო ჩეცნო... — თავი მაღლა  
აიღო იქშუამ და პირველი გადაისახა, —  
რომელი ხარ კათა შინა, წმინდა იყავნ... .

— ჰეი შენ! ისევ უარყავი ჩემი

წინადაღება?! ახია შენზე, ჯვარზე რომ  
გაცვეს მაშინ! ღირსიც იყავი... ჯვარი  
მოგელის ისევ!

— ୦ୟଙ୍କା ଏବଂ ତଥାଲି ମନ୍ଦିରଶ୍ରମ ମାଗସତ୍ତରିକାଙ୍କୁ  
— ମେହିଏ କେମି ଆମାଲାଲାଦା?! —  
ଦାଇଘରଙ୍ଗବିନ୍ଦୁ ଶ୍ରେଷ୍ଠ ଏବଂ ଶ୍ରୀଲଶ୍ମି ମନୋବାରା  
ମାଗସତ୍ତରିକାଙ୍କୁ. ଶିଶ୍ମା କେମି ବାଜୁଆରୀ, ଓ ଶିଶ୍ମା  
ଅବାର୍କିସାଙ୍ଗ ବୁଝ.

—არა უშავს, იქმუა, არა უშავს...  
სადაც ვიქები, პირველი მინდა ვიყო!  
პირველი და მეორე არასოდეს! ან —  
კულაფერი, ან — არაფერი! ან — ტახტი,  
ან — არარაობა! თამაში დაიწყო! ამ  
თამაშის სცენარი კი მე მეკუთვნის, ჩემი  
დაწერილია! და, როგორც მინდა და  
მომეპრიანება, ისე შევცვლი და  
გადავაკეთებ ამ სცენარს! ჰო, მართლა,  
სცენარიდან ამოსაღებია ის სურათი...  
კრავაისა და იოსების ქორწინება ხომ  
გახსოვს?! ეს სცენა ზედმეტი! დროის  
ფლანგვაა უბრალოდ. აქედან  
იოტისოდენა სარგებელსაც არ მოველო!  
შეიძლება მავნოს კიდეც ამ ქორწილმა.  
ასე რომ, ქორწილი უნდა გადაიდოს! ან  
სულაც ამოიშალოს! კრავით გადარჩიონ?!  
იქნებ ასეც ჭობდეს! აქ სრულდება  
პირველი მოქმედება! — თქვა მაესტრომ  
და თარიდა ჩამოუშვა.

## დიდი პატარა — შესვენება!

ფიქრს განაპირებია მიესტრო! უცებ  
ნერვიულად აიქნევს ხელს და  
ადგილიდანაც წამოიჭრება, შორს  
მოისცრის სავარექლს და ხაფუ ხმით  
შესძინებს: — სმენა და გაგონება! სმენა  
და გაგონება სცენაზე!

զի մշորյ մովմեցեծ օ ջանկուսուն!—  
շնձանցի օ տղամդ մայստրուս.

— ხელს მიშლის ეს მატრაკვეცული ფარდა! აგერ იაზონი... ოქროს საწმისის მოტაცება... არ ვიცი და რომელიმე მოქმედებამი შეიძლება სახრჩინებელაზეც კი ავიყვანო ამის მხატვარი... მაღლა აწიეთ ეს ფარდა, ან სულაც ჩამოხსენით! მდა... სულ ასეც რომ არ ყოფილა საწმისის მოტაცება?! ჩამოხსენით-თქო ეს მისტიკაცია!

...სცენაზე დიდი ტოტებგაშლილი  
ხე...

სცენაზე მაესტრო და: კაენი და  
იოსები! იოსები და კაენი!

— კაენ, დაიწყე! შენით უნდა  
დაიწყოს მეორე და გადამწყვეტი  
მოქმედება! სცენარში, ჩემ სცენარში შენ  
იმარჩვებ, იცოდე! კოსმიურ ძალებს  
მოუხმე, თორემ... კაი, კაი... ხმა  
თანდათანობით უნელდებოდა და  
ურბილლებოდა მაესტროს.

აპა, როგორც იქნა, გაიგდო წინ  
უიქრი და: „სცენარი დასახვეშია...  
კვლილებებიცაა მოსალოდნელი  
სცენარში. ზოგიერთი რამ მართლა  
ჭელოვნურად მეტყვენბა. არაფრად ვარგა  
ს აღვილიც, როცა ვამბობ: რანირი  
სკვდილითაც მოკვდება კაენ ადმაძე,  
ამ სიკვდილითვე მოკვდეს იოსებ  
იუსარაძეც... მართლაც და: რა საჭიროა  
ეს იოსებ ნიუარაძის სიკვდილი  
საერთოდ?! სრულებითაც არაა საჭირო  
მ ორიდან ერთის მოკვდინება! თუმცა  
იკვეთ მოკლენებს!

სურანა:

სცენაზე — ფეხმორთხმული იოსები.

ପାଇଁନି ଧରନ୍ତାର କାହାରେ

მოულოდნელად შედგა და ოსებისკენ  
შებრუნდა. წამოდექიო, დაუბაკუნებს  
ფეხებს, — ხომ იცი, მე შემიძლია  
გაგანადგურო! გაგანადგურებ კიდეც!

— მერე და რას უცდი, კანე? — არც  
წამომდგარა იოსები, ისე უპასუხა,  
მაგრამ გულში სხვანაირად გაიფიქრა  
მანეც: „მე უნდა დავისწრო! ომზირიც  
ასე მირჩევს...“

გაგანადგურებ-მეთქი! —  
გამეორებს კაენი და ფეხებს ისევ  
დააბაკუნებს იატაკზე, — მე შენ  
გადაგყლაპავ!

— მე არ გავხდები შენი კერძი... —  
ჩაილაპარაკა იოსებმა, — არც უნდა  
გეპარებოდეს ეჭვი იმაში, რომ  
გულხედაკრეფილი არ დაგხვდები,  
ვეცდები რომ ვერ გადამყლაბო! —  
დაასრულებს და ხედ გადაიქცევა.

სავარბელი შეინძრა. მაგრამ უჩინმაჩინის ქუდზე კი მოკიდა ხელი, მაგრამ არ მოუხდია მაინც, ერთიც ვნახო, რა მოხდება.

ხომ არ დავიგვიანეო, გაპკენწლა  
კაენს და შეშის მჭრელია დ გარდაისახა. მივარდა ხეს და შემოუქნია ცული ერთხელ, ორხელ, მესამედ და... სადაცაა წამოიკცევა ეს ათასწლოვანი ხე. კაენმა კიდევ ერთხელ შემოუქნია ცული შებარბაცებულ და ნირწამხდარ ხეს და ხეც გადაიზინეა. მაგრამ ამ დროს მიღლა ავარდა ერთი ნაფორი, დაეცა ძირს და კატის კნუტად არ გადაიქცა! კაენმა არც აცია, არც აცხელა და ცული ესროლა კატის კნუტს, მაგრამ დააცილა და უიღბლო შეშის მჭრელსაც პირკატა ეცა უცებ მოეგო გონის, თვალები მოწყურა და... გასრულდა ლომად. დაედევნა კატის კნუტს, შეპკრა კიდევც კამიარა, მაგრამ ახლაც დასწრო კატის კნუტმა, სოთ ართი წამით მსარამ ხომ თავაწერა

გამძინვარებულს და ავარდა ხეზე. ლომიც მოეშვა უცებ, კი ჩამოყარა ყურები, მაგრამ იმედი მაინც არ გადაუწურავს: მართლაც და: ასე მშიერ-მწყურვალე კატის კნუტს როდემდე გაეძლო ნეტა?! ამიტომ იყო, ასე მოთმინებითაც რომ ელოდა ლომი თავის კერძს.

ჰოდა: ისკუპა კატის კნუტმა და ლომიც თან მიჰყვა. აპა, მიწვდება სადაცაა დევნილს მდევარი და დევნილიც აქ იცვლის იერ-სახეს, მტრედად გადაიქცევა, აღარც ლომი დარჩება ვალში, შეიკუმშება როგორლაც, დაპატარავდება, შეიცვლის შეფერილობასაც და... გამოესხმება ფრთები, ირაოს გააკეთებს და მიმინოდ გარდატყდება სივრცეში... მტრედიც ძირს დაუშვება, დაენარცხება მიწას და აბრიალდება ცეცხლად. აქ ვეღარ მოასწრებს მიმინო მდინარედ გადაქცევას და ცეცხლის ალში გაეხვევა. იწვის მიმინო და საშველიც უკვე აღარაა მისი. სასულეში გადასცდა აღი და ცეცხლიც მინელდა მაშინ... წამოდგება ცეცხლყაცი და ჩამოიფერთხავს ფერფლს.

(მაესტრო მოიხდის უჩინმაჩინის ქუდს და წამოიჭრება სავარძლიდან. ლამის შეიშალოს სიბრაზისაგან):

— კაენი რა იქნა?

რაღაც კი უნდოდა ეთქვა იოსებს, მაგრამ ხელით ანიშნუ მაესტრომ, ახსნა-განმარტება საჭირო აღარააო, — ვიცი, ყველაფერი ვიცი... პირველი მოქმედება სულ მთლად გადამიკეთეს და მიმახინებენ მეორე მოქმედებასაც. იცი თუ არა, რომ... ხანდარი გაუჩნდა ამ რამდენიმე წუთის წინ კაენ ადამაძის სახლს და... სიკვდილით არ მომკვდარა, მაგრამ რად გინდა... უაზროდ დარჩა... არც დაუბრუნდება აზრი... სამწუხაროა, მაგრამ... დათვრებოდა წუხელ და... ჰო, იოსებ, კრავიმ მაინც ააცილა მანქანა

იმ ბავშვს და ხეს შეეჭახა თვეთონ.

— ხომ ცოცხალია?! დაშავდა? — ელდა ეცა იოსებს.

— ცოცხალია, ცოცხალი და... არც დაშავებულა... წარბი გაიხეთქა და ეს არის სულ... სისხლი გამოიშვა და... ამაღლდა უფრო...!

— ბავშვი?!

— რომელს კითხულობ, იოსებ? — დოინჯი შემოიყარა მაესტრომ.

— ორივეს... იმასაც და ჩვენსასაც.

— ცოცხალია ორივე! ნუღარ ღელავ, გიშვებ... გათავისუფლებ, მაგრამ მანამდე ახალ ინსტრუქციებს უნდა გაეცნო. ახლა შენ ხარ ჩემი კაენიცა და იოსებიც. იქნებ ინდომო ჩემგან წასვლა და... არ გირჩევ ამას! თუმცა ნება შენია... მაგრამ იცოდე, რომ შენი ბედი ჩემ ხელთა და ბედი შენი, რომ ჯერაც არ წასულხარ ჩემგან... იცი, რა გელოდა? — მაესტრომ ერთი თავისებურად გადაიხარხარა და მათრახმაც გაიზტუნა მის ხელში, ცეცხლოვანი წრე შემოიხაზა ირგვლივ და ავარდა ცეცხლის აღი... იწვის ყველაფერი... ხანდარი არნახული! იოსებ, ხომ ხედავ, ხანდრის ცენტრში მე და შენ ვდეგართ. მე შემიძლია გავქრე და ამოიწვები შენ ამ ცეცხლოვან წრეში... შენ ვეღარ მოასწრებ ცეცხლიდან ამოსვლას, ვერ გამოადწევ... ჩემი იქიდან გამოსვლის შემდეგ შეიწროვდება ცეცხლოვანი წრე და... კაენი ხომ არ გვინივარ? მე დიდი მაესტრო ვარ... შავი სილუეტი! მაგრამ შენ მაინც ბედნიერ ვარსკვლავზე ყოფილხარ დაბადებული! ჰოდა, მინდა მჯეროდეს შენი! სადაცაა მინელდება სიმხურვალე და... ჩატრება ცეცხლიც... გადავა ხანდარი... თითქოს არც ყოფილიყოს... აწი კაენბაც შენ უნდა გამიწიო... თუმცა: ვიფიქრებ კიდევ... იქნებ გადავითქმებ და... რაც მოხდა, ილუზიაა მხოლოდ, მაია... ვიფიქრებ კიდევ...

\* \* \*

„ნეტა ვინ იყო, მართლაც რა თვალები ჰქონდა?! ამ თვალებს ალბათ შეუძლიათ ხანძარიც კი გაუჩინონ ადამიანი!“ — აი, რა გაიფიქრა კაენ ადამიერ, პირველად რომ შეხვდა იოსებ ნიუარაძეს: — ცეცხლი უგიზგიზებს თვალებში... თვითონაც ცეცხლია ჩაუქრობელი. სულს გიშანთავდეს თითქოს...“

კაენმა მეორედაც იხილა იოსები და კიდევ უფრო განუმტკიცდა ის პირველი შთაბეჭდილება, მაშინდელმა შეხვდრამ რომ ჩაუტოვა სულში. მესამედ ხილვისას კი აუძაგაბადა მთელი ტანი და გულიც შეუფრთხიალდა: — ეს კაცი იმისთვის თუ მოვლენილი, რომ მე დამამარცხოს! ჩემი ზემდეგი ხომ დაამარცხა ერთმა მხატვარმა?! ის რკინა კაცი მართლა... და ასე მგონია, თითქოსდა იმ მხატვრის მედიუმი იყოს იოსებ ნიუარაძე... ომზირ თავდგირიძე: მხატვარი უპირველესად, შეტანილი... პოეტი ჭრშმარიტი, მაგი და დაიმონი... მაესტროს ებრძვის! იოსები კი ამ ზე — კაცის ცეცხლის კერა... ენჯილუულუ... რო... მაესტრომაც ასე ბრძანა ერთხელ... პმ... ვუყურებ მე იოსებს და... ცეცხლი მედებოდეს თითქოს... ცეცხლის ალია მისი მზერა... ასე მგონია, ვიწვოდე თითქოს... ჩემი ბედისწერა ხომ არაა ნეტა იოსებ ნიუარაძე?!

იხილა კაენმა იოსები, ოლონდაც წარმოსახვაში: — წუხელ მომიგო, პირველინდად დამამარცხა. დღეს აღარ გამომიჩნდებოდეს ნეტა და... დროს მოვიგებდი! რომ შემხვდეს, გზად რომ გადამეყაროს დღეს... ეს იქნება ჩვენი უკანასკნელი შეხვდრა-ბრძოლა! ვიცი, ეს დღეც მისია და ხვალინდელიც! გვერდი უნდა ივუხვიო როგორმე... გადავიდე მისი სიბრტყიდან. თუ გავიარე „ხვალე“... მაესტრო არც მაპატიებს

მარცხს. არ უყვარს მაესტროს დამარცხებული კაცი!

ითვლის კაენ ადამიაძე წამებს, ითვლის წუთებს და საათებს...

და, როგორც იქნა, გათენდა!

მზეც გაექანა თავისი ტრაექტორიით და... შედგა შტაბის ტარზე. მაესტროც მაშინ გამოუჩნდა კაენ ადამიაძეს: — მე უკმაყოფილო ვარ შენით... იმდეი ვერ გამიმართლე, კაენ! ამიტომაც უნდა აორთქლდე ჩემი თვალსაწიერიდან! გაქრე, მაგრამ გაქრობამდე ხომ უნდა აენთო ჯერ! აბრიალდე და გაქრე მერე!

სული აემღვრა კაენ ადამიაძეს. მართლაც: კარგს არაფერს მოასწავებდა მაესტროს სიტყვა. „და ყველაფერ ამაში იოსებ ნიუარაძეს მიუძღვის ბრილი, იმას, ვისი შესაძლებლობებიც აღემატა დღეს ჩემს შესაძლებლობებს. ვერა, ვერ მაპატიებს ამას მაესტრო! დამამარცხებული კაენი ნეტა რაღად უნდა გრძნეულ მაესტროს?! — ურუოლამ აიტანა კაენი და ავი წინათგრძნობით შეპყრობილი გამოიკეტა თავის კაბინეტში.

ახლა მარტოა კაენი და თავისუფალიცაა მაესტროს თვალისაგან. აქ შეიძლება ვერც მოწვდეს მაესტროს მზეგელი მზერა. ფიქრისაც მოიხელოდეს კაენი აქ და იქნებ კიდეც ნახოს გამოსავალი ამ თითქოს და გამოუვალი მდგომარეობიდან.

— ჩიხი ძლიერთათვის არც არსებობს! ჩიხი სუსტებისთვისაა გამოგონილი. აქ შესაძლოა სულის ნგრევაც კი ეწყებოდეთ სუსტებს. შეც სუსტი უნდა ვიყო... სუსტი, მაგრამ ინდივიდი მაინც! მაშინებს მე იოსებ ნიუარაძე... შემხვდა და პირველ რაუნდშივე დამაბნია... მომიგო ფსიქოლოგიურად, მე — კაენ ადამიაძეს მომიგო, დიდ ფსიქოლოგსა და

ფსიქიატრს! მაესტრო საქმის კურსშია და სისუსტის რომელ კატეგორიას მიმაკუთვნა ნეტა? ესეც მაესტროს ნებაა და ვერც ვერავინ შეუცვლის შავ სილუეტს ერთხელ ჩამოყალიბებულ აზრს. სამწუხაოდ არ ცდება მაესტრო! ზეკაცზე მეტია მაესტრო! ზეგენია! კაცი რომ იყოს, ვიტყოდი ზეკაციაო, მაგრამ არაა მაესტრო კაცი! კაცამდე როგორ დაგა დიდი მაესტრო?! მაგრამ ღმერთიც რომ ვერ არის?! გაღმერთება კი... უნდა!

რატომძაც ზუსტად გაიმეორა ბრწყინვალე მაესტრომ ვალპურგის ღამეს, მწვრთვალ ბროკენზე კუდიანებისა და ჭადოქრების დღესასწაულზე გათამაშებული ტრაგედია. მერე აიღო თავისი ძველისძველი ვიოლინო, უფროსმა სტრადივარიუსმა რომ უსახსოვრა და ვიოლინოც აუდერდა ჯადოსანი მეგოლინის ხელში. მილიონი სიმი დაირჩაო თითქოს და საოცარი მელოდიაც ძვალ-რბილში გაუჭდა გრძნეულ სამყაროს. შეძრა ამ ხმამ სააქაოცა და საიქიოცა, აატირ-ააცრემლა ყველგან ყოველი. თვითონ მაესტროც აძაგძაგებულიყო: მის მომნუსხველ თვალებში გაცოცხლდებულიყო ვალპურგის ღამე.

ცეცხლი... ცეცხლის ალი...

აბრიალებულიყვნენ მაესტროს გადარეული თვალები.

კიდევ უფრო იძალა ცეცხლმა მაესტროს თვალებში. ტყიდან მონაბერმა ქარმაც იმბდავრა და პირწმინდაც ამოასუფთავა ისედაც აცეკვებული ცეცხლის (მოელვარე) ალი მაესტროს თვალთავან.

და შედრება ადამიანე კაენ! მისკენ, მისკენ მოილაპლაპებოდა ის ცეცხლის ოლი, ჭადოქარი და კაენსაც უსურდა გულ-მკერდი, აწრიალებოდა სულში ჩამოვარდნილი ის ცეცხლის ოლი: „დათვლილია ჩემი დღეები, მაესტრომ გამწირა... ოლარ ვუნდივარ, ალბათ, აღარ ვჭირდები. მე მისთვის უკვე ჩამოწერილი, ჩამოფასებული საქონელი ვარ, გვამი უსულო და აკი მომისროლეს კიდევ სანაგვეში! საღა მაქვს მე მაესტროსთან პაეჭრობის თავი?! იგია დღეს განმკარგულებელი და გამოსცა კიდევ ეს ახალი განკარგულება.

ჩემი გაერობა გადაუწყვეტია მაესტროს: — დაე, მოხდეს მოსახდენი! — ხელები ძირს დაუშვა კაენმა და განაჩენის მოლოდინში სული განაბა, ქანდაკად იქცა.

და მოიხილა კაენის სული იმ ცეცხლის ოლმა, გადაწვ-ამოშანთა იქაურობა და...

არარაობა სრული...

ამოიწვა სული... მაგრამ ჯერ არ მომკვდარი კაენი... სხეული განაგრძობს სიცოცხლეს, მხოლოდ სხეული... მაგრამ კაცი უსულოდ განა კაცია?!

კიდევ ერთი აჯანყებული სული გასრულდა ფიზიკურ სხეულში. აქ შეწყდა მისი ეფოლუციაც!

„ნუთუ ვერაფერს ხვდება იოსები? მით უარესი მისთვის და უკეთესი — ჩემთვის, მაესტროსათვის! ნუთუ სმენაც დახშობია იოსებ ნიუარაძეს?! როგორ დავიწყრო?! — ფიქრი საცვლებში გაახვია მაესტრომ და მიელოლიავა, — იძინე, იოსები...

\* \* \*

„თამაშს კი ომზირ თავდგირიძე წარმართავს ჯერჯერობით... იქშუას შეწევნით, რასაკვირველია, სცენაზეც ომზირი არ წამომეშველა?! წინ გადაუდგა შავ სილუეტს და

კორექტივებიც შეატანინა სცენარში.

კრავიაც გადარჩი! ვეღარ ეწია ბორტი საწადელს. მამაო, ჩევნორო... — პირველი გადაისახა, — ხედავს, ხედავს ომზირი იმ თავის ჩარჩოში ყველაფერს.

იწოდა წუხელ კაენის სახლი და იწოდა თვითონ კაენიც! მასტრო? იმასაც ხომ არ ჩასძინებია იმ მდინარესავით? იქნებ კაენის ამბავიც მაესტროს საქმეა და თვალი ამიხვია: გვგონია იქნებ, თითქოსდა ომზირი წარმართავდეს ამ დიდ თამაშს და სინამდვილეში თავი და თავი მაინც მაესტრო იყოს! იქნებ მაესტრო გვათამაშებს ყველას! ჰო: იმ მდინარესავით ხომ არ ჩასძინებია მაესტროს? მდინარესაც ხომ ჩვევია ზოგჯერ თვალის წატყუება?! მაშინ, სწორედ მაშინ ხდება რაღაც-რაღად კუები, რაზედაც არაფერი უწყის ბურანში გამვეულმა მდინარემ!

მაესტრო მაფიქრებს მე, მაგრამ ისე გულუბრყვილოც რატომ უნდა ვიყო, რომ დავიკერო, თითქოს ირწმუნა შენი მაესტრომო. თვალს მომიჩნდა აუცილებლად: ეს „თვალიც“ ვიხილე. ერთხელ, სულ ერთხელ მოვკარი თვალი... მიმიხვდა და გაუჩინარდა. მერე სიახლოვესაც არ გამკარებია. თუმცა ვინ იცის?

— მოუხელთებელია ის თვალი! სახე იცვალა მხოლოდ... — ესმა იოსებს მაესტროს ხმა: — მე, მე გხედავ ამ თვალით... თვითონ კი უხილავი ვარ შენთვის... ასე რომ: დროა არჩევანი გააეთო! ან ერთგულება გმართებს ჩემი, ან უნდა გამოეთიშო თამაშს! არა და... გაქრება შენც კაენივით!

— კაენის სიკვდილიც თქვენი ჩაწყობილი იქნება!

— ჰო, და უნდა მიფრთხილდე ამიტომაც!

„რომ გამოვეთიშო თამაშს, მაშინ მაესტრო მოიგებს... უნდა მოვითიქო რამე! საჭიროა ის თვალი ავუზვიოთ როგორმე მაესტროს, ომზირის ჩარჩოში გამოვამწყვდიოთ და მაესტროც დავაბრა-მავით ასე. არა, იაზრებს მაესტრო და... დაბრმავებაც არ შეიძლება იმ თვალის! უბრალოდ: იყოს უბრალო ჩარჩოში და

ისე ხედავდეს, ჩვენ რომ გვინდა და გაგვიხარდება... ახლავე დავუკავშირდები ომზირს“...

— ჰო, იოსებ! — გაიგონა იოსებმა ომზირის ხმა და სიხარული ვეღარ დაფარა, — მაესტროს თვალი? შენც ამ თვალს ჩაუფიქრებიხარ, იოსებ? მაგრამ ისე ტრაგიკულადაც არაა ჩვენი საქმე, მაესტროს რომ ჰერნია... არა, კი არ ჰერნია, არამედ ასე სურს და... ჩარჩოში მყავს ის თვალი... და არა მგონია ამომისხლტეს იქიდან... იცი, რა, იოსებ, ჩვენ ისიც გვანიჭებს უპირატესობას, რომ არც კი იცის იმან, რომ თავისუფალი აღარაა... შენ კი მაინც გმართებს დიდი სიფრთხილე. შენზე უკვე მოხსენდათ მაღლა... ჰო, მართლა, იოსებ, დაბარებული უნდა იყო დღეს მაესტროსთან... უთხრა ეს ომზირმა და მაესტროც ჩიერთო ამ დროს:

— შვიდ წუთში ჩემთან იქნები, იოსებ! ახალ დავალებას მიიღებ! იცოდე, არ მაწყენინ, თორემ!

— მაესტრო...

— ნუ მაწყვეტინებ, იოსებ! ომზირ თავდგირიძე ჯერაც რომ არ წაქცეულა და ვისი წყალობითაც დგას ფეხზე, იცი შენ და მე ხომ ვიცი და ვიცი... მართლა ისე წყალწალებული და ხელწამოსაკრავი ვინმე ხომ არ გვისა შენ იეშუა?! მაგიური ძალის პატრონია იეშუა, ომზირის მფარველი, მაგრამ უცნაურია მაინც ეს ყველაფერი... — გამკირვებია თვითონაც, ამხელა საიდუმლოებას გიმხელ, მაგრამ ნურც მისი ასე გახმაურებული სახელი შეგვაშინებს! კისერს მოვუგრეს ორივეს! შენ კი აგამაღლებ! დარჩი ჩემთან, მიერთგულებ და აგამაღლებ! აღვასრულებთ ჩემი ჩანაფიქრის პირველ კარს და შენც ამაღლდები ერთი საფეხურით, მაგრამ ვაი შენი ბრალი, თუ მიმტყუნ! იცოდე, ჩემი მოტყუება არ შეიძლება!

იოსებს დასიცა ტანში და გააურეოლა.

მიწყდა მაესტროს ხმა და შეინძრა.

კიდევ ორი წუთი და მაესტროს ხმაც ესმა:

„იოსებ, ომზირს ის ჩემი უხილავი თვალი დაუტყვევებია და შენი დახმარება მცირდება ახლა! უნდა მიმეგზავნო ომზირთან. როგორც მეგობარმა, ისე უნდა მოინახულო და ის თვალი გამოიხსნა როგორმე! წადი და იმოქმედე! დამიმტკიცე, რომ დაუფლებიხარ იმ ჩემი შავი წიგნის ხელოვნებას და... ერთგულებასაც დამიმტკიცებ ამით! — წაილაპარაკებს მაესტრო და იოსების თვალსაწიერიდანაც ამოი-ლაქება.

...იოსებიც კარზე დაუკაცუნებს ომზირს: — ეს მე ვარ, იოსები!

— შემოდი, იოსებ, კარი ღიაა, გელოდები! — გამოსძახა ომზირმა თავისი თოახიდან, არც წამომდგარა, ისე აუწია ხელი იოსებს, — თვალი ჩარჩოშია და ამ თვალის გათავისუფლება გევალება შენ... მაგრამ აზრი უნდა წაართვა შენ ამ თვალს: აწმუო ჩამოართვა... წარსულში ჩასაბრუნებელი... აქ კი ამ თვალის აჩრდილია უნდა დარჩეს... აბა, დაიწყე! მეც შენს გვერდით ვარ, იოსებ! მაგრამ ჩემზე ერთი წამითაც არ უნდა შეგიჩერდეს ფიქრი! მე ვიფიქრებ შენზე და იესოს შეწევნით იქნებ... — პირველი გადაიწერა, — შენც, იოსებ! ჩემსავით მოიქცე, გადაიწერე პირველი! ჰო, ისე... მაშ, ვიწყებთ ექსპერიმენტს! უნდა შთააგონო ამ თვალს, რომ აღარა იქვს აწმუო... აწმუო დაკარგულია!

— ვიცი, როგორც მოვიქცე, — თქვა იოსებმა და მისი მზერაც დააკვდა ჩარჩოში აფართხალებულ თვალს. გარდამოვიდა ის თვალიც იოსებში, თვითონ კი დროში გადაინაცვლა.

ჰოდა: გადად-გადმოდის იოსები დროიდან დროში, შექანდა ერთხელაც და ის თვალიც ამოვარდა იოსებიდან. გაექან-გამოექანა და უპარო სივრცეში

აფართხალდა.

— ჩარჩოს, ჩარჩოს დახედე, თვალი არ მოაცილო! — გაიგონა ომზირის ძახილი იოსებმა და ისიც დაუბრუნდა შებარბაცებულ აწმყოს: ჩარჩოში თვლემდა თვალი... „ეს თვალი შენია უკვე, წაუღე მაესტროს... — აგრძელებს ომზირი ფიქრს და აწითლდა ჩარჩოში მდუმარე თვალიც, ჩასისხლიანდა და მართლა მოუკვდა აწმყოს.

— ეს თვალი უნდა მიართვა, იოსებ, მაესტროს! — ამბობს გულმოცემული ომზირი.

იოსებმაც ამოიღო ჩარჩოდან ის თვალი და ფრთხილად ჩაუშა ბროლის ჭიქაში ჩასხმულ გამჭირვალე ხსნარში.

და თვალსაც გაუარა სიწითლემ. წინანდელი იერსახე დაიბრუნა და ომზირსაც მოეშვა გულზე.

— იოსებ, აიღო ახლა და ამ ხსნართან ერთად სივრცეში ჩაცალე ეს თვალი... კია იგი თავისუფალი, მაგრამ აწი ვერავითარ ვნებას ვეღარ მოგაიყენებს. ეს თვალი მთელ თავის ძალას მხოლოდ ჩვენი (შენი და ჩემი) სიკვდილის შემდეგ მოიპოვებს. მთავარია: ორივე არ მოვკვდეთ, იოსებ! ამიტომ: ვალდებულებიცა ვართ, გავუფრთხილდეთ ჩვენ-ჩვენ სიცოცხლეს! ერთ-ერთის სიკვდილი არაა საკმარისი, რომ საბოლოოდ გაიმარჯვოს მაესტრომ. იოსებ, ნურაფერს მკითხავ, ისედაც ვიცი, რაც უნდა მკითხო. ახლა სწორედ იმ შენს-კითხვას ვუპასუხებ, ისე რომ გაწვალებს. გიმეორებ: ერთ-ერთი ჩვენგანის სიკვდილი ვერაფერს შემატებს მაესტროს!

— ომზირ! აი, ამიტომაც თხოვნა მაქვს შენთან, თუ მოვკვდი მე და ეს ასეც უნდა მოხდეს... ენჯიდუც მოუკვდა, გახსოვს, გილგამეშს? თუ მართლა მოვკვდი, ვიცი, ვაური შეეძინება კრავაის და...

— იოსებს დავარექმევ, მაგრამ უნდა იცოცხლო, იოსებ! კრავია ცოდვა... ჰე,

მაესტროც გიხმობს უკვე! თანაც...  
გამოთავისუფლებულა ჩემი ჩარჩოც და...

— ის მეორე ჩარჩო, ომზირ?

— ყველაზე მეტად სწორედ იმ  
მეორე ჩარჩოს ერჩის შენი მაესტრო... —  
გაერიმება ომზირს. — იცის კიდევ,  
სადაცაა ის ჩარჩო და თვალსაც არ  
აშორებს... აქ ამ ჩარჩოში ისიც დაუშვა,  
რომ თვალიც კი მომეთავსებინა მისი!

— გხვდები ყველაფერს, ომზირ!  
ვიცი, ვინც უნდა ჩაიხატოს იმ ჩარჩოში...  
ის ჩარჩო გადარჩენის ჩარჩოა და

საოცარი თვისებაც აქვს... უნაპიროა  
მისი კედლები...

ამ ჩარჩოში კი... მაესტრო ჩაიხატება  
და... ხელში გეყოლება...

— წადი, იოსებ! იქ მე ვერაფრით  
დაგეხმარები. იქ თვითონ შენ უნდა  
მიხედო შენ თავს! მე შენი იმედი მაქვს...

— მივდივარ, ომზირ და კრაგაისა და  
იმას, ვინც აწი უნდა მოვიდეს, შენი  
იმედით ვტოვებ, — ამოთქვა იოსებმა და  
გავიდა.

ომზირმა ხელი დაუქნია.

## სპეციალისტი:

ოსები თავის აღვიღნების იჭერს სცენაზე.

### სურათი პირველი:

(მაესტრო და იოსები. მაესტრო  
თავის საგარენელში თვლებს. იოსები იმის  
პირდაპირ დგას და ელის ბრძანებას.  
მაესტრო თვალსაც არ გაახელს, ისე  
მიმართავს იოსებს):

— საგარენელი მოიჩინე და ჩემსავით  
ჩაჯერი შიგ! მაღლობთ თვალისთვის...

იოსები ხვდება, რომ დაუშერია მისი  
ფიქრი მაესტროს.

მაესტროს ეღიმება (თვალს ახლაც  
არ ახელს). დარწმუნებულია თავის  
უძლეველობაში.

— ველი თქვენს ბრძანებას,  
მაესტრო, — შეეხმიანება იოსები და  
საგარენელში ჩაეშვება.

— იოსებ, შენ ერთი რამ გვეალება  
ახლა... ეს ჩემი თვალი იმზირის ჩარჩოში  
გამოამწყვდიეთ ისევ. მერე ისე იმოქმედე,  
როგორც ეს მიზანშეწონილად  
ჩათვალო, — ახლა კი გაახილა თვალი  
მაესტრომ, — ჰო, იოსებ... თვალი

ჩარჩოში უნდა ჩააბრუნო ისევ! იცი,  
რაშია საქმე? თუკი ყველაფერი უწყის  
ომზირმა, და შენ მაინც შემოპარული  
ხარ ჩემს ციხეში, რა თქმა უნდა,  
შემეტლება ხელი, მაგრამ დალუპვით არ  
დავილუპები მაინც... ჰო, არ დავილუპები,  
მაგრამ უკან კი დამწევს. მაგრამ არა  
მგონია, ამდენსაც მიბედავდე...  
ცრუობდე, მატყუებლე და თვალსაც ასე  
მისწორებდე?! მიუწედავად ამისა მაინც  
აღარ გცდი!

მაესტრომ იდუმალი თვალი  
ხელისგულზე დაიდო და დაკირვებით  
შეათვალიერა, — თვალი, როგორც  
თვალი... რაღაც ხომ არ იაღლიშეთ?! არა  
მგონია, არა მგონია... აიღე ეს თვალი!  
ჩამიბარებია შენთვის!

— დიდი მაღლობა ნდობისთვის, —  
ეღიმება იოსებს.

— წადი! — ბრძანებს მაესტრო და  
ისევ მილულავს თვალს.

### სურათი მეორე:

(ომზირი და იოსები ჩარჩოსთან.  
ომზირი დუმს. ცოტა ხნის შემდეგ  
დაუბრუნდება თავის ფიქრის  
საგარენელს).

— იოსებ, ეს თვალი ისე დადე  
მაგიდაზე, რომ მისი გამოსახულება  
ჩარჩოში არ მოხვდეს. აგერ ჩარჩო და  
აგერ მაესტროს თითქოს და იდუმალი

თვალი...

იოსებმაც დადო თვალი მაგიდაზე  
და კითხვის თვალით შეხედა ომზირს:

— ახლა ეს ჩარჩო აიღე და თვალის

წინ თხუთმეტი-ოცი სანტიმეტრის  
დაშორებით აგერ ამ კედელზე მიაყუდე  
და ეს მანძილი მერე არც უნდა  
შემცირდეს და არც გაიზარდოს! ახლა  
დააწვინე ჩარჩო მაგიდაზე, ჩასვი ეს  
თვალი ჩარჩოში! იყოს ასე ცოტა ხანს...  
ამოიღე ახლა ეს თვალი ჩარჩოდან და  
ხედავ?! დღევანდელი მაესტრო ჩაიხატა  
ჩარჩოში! დღეს ამ სახით ივლის  
მაესტრო დედამიწაზე... ამ სახით  
იცხოვრებს. ეს თამაშიც ხომ მისი

სცენარით უნდა იმართებოდეს... მე  
მინდა... კი არ მინდა, არამედ  
სასურველია, რომ ასე თვალახვეულმა  
იაროს მაესტრომ.

— გასრულდება კი მაესტრო ამ  
ჩარჩოში, თუ...

— გადავუსვამ ჯვარს და თამაშიც  
შეწყდება... აგერ მეორე ჩარჩო! აი,  
ჩარჩო! „იყსო... დიდი ნათება და...“ —  
თვალები გაუბრწყინდება ომზირს.

— ჰოო... — იოსები  
დაუმშვიდობებლად გადის.

ომზირი ამჭერადაც მთლიანად  
მიენდობა თავის ფიქრის საგარეულს და  
ჩაიკარგება შიგ.

### სურათი გასახა:

(პურის მაღაზია, ხალხი პურს  
ელოდება, მაგრამ არც პური ჩანს და —  
აღარც პურის მანქანა. მაღაზიის გამგე  
ხელცარიელი ბრუნდება პურის  
ქარხნიდან და აუწყებს თავმოყრილ  
ხალხს, რომ პური დღესაც არ იქნება).

— იოსებს გთხოვთ, ხალხნო, იქნებ  
იმან მაინც მოგვიხერხოს რამე, —  
მაღაზიის გამგე ხალხის გასაგონად  
იტყვის და თეთრ ხალათს მოისხამს  
მხრებზე.

— ჰო, იოსები თუ გვიშველის, —  
ახლა შავოსანმა ქალმა თქვა  
ნაღვლიანად, სამაჩაბლოში რომ  
მოუკლეს ერთადერთი შვილი.

— მართლაც და... იოსებია ჩვენი  
უკანასკნელი იმედი, — სხვათა და სხვათა  
გასაგონად თქვა მეორე შავოსანმა  
ქალმაც და ხალხის ხმაც შეუერთდა ამ  
ხმას:

— იოსებმა გვიშველოს უნდა!

— მაგრამ სად არის იოსები?

— სად იქნება და... სახლში... —  
უპასუხებს ხალხს მაღაზიის გამგე: —  
ჰე, შენ ბიჭი! ხომ იცი, სად ცხოვრობს  
იოსებ ნიუარაძე? რუსის ჯარში რომ  
მსახურობს, იმაზე გეუბნები...

ახლავეო, წამოიძახა ბიჭმაც და  
იდგილს მოწყდა.

(ამ დროს გვარდიელებიც  
გამოჩნდებიან. ერთი გვარდიელი,  
ულვაშები ძევლი ოფიცერივით რომ  
აეგრიხა მაღლა, გერმანულ ნაგაზს  
ძლიერ ამაგრებდა).

— აბა, ჩუმაც! ბაბუ ყველაფერს  
ხედავს... იხელთეს დრო მისმა მტრებმა  
და... მართლა არ ძინავს მართვიცას!  
ბაბუ რომ არაა ქალაქში, იმიტომაც  
აირია ნამთარში მონასტერი! ჩამოვა  
ბაბუ და ამ ქალსაც მოულებს ბოლო!

— სინათლე — არა! პური — არა! —  
გაპკივის შავოსანი ქალი.

— ხმა, კრინტი! ენა ჩაიგდე  
მუცელში, თორებ ძირში ამოგაძრობ ამ  
ენას! ამას არ ჯობია მუცელში ჩაიგდო  
ეს ენა და... როცა იქნება, ხომ ამოიღებ! —  
ურჩევს ხანში შესული ქალი  
ახალგაზრდა შავოსანს.

— საშიშროება რომ აღარ იქნება,  
ენა არც მინდა მაშინ! სწორედ ახლა  
მჭირდება ენა! — ამბობს ახალგაზრდა  
შავოსანი, — გვიჭირს, ხალხნო! დღეს  
ყველას გვიჭირს საქართველოში.

უამიანობაა, ხალხნო, უამიანობა... შავი ჭირი და დიდი უბედურება!

წინ ხნიერი კაცი წამოდგა და ქადაგად იქცა. უჭირს ქვეყანას, ჭირიანობაა საქართველოში... ნამთარშიც ჩამოწვა უამიანობა... მარტო ხელისუფლებამაც რა ჰქნას?! ღმერთი თუ გაგვიწყრა და ეგაა! მხარი თუ არ მივეცით ხელისუფლებას, მთავრობას, იმათაც რა ჰქნა?!

— სული შიმშილით ამოგვხდეს სადაცაა... მაინც როდემდე ვითმინოთ, ხალხნო?

— მოვითმინოთ უნდა... თუ გინდა ნუ მოითმენ!

— შენ რაო, შემოგზავნილი ხომ არ ხარ? მაინც როდემდე უნდა ვითმინოთ? ცხვარია ხალხი, მაგრამ გაახელებ და... ცხარია! პო, ცხვარია ისე... — თავისითვის, მაგრამ მაინც ისე ჩაილაპარაკა მელოტმა კაცა, რომ გვარდიელებს არ გაეგონათ.

— პური და სინათლე... სინათლე და პური... გვაკლია ერთიც და მეორეც. აღარც — შაქარი! ვეღარ შემოაქვთ რუსეთიდან და... თავი არ დაიფასა თურქულმა შაქარმა?! უძაღლო ქვეყანაში კატებს აყეფებდნენ, ხომ გაგიგონიათ?

— და მარტო შაქარმა დაიფასა გვინიათ თავი?! იქით, თურქეთში ჩალის ფასად მიაქვთ აქედან და ყველაფერი ეს ჩვენვე გვიბრუნდება უკან და გვიბრუნდება მამასისხლად! გისაუუფი ხალხი ვართ ქართველები! ილიას ლექსი ხომ გახსოვთ „ბედნიერი ერი“. მაინც როგორ თქვა, ასე ზუსტად როგორ დაგვახასიათა მაინც?! დღესაც ის ილიასეული იარლიყი გვიდიდა ყელსაბამივით და... წაგვლევა თურქეთმა! სინათლესაც რომ თურქეთი გვაძლევება?! იქნებ ჩვენი მზე ჩრდილოეთში კი არა და... თურქეთში ამოდის!?

— ბაბუ რომ არ გვაცდეს... ერთი სულელი იმასაც ამბობდა, საეჭვო ქართული ორიენტაციისა იყოს

თითქოს... აი, სულელი!

— მხედრიონი და გვარდიელები რომ არ შემოუშვა, ამიტომია პროთურქული ორიენტაციის?! სადაც კი ის კაცისმკვლელები და მარადიორები შეუშეს, ხომ იცით, რა დღეც ყარეს იქაურობას?! სამეგრელოს მაგალითი აღარია საკმარისი?! მართლაც რომ! დიდი ეგზეკცია ჩაატარეს სამეგრელოში... მათი წყალობითაა აღმართ, რომ დაიკარგა ჯერ სამაჩაბლო და მერე — აფხაზეთიც!

— არც სამაჩაბლოა დაკარგული და არც — აფხაზეთი... — ამბობს ვიღაც ხმაჩაბლებილი.

— არძინბამ თავისი მისია ზედმიწევნით შეასრულა. აწი ჩვენ აფხაზეთში ვართ შემსვლელები?! სარკეში თუ არ ჩაიხედეთ, ისე ვერც დაინახავთ საკუთარ ყურებსო... ასეა აფხაზეთიც!

— დიდი პოლიტიკოსია შევარდნაძე... საიდუმლო მოლაპარაკება პქნია თურმე ელცინთან... შევალთ, შევალთ, რაღა თქმა უნდა, ესენგეში, ყურებიანად! — ეს იმ შავოსნმა ქალმა თქვა, ერთადერთი შეილი რომ მოუკლეს სამაჩაბლოში, — ჯერ შევალთ ესენგეში... შეიძლება ამის მერე დაგვიბრუნონ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი... ოსეთი და არა სამაჩაბლო!

— დიდი მხედართმთავარიც ყოფილი!

— პო, რაფერ უხვევენ ამ ჩვენს ხალხს ისედაც ბეც თვალებს?! შევარდნაძე და მხედართმთავარი?! არც ერთი ბრძოლა არ მოუგია ამ მხედართმთავარს და ლამისაა გენერალისიმუსობა მიანჭიონ... საერთო საქმე მთლად ჩაუფლავდა საქართველოში...

— სამაგიეროდ პირადი... კერძო საქმე, ყველა მოიგო პირშიმინდად!

— პოდა, გავიძახით დიდი პოლიტიკოსიო... ეს ხალხი გადამრევს! —

ამოიკვნესა ერთმა ძალზე ლამაზმა ქალმა და პურის რიგიდან გამოვიდა, — არ მინდა მე ასეთი პური! როგორ ვერ ხვდებით, რომ შეურაცხმყოფელია ეს რიგები ადამიანისთვის და რატომ ვერ შეგვიგნია?!

— ჩამოვა ბაბუ და ნახავთ, სინათლის საქმესაც მოაბამს თავს და პურის საქმესაც ჩვენდა სასარგებლოდ გადაწყვეტს. ბაბუს ყველაფერი შეუძლია!

— ბაბუ მომავლის არჩევნებშიც მიიღებს მონაწილეობას და თავის კანდიდატურასაც წამოაყენებს პრეზიდენტის პოსტზე...

— არა, არ იზამს ამას ჩვენი ბაბუ...

რაო, პრემიერ-მინისტრობას არ პირდებოდნენ და... უარი არ თქვა?! ესეც გემასსოვრებათ!

— პრეზიდენტი გახდება ბაბუ... სრულიად საქართველოს პრეზიდენტი... ის და მხოლოდ ის თუ შემოიერთებს დაკარგულ აფხაზეთსა და სამაჩაბლოს... რაო, არაა თუ პრეზიდენტობის ღირსი? დღეს ბაბუ თუ დაალაგებს, დააწყობს აშლილ-დაწეწილ საქართველოს. ბაბუ შემძლეა ყოვლის! კვერთხი აკლია და მოიპოვებს კიდეც! ხალხიც მხარს დაუჭერს... ი, ნახავთ!

(ხალხი: მაინც არ მოიშლის თავისას, ბრბოდ ქცეულა და გაუთაცებლად აყაყანებულა...)

## სერათი მერთე

ომშირი და ორი ჩარჩო...

„დღეს კრავაიც გადარჩა!

მგონი უმართლებს მაესტროს... ამ ჩარჩოში, აწყვო რომ წავართვით მაესტროს იღუმალ თვალს, თვითონ მაესტროს ჩავხატავ, ისეთ მაესტროს, სინამდვილეში რომ არის. და როცა თვალი ახამხაძეს, მაშინ ვცდებოდე იქნება და ხელახლა ვიწყებდე მაესტროს ხატვას. აქ არის ჩემი შეთვალყურე მაესტროს აზრით... მე უნდა მითვალთვალებდეს და ინფორმაციას გადასცემდეს“, — გაითვიქრებს ომშირი და ფიქრის სავარძლიანად მაესტროს ჩარჩოსკენ შეგბრუნდება: — ამ ჩარჩოში ჩაიხატება მაესტრო და კაენ ადამა-ძესავით ამოიწვება საკუთარ სხეულში. მაესტრო — განუმეორებელი ფენომენი, მაგრამ მაინც დაემხობა იგი ამ საუკუნის მიწურულს.

იცის კი ყოველივე ეს თვითონ მაესტრომ?

იცის, როგორ არ ეცოდინება, მაგრამ არ უნდა ამის დაჭრება!

„ვერც მე შევუფასებივარ და ვერც — ისებს ნიუარაძე, — ცერსა და საჩვენებელ

თითს მკერდზე მიიღებს ომზირი, — იქით, მთავარ ჩარჩოში კი... ეს ჩარჩო მართლა უჩვეულო ჩარჩოა, ჯადოსნური... სივრცისეული ჩარჩო... ამ ჩარჩოში ჩატეულა და ვერც ჩატეულა უსასრულობა... მაგრამ ვისთვის გამიმზადებია მე ეს ჯოდო — ჩარჩო? — იკითხავს ომზირი და ტილოც გაუცოცხლდება თვალდახელშეა, — ნეტა ასე რას აუღელვებია რომაელი ლეგიონერები... ო, როგორ ცხელა!“ — დედამიწას ორთქლის ოშიგარი ასლის და მზეც დნებოდესო თითქოს... იღვრება ცეცხლოვან ლავად. მზეც გადაღლილი და გაოფლიანებული შეიკრავს შებლს, შედგება სულის მოსათქმელად და გავარგარებული პირი-სახიდან ოფლის წვეთებსაც ჩამოიფოცხავს.

ლეგიონერების წინ საოცრად მაღალი კაცი მძიმე ჯვარს მიათრევს. თვალს გაუსწორებს მზეს და შეცბება, მზერას მოარიდებს გაღამდნარ მზეს და მერე აღარც აიხედავს მაღლა.

ჩურჩულებს. კაცი თავისთვის, მაგრამ არავის ესმის მისი. წითორჩილა

და რომ არ წაქცეულიყო, ლეგიონერმა შეაშეღლა ხელი. მერე ასე იმართლა თავი იმ ლეგიონერმა, მეფე მეყოლებოდა წამოსაყენებელი და მისი წაქცევა ამიტომაც არ ვინდომეო.

— მაინც როგორ დამძიმდა ეს ჯვარი?! — თვალები ამოღამებია ამსი-მოლე კაცს.

— იმან გოლგოთამდე როგორდა მიაღწიოს? — იყითხა ყველაზე ბრგე ლეგიონერმა და ოფლი შეიტმინდა სახეზე.

— ჰე, ეგერ კაციც! — წამოიყენა მეორე ლეგიონერმა, — ჯანმრთელიცაა და ტანძრთელიც! ყანიდან უნდა მოდიოდეს. იქნება წერაა ამ კაცის, რომ მეფისეული ჯვარი, იუდეის ხელმწიფის ჯვარი ატაროს... მიიტანოს გოლგო-თამდე და იქნებ ცოცხალი მიგვყენ გოლგოთამდე კაცი ნაზარეთიდან!

— ევ აზრი მეც მომწონს! — ამოთქა ყველაზე ბრგე ლეგიონერმა და უქან მიმავალ ლეგიონერს უბრძანა, მოყვანათ მასთან ის მიწის მუშა, — ეს ყვალყუდა ნაზარეის ჯრისმზიდველია დღეიდან, იცოდეს ყველამ!

არც მიწის მუშა გაძალიანდება. მხოლოდ ეს კია, თვალებში ჩახედავს იგი იეჲას.

— შენ სვიმონ კვირინელი უნდა იყო... ჰო, კვირინელი სვიმონ!.. მსმენია შენზე... — ჩაილაპარაკებს იეჲა და საოცარი სითბო გადმოიღვრება მისი საოცრად ლურჯი თვალებიდან... ლურჯი და საოცრად თბილი ნაკადი.

— უფალო ჩევნო, მომეც იმის უფლება, რომ გოლგოთამდე ვზიდო მე შენი ჯვარი... — ხმა აუკუნალდება კვირინელ სვიმონს.

— ჰო, შენ უნდა იტვირთო ჩემი ჯვარ-ტვირთი, ადამიანმა... მიწის მუშამ... — ამოიხენეშა იეჲამ და დაუთმო კვირინელს თავისი ჯვარი.

მერე აღარც ლეგიონერებს

დაუცინიათ იეჲასთვის, შენიშვილისთვის მიპყვებოდა ჯვარიკიდებულ სვიმონს და უკვდებოდა გული იეჲას, რომ აღარ უყვარდა მოყვასი მოყვასს.

გზა გოლგოთისკენ მისთვის ძნელზე ძნელი სავალია... აუტანელი...

### ომზირი მეორე ჩარჩოსთან:

(ტილოზე ჯერ უსაშველოდ მაღალი კაცის კონტურები შემოიხაზება).

— აქ ჩემს ჩარჩოში შენ რა გინდა, როგორ აღმოჩნდი?

— შენც ასე გსურდა... — შელში გასწორდა მაესტრო, — ეგ თვალი შემავლე მხოლოდ და... — შეირხა ჩარჩოში და ათამაშდნენ წყვეტილები და წერტილები: — ვერ დამიმორჩილებ, ომზირ და... დროსაც ნუ კარგავ შენ ტყუილ-უბრალოდ. მე მილიონი ინდივიდი ვარ და კიდევ ათასჯერ... ათასჯერ და მილიონჯერ მეტი, ვიდრე შენ შეგიძლია წარმოიდგინო. მე იმდენი ინდივიდი შემიძლია ვიყო, რამდენი სულიც მომისყიდო დღემდე და აწი უნდა მომისყიდო კიდევ... და შენ გგონია, რომ გაიმარჯვებ?

— ჰო, ასე ვფიქრობ!

— და მე — მაესტრო დავპატარავდები, დავჩიავდები?

— ხომ გამოეწვა კაენ ადამაძეს სული სხეულში?!

— დიდი ზიანი მომაყენე, გამოგიტყდები, მაგრამ კაენი მაინც ჩემი სურვილით...

— მაგრამ მე გაიძულები?

— როგორ გითხრა და... საყითხავია ესეც... — თავი გადააქნია მაესტრომ, — სამაგიეროდ მე შენი იოსები მყავს ხელში! შენ კი მარტო ხარ, ომზირ! მაგრამ გამოგიტყდები და... მე კაენბიას აწი ვერავინ გამიწევს, ვერავინ! ახალი სული მეტიდება მე, ომზირ და მისი კაენად გამოძერწვა... შენ შეიძლება იოსებზე მკითხო... შეიძლება იოსები

კაენზე აღმატებული სულის მატარებელიც იყოს, მაგრამ კაენი მაინც ვერ იქნება! მე კაენს, შენ რომ გაჩნდი, მას შემდეგ ვძერწავდი... იოსები კი გამოძერწილია უკვე... ვმედოვნებ, რომ კაენისთანა სულს მაინც მივაგნებ სადღაც! მაგრამ დროის საქმეა ეს! დროის ფაქტორი, ომზირ. მაგრამ შენ, ვიცი აქაც მკითხავ, რა ხელი აქვს დროს მარადისობასთანო, აწმყო გაქვს მხედველობაში და მართლაც, სად არის აწმყო? რა არის აწმყო? არ არის აწმყო... არ არის! ჰო... ნუღარ იფიქრებ აწი

წარმატებაზე! და თუკი მაინც თამაშობს იოსები და მღალატობს, იცოდე, მოკვდება იგი საშინელი სიკვდილით! კაენს არ უღალატია ჩემთვის და მაინც გავიძეტე... თუმცა მთლიანად არა... მისი სხეული აღარ დავწევი... წამებით მოკვდება იოსები... მონაგონი იქნება ჯვარმა! მოკვდება შენი ენტიდუ. იოსებს დავიძლაბლებ... დავიძიშებ!

„ამასაც ვნახავთ, ვნახავთ, მაესტრო!“ — გაითვიქრა ომზირმა, მაგრამ ისე, რომ მაესტროსთვისაც გაცნობიერებულიყო ეს ფიქრი.

### სურათი გახსოვთ

(პურის მაღაზიასთან ბრძოლებეული ხალხი იყაყინებულიყო).

— დიდი კაცია ბაბუ! — იტყვის ერთი.

— მაგრამ ისლამისკენ რომ გადაიხარა... მინარეთი მიაშენა ჯამები! — უკამაყოფილობა ბაბუთი მეორე.

— გამოიფხეკეთ, ხალხნ, ყურები! ხომ გადასცა ნამთარელ სომხებს მათი ყოფილი ეკლესია?! პლანეტარიუმშე გეუბნებით! ებრაელებს სინაგოგა დაუბრუნა, ღვთისმშობლის ეკლესიაც ჩაიყენა ხალხის სამსახურში. სხალთის ეკლესის აღდენაც არ დაგავიწყდეთ! ახალშენის ეკლესიასაც შეგახსენებთ! ამბობენ, მალე ქობულეოთელებსაც ექნებათ

თავიანთი

მართლმადიდებლური ეკლესიაო... ერთი: გასაქანი მიეკით ბაბუს და... ნახეთ, როგორ აგვიძლოს ყველა და ამაღლდეს თვითონაც! მეორეც: ოპერა რად გვიღირს ნამთარელებს! მართლაც და: დიდი პოლიტიკოსია ჩვენი ბაბუ!

— დიდი კოსმოპოლიტიც!

— არჩევნები ახლოვდება და... ეს არჩევნები რომ არა, ხელსაც არ გაანგრძელდება ეგვიპტის მართვის მიერადა ეგ თქვენი ბაბუ.

— რაო? შენი არაა ბაბუ და მარტო ჩვენია?

— მე ძეგლსაც კი დავუდგამდი, ჩემს სულში ბაბუს! ისლამსაც რომ რომ არ სცემდეს პატივს, დავაფასებდი მაინც...

— ეს უკვე შენი სულის სიპატარავეზე მეტყველებს, — ორაზროვნად გაიღიმა მელოტმა კაცმა, ხელში კებიან ქუდს რომ აწვალებდა.

— არჩევნები ახლოვდება და... გაზი არიგებს უფასოდ! გასაგებია ყველაფერი, მაგრამ ცუდი როდია, უფასოდ რომ არიგებს გაზის!

— რაო?! ის არჩევნები, კარს რომ მოგვდგომია, მარტო ბაბუსი ხომ არ გვიანიათ?! ყველას, ყველას გვიანლოვდება ის არჩევნები! მაგრამ რას ვაკეთებთ ჩვენ ჩვენი ამომრჩევლებისთვის? არაფერსაც არ ვაკეთებთ! ვდგავართ პურის რიგში და ვლაპბობთ... სალაყბოა აქ ჩვენი! ბაბუ კი მოქმედების კაცია, ამბობენ პასიური იდამიანები არ უყვარსო...

— შენ რაო, მმაო, ბაბუს დაცვიდან ხომ არ ხარ? მე რომ ბაბუს ვიცნობ, გეტყვი პირდაპირ: რად უნდა ბაბუს შენი დაცა?! თუ ხალხზე ფიქრობს და თუკი მართლა დიდი კაციცაა ამ დროს, პურის რიგებიც არ უნდა ჰქონდეს ნამთარები... ეს ქალაქში... ყველაზე შესაჩჩევი აქაა, ქალაქში, თორემ... რაიონებში არცა აქვთ პური! და საერთოდ: რიგი

დამამცირებელია კაცისთვის!

— თურქეთშიათ, ხომ გითხრეს?! თუ სინათლის საქმე მოაგვარა, მაშინ მეც მის მხარეზე გადოვალ და არჩევნებზე ბაბუს აფშევ ხელს... ორივე ხელს, ორივეს! ისე, მართალი გითხრა და ბოლო ხანებში მეც მომწონს ბაბუს პოლიტიკა!

(ამასობაში ის ბიჭიც გამოჩნდა, იოსების მოსაძნად რომ გაუშვეს ამ ნახევარი საათის წინ).

— გამოჩნდა! ის ბიჭია! — წამოიძახა ვიღაცამ.

მოვალ, მოვალო, — სულს ძლივს ითქვამდა ბიჭი.

იოსებიც მალე გამოჩნდა. ხელში ხელყუმბარას მოათამაშებდა.

— მე ერთი სატკიროთ მანქანა შეირდება! — განუცხადა იოსებმა პურის რიგს.

— მანქანა? აგერ არ არის ჩვენი მანქანა?! — თქვა ერთმა და რიგიდან გამოვიდა.

— აგერ მიწერილობაც პურის ქარხნის ხელმძღვანელობას. ხუთასი პური გვეკუთვნის წესით. ორმოცდაათს იქ დაიტოვებენ, ათსაც შესასვლელში დაუტოვებ და ოთხას ორმოც პურს ჩამაბარებ, იოსებ! — ეუბნება მაღაზიის გამგე, — მერე ჩემზე იყოს!

— ბიძაჩემო, ეს მანქანა მამაჩემისაა, კი შენი ძმა ილიასა დუმბაძე, მაგრამ მამაჩემია ამ დროს. შენ კი არა, მე გავყვები იოსებ ბიძიას! — ხმას აუშია ბიჭი და იმასაც დაუთმეს. ბიჭის ბიძამაც გადააყენა მანქანა და გასაღები ძმის შეილს გადააწოდა.

— კარგი ბიჭი ჩანხარ... მომყევა! —

გიხარებული წამოიძახებს იოსების ნახევარი საქმე ჩათვალეთ, რომ გაკეთებულია!

— მიდი, თენგო, — თვალები აუშელიანდა ბიჭის ბიძას და იოსებს მიმართა: — იქნებ მე გამოგყოლოდი... არ იცის ჩემმა ძმამ, რომ მისი თენგო მოგყვებათ და... შენთვის მომინდვია ჩემი ძმის შეილი. ამას მიმიხედვე და... თუნდაც წყალს წაულია ეს მანქანა!

— ნახავთ, პური თუ არ მოვიტანეთ! — წელში გასწორდა ბიჭი და გულლიად გაიცინა.

— ფრთხილად, იოსებ, ამ ხელყუმბარას რომ ვუყურებ, ასე მგონია, უნდა აფეთქდეს აუცილებლადო, — ჩაილაპარაკებს ბიჭის ბიძა, — გული მეუბნება, რომ... მაღაზიაში დაგეტოვებინა იქნებ...

— არა, ხელყუმბარა გარანტიაა იმის, რომ პურს აუცილებლად გამოვიტანთ ქარხნიდან!

— აბა, რა ვიცი... მხრები აიჩენა ბიჭის ბიძამ, — გურულების არ იყოს, კაცი ელანძეა და...

ბიჭი საჭეს მიუქდება. იოსებიც მის გვერდით დაიჭერს იდგილს და ხელყუმბარას ჯიბეში ჩაიცურებს: „ამის რიდი იქვს ყველას, — ჩაილაპარაკებს თავისითვის და თითებს შეავლებს ხელყუმბარას. უსიამო ფიქრიც აქ წამოეჭრება და ურუოლა აიტანს, — მაგრამ უამისოდაც რომ არ შეიძლება პურის გამოტანა!“

მანქანაც მოშედება ადგილს და პურის რიგიც აყაყანდება ძველებურად, სალაყბოდ იქცევა.

### სურათი მავასა:

(მაესტროს მონოლოგი)

„მაჯობა იოსებმა! მაგრამ ღალატია კი ეს იოსების მხრიდან? ხომ ვიცოდი და ახლაც ხომ ვიცი, რომ იგი ომზირის, იგივე გილგამეშის ენქიდუა! სწორედ

იოსებმა დაამარცხა ჩემი კაენი და... მარცხისოთვისაც ამიტომ გავშირე ჩემი კაენი! სისუსტისთვის, უსუსურობისთვის... იოსებმა მომაკვლევინა კაენი

და საყრდენიც გამომაცალა ფეხქვეშ! ის ჩემი იღუმალი თვალიც არაფრის-მთქმელია კი ხანია, აწყვიდაკარგული... გარდასხვაშიც აჭობა კაენს იოსებმა! ვერა, ვერ შევაფასე მე იოსებ ნიუარაძე... ვერ დავინახე იოსებში ის აბორგებული დიადი სული! ომზირის მარად ერთგული დარჩა! სამსხვერპლოზეც კი მიიტანა თავი! ოღონდაც გაიმარჯვოს იმზირმა და... საიდან, საიდან ამნაირი ძალლური ერთგულება?!

ომზირ თავდგირიძე... იგი გილგამეშს მაგონებს როგორდაც! იოსები კი ტიპიური ენჯიდუა! ოღონდ: წინწაწეული და ამაღლებული. ხელდასხმულებია ერთიც და მეორეც და... განდობილები. იცის იოსებმა, რომ სამაგალითოდ დაისჯება და მსაჭულიც მე ვიქნები მისი, მაგრამ... თავი სამსხვერპლოზე რად მიიტანა ნეტა?! რაისთვის, რატომ? ისიც ხომ მზადაა საკუთარი ჯვარი მიიტანოს იქ, გოლგოთაზე! ვინ არის ომზირ თავდგირიძე, რომ... და მერე, ვინ არის თვითონ იოსები? დიდი ევოლუციის გზაზე რის მაქნისია? ჰო, ომზირი... ომზირ თავდგირიძე! და რა შეუძლია იოსებ ნიუარაძეს? თუმცა... მართლა ძლივს არ გამინათდა გონება?! აქეთა ჩარჩოში მე მიპირებენ გამომწყდევას... ოჲ, ეს იღუმალი თვალი ჩემი... ასეთი მარცხი თავს როგორდა ვაპატიო?! ის მეორე ჩარჩო ამოიგება და ვერც ამოიგება დიადი სულით... მარად უსასრულო სივრცეში მარად

უსასრულო სული... ხატი დიადი... სიკეთის ხატი! ომზირი — შემოქმედი და... იეშუას მოუვლენია იგი ჩემთან შესარკინებლად, აქ სააქაოს... შეხედავს კაცი ამ სიკეთის ხატს და სულიც სიკეთით ამოეცება... ძლეულ ვაქნები მაშინ მე — მაესტრო... შავი სილუეტი! მაინც რას ფიქრობს და რას ცდილობს ომზირ თავდგირიძე? მომათავსოს ჩარჩოში და ხელფეხზე ბორკილებიც დამადოს?! მაგრამ რატომ არ იცის ომზირმა, რომ ვერც ერთი ჩარჩო, თუნდაც სრულქმნილი კაცისა ხელით, მე ვერ მომაშთობს... ვერ დამიმორჩილებს, მე რკინის გალიაც ვერ გამიძლებს... ჩავისუნთქავ ერთხელ, ამოვისუნთქავ და... უფრო ღრმად ჩავისუნთქავ მეორედ, გავიშლები მერე და... დაიმისხვრევა ყველანირი ჩარჩო! მაგრამ იოსებს მივხედო ჯერ! ომზირი უიოსებოდ მარჯვენა ჩამოსხეპილ, უბრალო მოკვდავს დაემსგავსება! მაშ, მოკვდეს იოსები! ჩაუშვადეს ომზირსაც ფეხქვეშ ეს ხიდა!

ჩარჩოდან კი, როცა მომეგუნებება, მაშინ ამოვთავისუფლდები და ამოვსუფლთავდები! იწყება ახალი ოპერაცია „იოსები“.

აქ მილიციაც უნდა ჩავრთო საქმეში... კორუმპირებული მილიცია, სულგაყიდული მილიცია... ჰოო... იმ დიდ სცენარში სულ ახალი თავი უნდა შევიტანო. ასე რომ, აქ მილიციამ უნდა თქვას თავისი ბინძური, მხოლოდ მისოვის დამახასიათებელი სიტყვა!

## სურათი ვაჟაიძე

(პურის ქარხანა... რიგში ჩიმდგარი მანქანები. ხალხი ღრიალებს, მუშტებს უბრახუნებენ მოძრავ კარიბჭეს. შიგ, ქარხნის ტერიტორიაზე, რამდენიმე მანქანა იტვირთება პურით.

დაძრწიან პურის შემსყიდველ-გადამყიდველები, ნემსის ყუნწში

ძვრებიან და მაინც ახერხებენ ქარხანაში შესვლასა თუ იქიდან გამოსვლას.

აქ „ამბობენ“ ოხრად კეთდება ოფული... ოღონდაც გაუწყდეს კაცს სინდისის მარლვი შუბლზე და მორჩა:— განდობილია იგი ფულის შოვნაში!

— თენგული, შენ აქ დამელოდე... —  
 იოსებმა ხელი მხარზე დაჰკრა ბიჭეს, —  
 მე ქარხანაში შევალ, გავაღებინებ  
 ჭიშკარს და რომ განიშნებ, ეს შენი  
 სუდაბეკერიც მოაყენე ჭიშკართან,  
 ჯრივ?

არისო, მოკლედ მოჭრა ბიჭმა და  
 სხარულისგან სახე გაებადრა. მაგრამ  
 ურიგოდაც ვინ შეუშვა იოსები  
 ქარხანაში და ვინ დაანება პურის  
 გამოტანა?! — ხალხი წინ გადაუდგა და  
 იოსებიც ჩაშში მოექცა: მაშინ იყო, თავს  
 რომ შეუძახა, მიდი, ნუ გეშინიაო,  
 ჯიბიდან ხელყუმბარა მოაცურა, მაღლა  
 შეისროლა და დაწექითო, დაიძახა.

და გაწვა მიწვზე ხალხი.

— ერთი, ორი, სამი... — ითვლის  
 იოსები, — ხელყუმბარა ჰაერში  
 დაიჭირა, — აბა, გზა! პური ჩემთვის კი  
 არა, თქვენისთანებისთვის მიმაქვე! აგრე  
 მოწერილობაც პურის მაღაზიდან! იქ  
 ხუთი დღეა, რაც არ მიუღიათ პური,  
 ხუთი დღეა ელოდებიან ამ პურს. ხალხი  
 შეიშილობს. ჩემთვის რომ მინდოდეს ეს  
 პური, სხვა ამბავია. როცა ხალხი  
 მთხოვს... უნდა შევუსრულო ეს თხოვნა  
 ხალხს. მე ამ ხალხის ნების  
 აღმსრულებელი ვარ! და ხედავთ, რა  
 შეუძლია იარაღს?! — ჩაიცინებს იოსები  
 და გვარდიელს მიეჭრება. — კარი გააღე-  
 მეთქი, თორემ... თორემ იგაფეთქე! —  
 ხელყუმბარას ცხვირწინ დაუტრიალებს  
 იმ გვარდიელს, — აბა, მითხარი, რის  
 სუნი აძლის!?

— მე კი შეგიშვებ, მაგრამ იქ  
 მილიციონერიცაა და... — მუხლები  
 აუკანკალდება გვარდიელს.

— მოვული იმასაც... მერე და პური  
 ჩემთვის კი არა, ხალხისთვის მინდა...  
 ხალხის სახელით მოვსულვარ მე —  
 იოსებ ნიუარიძე!

— კარგი, გაიარე, მაგრამ შეინახე  
 ეს ხელყუმბარა, ცხვირწინ ნუ  
 მიტრიალებ, თუ კაცი ხარ! —  
 გვარდიელმა ღილაქს დაიჭირა თითი და

ჭიშკარიც გაიღო.

ბიჭიც აამუშავებს თავის  
 „სუდაბეკერს“ და პურისგამცემ  
 სარქმელთან მიაყენებს.

— შენ, ჰეი, რომელი ხარ?! სდექ! —  
 ორივე ხელი მხრებზე მოხვია მილიციის  
 ლეიტენატმა იოსებს, — აბა!

— მე, იოსებ ნიუარაძემ უკან  
 დავიხიო და უპუროდ დავტოვო ხალხი?!  
 არა, ასე არ იქნება! ჭერ პური მივუტანო  
 ხალხს და მერე ჩაგბარდები... უკან  
 დახვეის უფლება არ მაქვს! ამიტომაც:  
 უნდა გამიშვა! კაცი არ ხარ?! ცოდვა არ  
 ჩამადენინო, გეხვეწები... სიტყვა მივცი  
 იმ ხალხს და... ნუ გამატეხინებ სიტყვას!

— მხრებში გაიშალა იოსები და  
 მილიციის ლეიტენატიც მოიწყვიტა  
 თავიდან.

— კანონს არღვევ, ამხანაგო! —  
 იოსებისკენ გამოექანა მილიციის  
 ლეიტენატი.

— კანონი აწი დაირღვევა... შენ თუ  
 დამარღვევინებ... — კბილებში გამოსცრა  
 იოსებმა.

— ჩამბარდი, თორემ გესვრი! —  
 რევოლვერი ამოიღო მილიციის  
 ლეიტენატმა.

— მე კი გაფრთხილებ: არ  
 მომიახლოვდე, თორემ... — იოსებმა  
 დამცველი რგოლი მოწყვიტა  
 ხელყუმბარას და წკიბზე შეუენდული  
 ხელყუმბარა შარვლის გიბეში ჩაიცურა,  
 — ხელი არ მახლო, თორემ... გავშალე  
 ხელი და...

— რას შვები, ამხანაგო?! —  
 გაფითრდა მილიციის ლეიტენატი.

— მომიახლოვდები და ორივე  
 ვფეხუქდებით! ხალხისთვის მიმაქვე  
 პური და ამიტომაც ვერ შემაჩერებ! მე  
 ვერავინ შემაჩერებს!

მაშინ იყო, რომ თვალები აუკაითდა  
 მილიციის ლეიტენატს. არც აცარა, არც  
 აცხელა და მივარდა იოსებს. იოსები,  
 მისი ღრმა რწმენით, კანონს არღვევდა  
 და რომ არ დარღვეულიყო ეს კანონი,

უნდა ელონა რამე: იგი ვალდებული იყო, ძირშივე აღეკვეთა დარღვევის მიზეზიცა და საბაბიც და ხელიც ამიტომ ჩაუყო იოსებს ჭიბეში. ხელში მოიქცია დამნაშავის მომუშტული ხელი და ამოისუნთქა შეებით:

— რას შეები, ხომ არ გაგიჟდი?! გამიშვი ხელი, თორემ ავფეთქდით ორივე... გამიშვი ხელი და გაძლევ სიტყვას: მივუტან ამ პურს იმ ადამიანებს და ჩაგბარდები, დედახემისა და მამახემის საფლავებს ვფიცავ, რომ ჩაგბარდები! მხოლოდ შენ ჩაგბარდები... აგერ საბუთები, რომ... უკანონოდ და უსაბუთოდ არ მიმაქვს პური... კანონი არ დამირღვევია და...

— სწორია, სწორია ეს კაცი, თოვარიშ ლეიтенენ! წესრიგში აქვს საბუთები და გაუშვით! — ექსპედიტორის მთრთოლვარე ხმაც მოწვდა მილიციელის ყურს, მაგრამ ბედისწერაც ხომ არის და... ვერავინ შეცვლის ამ ბედისწერას!

მილიციელი დაიძაბა. და ხელყუმბარა წაართვა იოსებს, ხელყუმბარიანი ხელი ამოიღო იოსების ჭიბიდან, მაგრამ ძირს დაუვარდა ხელყუმბარა და...

ერთიც გაფითორდა და შეორეც.

„ერთი, ორი... ვფეთქდებით...“ — ძლივს მოასწრო იოსებმა ამის გაფიქრება და მილიციელსაც გააკანკალა, უნებლიერ ჩაიმუხლა და ხელყუმბარას მთელი სხეულით გადაფიცარო.

ეს იყო და აფეთქების ყრუ ხმაც გაისმა.

— სისხლი... — გული აერია იოსებს.

მერე გვარდიელებიც გამოჩნდნენ, გვარდიელებს მილიციელებიც მოჰვენ.

— ეს ბიჭი არაფერ შუაშია... — ამოგმინ იოსებმა, — თუკი დასჭერია ვინმე, ეს მე ვარ... წაიღოს ეს პური... ხალხი ელოდება ამ პურს... ამბავსაც მიიტანს იქ... — ხელები ძირს დაუშვა

იოსებმა და ცრემლები ჩაუდგა თვალებში: — ეს დასასრულია... მაესტრომ დამამარცხა... — თავი ჩაჰეიდა და ბედს დამორჩილდა, — ომზირ, მაპატიე, კრავაი, კრავი... მე მაესტრომ... გვარდიელები და მილიციონერები მიცვილენ იოსებს და ხელები გაუკავეს.

— მილიციაში! — ბრძანა მილიციის კაპიტანმა, — ეს ბიჭიც!

— ამ ბიჭს თავი დაანებეთ... გაუშვით თავის გზაზე... არც კი მიცნობს... — გაძალიანდა იოსები, მაგრამ რეზინის ხელყოხი გადაუჭირეს მხრებზე და ძალით დაადუმეს.

და ფიქრმა მოიცავა მაშინ იოსები: „ამ ბიჭს არაფერი დაუშვავება და... იქაც პურის მიელიან. პური ენატრება ხალხს... ეკვ, რა ტყუილუბრალოდ შემომაკვდა ეს მილიციელი?! შეილები ეყოლება... ობლებად დაეყრებიან... იქნებ არც მომკვდარა?! — იმედმა გაიბრწყინა იოსების თვალებში.

მილიციელები და გვარდიელები იოსებსა და ბიჭს „черныи ворон“-ში შეაგდებენ და თვითონაც იქვე, მათ გვერდით დაიკავებენ ადგილებს.

„ბიჭი ცოდვაა... მე კი... მაესტრომ მომიღო ბოლო... რაღაც გამომრჩა... რაღაც ვერ გავთვალეთ მე და ომზირმა... — უკვირს იოსებს, რომ ჭერ კიდევ შეუძლია ფიქრი: „ნეტავი ის მილიციელი არ შემომკვდომოდა და... სასწრაფოც რომ არ გამოჩნდა?! იქნებ ცოცხალია და... სანამ სასწრაფო მოვა, ხომ დაიცალა სისხლისაგან?! — ფიქრსაც აქ დაუსვა წერტილი იოსებმა და თვალი გაახილა. უკვე ფიქრიც აღარ უნდოდა, მაგრამ უფიქროდაც რომ არ შეეძლო?!. უნდა ასრულდეს თითქოს რაღაცა... ნეტა ბოლო მოეღებოდეს ყოველივე ამას და... მაგრამ ომზირი?! მიიყენს კი იმ საქმეს ბოლომდე?! მაპატიე, ომზირ... უნებლიერ დამემართათ... შენც მაპატიე, კრავაი, მაპატიე, შენც, ჩემთ ბიჭო... თენგო შენც, ბიჭო...“

## ქარი მასახა

\* \* \*

გზა გოლგოთისკენ...

იქსოს ჯვარს მოუბრია წელში კვირინელი სვიმონ! ძლიერს მილასლასებს. დასისხლიანებია შიშველი ფეხები.

მაგრამ იქსოს რად უჭირს ასე?!

იქსო: არც გათავისუფლებულა იგი ჯვრისაგან: წარმოსახვით ისევ მოათრევს თავის ჯვარს... ამ ჯვარითაა ამოვსებული მისი გვემული სული... ასე არაქათგამოცლილი მიჰყვება იქსო დაჯვარულ სვიმონ კვირინელს.

ხალხი ჭრელია და ფიქრიც ჭრელებულა გოლგოთისკენ მიმავალ გზაზე. ზოგს მართლა ებრალება იქსო, ზოგიც აუგად მოიხსენიებს ხოლმე და ზოგიც სახეში აფურთხებს.

ტირის იქსო. სდის სისხლის ცრემლები და სულიც უტირის.

გაპევირიან, გაპევიან ლეგიონერები. მუშტებსაც გამტებით იქნევენ, დრო და დრო მათრახიც გაიტყლაშუნებს ჰაერში.

ბრბოს მარიამ მაგდალინელი მოუძღვის წინ, სისხლის ცრემლები სდის, სუნთქვა მოხშირებია ღვთისმშობელ მარიამს, ცრემლები ახრჩოს. მუხლომუკვეთილი სულს ძლიერს მითრევს, წაიფორხილებს და მარიამი შეეშველება, მაგდალინელი.

„გაუძელ სვიმონ, გაუძელ კაცო — ადამიანი! გაუძელ და მამაქემის საუფლოში მოგიჩენენ ადგილს. შენც ეზიარები იქ უკვდავებას!“

„გისმენ, გისმენ, დიდო მოძღვარო, (იმის შიშით, რომ ქვაზე არ წამოიკრის ფეხი, უკანაც არ მიიხედავს), შემინდე ცოდვები, ძეო ღვთისავ და ძეო კაცისავ, მოკეთევ შენ კაცთა მოდგმის!“

„შენი იქნება, სვიმონ, ელენ! თქვენ იქორწინებთ მარიამობისთვეს... ძე გეყოლებათ და ლაზარეს დაარქმეთ!“

„თქვენზე ვილოცებ, თქვენზე

ვილოცებ... ვილოცებ შენზე... — თავიც არ მოუბრუნებია იქსოსკენ კვირინელ სვიმონს, ისე კი უკვირს, რომ ყოვლივე ამას კი არ ამბობს, არამედ ფიქრობს და ეს ფიქრი პირდაპირ, თითქმის შეუცვლელად მისდის იქსოს. იქსოც აღარ ეუბნება, რომ მისია ეს ფიქრი, სვიმონს რომ დაუფლებია... ღვთისმშობლის ჩანაფიქრიც გარკვევით ესმის, — მადლობა უფალს, მადლობა უფალს... — ფეხი მაინც წამოიკრა სვიმონმა ქვაზე და ჯვრიანად წაიქცა. წაიქცა სვიმონი და იქსომაც წამოიკვნესა. ესმა ეს კვნესა სვიმონს და აუცრიალდა გული:

— ვაიმე, ჯვარი... — წამოიწია კვირინელი სვიმონ, გასწორდა წელში და ჯვარიც გაისწორა მხრებზე.

„ჩემი ტკივილით ივლის აწი, მისია აწი ჩემი ტკირთიც... ესეც ჯვარცმული... ჯვარცმული სვიმონ“...

„მე მტკივა, მტკივა იეშუას ტკივილი!“

და მაინც: ჩანაირად ატკიებია სული, ტკივა გრძნეული გულიც! — ჩემით, ჩემით უნდა გაიგოს კაცთა მოდგმამ, თუ რა მძმეა იუშუას ჯვარი! შეიტყობს ამას და გააცნობიერებს კიდეც, რომ იეშუაა იდეალი კაცთა, დამცველი ჩვენთა და ოღმსრულებელი სურვილთა ჩვენთა! იგი რომ არა, გადაგვარდებოდა, გადაშენდებოდა კაცი საერთოდ. იმიტომაც იტკირთა ცოდვები კაცთა, ტკირთ-ცოდვა ჩვენი და... გაგვიჭირდებოდა წინსვლა მერმისში... დავცვიდებოდით გზაზე და... იეშუას უნდა უმადლობენენ მომდევნო თაობები, რომ მიწის შვილები გვძვია ჩვენ... რომ დედამიწელები ვართ ჩვენ და ასეც გვერქმევა აწი... აწ და მარადის და უკუნისამდე... სულიც მარადია ჩვენი, მილიონ და მილიარდ სიცოცხლეს

კუზიარებით ჩვენ მომაგალში! მაგრამ არა ამ სხეულით... მე აქ მიწიერ სამოსელში გამოვწყობილვარ და სხვა განზომილებაში გარდასული მხოლოდ და მხოლოდ იმ ახალი განზომილებისათვის დამახასიათებელ სამოსელს მოვირგებ.

— გაიხსენ, გაიხსენ შენ, სვიმონ! მოსულხარ შენ ჭეშმარიტთან, და ამიტომაც დაიმკვიდრებთ სასუფეველს შენცა და შენი მოდგმაც! მეც იქ დაგხვდები, სვიმონ, მამაჩემის საუფლოში...

### პოლართა...

აქ უკვე შექრებილიყო ჭრელი და ასე გაუტანელი სოფელი.

— დადექ, შე მართლა... უტვინო ჭორო! — მათრახი გადაუჭირა ლეგიონერმა სვიმონ კვირინელს.

— მოთმინება, სვიმონ და განიწმინდება სული შენი დღევანდელობისგან. მხოლოდ: მოთმინება! — სულში ებეჭდება ეს

სიტყვები სვიმონ კვირინელს და იცხება იგი ღვთის სიყვარულით და ღვთისნიერი სიკეთით. სიხარული ჩაგუბებია დაცრემლილ თვალებში.

გული მისი: ყველას ეყოფა უკვე; სული მისი: ჩამტევია იგი ყველის!

და სვიმონიც მზადაა: ყველას გაუყოს გული და ქვეყნის ტკივილიც ჩაიტიოს თავის უსაზღვრო სულში.

— სდექ, სდექთ! — გაიზუზუნებს ჰაერში მთრახი და: შედგება კვირინელი სვიმონ, ჯვრის ფრთხილად დაუშვებს მიწაზე, შეუშვებს ხელს და ტკივილად იქცევა, თითქოს ასკლეპიონს თავისი ნაცალი ხელით ამოეჭრასო მისთვის აალებული გული და... მოშვებულიყო სისხლის ყველა სადინარი. იცხება კვირინელი სვიმონ თავისივე სისხლით, ლამის ყელიდან ამოასხას სისხლის ლავამ და... ვაითუ წალეკოს ამ სისხლმა მისი თვალსაწიერი.

აცახაცახებულა კვირინელი სვიმონ! კანკალი ჩადგომია სულში და ესაა, გულს რომ უკლავს ამხელა კაცს...

\* \* \*

(მორქეული ჩარჩო და ომზირი).

ჩაიკარგება მაესტროს იღუმალი თვალი ჩარჩოში და ომზირიც შეცბება. შავი სილუეტიც ამოძრავდება მორქეულ ჩარჩოში და სული აემლვრევა ომზირ თავდგირიძეს.

— ვიცი, არ შემოხვალ შენ ჩემთვის განკუთვნილ ჩარჩოში, — იტყვის მაესტრო.

— მართალიც ხარ! ჩვენ ერთ სიბრტყეზე ვერც დავტევით?

— ვიცი... ამ ჩარჩოს დანიშნულება, მაგრამ... ის მეორე ჩარჩო რაისთვისაა. საჭირო? ვინძლო პრობლემები არ შეგიქმნას...

— მაესტრო... შენს თავზე... და შენს

პრობლემებზე იფიქრე, ჩემს პრობლემებს კი თვითონ მოვული. სხვების დახმარება არც დამჭირდება!

— პრობლემები... ოჰ, ეს პრობლემები! შენ გინდა, რომ შეუმსუბუქო ცხოვრება ადამიანებს... პიხვალი, პიხვალი! მაგრამ ტყუილად ცდილობ... მე ყველაფერი ვენი, რომ აღზევებულიყავი, მაგრამ თვითონვე არ ინდომე! მე გაძლევდი ყველაფერს და უარი თქვი ამ ყველაფერზე! გადაყევი უმაღურ ადამიანებს! სწორედ ისინი გაცვამენ ჯვრის! ზნაი, ზნაი ია ვაშენი ბრათა! დიდ უკვდავებასაც კი აზიარა მამაშენნა ადამი, მაგრამ თვითონ ადამმა არ ინდომა უკვდავება! შენც გაგიმეტა

მამაშენი საექსპერიმენტოდ! არ გუმართლა ადამმა და იმედგაცრუებული მამაშენი შენზე ამყარებს ახლა იმედებს! შენც ადამისნაირი ხარ, ოღონდ: უფრო მაღალი სულის... გაგიმეორებ კვლავაც: არ გაუმართლა მამაშენს ადამმა!

— ეს შენი წყალობით, მაესტრო! შენ რომ არა, ახლაც სამოთხეში იქნებოდა ადამიანი! ბევრი რამ შეცვალა შენმა მაშინდელმა უადგილო ჩარევამ... მოვა დრო და დაისჯები შენ ამისათვის! მაგრამ აღრეა ჯერ... მთელი სიგრძე-სიგანით უნდა ვაცნობიერდე შენ კაცთა მოდგმის შეგნებაში, რომ ხელი საბოლოოდ გრძან და მოგიკვეთონ ერთ და სამუდამოდ! გესმის ხმა მაღლიდან? ეს მამაჩემია... შენც ისმინდ მისი შეგონებანი!

— სწორს გეუბნება შვილი ჩემი, ჭეშმარიტი ძეი ჩემი! თავი ანებე ხალხს! მაინც ვერ მოერევი... გონს მოდი, მაესტრო და ამომიდექი მხარში...

— და მამაშენის ყურმოჭრილი მონა გავწდე მე, იეშუა?! მამაშენის მონა ვიყო ჩემი ნიჭისა და შესაძლებლობების პატრონი?!

— მობრუნდი, ჩვენენ, მაესტრო და მამაჩემი შეგინდობს იმ ძველ ცოდვებს (აც). ხომ იცი, რანაირი მიმტევებელია?!

— იცი, რა, იეშუა? შენ შენ თავს მოუარე! ერთიც მენიშნა, თითქოსდა უკვე ვეღარც იგი უნდა იყო, ადრე რომ გიცნობდი... ასეც მეჩვენება: თითქოს საყრდენი გქონდეს გამოშლილი ფეხევეშ... მამაშენი მოკვდა! ღმერთი მოყვდა — მეთქი, ხომ გესმის, იეშუა?! ბრძანა კიდეც ერთმა შეშლილმა ფილოსოფოსმა, პო, ნიცშე უნდა ყოფილიყო, ფრიდონს ნიცშე! ღმერთი აღსრულა, როგორც იქნაო... მართალი იყო ნიცშე: მამაშენი კი არა და... შენაც აღარ ხარ, იეშუა! მე შენი ხმა აღარ მესმის... დახშულია სასმენელნი ჩემნი... გულიც დახშულია შენი ფიქრებისთვის.

თავისუფალია შენგან სულიც ჩემი!

— მაესტრო, ეს შენი გზაც არ უნდა იყოს უსასრულო და ბოლოს კვდები შენც... შენ ისე იქცევი, რომ შეიძლება გაგიძეტონ მაინც და... იცი კი რა არის სულის სიკვდილი... მოკვდები ისე, როგორც მოკვდნენ ჯერ ის ზემდეგი იბრაიმი და მერე — კაენ ადამაძე!

შეცბა ამის გამგონე მაესტრო, შეფიქრიანდა და მოეშვა როგორლაც, მოსანანიებლად განემზადა კინაღამ, მაგრამ გადაიფიქრა, ხელები მომუშტა და ზეცას მოუღერა, — ვნახოთ, ვნახოთ... მე კი არა, აქ შენი ძეი აღსრულება და მაღლაც შენ ამოგხდება სული! მოკვდება შენი იეშუა და მოკვდება ათასჯერ და... უთვალავჭერ! მოკვდება იოსებიც! ჯერ ჩემი პროექტი განხორციელდეს და... სრულყოფილი ჩემი პროექტია. პო, მე უკვე გადავწყვიტე: მოკვდება იეშუა, მოკვდება იოსებიც! მერე არ ვიცი, როდის, მაგრამ მაინც მოვისაკლისებ ომზირ თავდგირიძეს! მაგრამ ჯერ იეშუას სიკვდილით შეგაძრწუნებ... კრიგისაც მოვუვლი, იმ მართლაც დამთხვეული! სულ არ გავიდა თავს... სიკეთის მსახურიო? ისევ იგი დაგმობს და ჩაწიხლავს კრიგის — ამ „ვისკოჩქას“, ვისაც აქმევს და თითქოს პატრონობს. მონასტირშინას ამბავი რატომ არ გაახსნდება? უმაღურია ხალხი... არ გაამართლა იმ შენმა ექსპერიმენტმა, არა! არ გამოგადგა შენ კაცი — ადამიანი!

— ეჭ, მაესტრო, მაესტრო, ვხედავ, მაინც არ გეშველა შენ! მე მართლა შევციდე ერთხელ, რომ გაგაჩინე შენ და ვინანიებ ამას! ვინანიებ, რომ გაგაჩინე! და მაინც ჩემით ხარ, მაესტრო და შემიძლია გაგაჩინო! მაგრამ ახლაც არ ავჩქარდები... იქნებ მაინც მოხვიდე გონს და მოიხედო ჩემკენ, ადამიანებისკენ მიიხედო.

— მოვინანიო? მაესტრომ, მე

მოვინანიო? ტახტი შენ კი არა, მე მექუთვნის! შე მართლა დავრდომილო! შენი იქმუა კი... ადამიანამდე დაეცა, გესმის, ადამიანამდე დაეშვა! მაინც რასა გავს შენი იქმუა?! იქმუა! ჰეი, შენ, იქმუა, მასმინე ყურადღებით! მე იმაშიც კი მეპარება ეჭვი, რომ უზენაესის შვილი იყო შენ! ბუში ხარ შენ, რომაელი ლეგიონერის ნაბიჭვარი... ხედავთ, ჭეუას არ მასწავლიან ეს უნიჭო ჭეუას კოლოფები?! ჰეი, თქვენ: ვითომ მამა-შვილო! დაგამხობთ ერთხელაც! დაგამხობთ!

— ვაი, უბედურო... — ხმას დაიხშობს ზეცა და მაესტროც აიხედავს მაღლა.

ფიქრის სავარძელში შეირხევა ომზირიც: — თავის ზრახვებსაც აღარ ფარავს, ხედავთ, ჩვენი მაესტრო! სხვაა, აღარ ფარავსო, რომ თქვა! ჩვენი მოდგმის განადგურება თუ განუზრახავსო! — წამოდგება ომზირი და მივა ჩარჩოსთან, — მაესტრო, თავი ანებე ადამიანებს... ვერ გამიგია, რატომ უნდა წარიწყმინდო ისედაც წარწყმედილი სული?!

— შენ კი, ომზირ, შეეშვი იქმუას! იცი, რომ მიიყვანეს იგი გოლგოთაზე... აბა, იმ შენ მეორე ჩარჩოსაც დახედე! შეიძლება დღეს ჭვარცმის მოწმე და მოწამეც გახდე! იქმუას თვითონ თქვენ, ადამიანები მოისაკლისებთ! სვიმონ კვირინელმა უკვე დადო მიწაზე იქმუას ჭვარი! განწირულია იქმუა! იგი არც ყოვლის შემძლეა და არც — ყოვლის მომცველი! არც ძეა იგი ღვთისა! ცრუ ქრისტეა და დიდი მოლაყბე! ისინი კი, ვინც ქრისტეს მიჰყვნენ, დაიღუპებიან! მე ის მიკვირს მხოლოდ: ამდენს როგორ მიაღწია, როცა თეატრალური ინსტიტუტი კი არა და, სტუდიაც არა აქვს დამთავრებული! მე, მაგალითად, ჩამოვართმევდი იქმუას ღვთის ძეობას და მსოფლიოს

დამსახურებული არტისტის წოდებას მივანიშებდი! უბადლო აქტიორია! მრავალგზის ოსკარის მფლობელსაც გავხდიდი! როლებს მე თვითონ შევურჩევდი! მწვერვალი კი გოლგოთაა მისი! ჯვარი! დიადი სცენა... ლამის მეც კი შემშურდეს მისი! ომზირ, ნუ მაწყვეტინებ, გთხოვ, ნიჭს მართლა ვერ წაართმევ იქმუას! დიდი აქტიორია მართლაც... ოლივიე სად მივა ამასთან, ვერც ნიკოლსონი... მაგრამ; თამაშობს იქმუას როლს, თამაშობს მხოლოდ! ჰოდა... ვერაა ქრისტე! არაა იქმუა მესია! იმიტომ, რომ მართლა მესია უნდა იყო, რომ დაგინახონ, რომ აღიკვევან მესიად! სიმათიებს კი, როგორც აქტიორი, ჩემშიც იწვევს... იცი, რას გეტიუვი, ომზირ? იქმუამ თვითონ ირწმუნა, რომ ქრისტეა, მესია და ამიტომაც თანავუგრძნობ! მაგრამ ეს იმისთვის მაინც არ კმარა, რომ ვირწმუნო მისი ღვთაებრიობა...

ადამიანი — როგორც ადამიანი... ზეცაციც არის ნამდვილად, მაგრამ ღვთის შვილი ვერაა ეს კაცი! კაცია უმაღლეს საფეხურზე შემდგარი...

— ახლა მეც მათქმევინე, მაესტრო! — წელში გასწორდა ომზირი და თვალიც გაუსწორა მაესტროს: — მე დღესაც ვიხილე ქრისტე!

— ქრისტე არ ყოფილა იგი, არაა იგი მესია! — არა! არა... — დაიჩემა მაესტრომ.

— ქრისტე ვიზილე — მეთქი, მე გეუბნები ამას — ომზირ თავდეირიძე! მესიაა იგი! იმის თვალებში დავინახე მე ის წარსული!

— ჭვარცმა?! — შეცბა მაესტრო, — ნამდვილი ჭვარცმა?!

— ჰო, ჭვარცმა და ქრისტეს მომავალიც ვიხილე — დიადი აღდგომა! მერე: მეორედ მოსვლა ეთერულ სხეულში...

— რას მიედ-მოედები, ომზირ?!



ერთი ისიც მითხარი, რომელ ეთერულ სხეულში? იქნებ ისიც თქვა, უკვე მოსულაო და სიკეთესაც ჩვეულებისამებრ თესავსო ქრისტე... იქშა— ადამი... ისევ არ იშლი, შენსას? თვალი ვის უნდა აუხვიო!?

— მისმინე, მაესტრო! მე და ჩემს მოდგმას შეგვიძლია მოკვდეთ ადამში და ქრისტეში გაცოცხლდეთ! ამიტომ: ადამიანი სინამდვილეში გაცილებით რთული და დიდი ფენომენია, ვიდრე შენ წარმოგიდგენია და ჩვენს სამგანზომილებიან წარმოსახვას შეუძლია გაიაზროს და გააცნობიეროს... აი, შენი ჰეშმარიტი სახეც! კიდევ რამდენიმე მონასმი და მზად იქნები! აყრ ეს ერთი შტრიხიც... დაგინახავს, მოგიხილავს ადამიანი და შეგაქცევს

ზურგს! შეხედე! შეხედე! ასე შეგნის, თვითონაც ძალიან მოგწონს! აქ სული იხატება შენი, შენი მეობა გადმომაქს ტილოზე...

თქვა ეს ომზირმა და მაესტროსაც გააძაგდაგა. ზურგი ზიზღით შეაქცია ომზირს: — მეგადრება, რომ არ გაგანადგურე! შემეძლო და დაგინდე! მაგრამ იოსები ხომ ჩემს ხელთაა! ჯავრს იმაზე ვიყრი. იოსები მაინც ვერ გადამირჩება! იქშა, ამისთვის კი იდეად მთავარი! იდეა... მგრნი არც დამიკარგავს ყველაფერი! ომზირ! მე მართლა მაღიზიანებს ევ შენი ჩარჩო... ის მეორე ჩარჩოც მაღიზიანებს... შენ მართლა მაღიზიანებ, ომზირ, არ ვიცი და მაინც რამ გაფიქრებინა ჩემი ჩარჩოში გამომწყდევა?

\* \* \*

ომზირს მზე ერთი ჩარჩოდან მეორეში გადააქვს, ანდა პირიქით და ალარ იცის, როდემდე გაგრძელდება ასე: ერთი ჩარჩო რომ მზითაა სავსე, მეორე ამოსუფთავებულია, გამოთავისუფლებული მზისგან...

აქ იქშა ნაზარევი... უმზეო დღე... არც ერთი მზის სხივი! წელში მოხრილა იქშა, მაგრამ იტვირთებიან მისი თვალები, უფრო მეტ და მეტ სიღრმეს იძენენ და ამ უძირო თვალებში დავნებული ცოდვანი კაცთა! წელშიც ამიტომ მოხრილა იქშა. ნეტა როგორდა შეძლოს ამხელა ტვირთ-ცოდვის ზიდვა?!

მაღლა აიღო თაგი. დაძაბულია მისი ყოველი კუნთი, დაძაბულია მისი ფიქრიც, ჩანაჭებია ტვინი და ველარც ისე აზროვნებს, როგორც ოდესლაც, ხედვაც უჭირს!

სხვანაირადაც რომ აზროვნებს და ხედავს!

ხედვა — თავისებური, ცისფერი თითქოს...

ჰეშმარიტება — ხატება ციური.

მზეც თავის ადგილს დაიჭირს სადღაც, თვითონვე გამონახავს თავის სავანეს და ძველებურად გაბრწყინდება. იქით, მეორე ჩარჩოში, სადაც მოხაზულია უკვე მაესტროს შავი სილუეტი, წყვდიადი დაისადგურებს და ამ სიწყვდიადეში აბორგებულა დიდ მაესტრო! აბორგებულა, თავის კანში ვერ დატეულა.

გაუჭირდება, ალბათ, ჩარჩოში ყოფნა...

— შენ, შენა ხარ, ომზირ, ჩემი შემოქმედა?! — წამოიყვირა მაესტრომ და ჟექან-შემოქმნდა ჩარჩო: — მე ახლა კაენ ადამაძეზე ვფიქრობ!

— არც მითვიქრია ამაზე! მე სწორედ იმას და იმაზე ვხატავ, რაც მომეგუნებება... ახლა კაენ ადამაძეზე რომ ფიქრობ შენ! — უკვე წარსულზე, ამიტომაც წააგებ, მაესტრო!

და ზიზღით გადააფურთხებს მაესტრო: — დროებითად ეს წაგება! კი წაგაგე ეს სახელდახელოდ შეთითხოული ომი, მაგრამ მოვიგებ იმ დიდ,

շյանասկեր ռմե! մարտալու, յայնու և սոցգուղութ մարչացնա մոմքացութ, մայրամ մշ, իզելլեցից մոկացացու եռմ ար զգոնուցար, ոմիուր?! մշ — մայստրու... ածա, սպազու դա մոմքացութ մարչացնա! մոմքացութ մարչացնաս դա օմիու օգուլնչյ ռորու մարչացնա ամոմիցա, մոմքիրութ ռորուց դա ոտես ամոմիցա! այ ոյիշիսաց დացալիշրէ, ոմիուր դա... յամշյ մոնեցու ոյու, մշ կո աճալցածիրդուն ըլլեյշիսուրու Շմիմիուրացենա դա օշու հա մոմկլացա՞!

— մայստրու! — սությա յասիշցարունա ոմիուրմա: — զոնճա զոտերա, հոգու ալյեսրուլա յայնու?

— հա սաքուրու, տպ զոնճա, մշ տպուռն ցերպացու... — հայոյիրդա մայստրու, — մշուրութ յայնու դա ցամոցացնեց... աելու սկայնուն մշուրու, դա ցամոցացնեց աելու յայնու! մայրամ յայնու ուսետու մասնց զեր ոյու, հանասուրու մինճութ յուուլուուրու... ոուսեծու ցիմենցուլու սուլու, մայրամ Շենս մեարենց ալմոհնդա... Շենս մեախուրու...

— կո ար մեմսաեցրեն օուսեծու, մայստրու... յուրու սաքմյես յակացենա իզեն! ներտա սագ արուս?

— ցերպաց, սաճաց արուս, մայրամ յեր յայնենց... ոցու օուսեծմա դաամարցեա ցարծասաեցու ելուցնեցան. աիշարդա յայնու դա... ալմուցեցնուլու մշուր ցելարացյուրմա սմշցուլա... յայնու ոյտու, տացու սաելնշու օիշուլու... սուլնշու ցահենութ ցրցելու... սուլու յիշուլու յայնու դա ամոյիշու յու սուլուու... Շեեցազ դա աելուց ցուցեալու ցեցոնենձու! տուրյուն մշցուդացաց կո սենուցա, մայրամ հաջ ցոնճա ասետու յուուցա?! յայն աճամամ ցելար անցրոցնեցս, ցելարու ոյիշրուն. օուսեծմա ոյիշրու, ուցենձու դա անցրոցնենձու ամոյշանտա յայնու մեենուրյենձունա... այս ոյիշրու որմուց ուցու... ցամուցուցիշու դա ծենինեն ցագուցլուն տացեն, ցրցելու թայուցնեն... ոյիշուրյունաց մոկացենձու դա... այս հոմ, համոյիշրունու յայն

աճամամ.

— օուսեծու?

— օուսեծու... — հայոյիրդա մայստրու, — Շեն մշոնու դացացցանձա, ոմիուր! օուսեծնչյ մշ ցոնժրունց! այ կո մշոնու ամոցուցար մշոնու չացրու! յարցագ ուրու, ռորու յուրդուլուս մացցարս սպիռու դա սամ յուրդուլուս եռմ զերա դա զեր դա այշեր! մայրամ ցեմլեցա Շեն տացուսուցալու արհեցանու սուցլեցա... մշ տպ ոյշուա? յեր մշ ցպացար հարհուն շամուսամիշցուլու դա մերյ... ոյշուա ցոլցութանց ցըլուս! չպարբմա! եցաց, հոգու ցացնեցնուլու կըուրունելու կըումոնց?! դա օուսեծու այ հա մուսաբանուա?! Շեն սուրու դուզու პրուծլեցուտ եար դացացնուլու ցըլու... մշ մեմուս Շեն... զեր մոցուցլուա Շեն օուսեծուստցու... օուսեծու կո... — մերյեն օիշուրու մայստրու դա ցամունիմա տացուսեցնուրուա, — օուսեծու կո...

ոմիուրու թամուտ մովցու այսակունաս, օուսեծու ցացասիշցու սուրբուցնու դա Շեյեմունա. օուսեծմաց ցամուսեաս մորկետս ոյտու մորկետունան:

— ոմիուր, յու մշ յար, օուսեծու... հեմիշյ նոյւրու օյոյիշրու. սայմյս մոեցլե, մշ կո... ոիշյար, ոմիուր! տուրյութ մայստրու ցացասիշրունձ! — այ Շեյցու օուսեծու ցամունեցնուլու ոյիշրու դա ոմիուրու մոցուդա ցոնց. հասեցա հարհուն դա մայստրու միշյրուս Շեյցուա:

„նաեւ, հոգու օիշրուալուցնու մայստրու? օյյետ-օյյուտ օիշցունա հարհուս ցաւրանցաց կըուլունձ... — աելու կո յմարառ, — ցայցոյիշրու ոմիուրմա դա ամերիցցուցնուլու հարհու կըուլուսկըն Շեյծրուն, — մշ եռմ սցումոն ցորունելու մպացու մուսասիլցունցու?! ածա, չպարուց! — տացլու ցացուուլու ոմիուրմա սցումոնու միշյրուս, — ոյշուա...“

կընեսուց ոյցու. սգուուց սուսելու դա սգուուց ցրցեմլու սուսելոնարցու. թյուուց սուլու, հոմ ար ցաւշերյուս աճամունեմմա,

## აწმორ კულტა

არ დაინახეს მასში ძე ღვთისა და მესიადაც აღარ სცნეს.

და ეს იყო შეცდომა კაცთა (!)

უბედური იყო კვირინელი სვიმონ!

აპა, ფიქრიც მისი: „ყველაზე დიდი ადამიანი... აღმატებული კაცზე. ძეი ღვთისა და... მესია! ველოდით,

ველოდით... გადაგველია სული იმის მოლოდინში და მაშინ მოვიდა! გამოგვიჩნდა, მოგვანა სულიერი და ხორციელი ჭრილობები, ზედ მაღამოც დაგვადო და შეგვიმსუბუქა ტკივილები, მაგრამ მაინც არ ვიწამეთ მისი... იტვირთა იმან ცოდვები კაცთა და იმან გაგვალიზიანა, ისეთი მაინც ვინ არის, ამხელა ტვირთ-ცოდვა რომ აიკიდაო?!

აქ დიადი აზრიც ჩნდება: „ღმერთი რომ არ იყოს და მესია... გაბედავდა კი ამხელა ტვირთ-ცოდვის ტარებას?! ქეთ იგი ღვთისა და მესია... კაცი რომ იყოს მარტო და ასე ამაღლებული, ამ სიმაღლეზე მაინც ვერ აიჭრებოდა მისი ფიქრი! დაილოცოს, ღმერთო, სახელი შენი! დაილოცოს, ძეი შენი, საშველად ჩვენდა რომ წარმოგზავნე! ახლა კი მართლა მჯერა, რომ სული შენ შთაგბერე ადამიანებს და რომ უკვდავია ეს სული“ — აი, რა აზრები უტრიალებს თავში სვიმონ კვირინელს.

— მერე?

ატყდა ერთი ხმაური და ღრიანცელი გაუგონარი.

ხალხი, ხალხი ითხოვდა: — ჯვარს აცვით ქრისტე! ჯვარს აცვით თვითმარჯვია მესია!

(სირცხვილი, სირცხვილი და თავის მოჭრა კაცთა)!!!

და ლეგიონერებმაც მაღლა ასწიეს ღვთითა და კაცით დამიმტებული ჯვარი. დაიჭიმა თოკები... აპა, გასწორდა წელში ჯვარი და იყსმაც გაახილა თვალი.

შეკრთა კვირინელი სვიმონ. იმასაც

ატკივებოდა იესოს სატკივარი, სდიოდა იმასაც სისხლი და ცრემლი. იქსებოდა ისიც აუწონელი ღვთაებრივი ტკივილით.

... და იყო დიდი ტკიივილი...

— მე კი არა, ამ ჯვარს სდის სისხლი, — ჯერ მშვიდადა თითქოს კვირინელი სვიმონ, — მე ცრემლი უნდა მდიოდეს მხოლოდ...

— გაუძელ, სვიმონ! — ჩამოსძახა ჯვრიდან იეშუამ.

— მაინც ვერაფერს მივმხდარვარ... იგია ჯვარცმული და მე მტკიოდეს?! მე მდის ეს სისხლი და სისხლი რომ მდის, ამიტომაც მეტირება და ვტირი... მდის ცრემლი... რა აუტანელია ეს ტკივილი?! ნეტავი, არ გავჩენილიყავი! იქნებ ვერც ის კაცი ვარ მე, ვინც უნდა ამაღლებულიყო ასე! სხვა, სხვა ვინმე როგორ ვერ გამოინახა ამდენ ხალხში? რამდენია ჩვენში ჩემზე აღმატებული და ამაღლებული სული?!

— სვიმონ! — ჩამოსძახეს ჯვრიდან: — შენ ერთადერთი ხარ, სვიმონ! ვერც სვიმონბას შეძლებდა სხვა ვინმე! ამიტომაც შემორჩება, სვიმონ, შენი სახელი ისტორიას: კვირინელი სვიმონ!

და ისევ ატკივდა სვიმონს. ზეაიხედა და... — და როცა მტკივა მე, არ ტკივა მაშინ იეშუას! თავისუფალია იგი ტკივილისაგან. არ მტკივა და ტკივა იმას... არ ტკივა იეშუას და: ბედნიერი ვარ მე, კვირინელი სვიმონ, რომ იეშუას ტკივილი მტკივა!

მაინც რანაირი ყოფილა თურმე ღვთაებრივი ტკივილი?! მთლიანად ვიშლებოდე თითქოს სახსრებში, მე მე აღარ ვარ უკვე! მართლა აღარ ვარ! გადაგუშლივარ მე იმ დიდ ტკივილს. ეს ნაიარევი... ეს ნაიარევი ნეტა საიდან, როგორ?! — ლამის თვალთ დაუბნელდეს ტკივილისაგან. ფეხზე ძლივსლა დგას.

„შენი წაქცევა არ შეიძლება!“ — ეს შინაგანი ხმაა, რომ ესმის და გული მოეცემა.

მაგრამ მოიღრუბლება მოულოდნელად და აცივდება. შეაძგა კვირინელ სვიმონს.

უხილავი ქარიც რომ გოლგოთასკენ მოერექებოდა იმ დამძიმებულ ღრუბლებს?

იელვა. ელვას საშინელი, დამანგრეველი ქუხილი მოჰყვა და ფერდში შუბი ატაკეს იქსოს ვაიმეო, წამოიკვნესა და შეცბა კვირინელი სვიმონ. აუფორიაქდა სული; შეკუშა და მთლად მოეწურა გული.

აპა, იარაც შეუხირტდა იქსოს და ახალი სატკივარი გაუჩნდა სვიმონს. ჭრილობა ზედ ფერდზე გაეხსნა და სისხლი გადმოსდინდა იქიდან. ეამა თითქოს, მაგრამ იელვა და ჰეკუიდან გადასცდა კინაღამ, — მე მხოლოდ ადამიანი ვარ და როგორ ავიტანო ტკივილი ღმერთის?!

ნეტაი გამაძლებინა! — ინატრა და იგრძნო, რომ აღარ იყო იგი მარტო სვიმონი, სხეულში სხვა ვინმე ჩასახლებოდა თითქოს და ატკივიბოდა ამ კაცს ჭვეუნის სატკივარი. ღვთიურ სატკივარს ატარებდა იგი. იმასაც ხვდებოდა, რომ სხვანაირადაც ფიქრობდა უკვე. ფიქრიც სხვა ჭრინდა და შიშმა აიტანა.

და როცა სული განუტევა იქსომ, უჩვეულო ცახცახმა აიტანა კვირინელი სვიმონ. ეს წამით, წამით იყო მხოლოდ და ასევე უჩვეულო სამშვიდე დაეუფლა. აღარ იყო იგი, კვირინელი სვიმონ ამჭვეუნად (!) აქ აღარ იყო და

არარაობამაც გააწინა სილა. შემოპერეს ერთხელიც და იშვა ხელმეორედ! ჭრინდა სხეული, მაგრამ პირვანდელისგან განსხვავებული. და გააურუოლა. ვეღარ აღიქვამდა, მაგრამ იყო და აზროვნებდა! იყო და სხვა განზომილებაში აპირებდა გადასვლას.

— რეინკარნაცია! — ჩამოესმა მაღლითგან და იესოც იხილა მაშინ (!)

— ახალ სიცოცხლეს ვიწყებთ? — იკითხავს კვირინელი სვიმონ.

— სულიც ახლებური შთაგბერა შენ მამიჩემბა! ერთსაც გეტყვი: გაბრუნდი უკან და იმ შენს განზომილებაში ჩაჯერი. აქამომდე კი: შენ კიდევ რამდენიმე სიცოცხლის გამოვლა მოგიწევს.

...და გამოეღვიძა კვირინელ სვიმონს.

მიმოიხედა ირგვლივ: ჩამოწოლილიყვნენ სველი, დამძიმებული ღრუბლები. ჩამოლამდა მოულოდნელად და ის მიწის მუშა, კვირინელი სვიმონ, უცნობი ჭველასათვის, იქსოს ჭვრილან გარდამოხსნის მოწმე და მოწმიე ხდება.

ძირს დაასვენეს იესო. ორივე მარიამი დასტირის: ღვთისმშობელი და მაგდალინელი. ძვირფას სხეულს თეთრ სუდარაში ხვევვნ.

იქით: იცინის ვილაც. კიდევ იქით: შეიკურთხა ვილაცამ. (ვიღაცას იუდეის პროეტრატორი პილატეც შემოელანდება)!

იელვა ისევ და... ამას სულისშემძღვრელი ქუხილიც მოჰყვა.

გაწვემდა... წვიმდა კოკისპირულად!

უტიროდა სული კვირინელ სვიმონს: სულში, სულში აწვემდა და იწმინდებოდა...

\* \* \*

შეწუხებულან...

კრავაიც წუხს. იოსების არა ისმის რა და სული აუტირდება ქალს. გულიც რომ ავს ეუბნება.

დაცდილი აქვს კრავაის, არასოდეს

ცდება მისი გრძნეული გული: „ამდენსანს როგორ ვერ მომაწვდინა ხმა? არც წუხანდელი სიზმარი მომწონს, ვერ მოვიცალე მე ისებისთვის, სულ ჩემი პრობლემებით ვარ დაკავებული და მისი

პრობლემა თითქოს პრობლემაც არ იყოს ჩემთვის. მეც ერთაგვარი კარიერისტი ვარ... მეც ვიქენი კარიერას... ეჭ, კრავაი, კრავაი, — გულზე ხელი მიიღო კრავაიმ, — თავს რატომ იტანჯავ და ეჭვს რატომ ეჭვინებ გულს?! შენ და კარიერა?! ხომ გაეღიმებოდა, ამის გამგონე იოსებს, საყვედურებდა კიდეც: — იდეა, იდეა, კრავ... ის სიზმარი რომ არა... სისხლი, სისხლი... ჯვარს აცვეს იოსები ადამიანებმა, მოკლეს, როგორც კაცისმკვლელი... მუხლებში ლურსმნებს ეჭედებნ... — სიზმარს იხსენებს, — სახეზე არაადამიანური ტკივილი იღბეჭდვია ჩემს იოსებს... დამინახა სიზმარში და:

— კრავაი, კრავ... ამ ჩემ ტანჯვასაც მოედება ბოლო... — გაღიმებაც კი სცადა იოსებმა და მტკივნეულად მოწურა თვალები, — კრავ, ისა ჯობია, თავს მიხედო... ომზირი მარტო ჩება და შენ უნდა დაეხმარო! იდეა ამზირი და ეს იდეა არ უნდა მოკვდეს! შენ კი... მაღლე დაგიბარებენ ხელისუფლებაში და... ყურადღებითაც მოგისმენინ. ახლა კი... გთხოვ, დამტოვო... გახვიდე ჩემი სიზრიდან. მე, კრავ, ახალი დაბადებისთვის განგზადებულვარ! მართლა სიკვდილი ხომ არ გაონია სიკვდილ-გარდაცვალება?! სიკვდილიც თავისებური შობაა... ხომ დავიბადეთ... მოვევლინეთ ჩევნ სააქაოს და... ჩევნ სადაც მოკვდით მაშინ და გავჩნდით აქ, სააქაოში... სიკვდილი შობაა, შობა! ახალშობა ახალ განზომილებაში:

აქ: ომზირი გაიმარჯვებს! შექმნის ომზირ თავდგირიძე სიკეთის ხატი... შენ ჯერ არ გინახავს, რა დღეში და რა ყოფაშია შენი დიდი ძმა, ღვთაებრივი შემოქმედა! საქმეს არ მოწყდეს, ესაა მთავრი... — აღარ დაამთავრა იოსებმა და სივრცეს შეერია.

ოფლში ცურავდა კრავაი. სწორედ რომ გასაწური იყო.

თენდებოდა, ომზირს რომ მიაკითხა. ხატავდა მისი „დიდი ძმა“. შინ არც დედა დახვედრია. — ჭიბურში იქნება... ჩარჩად არ გადაიქცა, ჩევნ რომ გვარჩინს?! საწყალი დედა... — ფეხაკრეფით გამოიარა დერეფანი და გარეთ გამოვიდა. გადმოსცდა ეზოს და მეზობელს გადაეყარა: იმანაც დაწვრილებით მოუთხრო პურის ქარხანაში მომხდარი ამბავი და კრავაისაც რეჩხი უყო გულმა.

— მერე და მკვლელი ვინ არის? — იკითხა დაზაფრულმა.

— რას არ ამბობს ხალხი?! ადგილზე უნდოდათ ჩაეჭოლათ მკვლელი, მაგრამ არ დაანება მილიციამ. გაკეთდება ახლა მილიცია! საქმე ისაა, რომ არც უცდია გაქცევა! ჩემი აზრით, უნდა ჩაეჭოლა ხალხს!

— გაუსამართლებლად?! — აღმოხდა კრავაის.

— რათ უნდა ასეთ კაცს სასამართლო?! კაცი ხელყუმბარით შევარდა პურის ქარხანაში, დაატერორა იქაურობა და... ტერორისტია, აბა, რა არის?! ერთისოთვის — Все дозволено! და “Ничего не дозволено” — მეორისათვის?! იმასაც ამბობენ: პური თავისოთვის კი არა, ხალხისოთვის მიჰქონდა, პურის მიღაზიაში...

„ეს უკვე იოსებს უნდა გავდეს“.. — გაკენწლა კრავაის და ოფლი დაბაკდა.

— წარმომიდგენია, რა დღეში იქნება ახლა?! არ ვიცი, ვინ არის... მაგრამ შენზე კი იცი, რას ამბობენ ხალხში?! რამდენს უნდა ავუხსნა, რომ იმას, რასაც შენ შვები, ამას რაიმე გამორჩენის მიზნით არ აკეთებ... ხალხს ვერაფრით დაუჭერებია, რომ ამას უანგაროდ აკეთებდე. მე რომ არ გიცნობდე, ვერც მე დავიკერებდი ყველაფერ ამას! ვხედავ, გეჩქარება, მაგრამ არ დამზარდე და მართალი მითხარი, მართლა დაკარგულია

ჩვენთვის აფხაზეთი და სამაჩაბლო, თუ... რაღაც უცხო თამაშია და... ბლეფი? ახალქალაქი და ახალციხეც ცხელი წერტილებიათ... ქართული ფული იქ არც ფულობსო, გამიგონია...

— როგორ გითხრა და... დღეს დაკარგულია ერთიც და მეორეც, მაგრამ შეიძლება ორივეს დაბრუნება, ახალქალაქსა და ახალციხეშიც მოვაგვარებთ საქმეს...

— ომით?! ისევ სისხლისღვრა?!

— ომით არა... ღმერთმა გვაშოროს ომი და სხვა უბედურება! ომმა რაც გვიყო, თქვენც კარგად იცით...

— შენზე ამბობენ პოლიტიკას თავი გაანგაბაო... კი ვარ მე არამყითხე მოაშებ, მაგრამ... მეზობლები მე მეკითხებიან შენზე და ხომ უნდა ვუპასუხო?!

— რომელი პოლიტიკოსი მე მნახეთ, რომ... — უხერხსულად შეიშმუშნა კრავა.

— კაი, კრავა, ახლა ისიც მითხარი... ნუ გამიწყრები და გვაინტერესებს ყველას... „სათნოების სასახლისათვის“ მართლა არ გაძლევენ შენობას? თუმცა რა გასაკვირია და „სათნოების სასახლისათვის“ გის უნდა სცხელოდეს დღეს?! მაგრამ ბაბუზ ხომ მოგცა ფურგონიანი „მოსკვიჩი“. ღმერთმა მოუმართოს ხელი და... მისწრებაა შენი საქმისათვის ფურგონი... მიდიხარ, კრავა?

— მაპატიე, მივრბივარ, ყავისთვის საღამოს შემოგივლი, იცოდე და მერე ვილაპარაკოთ!

— სიტყვა სიტყვა! — წამოეწია

კრავას მეზობელი ქალის სიტყვები და გაელიმა:

— შენობაც მომცეს სასახლისათვის, მომცეს! საბუთების გაფორმებაღა საჭირო და... აბა, გავიქეცი! სხვანაირად არ გამიგო!

— აბა, გელოდები, კრავაი...

„მელოდებიან, მელოდებიან, მეც ველოდები იოსებს, მაგრამ... მესამე დღეა, არ ჩანს... და რატომ არ შემძრავს მე ეს ამბავი?! მოვიდეს ერთი და მოველაპარაკები! ვითომ არაა საქმე საგანგაშოდ? გავიდა კაცი სახლიდან და აღარ დაბრუნებულა... მართლა და საღ დაიკარგა? ომზირსაც ვერაფერს ჰკითხავ! ხომ გადაირია, ფიქრი რომ გავაწყვეტინო?! მისი ფიქრის სავარძელიც ხომ ნერგვბზე მოქმედებს უკვე! ჩაჯდება შიგ და ფიქრობს გაუთავებლად... მედიტირებს... იოსებს რომ ჰკითხო, დიდი ხელოვანიაო შენი ომზირ თავდგირიძეო, გენიოსიაო... უცნაური ძმა რომ მყავს, მეც კარგად მომებსენება, მაგრამ მარტო უცნაური ხასიათიც რომ არ კმარა გენიოსობისთვის?!

— ჩვენ უნდა დავეხმაროთ ტალანტებს, რომ გაიკაფონ გზა, უნიჭოები თვითონაც იოლად გაიკლევენ გზას! — გაახსენდა იოსების ნათქვამი კრავას. — იოსებიც კაი ჩიტია. მხოლოდ სხვის განდიდებაზე ფიქრობს, სხვას ემსახურება, სხვის სამსახურში ჩამდგარა და სხვანაირი ცხოვრება ვერც წარმოუდგენია... მაგრამ სხვაც რომ არაა ჩემი ომზირი?!

\* \* \*

მკერდზე ათასი ჭოჭო აწრიალებოდეს თითქოს, გააძაგაგა. მათი საცეცებივით ბრჭყალები კანში ესობა და ურჯოლასა ჰგვრის. თვალის გახელისაც კი ეშინია,  
თვალს მაინც გაახელს:

...აშმორებული საკანი მიწისქვეშ. საღლაც კუთხეშია მიგდებული. მის წინ ვიღაც ზის ნამტირალევი. ძლივს იცნო ბიჭის: „ეს მაინც რა შუაშია და ნეტა საიდან?“! — ფიქრს გაიწვალებს იოსები, — საწყალი ბიჭი... თენგო-ბიჭი! მე

მახლდა და ესაა ამის დანაშაული?! — სამწრისაგან ლამის დაიჭამის ბაგეები, — მომელან... მე მომელან, მე — იოსებ ნიუარაძე, ორჯერ, სამჯერაც მომელან და ...ოლონდ ეს ბიჭი გაუშვან!“ — სისხლი ამთახველა და შეცბა; — ეს რა დამმართვია? — ცხვირსახოცი არ ამოაჩნდა ჭიბეში და თვალი მოხუჭა, ბიჭმა ხომ არ დამინახაო. მაინც როგორ ემართლებინა თავი ამ ბიჭის წინაშე, მამამისს რა უთხრას?! ვინა ვარ მე? მკლელი?! იქნებ არც კი მომხდარა ეს ამავი და ნეტაი ამოვარდებოდეს ის დღე ღრიოს სათვალიავიდან! რატომ არ შეიძლება ამოიშალოს იგი მესიერებიდან, მაგრამ სინამდვილესაც ხომ უნდა ჩატედო თვალებში?! მე კაცი შემომაკვდა! არა კაც ჰქონა... არა, არა! იმ კაცს თვითონ თავისი თავი შემოაკვდა, მაგრამ მკლელი მე ვარ მაინც! შვილები დარჩაო ობლიად... იმათი ცოდვით რა გამახარებს აწი და... რისთვის ეჭმზადებოდი და რით დავისრულე! ნეტავი მომელავდეს ვინმე... ამის მონანება როგორ იქნება? რა უნდა გაფაკეთო ისეთი, რომ მაპატიოს იმის სულმა, მაპატიონ იმის შვილებმა, მაპატიოს ახალდაქვრივებულმა... ნეტავი მართლა მომელავდეს ვინმე, მაგრამ იმას, იმ ვიღაცის მაინც რას ვერჩი, რომელმაც უნდა მომელის და ამითაც შესცოდოს?! — თავი შეეზიზა და გადააფურთხა, — ჩემი გამოისობით ეს ბიჭიც ისჯება! ტირის საწყალი, აბა, რა ჰქნას?! არ შემიძლია მე ამის ატანა! მაინც რა მემართება?! თითქოს: ასე მგონია, მოხდა და არ მოხდა და... ვიხრჩობი მივიწყების შეინარები... ამოვიყურყუმელავებდე ერთხელ მაინც და... მაგრამ რად მინდა?! ასე სიცოცხლეც რომ აღარ შემიძლია?! „მაინც რანაირი გამოცდა მომიწყევს?!“ მაესტრო, მაესტრო უნდა განაგებდეს ჩემს ბედს... და მაინც: იქნებ არც არაფერი მომხდარა და ილუზია

ეს ყველაფერი... მაია... ნეტავი ვერ გაიგებდეს ამას ომზირი. ვერ გავუწიე მეგობრობა, ველარ გავუწიე ავთანდილობა. ვერც მისი ენქიდუ ვიყავი... ომზირი კი გილგამეშია! მარადმაძიებელი სული და დიდი მოკეთე, სიკეთის მთესველი, მაგრამ... ვხედავ, ვხედავ მე იესოს... ჭვარცმული იესო... აგერ კვირინელი სვიმონ! გაოგნებული უფრო! ატკივებია იმას იესოს ტკივილი-სატკივარი! ეგერ ომზირიც! დღესაც მინდვრისფრად ასხივებენ მისი თვალები...

მაესტროც შემცბარა: „სადაცაა ბოლოს მომიღებს მე ომზირ თავდგირიძე, ჩემი წერაა ეს კაცი, მაგრამ მეც უბრალო მოკვდავი როდი ვარ, ჩევულებრივი კაცივით მოკვდე?! თითქოსდა მეც, ადამიანივით კვმორიჩილებოდე ბედისწერას! როგორ დავიჭერო, რომ ომზირი მომერევა? ერთი წამით, მხოლოდ ერთი წამითაც რომ გავთავისუფლდებოდე ომზირის „მეურეობისაგან“... ერთხელ ისიც ხომ ითქვა, მდინარესაც ჩაეძინებაო და ამ მხრივ ომზირიც არ უნდა იყოს გამონაკლისი! კაცია ომზირიც და... აპა, ჩათვლიმა ამანაც! — შეებით ამოისუნთქა მაესტრომ და მილიციის უფროსის მოადგილის კაბინეტში გაჩნდა მაშინვე.

— მაესტრო? — ფეხზე წამოდგა მილიციის უფროსის მოადგილე... — თვითონ თქვენ მობრძანებულხართ... დაგერეკათ და სპეციალურ მანქანას გამოგზავნიდით... თუმცა, თქვენ და გიჭირდეთ? მაინც: რით შემიძლია გემსახუროთ?

— შენთან იმიტომაც მოვედი, რომ... მილიციის უფროსი ფაქტურად შენ ხარ და... მიმსახურეთო, ასე მეუბნება მგონის... ხომ არ მომყურებია?!

— არა, არა, ბატონო... მაესტრო...

— იოსებ ნიუარაძე სად გყავთ? — პირდაპირ საქმეზე გადავიდა

მაესტრო... — თქვენი მილიციელი რომ შემოაკვდა პურის ქარხანაში!

— შემოაკვდაო? გაიკვირვა მილიციის უფროსის მოადგილემ, — თუ მოკლა!

— შემოაკვდა-თქო... არც მარტო ყოფილა! ბიჭი ახლდა ერთი!..

— ბიჭიც იმის საკანშია... შოთრის შვილი... მე რომ თქვენი პატივსცემა მახსოვს... ამ ადგილზეც თქვენი წყალობით ვარ... ჰო, ის ბიჭიო, მაესტრო...

— ის ბიჭი იოსებ ნიუარაძის თვალშინ უნდა მოკვდეს, მერე კი იოსებმაც ვერ უნდა გამოაღწიოს იმ ჯურლმულიდან! მოკვდეს, მოკვდეს საშინელი სიკვდილით! მოწამეობრივი სიკვდილით! იგიც პარასკევს უნდა ეცვას ჯვრს! სწორედ რომ წითელ პარასკევს!

— როგორც თქვენ ინებებთ, მაესტრო... ეს უკვე საქმეა! — სინარულისგან თვალები გაუბრწყინდა მილიციის უფროსის მოადგილეს.

— დაუფასდება გარება მილიციის უფროსის მოადგილეს... ერთი საფეხურით კიდევ წაიწევ წინ, გენერალო!

— მე რომ პოლკოვნიკი ვარ?!

— იქნები გენერალი!.. უკვე გენერალი ხარ ჩემი სამსახურისთვის! ჯერ ის ბიჭი დაილურსმნოს და მერე იოსებიც აცვით ჯვარს! — ბრძანა მაესტრომ და მილიციის უფროსის მოადგილის ხელი არც შეუმჩნევაოთ თითქოს, ისე აიცილა და კარისკენ გადააბოტა. — როგორც გითხარით...

— მაესტრო, ჯიპი ქვევით გელოდებათ, ჩემი პირადი მანქანაა!

— დილამდე იქნება ჩემთან! — უკან არც მოუხედავს მაესტროს, თითქოს ზერელედო, ისე ჩაილაპარაკა.

„იქნებ კიდევ უნდოდეს რამე?... — დასიცხა მილიციის უფროსის მოადგილეს, (უკვე გენერალს) და

კაბინეტიდან თავქუდმოგლეჭილ გამოვარდა. ზედ კიბესთან წამოეწია მაესტროს.

— შენო... — გაეღიმა მაესტროს, — კიდევ მინდოდა მეთქვა შენთვის რაღაცა და... — მძლოლი სულაც არ მშირდება... მთელი ღამე უნდა ვიჯლიგინო და...

— კეთილი, მაესტრო... ხსნილია თქვენთვის ყველა გზა!

— მაგრამ მაინც მშირდება მე იმის რწმუნებულობა, რომ...

— აგრე ჩემი სავიზიტო ბარათი და... დოკუმენტიც მალე იქნება მზად... — თქვა მილიციის უფროსის მოადგილები და ჩასძახა ქვევით: — ზემდეგო შავაძე!

მანქანის კარი მილიციის უფროსის მოადგილემ გამოაღო და გასაღები მიაწოდა მაესტროს. იმანაც დაკვირვებით შეათვალიერა ახალგამომცხვარი გენერალი და ეშმაკურად ჩაუკრა თვალი: — აბა, შენ იცი!

— თქვენ, თქვენ ჩემი...

— ასე რომ... — გაიღიმა მაესტრომ, — საბუთები არც დამშირდება...

— ჰო, არ დაგჭირდებათ, რა თქმა უნდა, ამხანაგო... მაესტრო... თქვენ ვერავინ... ასე მალე მაინც როგორ მიიღეთ ჩემი სახე? — გაოგნებულიყო ახალგამომცხვარი გენერალი.

— ეს უკვე ხელოვნებაა და დიდი ხელოვნებაც... — გასაღები ხელში შეათაბაშა მაესტრომ და შეშინებულმა გენერალმაც ნაძალიდევად გაიღიმა: — ზემდეგო შავაძე თქვენი ლანდია დღეიდან!

და მაესტრომაც ჩაიქირქილა თავისთვის, — ჩემი ლანდი, ჩემი ლანდი... — მიუჭდა საჭეს და „ჯიპიც“ ამუშავდა, — რიგზეა ყველაფერი... — ჩაიღიმა და ფეხი ბოლომდე დააჭირა გაზს. „ჯიპიც“ ერთი ვაი-ვიშით მოსწყდა ადგილს და ღამეული ქუჩაც მოაფხიზლა.

\* \* \*

— ნამთარში სატანა დააგელვებს თვეს რაში! ფრთხილად, ადამიანებო! — წამოიყვირებს სასოწარკვეთილი იოსები, ზღაზვნით წამოდგება (ფიქრით), ტკივი კვლაფერი, მაგრამ მაინც მივა ბიჭთან, თავზეც გადასუამს ხელს და უკანვე გამო ბრუნდება, ჩაჭდება და ისევ ის ფიქრი წაიღებს: „ეს ბიჭი მეცოდება, თორემ... რას გვიპირებს ნეტა მაესტრო?! სატანა ყოფილა მართლაც! ამ ბიჭის საცოდაობას მე მაყურებინებს და... ზეიმობს!“ — ახმაურდება

დერეფანი და რკინის რიკულებიან სარემელთან მილასლასლება იოსებიც (ფიქრით, რაღა თქმი უნდა).

ბიჭის ნახვას ითხოვდა მამა, მაგრამ ხმას ჩატყვეტინებენ სამორიგეოში და ძილიც მოერევა იოსებს.

კრავაი ესიზმრა: ხელებგამოწვდილი მოიწევდა მისკენ, მაგრამ ვეღარ მოაღწია იმან იოსებამდე. მერე ზენაქარიც ამოიჭრება და მაღლა აიტაცებს თმაგაწეწილ კრავაის, მიატრ-მოატრიალებს და გააუჩინარებს.

\* \* \*

კითხულობს კრავაი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარისთვის გადასაცემ წერილს და გუნება წაუხდება, — ნაჩქარევია, ნაჩქარევი... მაგრამ წერილსაც ვინ კითხულობს დღეს? წერილის შინაარსი უკვე იციან და... თუ უნდათ, დადებით რეზოლუციას დაადებენ, არ უნდათ სადმე ინსტანციის რომელიმე საფეხურზე შეაქერებენ და გადაკარგავენ სადმე და ეძიე მერე! მოზირს რომ წაეკითხა, ჩამისწორებდა მაინც... — უმუშევრობა აუტანელი... — თვალს გააყოლებს სტრიქონს, — უჭირს ყველას და... ყველა შშიერი „სათნოების სასახლეს“ მოაწყდა, მაგრამ სპონსორებიც რომ უარს გვეუბნებიან შემოწირულობებზე?! თვითონაც გვიჭირსო... — სულს მოითქვამს კრავაი და კითხვას განაცრობს: — ამიტომ, იქნებ დაუშვათ გამონაკლისი და გასცემ განკარგულება, რომ „სათნოების სასახლე“, როგორც საქველმოქმედო ორგანიზაცია, გათავისუფლდეს საქველმოქმედო და სხვა დამატებითი გადასახადებისაგან. და თუკი გამოიტანთ ჩევნთვის სასარგებლო დადგენილებას და მსვლელობასაც მისცემთ მას, მე შემეძლება მრავალშვილიან ოჯახებსა და ასე მომრავლებულ მაწარწილა ბაგშვებსაც

დავეხმარო. იქნებ გაგვიწიოთ მატერიალური და ფულადი დახმარება, რომ რაც შეიძლება მალე დავიწყოთ ახალმიღებული, მაგრამ უკვე გაპარტახებული, იავარქმნილი შენობის რეკონსტრუქცია.

კარგიდ კი დამიწერია, მაგრამ ამაზე უკეთესადაც შეიძლებოდა დამეწერა...

დაცვამაც უყოფმანოდ გაატარა კრავაი და მთავრობის თავმჯდომარის თანაშემწემაც თვალით ანიშნა, შედი, მარტოა.

კრავაის აუფანცქალდა გული და ღრმად ჩაისუნთქა (სამთავრობო ჰერი): — ნუ ღელავ, კრავაი! — თაქს შეუძახა, — იმ ხალხს შენი იმედი აქვს და აბა, შენ იცი, რა ამბავსაც გამოიტან იქიდან! ამ კაცმა არ უნდა შეგამჩნიოს, რომ შენც ღელავ, კრავაი! სიმშვიდე და ისევ სიმშვიდე! შენ რომ გზვევია, კრავაი, ისეთი! ოლიმბიური სიმშვიდე... — გულში ამბობდა იმას და გრძნობდა, რომ შევიდებოდა თითქოს, — შეიძლება? — იყითხა და თავისაც ხმას მიაყურადა, როგორ გამოივიდაო. აღარ ღელავდა უკვე და გული დაწყდა: — მე შემიძლია გრძნობები იდეას დაგუქვემდებარო... გამომშრალი ტილო ვყოფილვარ მართლა!“

— მობრძანდით, მობრძანდით,

ქალბატონო კრავით... ვიცოდი, რომ უნდა მოსულიყავით და... აღარ დაგიმალავთ, და ვემზადებოდი ამ შეჯვერისთვის... მომეცით წერილი და სამშაბათს სხომაზე გავიტან განსახილებულად... მეც დაინტერესებული ვარ, რომ დადებითად გიდაწყდეს თქვენს წერილში წიმოჭრილი პრობლემები... დიახ, პრობლემები, ვიდრე — საკითხები... მაგრამ პირველი კაცის თანხმობის გარეშე... ვიცი, მიხვალთ პირველ კაცთანაც და... თბილისშიც რომ მოგიწიოთ ჩასვლა, იქაც ჩახვალთ... თქვენი თვალები მეუბნებიან ამას, იქაურ პირველ კაცსაც მოინახულებთ და... ჰო, მართლა, მომილოცავს შენთვის შენობის მიღება... მაპატიეთ, შენობით რომ მოგმართეთ...

— არა უშავს, ბატონო ალექსანდრე... ასე უფრო დამეხმარებით! მაღლობთ!

— უუჲ, ეს ტელეფონი! — მთავრობის თავმჯდომარე აწრიალებულ ყურმილს გაბრაზებული დაწყდა და გადმოულაპარაკა კრავაის, — პირველი კაცი იქნება თათბირზე და გვიძარებენ... თუ მოვახერხე, თქვენს წერილსაც გადავცემ და მოკლედაც მოვახსენებ ამ წერილის არს. ხომ იცით: დღეს პირველი კაცი წყვეტს ყველაფერს!

— კარგად ბრძანდებოდეთ, ბატონო ალექსანდრე... რეზოლუციის წარწერა არ დაგავიწყდეთ... დიდი მაღლობა! თორემ თქვენი თანაშემწის შემყურეს, ხომ შეიძლება, ნახვი ამომივიდეს მხარზე და, თავზეც ალუბლის ხე ამიყვავილდეს... — კრავაიმ ხელი ჩამოართვა ბატონ ალექსანდრეს და შეფიქრიანებული გამოვიდა მისი

კაბინეტიდან. აგმა ჭიშკარიშვილი შეიპყრო. გული ეუბნებოდა: ეს დღე მისთვის შვიდობიანად ვერ უნდა დამთავრებულიყო და სულიც წინდაწინ აუტირდა. სახლში შესვლაც რომ აღარ უნდოდა?! იოსები ხომ თავისი გასაიდუმლოებული საქმით იყო დაკავებული და ომზირსაც ხომ აღარ ეცალა მისთვის!?

— გუშინ არ იყო, რომ შემომჩივლა დედახემმა, გაჭირდა თურქეთიდან საქონლის შემოტანაო? ჯერ თურქი მებაჟე გვძარცვავს, მერე ჩვენი მებაჟე გვაძრობს ტყავს და... გვატყავებს ერთიც და მეორეც... ისეთი ბაჟი დაწესდა, რომ... — გულს მიაყურადა კრავაიმ და შეშფოთდა: — ნეტა ვინ უნდა მოკვდეს, იოსები თუ ომზირი? იქნებ მთაში, თავისიანებთანა წასული იოსები და... კარგად ვერ არის დედახემიო, აღრეც მეუბნებოდა და... მართლა ცუდად რომ ყოფილიყო საქმე, ხომ დაიბარებდა რამეს! მამისის უთუოდ ეცოდინებოდა მისი ამბავი?! მაინც სად არის იოსები?

— რაღაც არაადამიიანურად ამოიკვნესა კრავაიმ და მანქანა პურკომბინატისკენ გააქანა. იქიდან ყოველ დღიურად ოცდაშვიდი პური გამოკვრნდა უსასყიდლოდ... — ეს საქმე ხომ მოვახვარე და... არიან ქვეყნად კეთილი ადამიანები. კეთალი სული უჟამო უძმსაც კი შეინარჩუნეს და...

და კიდევ: რამდენმა შესცოდა უკვე და კიდევ რამდენი შესცოდავს დღეს?! ხვალაც ხომ ჩვენა დღეა და... ტრიალებს, ტრიალებს ეს ბედის ბორბალი, ეშმაკს რომ უპყრია ხელთ და... ისიც იცინის, იცინის, კვდება სიცილით, რადგანაც ასე გაიაფებულა ადამიანის სული... გროშადაც აღარ ფასობს!

\* \* \*

„ვაიმე, ნენი... რაფრად მტკიდა! კი ვიტირებდი, მაგრამ იოსების მცხვნია... წუშელაც აწამეს, სულ დუღმსხვრიეს

ქვლები და ერთიც არ დუღუკვნესია. ეს რაფრერი კაცი ყოფილა?! ნენიი, მეშინია ამ კაცის... მინდა თავუანი ვეცე... იმფრად

აწამეს, რომ გული წიმივიდა კინაღამ... ჩემ თვალშინ, ტკაცო, დეიბახა ძვალმა და გული წიმივიდა კინაღამ... თვალებიც დიმიდგა. თვალი გავაღე და... ჭვარზე იყო დაჭედებული... ქუსლებით იდგა როგორ... ფიცარზე ხელებით გაკრული... ბაჟარი კანში ხონდა ჩაჭრილი..."

ტკიოდა იოსებს არაადამიანურად. თორმეტ საათზე ზედამხედველიც შემოვიდა, რაზე მიღიციონერიც შემოყვა იმს და იოსებიც ჩამოხსნეს ჭვრილან.

სული უკვენესის ბიჭს, — პოლზე დეკა საწყალი... გულწასული... დეკა და გონიერ მევიდა, მაგრამ ისვენ წულვიდა გული... წყალი დასახეს და გააღო თვალები: — ეს ბიჭი გულუშვით, ამას რას ერჩით, გულს რატომ უკლავთო? ცოდვაა... გულუფრთხილდით ამის სულს, ხალხი არ ხართ?! — ძლიერს გვიგონე, ნენი და გული მომეწურა. კლავდინენ და ჩემზე ფიქრობდა... არაფრად შეიძლება, ნენი... რომ ამფერი კაცი იბრეთი იყოს?! მუხლები მიყანკალებდა... მერე ამტკივდა

და ჩევიკეც ტკივილისგან. კიდვენ კაი, მამიკომ არაფერი არ იცის და...

— აბა, უფროსთან! — ზედამხედველმა თავზე ხელი წამოარტყა ფიქრებში წასულ ბიჭს და ისიც გმოერკვა ფიქრებისგან, — წამოაყენეთ, თუ არ შეუძლია! — მეორედაც ბრძანა ზედამხედველმა და ბრძანებაც შესრულდა მაშინვე, — ერთი აგენს უყურეთ?! ტერორისტები! თუ კაცი უკიდურესად, თავიდან ამოგიგდებთ ამ გადარეულ ფიქრებს!

„ადგილობრივი კადრი არაა...“ — ბიჭმა მამამისივით გაიფიქრა, — სხვა რეგიონიდანაც და უნდა დეიმისახუროს... დეიმისახურებს და ბინებსაც მიიღებს... თავგასაპნილიც ამიტომაა...“

ბიჭი დაკითხვაზე მიჰყავთ. იცოდა უკვე, რასაც ნიშნავდა დაკითხვა და კბილს წინასწარ დააჭირა კბილი.

აკანკალებდა.

ცოდა ამ სულისშემხუთველ სიცხეში.

\* \* \*

თვალს ვეღარ ახელს, იღონდაც: გონი ახლაც არ დაუკარგავს, მაგრამ გული ერევა. იქნება: კვდება და ვერ შეუტყვია?!

„საწყალი ბიჭი... ამას მაინც რას ერჩიან?“ ეს იმიტომ ხდება, რომ მე მომიკლან გული! საკუთარ თვალში რომ გამითაკეცდეს, გამიასკეცდეს ჩემივე დანაშაული... გასაგებია ჩემთვის კვლავფრი, მაგრამ მე როდი უარყოფ იმას, რომ დამნაშავე ვარ... თავიც რა უფლებით დავიცა?! ეს ბიჭი კი უცოდველია! ხალხს ემსახურებოდა! მაგრამ ვინ გისმენს?! თუ ვინდა, იყვირე, ხმის ჩახლეჩამდე! ო... ბიჭო... ო... კრავაი... როგორ მრცხვენია თქვენი?! მე შეისაც მრცხვენია... სარკმელში შემოასხივა და აღარ ვიცოდი, სად დაგმალულიყავი. ამაფარეთ, ამაფარეთ

რამე თვალებზე! რატომ არ დამიბნელდება მზე და... რატომ არ დამიგება თვალები?! ნეტა არ გამომყოლოდა ეს ბიჭი და... არც მამატოვა! შეეძლო, გაცლოდა აქაურობას, მაგრამ არ მიმატოვა... ვერა, ვერ აუკლის კაცი თავის ბედისწერას! ნეტა, გაუშვებდნენ ამ ბიჭს და მომკალით თუნდაც ასჯერ, ათასჯერ! და ის საცოდავი მილიციონერი... რანაირი თვალებით ამომხედა! თითქოს მაპატია და... კაცისმეტვლელი ვარ მე... რომ მაპატიოს, რომ მიმიტევოს უფალმა, მე თვითონ არ ვიზამ, რომ... არ მეპატიოს, ვერ მეპატიოს... პატიება არ შეიძლება! ნეტა მე მოვმკვდარიყავი... ის აქ მომკვდარიყო და... ეცოცხლა შვილებისათვის... არა, აღარ შემიძლია! ნეტა ვინ დამსაჯა ასე?! გავრი ვინ

ამოიყარა ჩემზე?! ნეტა ამბავი არ მიუგიდეს ომზირს და... ხომ გადაირევა კრიგი! სამაჩაბლოში მოვქმდარიყავი ნეტი! ეჭ, რა იქნებოდა, დროზე რომ გაესულიყავი ამ თამაშიდან?! რატომ აფხაზეთში არ მომკლეს?! მუხთალი ბედი, თორემ... ის ჩემი ბიჭიც დაიჩაგრება... კაცისმკვლელი მამა ჰყავდაო, აღარ მოუშვებიან... ცოდვაა ბიჭი! ანდა: რა საჭიროა ჩემი გასამართლება?! ამ ბიჭის მკვლელიც ხომ მე ვიქნები! ჩემს თვალწინ და ჩემს გამო მოკლავენ, ვიცი... ჩემს თვალწინ მოკლავენ! მაესტრომ მომიწყო ეს... არ მაპატია მაესტრომ. ვერც მაპატიებდა! ანდა: რატომ მაპატიებდა?! ჰოდა, უნდა მომქლიან და ძითაც შესცოდოს ვიღაცამ! ესეც ჩემი ცოდვაა! ეს ცოდვაც ჩემი ტვირთია. გული რატომ არ გამისკდება, ღმერთო!?

წაუყვანიათ ბიჭი... სად წაიყვანეს? — გააურუოლა იოსებს, — აგერაა, შემოჰყავთ! ვაიმე, როგორ უწიმებიათ?! — ისევ გააურუოლა, — მე, მე დამსაჯეთ! ამ ბიჭს კი თავი ანებეთ! — და ეს სურვილიც ფიქრადვე დარჩა იოსებს: — ეგოისტი ვარ, ვიცი ვკვდები, ვიცი უნდა მომქლიან და ხავს ვაჭიდები იმ გაჭირვებულივით, წყალმა არ წამიღოსო, რომ იმედოვნებდა: — ვაიც და ვუიც შენ, იოსებ ნიუარაძე!

ბიჭი იატაკზე გაიშხლართა და ზედმხედველიც მოუბრუნდა იოსებს: — ახლა შენი ჯერია!

თოკები შეხსნეს იოსებს და შირს ჩამოუცივდა ხელები. შექანდა ერთი და თვალთ დაუბნელდა. გულწასულმა ზღართანი მოადინა იატაკზე. ძლივს მოაბრუნეს.

— მხოლოდ თავის თავზე იფიქრეო! — გააფრთხილეს და წიხლი ჩაზილეს მუცელში.

ფერდი ატკივდა იოსებს, გაჭირვებით წამოსწია თავი და

თავისთვის ჩაილაპარაკა: — ფარისევლები...

მაშინ რაღაც მძიმე, ცივი საგანი ჩაარტყეს თავში და ძირს დასცეს; მიწას მიეჭყლიტაო თითქოს, სუნთქვა შეეკრა.

— გონს კარგავს! — წამოიძახა ნომერ პირველმა ფარისევლება და წყალი დასხა თავზე. იოსები დღეს უკვე მერამდენედ მოაბრუნეს ასე!

თვალს მაინც გაახელს, მაგრამ მაშინვე დახუჭავს: აღარ შეუძლია თვალი გაუსწოროს სინამდვილეს, აღარც სურვილი აქვს ამის!

ძულდა აწმუო... წარსულსაც იღარ სცემდა პატივს და მომავალზე ხომ აღარც უნდოდა ფიქრი!

ნელ-ნელა მიდის ბურანში.

— შენ, ჰეი, რა უფლებით კარგავ გონებას?! ჯერ ამ ბიჭის სიკვდილის მოწმე უნდა გახდე! მერე საკუთარ სიკვდილსაც დაესწრები! მოწამეობრივი სიკვდილი გელის შენ, იოსებ! მოკვდები და ჩაძალდები! — ყურში ჩასხახის ნომერ მეორე ფარისეველი და იცინის ფარისევლურად, — თასსირია კაცი! ჩემი გაცრუება არ მოუწადინებია ამ უკულმართს?! ვითომ მართლა მისდიოდეს გული!

ვაიმეო, წამოიკვნესა ბიჭმა და იოსებიც გონს მოვა.

— ცოცხალია, ცოცხალი! ცოცხალი არ ყოფილა?

მთავარმა ფარისეველმაც თვალი უყო თავის ხელქვეით ნომერ მეორე ფარისეველს და ისიც მივარდა ბიჭს, რაო, ესკიმო მაროუნი ხომ არ მოგართვა, პრინც?

— ახლაც არ მომქვდარა! ჯერ კიდევ სუნთქვავს! — ნომერ პირველმა ფარისეველმა ბიჭს მკერდზე დაარტყა მუშტი და ბიჭსაც შეეკრა სუნთქვა.

ხომ არ შემოგვაკვდაო! — წამოიყვირა მთავარმა ფარისეველმა, — წყალი, წყალი!



ნინო ნიუკარაძე

დილა



ବିବାହ ବିଷ୍ଣୁରାଜ୍

ନାଟ୍ୟମତ୍ତବ୍ୟା

ძლიერ მოასულიერეს ბიჭი.

— აბა, თვალი გაახილე ახლა და კამპეტს მოგცემ! — ამბობს მთ. ფარისეველი და დაუღრიალებს თავის ხელქვეით ფარისეველებს, თქვე მართლა უსაქმირებოო...

და შეინძრა ბიჭი.

— არ მოგიბოდიშებია, ბიჭო! თქვი, მაპატიეთო და... თავისუფალი ხარ დღე! — მთავარი ფარისეველიც აღარ მოუშვა ბიჭს, მაგრამ ბიჭიც რომ გაჯიუტდა! შეიკრა კრიჭა და მიტყალივით გაფითორდა.

— ვნახოთ, ვნახოთ, როგორ აიტან ამდენს? — სიბრაზისგან კბილებს გაბრჭიალებს მთავარი ფარისეველი, — ჩაქუჩი და ასიანი ლურსმანიო, — ბრძანებს.

მეორე ფარისეველი ჩაქუჩის მოურბენინებს მთ. ფარისეველს, ნომერ პირველი — ლურსმანს.

— მხრები, მხრები დუუჭირე, შე მართლა ზეგნელო! — გაუწყრი ნომერ პირველს მთავარი, — თუმცა არა! ჯერ უფროსით დავიწყოთ! ეს იმიტომ, რომ შეძრას სხვისმა ტკივილმა ახალი თაობის წარმომადგენელი... ჩეგნებურა გავროში! — ხელი შეუშვა ბიჭს და ისებს მიადგა, — მაგრამ გეგმით დღეს არც ერთი არ უნდა მოკვდეს! კვდებოდნენ უნდა და არც კვდებოდნენ... ეპე, წამოქმარე შენ! ეს ჯამში ისე გაგვრათ თავის ჯვარზე, რომ... პო, ასე! მხრები დუუჭირე, შე მართლა ზირკლო! სერუანტობა არ გეღირსება! იცი რა? შევნის ამ კაცისმკვლელს ჯვარზე ყოფნა! — ასიანი ლურსმანი ზედ მუხლისთავზე დაადო ისებს. — ესეც ერთიო! — შესძახა და მძიმე ჩაქუჩი უგულოდ დაეცა ლურსმანს.

ყრუ დარტყმის ხმაცა და ტკივილიც ერთდროულად შეიგრძნო იოსებმა.

წამოიკვნესა ბიჭმაც.

„ეს ხომ ორმაგი... გაორმაგებული

წამებაა, გასამმაგებულიც! ერთი ის, რომ მტკივა მე ჩემი ტკივილი და მეორეცა: ჩემი ტკივილი აიტკივა ამ ბიჭმა, აატკივეს ბიჭს და მესამეცა: ახლა ორივეს გვტკივა ერთი მეორის ტკივილი, — ფიქრობს იოსები, — და მაჯობა მგონია ტკივილმა!“ — აღმოხდა უნებლიერთ.

— მეორე ლურსმანიც! ასიანი ისეე! — ბრძანებს მთ. ფარისეველი და „მეორე ასიანსაც“ გაუტარებს მუხლში იოსებს.

ტკივილად ქცეულა იოსებ ნიუარატე. ბიჭს გული აერია და წააღებინა.

— პირი მობანე ამ პირალიას! — ისევ ბრძანებს მთ. ფარისეველი.

— მზადაა, ბატონო, მზად... — კუდს აუქიცინებს ნომერ პირველი ფარისეველი მთავარს.

ბიჭი ხედავს და ესმის ყველაფერი.

„ნეტავი ჩაეძინებოდეს... რატომ ლეთარგიულ ძილს არ მოუვლენს ამ ბიჭს მფარველი ანგელოზი? იქნებ არცა ჰყავს და...“ — ფიქრი გულს დაუსერავს იოსებს.

— შენ, პე, ზეგნელო... — მიმართავს მთ. ფარისეველი თავის ხელქვეითს, ნომერ მესამე ფარისეველს. — ზირიკლო მართლაც!

— ესეც ზეგნელია, ბატონო... — თავი ჩაუქინდრავს ნომერ მეორე ფარისეველს.

და იკრიჭებიან ზეგნელი ფარისეველები...

— ისეთ რამეს თუ მოიფიქრებ, რომ გამაკირვო და... ვთხოვდი მაშინ ჩევნ შეფს, რომ დაგაწინაურონ... აბა, გაანძრიე ტკივინი! — მიუბრუნდებია ნომერ პირველ ზეგნელს მთ. თარისეველი.

— მოვიფიქრებ რამეს...

— მოვიფიქრებ...

— ვიფიქრებ...

ამბობენ თვალებგაბრწყინებული დანარჩენი ზეგნელი ფარისეველები:

— յրտո վաճա մոմուրա! Ծանոթ Շենտավասը լինդա մոյցա ցամիկնե...  
 — Տալուշը տուո Մուծլիչ մուօժ մտ. Ծարուսեցելմա, մերք პորշո հաօժու դա նոմեր პորցելո Ծարուսեցելու Մուծլս մութեա, — զու ուրու, յէնեց ցամոցեցես րամե հեմշան դա օգոմլուազդը, օգոմուրազդը Ծանոթ! ածա! ասա, ուսեծ... ածա, եցալամդե! դա յրտելուա ար Ծամուցենեցե՞? հոցորու ցոնդուցը... եցալուստու Մյոմոնանե եներցա! ուս: յուցը յրտո լուրսեանո մարտլա մութիւնը օյնեծուա! պարազեծու Ծամոլո!

— Յո, պարազեծու Ծամալո, սմբուսո... — ուղրուկեցեան մեռու դա մեսամե Ցեցնելո Ծարուսեցելո.

— պարազեծու Ծամալո... օթյունդա սմբուսո... — տացու աշխու ցամուշմաս պալունծն նոմեր պորցելո Ծարուսեցելո.

Մեսամե լուրսենու մահչացենա ցայսացը ուսեծն. այմլցրա սիմթիուսացան սպազուլո ցոյխո. մուսալուց սևուլու նուսելու թեց ցուլու կոշիտան մութցա. մացրամ հա եցե՞? տուուցու ելուց ելուց ելու Ծամուլու դա հուցա սյուլ ցանցլա Ծայցուլու ոցո, հալաւնառումա սուտօնու տու սուրբու մուցու ուսեծն. տացալու մուլուլա սուամոցնեցենու սացան. մոնցեծա ախալշուն ցոյխո-շրմնուն: „Ենթաց ար ցամուշուցենուցը, մացրամ յս ծովու՞! անդա հոցորո ար ցոյցոյխո մտ ծովու՞? սնդա դացարթմունո, հոմ արացերո դայմարտեա; ածա, մուեցա. ցուցեալուա! ար մոյցահարա! մյ մարտլա միջալուն լուցիւտո! մյ, մյ մաթամետ դա Մյուշու տամա! Ծայցուլու ար մպոտնու... սնդա օցուցու Ծայցուլու, հոմ մոցունու! ուղունդաց: ծովու՞ արացերո դասացուցը դա տո ցոնդատ ցամուսնցրմնուց Ծայցուլու... մարյունետ, մարյունետ ցուցը սուրու! ար մպոտնու, ար մպոտնու Ծայցուլու, ար մպոտնու! այստանլա մտյունուցը մոնդա!

— չե՞ս, Շեն! չե՞ս, տէց մարտլա

Ցեցնելու դա Չորկլու ծու մեօւցոյխու համե՞! — ոյուտես մտ. Ծարուսեցելմա: — ածա, հա յենու, տո ցամուսարտլու մտյունու... տո մեօւցոյխու համե հումելումեմ, մտյունու տո ցամուսարտլու?

— մոցոյուցոյխու, յո մոցոյուցոյխու... — Եշա պորցելմա Ծարուսեցելմա մուսալունու, չեր Շեն տէցու!

Ըապահուառու, ամուսա մի մեռումաց դա პորտ գաձինո, այսու դա հեմո „Մուգուսու“ յէծա եռմ ցամուսանուրու.

— Ֆուտես ախու ամ Չորկլու կյա՞ս?! մերու ցերացու կյացուանուրու ցը մեօւցոյխու? սամթէսարու, հոմ տէցնենառու սննուցու մունուան Շինացան սամոնուստրուն, — մտ. Ծարուսեցելմա ելու սումեծու հայինու դա սանեշո Շեացուրու ուսեծն, — մուգուտ, տէց Չորկլու դա դա... ասա... սամոն ցուունսարու տուրմե՞! — մոցու ծու ծու անունու պորցելմա մունուան դա նոմեր պորցել Ծարուսեցելու սննունա, պորցել հայելունեցինա ցոնթիւրտմեսուլո ծովու, — յասա, յաս... դասացուրու տէց մուռու, ցատուրունեցի, Շե մարտլա Չորկլու!

նոմեր պորցելմա Ծարուսեցելմաց անու դա ցատուրու ծու ծու.

— ախու ցնու, ցնու ասթլաց ցն Շենո ցուրու տէն! աս, մոցոյուցու մունուան կյա՞սու! — սիսարու մտ. Ծարուսեցելմա, — հոցին հոցին հացեյիտ! Մյունց նոմեր մեռուց դա Մյունց մեսամեց! մուգուտ, մուգուտ! — հոսերու մունուան մտ. Ծարուսեցելմա.

դա սամուց Ծարուսեցելմա սարունդը սուրուսու ծունցնեցինա (Ծայցունցնեցինա դասացուրունեցինա).

„Մյունց, հոցորո Մյունցնու յե... Չորկլու կյա՞սու!“ — ցամույսու ուսեծն մունուան ցամույսու տէց ցամույսու.

— հեցն այ Ցեցնելու ցամունցնու յեցու գացունետ ցամունցնու.

— նու ցնիւնցնու մտյունու հեմշան, հոմ

ზირიკლებს და ზეგნელებს გეძახით... მეც  
ხომ თქვენებურაი ზეგნელ-ზირიკლი ვარ,  
აა მოხდა მერე, რომ მეზობელი  
რეგიონიდან ვარ! მე მეამაყება ჩემი  
ზეგნელობა! მინდა მემაყებოდეს მე  
თქვენი ზეგნელობაც! ისწავლეთ ჩემგან  
და... თქვენ ხომ კაი ზეგნელები ხართ,  
კაი ზირიკლები! შენ კა... — ისახებთან  
მიიჭრება და მკერდში ჩაარჭობს  
ფრჩხილებს: — ამოგაგლიჭავ ე მაგ  
ძალის გულს და ამ ჩემ ზირიკლებს  
მივუგდებ შესაჭმელად! ძალის  
ძალივით და... დაგესევიან და... დაჭამენ  
ერთმანეთსაც!

„ფრჩხილები, ფარისევლის  
ფრჩხილები... ნელ-ნელა იძირებიან  
ჩემში... პო, იძირებიან, მაგრამ წარბს  
ახლაც ვერ შევიხრი... უარესის ღირს  
ვარ მე... მოიფიქრეთ, რატომ ვერ  
მოიფიქრებთ ისეთ რამეს, რომ სული  
მომიკლათ, მომიკლათ გულიც...“

— უუკ, შენი! — დაიღრიალა მთ.  
ფარისეველმა და გასისხლიანებული  
ხელი მთელი ძალით დაჭრა საჭეც  
სკამს, — ამ საღამოსაც მოვალთ...

მოვიფიქრებთ ისეთ რამეს... შენგან  
მოწონებულს... ორიგინალურს.  
იფიქრეთ, იფიქრეთ შენც, შენც, თქვენც  
კედლებო! აბა, წავედით! — ის  
გასისხლიანებული ხელი მომუშტა და  
დაიბრაგუნა მკერდზე. — ვიფიქრებ მე  
ამაზე! — ფარისევლები საკანიდან  
ცხვრებივით გამოირევა წინ.

მიიხურა მერე კარები, გასაღებიც  
გადაატრიალა და ბიჭი დაუდგა  
თვალწინ: — სუნთქავს... ცოცხალია...  
კაია, კაი... კაი იმიტომ, რომ... ხვალაც...

თვალი გაახილა ისახებმა და მზერა  
ბიჭისკენ გაექცა: „ცოცხალია!  
სუნთქავს... ღმერთო, აცოცხლე ეს  
ბიჭი... მე კა... უნდა მოვკვდე!“ —  
გაიფიქრა და ტკივილმაც შეახსენა თავი.  
კინაღიდ შეშალა ამ ტკივილმა.

სისხლი და ცრემლი ერთად სდის  
ისებს.

— პეი, თქვენ... — წამოიწია ბიჭი,  
მუშტი მოუღერა უკვე მიხურულ კარს  
და ძალაგამოლეული ცივ იატაკზე  
გაიშოტა.

დასასრული იქნება



## კავკასია

გათანგული მთაგრეხილი  
 კავკასიისაო,  
 მზისკენ ტოტებატეხილი  
 დედა ირმის რქიო,  
 ზედ ჭაჭვებით მიჯაჭვული  
 მთვარე პირსაცხეო,  
 სული დაუმარცხებელი,  
 მკლავი-მძლეთამძლეო!  
 იალბუზზე გაწვდენილი  
 სალამურის ხმაო,  
 ხან ღალატით დაცელილი  
 ხარი წიქარაო,  
 თუ რქის მოსდებს ზღაპრული,  
 შეირყევა ცაო,  
 დაიმსხრევა აპეური  
 და კლიტული ცხრაო.  
 ... ერკინება ქარტეხილებს  
 როგორც სფინქსის ფრთაო,  
 გათანგული მთაგრეხილი  
 კავკასიისაო!...

## გარქმნები წუთისოფელსა...

ზეცა სამზეოდ შობილა,  
 წმინდაა მისი სანახი...  
 შენა ხარ ცოდვა, ძმობილო,  
 ბაგეს გილესაგს ტალახი.

გულს რომ ნაღველი ბოგინობს  
 ნუ იტყვი, თქმადაც არა ღირს,  
 საძმრის ღიმილსა სცოდვილობ,  
 ამოგესწრება ბალახი.

ჯერ არ შობილნი გნატრობენ,  
 გეტროფიან, როგორც მშობელსა,

მოვლენ და გაიაფებენ,  
 გარქმევენ წუთისოფელსა.

ბოლოუამს რას გიტოვებენ?  
 — ძვლებს საპატრონოს ოხერსა!..  
 ერთი სანთურიც არ გიდგას  
 შაგბნელ, შაგბადრუკ ქოხებსა...

ზეცა სამზეოდ შობილა,  
 წმინდაა მისი სანახი,  
 შენა ხარ ცოდვა, ძმობილო  
 ბაგეს გილესაგს ტალახი!..

\* \* \*

შემოდგომისა წვიმებო,  
 ცრემლებით გაბეგრებულხარ,  
 სიყრმის ოცნებავ-კეთილო,  
 ახდი და დაბერებულხარ!

მზევ, ცხრა მთას იქით წასულო,  
 მიქერალ-დაღლილო ნათებით,  
 ფიქრის შავფერა ბადითა  
 გადამეფლითა კალთები!

## შუჟუნა ზავიშვილი

პირმომცინარე ნისლებო  
თავს რად დამცემით წყენითა,  
ქვეყნად ყოველი სათქმელი  
თქმულა მოკვდავის ენითა.

ზემდაბიური მოშიშებით,  
დიაცურ მკერდის მოშიშვლებით,  
იწილ-ბიწილოს მოყოლებით,  
ზავის და ცოდვის მოფონებით.

უნიჭო ხოტბის „ხატოვნებით“,  
პატრიონის ღმერთთან გატოლებით  
ამდენი მდედრი მასხარათი  
მე არ მინახავს მასკარადი!..

სხვა არ მანაღვლებს არც რაი,  
ამით ვარ გულდაწყვეტილი...  
... სად გაბნეულან ვარსკვლავნი  
კითხვების მრავალწერტილნი?..

\* \* \*

ოქრო-ძოწებით შემქულები  
მკვლავები თვალწინ დაგვისვენს,  
გვმოძღვრეს სამშობლოს ერთგულებით,  
უბე ცრემლებით დაისველეს.

... ქორონიკონის გახსენებით  
მე არ მინახავს მასკარადი,  
თვით შაპის კარზე ნასვენები  
ამდენი მდედრი მასხარათი!..

\* \* \*

მოდი სითეთრევ, ჩამოდი ციდან  
ხელთშეუქმნელო ცის სათნობავ,  
მოდი სითეთრევ, მომნატრებიხარ,  
ვით სიქალწულის უმანკოება.  
მოდი სითეთრევ, მოდი სითეთრევ,  
ვდგავარ, გვალვიან ხელისგულს გიწვდი  
დამწვარს თიბათვის მწიფე სინედლით,  
მარიობისთვის დაგვით და სიცხით.

როგორ გამქრალა წლები, ჩავლილა  
თეთრი ბაფთით და ყვითელი კაბით,  
მე ფეხშიშველა ვიდექი თოვლზე,  
როგორც მიმოზა-მარტის ყვავილი...  
და ვიგონებდი ლამაზ სტრიქონებს  
და უმიზეზოდ გულს ვიტკივებდი,  
სკვიოდა ზეცას სევდის ფანტელი,  
მე კი ცრემლები — სულის იები.  
ჰორ სითეთრევ, რა გასაოცრად  
მეჩვენებოდა მაშინ ყოველი,  
ჯერ დასანახი და წასაკითხი  
მთები, სახლები, გზები სოველი...  
ჰორ, სითეთრევ, იმ გზებს ვაკვალულს  
საით მიპყავდა ჩემი ოცნება,  
იქ ნალიაზე ჭრელი აკვანი

სიმღერით დაფქვეს ჭრიჭინობლებმა.  
შემინდე ჩემთ ცელქო სითეთრევ,  
უინ და ქროლავ შემინდე მარტის  
რომ ნაადრევად შეაცვდა ფრთები  
დაის შენსას — ორობის ფარტელს.  
ის ახლა მზესაც სხვაგვარად ხედავს  
კითხულობს თოვლზე ცოდვიან  
ტერფებს,  
გაედო ზღვარი მოგონილ სევდას,  
დაედო ფასი ღიმილს და ცრემლებს.  
... ჰორ ზეცაო, კეთილო დედავ,  
ისევ და ისევ შენ გვიფრთხილდები,  
რომ უღურტულებენ დაუსაბამოდ  
შენს თბილ უბეში თეთრი ჩიტები.  
თეთრი ბაფთით და ყვითელი კაბით  
და მოციმციმე კეთილი ცრემლით,  
როგორც მიმოზა-ზამთრის ყვავილი  
დგას ფეხშიშველა ბავშვობა ჩემი.  
დაბრუნდა ისევ, დაბრუნდა ისევ  
დგას და გვალვიან ხელისგულს გიწვდის  
ო, გვედრები ცის სათნობავ,  
ცის სათნოებით ამიღსე ისიც!  
მოდი სითეთრევ!...

## დედის მოძღვაზე

„დედობა უფლაზე დიდი ბედნიერებაა“. ურუ სანდი



მთვარის შუქით მიმონავლულ ზღვისპირზე მწვანე ველი მოჩანდა, რამაც ქალს საფრანგეთში მოგზაურობა და ელისეის ველები მოაგონა. ძლიერმა ქარმა მინდორში მწვანე ბალახი შეათამაშა და ხის წყვროკინები აიძულა დაბლა დახრილიყვნენ.

ქალი ტყის ლამაზ ფერიას ჰგავდა. მის უძირო ცისფერ თვალებში, ზღვისფერში რომ გადადიოდა, უსასრულო სევდა დაგუბებულიყო, რომლის ნილვისას უსათუოდ დიდი კონსტანტინე გამსახურდია გაჟრთებოდა... „ზღვისფერი გაქვს თვალები და თავად გავხარ ზღვას“...

ერთი შეხედვისას იფიქრებდი, ამ ქალში გენეტიკურად ფრინველის რაღაც დევსო. მერცხლის ფრთასაგოთ გაფრენილი წარბები უშვევნებდა თეთრ შუბლს. ვინ იცის, ეგბე მისი შორეული წინაპარი ულამაზესი ფრინველი იყო, უღურტულით რომ იკლებდა თვალუწვდენელ წყე-ლრეს...

მერე მწუხარე ცას ზოგან შავი ღრუბელი გადაეფარა. ელვა შორს ავისმომასწავებლად იკლაკნებოდა. ზეცას ახედა, რომლის დასალიერში ბეწვებაშლილი ვეფხვი გაწოლილიყო და ბელებს ლოკავდა. შევერცხლილი ღრუბლების თავზე ნავახშმი მთარე გაბატონებულიყო. მალე ფანჯარას მრუმე ღამე მოადგა, სამარადეამოდ შეუცნობი მრუმე ღამე.

ზნეობრივი და ფიზიკური წინააღმდეგობა მასში, ალბათ, მაშინ ჩაკვდა, როცა მთელი არსებით, არაჩვეულებრივი გარეგნობის გამო, იმ კაცისაკენ გაუწია გულმა, მისი რომ არასოდეს იქნებოდა. ქალის მანათობელი სიდიადე სილამაზის ზღვარს სცილდებოდა და რაღაც მისტიკურ სამყაროში გადაპყავდა მხილველი. ქალაქის თანამდებობის პირთა გალერეაში ერთი მამაკაციც კი არ მოიძებნებოდა, მას რომ არ ეტროფიდა და მისი სიახლოვე არ ეწადა. მისი გული კი ისე იყო დაშორებული ირგვლივ შემოჭარულ მამაკაცთა გულებს, როგორც ჩრდილო და სამხრეთ პოლუსები არიან დაშორებული ერთმანეთს. ისინი „შორით დაგვაზეც“ ქამყოფილი იყვნენ; ქალი კი მათ მიერ შემოთავაზებულ არც ერთ წინადადებაზე არ იყო თანახმა. თუ ქალის ნაბიჯს კრიტიკულად შევხედავთ, რა თქმა უნდა, გამართლებას ვერ უშპოვით. ქალი მამაკაცისაკენ უნდა მიისწრავოდეს (აქ ფრიგიდულობა უნდა გამოვრიცხოთ). ეს ბუნების დაღვენილი კანინია. შეიყვარებს თუ არა, გაჟუვება ცოლად თუ არა, ეს უკვე შემდგომი საფეხურია. რაც შეეხება კაცების მიმართ სიძულვილს, არც ერთ შემთხვევაში გამართლება არა აქვს.

სხვათა შორის, მამაკაცების მიმართ ასეთ დამოკიდებულებას რომ გამართლება არ ჰქონდა, ამას თვით ქალიც შევნივრად გრძნობდა და სულ ბოდიშის მოხდით ამბობდა, სხვანაირად არ შეუძლია, რომ ასე გააჩინა ბუნებამ და ბუნების წინააღმდევე

კურ წევა.

ერთ დღეს მოხდა ის, რასაც ამ უკარება ქალისგან არავინ ელოდა. ქალიაქში სოლიდურ თანამდებობაზე დანიშნეს კაცი, რომლის შეხედვისას იტყოდი: „ავთანდილი მოდის ვეფხისტყაოსნიდან“. დაინახა ქალმა და შეიყვარა: შეიყვარა მთელი არსებით-ყოველგვარი ანგარების გარეშე. კაცისთვის ქალი ძველი ამბავი იყო და საერთოდ ქალებს იგი დიდ უყრადღებას არ აქცევდა... მოსახდენი ერთ წვეულებაზე მოხდა. მომხიბვლელი, უფრო სწორად, მომნუსსველი ქალის ხილვისას, როცა კაცს ღვინო საკმარისზე მეტი დოზით ჰქონდა მიღებული. ქვეშეცნეულად თუ ალლოთი იგრძნო მან ის, რაც ყველა მამაკაცმა უნდა იგრძნოს, როცა განგება მასზე შევარებულ ქალს შეახვედრებს.

კაცის მკლავებში მოქცეულს ხშირად გაპკრავდა ფიქრი — რას ჩავდივარ?! ვაი, სირცევილო!.. მაგრამ ეს წამიერად იყო. ის ლამაზი სიტყვები (სასიყვარულოს ნუ დავარქევთ), რაც კაცის ბაგიდან ამოდიოდა და მხოლოდ სისხლის ყივილი იყო, ქალს თავბრუს ახვევდა და მოქმედების კრიტიკული შეფასების უნარს უკარგავდა.

დაქალთან გუშინდელი საუბარა მოაგონდა:

- რას უყურებ, მირცა. უჩივლე.
- არა, მაგას ვერ ვიზამ. ან მისი ბრალია.
- მაშინ აპატიე. ქრისტემ ყველას შეუნდო და აპატია.
- მე ქრისტე არა ვარ. ერთი ობოლი გოგო ვარ. ცის სიმაღლიდან მაინც ვერ დავშვები.

— რას ნიშნავს დაშვება?

- რასაც ყველათრის სააშკარაოზე გამოტანა ჰქვია.
- მაშინ იარე გაკრული მუცლით... სანამ ივლი დაგინახავ... უკვე შვიდი თვისა ხარ. ყველათერი ასე უგულოდ შეიძლება?!

— ნუ იტყვი ამას. არ იყო უგულო სიყვარული. ყველაფერი ძალიან შშვენიერი იყო. მაინც მადლობელი ვარ იმ ლამაზი წამებისათვის, ცოლიანმა კაცმა რომ მაჩუქა. მერე და, შენ არ მეუბნებოდი ცოლ-ქმრობა ყველაზე ძლიერ სიყვარულსაც კი ამარცხებს.

— მაგაში სწორი ხარ. იმედგაცრუება მაღლ დაგეუფლებოდა.

\* \* \*

მყუდრო შემოდგომის მზიანი დღე იდგა. ტირიფები მდინარის დუღუნს არად აღდებდნენ და უხმოდ ტიროდნენ.

ზღვის ღელვა ნაპირს აწყდებოდა და ქათქათა სამშობიარო სახლის ფანჯარას ზღვაური ემიზნებოდა. კარებს ცისფერკაბიანი მიადგა და როცა გაუღეს, შიგ სასწრაფოდ შევიდა. გრძელი წამშამები, თითქოს წვიმის წვეთები დასცემია, უბრწყინავდა. დაკვირვებული თვალი თუ შეამჩნევდა, რომ ტიროდა. ადამიანი იმაზე ლამაზს ვერათერს ნახავდა. თვალწარმტაცად ეშვებოდა კუპრივით შავი თმა ქათქათა ყელზე ჩამოვარდნილი მზის სხივი მოკალათებულიყო მის უსაშველოდ ლამაზ ცისფერ თვალებში.

— მიშველე, ექიმო! მშობიარობა მეწყება. ჯერ არ ველოდი. აქ ამხანაგის ღლეობაზე ჩამოვედი. საბუთები არ წამომილია.

ახლა იგი ექიმისთვის მხოლოდ პაციენტი იყო და ისიც გულდაგულ უსმენდა მას. ექიმმა ქალის თვალებში უნაპირო სევდა ამოიკითხა და ყველაფერს მიხვდა... მეც ხომ ქალი ვარ. მეც ხომ დამემსხვრა ერთ დროს ოცნებები, მეც ხომ მიღალატეს,

გამჭირეს. ნეტავ თუ იმეცებს ოდესმე ქვეყნად ნდობა, თუ დაისაღვურებს იგი ადამიანთა გულებში სამირადუამოდ. სად გაქრა ნდობა? სად წავიდა? ეგებ თვით ღმერთმა წაგვართვა! თქვენ არა ხართ ის ხალხი, მაგის ტარების ლირსი რომ იყოთ. ალბათ სხვა ხალხს გადაულოცა. გადაულოცა თუ მიუგდო, ესცე საკითხავია. ეგებ იმ სხვასაც არ უნდოდა და ძალით შეჩერა. ეგებ უნდობლობითაც ფონს იოლად გადიოდნენ... გადიოდნენ... რა ადგილი სათქმელია. ექიმი ფიჭრებიდან გამოირჩა.

— იყვანეთ ზევით. სასწრაფოდ მომზადეთ პაციენტი, — გასცა განკარგულება.

— ცვეთეშვილი! — ალფროვანება ვერ დამალა ექთანმა ულამაზესი ქალის ხილვისას, რომლისგანაც ბედისწერის ქალღმერთი ანაკე შორს იყო, გაუსაძლისად შორს.

ქალს მშობიარობის შშუცვლელი ტკივილები დაეწყო.

იუველირის სიზუსტით მოძრაობდა დასტაქარის „მგრძნობიარე თითები“. ექთანი მშობიარეს დაცვარულ შუბლს უწმენდდა.

— მეტრეველი, ვაჟი გეყოლა, — ახარა ექიმმა, — სამკილოგრამ ნახევარი, 59 სმ.

\* \* \*

ნერვიულად მოცახცახე ტუჩები ქალის განწირულობაზე მიგანიშნებდა. სახეზე სინაცული და შიში აღბეჭდილიყო. ალბათ მკვდრის პატრონსაც არ ექნებოდა ისეთი გასაცოლავებული სახე, როგორიც მის ჰქონდა.

ძუძუს მოსაწოვებლად ბაგში მშობიარობიდან მესამე დღეს მიუყვანეს. თვალები მაგრად დახუჭა ჩილი რომ არ დაენახა და ძუძუ ისე მისცა. ექთანი გაონგნებული დარჩა. საღამოს კი საავადმყოფოს თეთრეული გაიხადა, იქვე დაყარა, მისი ჩაიცვა, ჩუმად ბალიშის ქვეშ რომ ჰქონდა ამოდებული, და სამშობიაროდან გაიპარა. შვილის სიყვარული, ალბათ, იმ ცრემლებს გაატანა, კიბეებზე ჩასვლისას რომ ეღვრებოდა თვალთაგან.

... უიმე, დედა! შვილის დატოვებას როგორ გავუძლებ მეო, ადრე რომ ამბობდა, ტყუილი აღმოჩნდა. დატოვა და გაუძლო...

\* \* \*

ჰაერი წიწვის სურნელით გაიღენთილიყო. უწერასთან რიონი კისრისტებით მიექანებოდა შავი ზღვისკენ. შარაგზა, მამისონის უღელტეხილისზე, ჯერ თოვლა არ ელოდებოდა.

სანატორიუმი „ფაზისი“ დამსვენებლებს იღებდა. კარებში გამავალმა კაცმა ხაზგასმული მზერა ესროლა მოსულს, ძალიან მელანქონიური სახე და დიდი ცისფერი თვალები რომ ჰქონდა. მერე საღამოს ძელსკამზე ჩამომჯდარი იხილა, ჭილარათმიან ქალთან ერთად. მთვარის სხივები ქალებს თითქოს კალთაში ეღვინთებოდათ. უნდოდა მათ გამოლაპარაკებოდა, მაგრამ ვერ გაბედა, იქვე მამაკაცებს შეუერთდა და ლაპარაკში ჩაერთო.

— გამოსწორდება მდგომარეობა თუ იცი?

— არ ვიცი. რიბარაბოზე ჯერ სიზმარი არ მინახია...

— იმოდენა გადასახადი დააწერა ჩემს ფირმას საგადასახადომ, მგონია, მალე გავკოტრდები.

— გადასახადი ის ნახე, თოფაძეს რომ დააწერეს. იმასთან შედარებით შენი რა არის!

— არა კაცო! ასე შეიძლება? მთავრობა მხოლოდ იმაზე მუშაობდეს, რანაირად

გავუმშვარო ხალხს სიცოცხლეო? რანაირად გავხადო ღარიბ-ღატაკიო?

— კი, კი... მაგაზე არიან დამეცადინებული რამენაირად მდიდარი არ წარმოიშვას ხალხში, რამენაირად მაგენი არ გამდიდრდნენ, თორებ დავილუპებით, დაგვაჯდება თავზე, რომ გაძლება მერეო. სწორი იყო ლენინი, მონა არ გააძლოო რომ ამბობდა:

— მაგას არ ვამბობ მეც? ასე დაუსრულებლად შეიძლება მეწარმეებზე იუების მოჭერა? შემიშვი, შე კაცო, ცოტა, რომ მეც ვიგრძნო თავისუფლება, მარტო შენ რომ გიგრილებს მისი სიონ შებლს.

— სხვათა შორის, არც ერთი მონათმფლობელი არ ამჟავებდა თავის მონას სას კილოგრამ ხორცის ფასად... ესენი კი... 12 ლარი პენია. ხელფასი?.. სათქმელად არ ღირს... ისხდნენ ქალები და მამაკაცების გაცხარებულ ლაპარაკს ყურს უგდებდნენ.

— თუ როგორ უჭირს თავის სვეგამშვარებულ ქვეყანას, ამის გაგება არც ერთს არ უნდა. ვერც ის შეუგნიათ, რომ არც ერთი წყაობილების დროს სახელმწიფო არ არჩენდა ხალხს, არამედ ყოველთვის ხალხი არჩენდა სახელმწიფოს — თქვა ჭაღარათმიანმა ქალმა.

— ამათი ლაპარაკით თავი მეტკინა. ავიდეთ ზევით და ყავა დავლიოთ. ოღონდ ცივი, ხსნადი ყავა — თქვა ცისფერთვალებამ. მერე ფეხზე სწრაფად წამოხტა და თითქოს, სიცხით გათანგულს, მონატრებული ცივი წყალი გადაავლესო, უცებ გმიოცოცხლდა... როცა ყავის ლამბაჟი მაგიდაზე დადგა, ჭაღარათმიანს მორიდებით მიმართა:

— ქალბატონო ქეთევან, თითქმის ერთი თვეა ერთად ვართ და მუდამ სევდიანს გხედავთ. ასე მგონია, გულით უშველებელ დარღს ატარებთ, თითქოს რაღაც გაწუხებთ...

— კი მაწუხებს... მარტოკა სიკვდილი, მარტოხელა სიცოცხლის შემდეგ და იცი რატომ? ეს ცოტა დიდი ამბავია... მე თავად მიიღუსაჯ მუდმივი ტანჯვა ჩემს თავს, რადგან გამოუსწორებელი შეცდომა ჩავიდინე და თავად დავსვი ჩემი თავი საბრალდებო სკამზე. მე ძალიან მძულს სიტყვა „დიდი ხანია“, „იყო“, „მახსოვს“, მაგრამ ახლა ისეთ ხასიათზე დამაყენა შენმა შეკითხვამ, რა დარღს ატარებო, მინდა მოგიყვე ჩემი ცხოვრების „ოდისეა“ წარსულიდან მოხმობილი.

\* \* \*

— რომ ამბობენ, ოჯახი ქალისა და მამაკაცის ურთიერთობის ყველაზე უარესი ფორმაა, მაგრამ კაცობრიობამ უკეთესი ვერაფერი მოიგონაო, სავსებით სწორია — და იწყო ჭაღარათმიანმა, რომ ვერ აეწყო ჩემი და შალვას ცხოვრება, ამის მიზეზად ჩემი უშვილობა მიმაჩნდა. ყოველდღიურ უსიამოვნებას დასასრული არ უჩნდა. როცა შალვა უკვე აღარაა ამ ქვეყანაზე, ახლაც ვერ დამიდგენია, თუ რა იყო ჩვენი შეუთავსებლობის მიზეზი. ალბათ ერთმანეთში ყველაფერი ამოვწურეთ და მერე ოჩივენი მჭიდროდ ნაქსოვ ბადეში აღმოჩნდით, სადღაც გრძნეულ ქვეყანაში და ვიღაცის გრძნეული ხელი უფსკრულისაკენ მიგვაქანებდა. რაღაც რომანტიული გარემო უნდა შეგვეჭნა, თორებ ერთმანეთს აუცილებლად დაგშორდებოდით. ძნელი იყო სამზეოზე უმიზნოდ ყოფნა და გადავწყვიტეთ, ბავშვი აგვევვანა გასაზრდელად. მეგობრის ქალიშვილი ბავშვთა სახლის სახლის დირექტორი იყო და მას ტელეფონით შევეხმიანეთ. მყავს ხუთი თვის ბიჭი. ძალიან ლამაზია, მოდით და ნახეთო. იცი, რა სიხარული მოზღვავდა ამის გაებისას? მთელი ღამე ლაპარაკში გავათენეთ, ვინ დაიძინა. უკვე საერთო საქმე გაგვიჩნდა და ჩვენს შორის წლობით გაჩენილი ბზარი უცებ ამოიგოს. შაბათი დღე იყო, მაგრამ დილით მაინც იდრე ავდექით; სათამაშოები

ხომ უნდა გვეყიდა ბავშვისათვის. შალვა, ცნობილი თავისი მომშიონეობით, რასაც იგი სიძუნწეს კი არა, სამეურნეო ანგარიშიანობას ეძახდა, ახლა ყველაზე ძირიან სათამაშოებს არჩევდა. როცა „მთვარეზე მავალი“ გაღმოაღებინა გამყიდველს, ვუთხარი — ჯერ პატარა ყოფილა, ვერაფერს გაუგებს, თან ძირია — მეტე. ამაზე სულ ძუნწი მიძახა. შენ რა ქალი ხარ ჩვენი ბავშვისთვის სათამაშო გენანებათ. გესმის? უკვე ჩვენად მიაჩნდა. მე გულში ვზეობობდი, იგი ასე რომ შეიცვალა და ამ სახეცვლილებას ჩვენს მომავალ შეიისახავდი.

ბავშვთა სახლის დირექტორი, უსაშველოდ ლამაზი, სათნო ქალიშვილი იყო. ოთხი წლის დამთავრებული ჰქონდა სამედიცინო ინსტიტუტი. — ჯერჯერობით არაფრის თქმა არ შემიძლია — გვითხრა მან. ბავშვი დაბადებულა, ჩვენთან სამშობიაროში. დედას იგი დაუტოვებია და მას ვისაც სამშობიაროდან წაუყვანია, ავარიით დალუბულა და ბავშვი თვის მოიყვანესო აქ. წესია ასეთი, უნდა დაელოდოთ, თუ როგორ განვითარდება ბავშვი. თან ფორმალური მხარეცაა მოსაგარებელი. ოჯახის შემოწმება, განათლების სამინისტროს მომართვა და სხვა. ჩვენ წინააღმდეგობა არ გავიწევია.

— იცოდეთ, ბავშვი უკვე თქვენად ითვლება და როცა გსურთ მაშინ ნახთო. ბავშვის ხილვით თითქოს ზეციური სული შემოვიდა ჩვენში. იგი ჩვენი ცხოვრების ყოველდღიური სიხარული გახდა. სამსახურიდან მოსულები ყოველ მეორე დღეს დავდილოდით ბავშვთან. მანქანაში ჩავისვამდით და გასეირნებდით. ისიც შეგვეჩვია და ჩვენი ხილვისას სიხარულისაგან იბადრებოდა. იფახულებდა გრძელ წამწამებს და ჩვენც გულში ვიკრავდით თეთრსა და ბუთხუზას. რომ მეგონა, ტკბილი ცხოვრება შორეულ ციალად იქცა-მეტქი, თურმე ვცდებოდი ადამიანის ბედნიერება თურმე ყოველთვის სადღაც არის, მას პოვნა უნდა მხოლოდ და ჩვენ ვიპოვეთ იგი.

— შალვა ხეალ სამსახურიდან დროზე მოდი, არ დაგაგვიანდეს, ბავშვთან ვართ წისასცლელი... და ისიც არ აგვიანებდა.

სიყვარულმა და სიმშვიდემ დაიბუდა ოჯახში. გაჩნდა ცხოვრების მიზანი — ჩემი ბუთხუზა — სულ ამას ვიმეორებდი. არა, ჩემი — ამბობდა შალვა.

ისე, ეს ბავშვი არ გაგაგიუებდეს და მეტი არაფერი მინდა — მეტყოდა ლიმილმორეული.

ყოფიერების ხილულ სამყაროში ბავშვებ მეტი საყვარელი, მე მგონი, არაფერია. მისი ვიზუალური აღჭამა დიდ სიამოვნებას გვანიჭებდა. ეს, ალბათ, მარტო ჩვენს ბავშვს არ ენებოდა არამედ — ყველა ბავშვს, ვინც ამ ქვეყნადა. ჩვენი ცხოვრების უმშვენიერები წამები იყო, ბავშვთან ყოფნა.

— ახლა დაძინების დრო აქვს — გვაფრთხილებდნენ და ჩვენც იძულებული ვყყავით, იქაურობა დაგვეტოვებინა. სიხარულისაგან გაოგნებული დავდიოდი. აქ კი არა, ვითომ ასტრიალურ სამყაროში ვიყავი, სადაც ყველაფერი მშვენიერია.

იგი სიზმარშიც მუდამ ჩემთან იყო.

როგორ მეგონა, სანეტიარო წამები და ლამაზი ფერადი ზღაპარი დასრულდებოდა, დასრულდებოდა ტრაგიკულად და ჩემად მიჩნეული ბავშვი ჩემი მარადი ტკივილი იქნებოდა.

მე და შალვას ათი დღით სასწრაფოდ მივლინებაში წასელა მოგვიწია. რომ დაგბრუნდით — დღეს ბავშვთან ადრე წავიდეთ, უსაშველოდ მომენატრა — მითხრა შალვამ. წინა ღამით საშინელი სიზმარი ვნახე. ვითომ ჭაში ჩამივარდა ბავშვი და კვლარ ამოვიყვანეთ. ინტუიცია არ არსებობსო, არ თქვა. ადამიანი წინასწარ გრძნობს

უბედურების მოახლოებას. მივდიოდი, მაგრამ არ მიხაროდა. დროისა და სივრცის უწევულო პლეადი, გზა, ისე დაგრძელდა, რომ შალვას ვკითხე — სწორად ხომ მივიყვართ-მეთქი. თავი პირქუშ და უსიამოვნო სამყაროში გვევონა, სადაც ჩვენთვის მხოლოდ ცუდი შემთხვევები მზადდებოდა.

მომეჩვენა, რომ დირექტორი ჩვენთან მოსვლამდე, ფეხს ითრევდა. რომ მოგვიახლოვდა, ტუჩი მოიკვნიტა და ხმადაბლა მოგვესალმა. მე შეშინებული მივაჩერდი.

— მოხდა რამე? — სულმოუთქმელად შევეკითხე.

— იცით? სამი დღე, რაც შევამჩნიეთ... მაღალი სიცხები ჰქონდა. თქვენთან ვრეკავდით, არავინ პასუხობდა. ექიმებმა ცერემბრიალური დამბლა დაუდგინეს. ქვედა კიდურებს ვერ ამოძრავებს. გავლით ვერ გაივლის და ვერც ნორმალურად იმტკველებს...

— რატომ? რისთვის...

— ალბათ თავის დროზე პოლიომიელიტის ვაქცინა არ ჰქონდა მიღებული. ორმოც დღემდე ბავშვს დედის იმუნიტეტი იცავს და წამალი არ უნდა. კარგი დედა მას მეორმოც დღეს დაალევონებს, რომ დაიცვას ბავშვი მომავალი ინგალიდობისაგან. ინფექციის ამბებია, როდის შეხვდება რა იცი. ეგებ არც არასოდეს შეხვდეს.

ვგრძნობდი, ზესკრელის უმაღლესი სევდა მეუფლებოდა და ჩემი სხეული ნაფლეთებად იკუწებოდა. შალვას სახეზე მკვდრის ფერი ედო. ბავშვისთვის მოტანილი უშველებელი „დათუნია“ საღლიც გაურკვეველი მიმართულებით მოისროლა და პირში ვალიდოლი ჩიდო. შალვა, სულ რომ ბავშვთა სახლისკენ მიისწრაფოვდა, ვფიქრობდი, ბავშვი მიზეზი ხომ არ არის და დირექტორი ხომ არ შეუყვარდა-მეთქი. არა და, ისეთი უმწიკვლო ავტორიტეტით სარგებლობდა ეჭიმი, ამის გაფიქრებაც ცოდვა იყო, რომ იგი დღესმე ჩემს ქმარს შეიყვარებდა.

— კიდევ გამოიარეთ, ეგებ სხვა დროს... ისეთი გულწრფელობით და თანაგრძნობით იყო ნათქვამი, რომ ქვეტექსტების ქებნა მკრეხელობა იქნებოდა.

ჩვენს ირგვლივ იმედის გაცრუება და ილუზიების სიკვდილი დაფარიფატებდა, რომელმაც სიცოცხლის ხალისი დაგვიკარგა. გრძნობის მოთოვეა ვერ შევქელი და გულამისკვნით ავტირდი. შალვამ ხელი მომკიდა და მანქანაში ჩამსვა. განადგურებული დაგბრუნდით სახლში. ორივენი ვგრძნობდით, რომ ზეობრივი ნორმა დაირღვა და აწი მისი აღდგენა ვერ მოხერხდებოდა.

— როგორ ადვილად გავიმეტეთ? — ვფიქრობდი ჩემთვის. ყველაფერი ეს მოვლენათა გარედან ჭრეტა იყო და არა ის, რაც უნდა მომემოქმედა, თუ სრულიად დავიწყებული არ მქონდა რუსთაველის სიბრძნე: „სიყვარული გზად და ხიდად“. საკუთარ ტკივილზე საუბარს ყველასთან გაფურბოდით. სასაუბროც ბერი არაფერი იყო აგადმყოფი გამოდგა და იმიტომ ვერ ავიყვანეთ. უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა, პრინციპულად არ ავიყვანეთ, რომ მერე ჩვენ არ გავწვალებულიყავით, რაც მის მკურნალობასთან იქნებოდა დაკავშირებული, რომლისგანაც შედეგი ნაკლებ საიმედო იყო. არა, პირველ რიგში ადამიანს თავისი თავისი თავი უყვარს, ისეთ გარემოს არჩევს, რომ თავად ნაკლებ გაწვალდეს. ზოგჯერ ჩემს თავს ვედექი მსაჯულად — გოყიელის ქალო, ეგოისტი ხარ შენ და მეტი არაფერი. საკუთარი თავი გიყვარს მხოლოდ. ქმრიანი ქალის სახელი შენს თავმოყვარებას აქმაყოფილებს და ამიტომ გინდა ქმარიც. უკეთესი იქნება, მართებულ დასკვნებს თუ მიაგებ შენს თავს. ვერ შეძელ ადამიანური მოვალეობის სამსხვერპლოზე მიგეტანა შენი

ცხოვრება, ხოლო რაც შეხება ერის ქალობამდე შენს ასვლას, ფუჭია ამაზე ფიქრი. შენ ამას ვერასოდეს შეძლებ, შენ არავის შეწირები. შენ მაშინ ხარ კარგ ხასიათზე, როცა შენ გეწირებიან.

გული სევდით მეონდა შებოჭილი და ეჭვი არ იყო, რომ ასე ადგილად ვერ დავივიწყებდი პატარას, რომელიც თითქმის სამი თვე ჩემს კუთვნილებად მიმაჩნდა. გული მემდუღლებოდა მის ფართოდ გახელილ, შეგი წამწამებით მოჩრდილულ, ცისფერ თვალებს რომ ვიგონებდი. მალე შალვაც დამეღუპა და მარტობამ და უიმედობამ მიწასთან გამასწორა. პირველ ხანებში თუ ისე ტკივილამდე მენატრებოდა, რომ გული სიმწრით მეწურებოდა, მერე პატარას სახე თანდათან ბურუსით დაიფარა. ზოგჯერ თავს შემახსენებდა და მაშინ საშინელ ხასიათზე ვდგებოდი. იმდღევანდელი ტკივილი მაინც ხშირად მიმძაფრდებოდა. მიინავლებოდა მებსიერების ფსკერზე, მერე ისევ ამოტივტივდებოდა და ასე გრძელდებოდა წლების მანძილზე. ზოგჯერ წარმოდგენის უკიდეგანო სივრცეს გადავლახავდი და იძუღმად მის ცხოვრებაში შევიწრებოდი. სადაა ახლა? რას შერება? ინვალიდის ეტლი არგუნა განგებამ თუ გამოუჩნდა მაღლიანი, უმკურნალა საზღვარგარეთ და დღეს ქალაქის ქუჩებს ამშვენებს შავთმიანი და შავწარბება!?

ასე მივყვებოდი წლებს. გარდა მონატრებისა, იყო სინდისის ქეჯნაც. ჩვენ ხომ იგი უწერ მივატოვეთ, განგების მიერ განწირული, და რომლის მარტოსულობაში ჩვენი ბრალეულობაც ერია.

თითქოს მივივიწყე. მივივიწყე კი არა, გულის ერთ კუნძულში მივუჩინე ბინა, რომ მერე ხშირად გამომეხმო, რათა მთელი გრძნობა და გონება დაებინდა ტკივილს, რომელიც არასოდეს ჩეხება. იგი მხოლოდ დროებით ყუჩდება შეგუების მარადისობის კანონს დამორჩილებული.

დროის მდინარებამ წვრილმანები ჩემში საგსებით წაშალა და რაც დამრჩა, მანც მტკიცნეული იყო. წლების მერე სურვილი დამებადა, მის კვალს გაყოლოდა. ესეც ვერ გავაკეთე. ან რა უნდა მეთქვა ინვალიდის ეტლში ჩამჯდარი რომ დამენახა? პატარა რომ იყავი შენა შვილად აყვანა მინდოდა, მაგრამ დაავადებული რომ გამოდექი, მიტომ მიგატოვე-მეთქე? რაღაც მორალის ფარგლებში ვერ თავსდებოდა ჩემი ქმედება, რის გამოც სინდისის ქეჯნას განვიცდიდი. მალე დამეუფლა ისეთი განცდა, თითქოს უსხეულოდ დაიკრჩი. რაც მთავრია, სული დამიბერდა. სიბერე ხომ წლები არაა, იგი სულის სიძაბუნეა მხოლოდ.

— დედამ როგორ დატოვა არ იცი? — ხმა ძლივს ამოილო ცისფერთვალებამ.

— როგორ არა. ჩემი მეზობელი ექთანია და იმან მიამბო, მშობიარობის მესამე დღეს მიუყვანესო დედას. მაგრად თვალდახუჭულმა აწოვაო ძუძუ, რომ არ დაენახა პატია. უმანქო ჩილი დედას მკერდს მიხუტებული მხოლოდ ნახევარი საბათი იყოო. საღამოს დაყარა ტანსაცმელები და გაიპარაო. დედას პატარა ბარათიც დაუტოვებია. მამის სახელი ლაშა დაარქვით, ხოლო გვარი ჩემი ატაროს — მეტრეველიო. დედას სახელიც იცოდეს, მის უბედურ დედას მირცა ჰქვიათ.

ამის გაგონებაზე ცისფერთვალებამ იატაზე ზღართანი მოადინა. ქეთევანის თვალწინ შორეული წარსულიდან ბავშვის უსაშველოდ ლამაზი, დიდი ცისფერი თვალები გაკრთა.

ქეთევანი მირცას მივარდა. წყალი აპკურა, მოასულიერა.

ქალი ცრემლად იღვრებოდა.

— მე ვარ ის უბედური დედა, ქალბატონ ქეთევან, ლაშა დედა. დედის

მოძულებული, ღმერთმაც მოიძულაო, რომ იტყვიან, სწორი ყოფილა... ჩემი სიხარული დიდი ხანია დასამარდა. მე იგი ლაშასთან ერთად სამშობიარო სახლში დავტოვე, ბათუმის სამშობიარო სახლში...

იმ ღამით ორი დაჭრილი გულის გოდება ზეცას ერთვოდა.

\* \* \*

ფანჯრიდან ვარსკვლავებით მოჭედილი ცარგვალი და რვა საუკუნის, დიდი თამარის მომსწრე ცაცხვი იმზირებოდა. მერე ციდან ვარსკვლავები აიკრითნენ. უკუნეთი ჩამოწვა. წყვდიაღში იძირებოდა რაჭა. აყვია ქარი კარებს ასკდებოდა. თითქოს აგერ-აგერ შემოამტვრევსო. მერე კოკისპირული წვიმა და ქარი ერთმანეთს გამბულად ეჩურჩულებოდნენ.

შეორე დილით გამოიდარა. ვალოდია უივიძე, დამსვენებლების „გაკულტურება“ რომ ევალებოდა, ხალხს ნიკორწმინდაში წასასვლელად ეპატიუებოდა.

მირცა მეტრეველს კი ზღვისპირა ქალაქისკენ აელო გეზი. იგი იმ გზას ადგა, შვილთან რომ მიიყვანდა, რომელიც მან მაშინ დატოვა, ყველაზე შეტად რომ სჭირდებოდა დედა.

ავტობუსი ნელა მიჰყვებოდა რიონის ნაპირს. ყოვლისშემძლე ზენაარი თავის საქმეს აკეთებდა. ხევებში ბროლად ჩაღვრილი ნაკადულები სასიამოვნოდ ბუბნებდნენ. სადღაც იაბო ჭიხვინებდა და მკერდით მიაპობდა აქთფებულ რიონს, რომელიც კისრისტებით მიექანებოდა შავი ზღვისკენ. მირცას გულში ქარს მის მიერ მიტოვებული შვილის სევდა შემოჰქონდა, სევდა ულევი.

მარიამობის დღე იყო, 28 აგვისტო, ლაშა მეტრეველის დაბადების დღე.



## ბორის მეტრეველი

### გომიულა

შენსკენ ვილტვოდი თავნება ბავშვი,  
ხშირად მიკლავდი უინიან სურვილს;  
მომიტანია მრავალჯერ სახლში  
შენი კალმახის ლორწო და სუნი.

ჩაგიხატია მორეგში ცოცხლად  
ცინცხალი სახე ქოჩორა ბავშვის.  
ახლა კი შევკრთი, გამოეტნდა როცა  
ელფერშეცვლილი ანგარა წყალში.

ვხედავ, ბობლავენ მაშინდელ ქვებზე  
ხელში ანკესით სულ სხვა ბიჭები.  
ნუთუ არ შეკრთი ოცი წლის შემდეგ  
შენს ნაპირებს რომ ობლად მიყვები?

ვერსად წასულიან ამ ქედებს იქით  
ჩემი ყველაზე ლამაზი წლები.  
სულ თვალწინ ბრწყინავ და, რაც დრო მიდის,  
უფრო და უფრო წარმტაცი ხდები.

აგერ დილის მზე მოცურავს შექრში,  
ღიმილს რომ აფრქვევს დაცვარულ წიფლნარს.  
სადღაც რაჭაში, დაბურულ ტყეში  
კამკამებ ცისფრად, ელვარებ მზისფრად.

შუბლშეჭმუხნული ჩავცქერი წყალში  
და ზანტად ფრთხები ესხმება სურვილს...  
ვგრძნობ, არ მიმყვება იმ ეშნით სახლში  
შენი კალმახის ლორწო და სუნი.

\* \* \*

მზიანი დილა გათენდა, მალხენს სიცოცხლის ხალისი,  
ვლილინებ, გული ლალდება, რა მიხარია არ ვიცი!  
სად გაქრა დარდი, წუხილი, რა აღტაცებას განვიცდი?  
ქედლებს და ფანჯრებს ვუღიმი, რა მიხარია არ ვიცი!  
ვლილინებ, ხეითქი გადამდის, ვერ გამჩნევ სიცხეს დამდაგვლის,  
თითქოს ვარ დიდი სარდალი, თითქოს ვიღებდე კართაგენს!  
მზე ცის თავნებზე ამიღლდა, დღე სადღაც მიდის თავისით  
მხიარულად და ლაღად ვარ, რა მიხარია, არ ვიცი!

ვერ გამიგინა

გული რად მეწვის ჩოგორც აბედი,  
რატომ ვნეში და ვიღვრები ოფლად?  
რამ შეაძულა ხალხს ერთმანეთი,  
ან რატომ ვვიყვარს უსაქმოდ ყოფნა?

დაბრული გარ ხალხის სიჭრელით,  
რომ არ ცხრებიან არც დღე, არც დამე  
რატომ ცდილობენ ხეპრე ბიჭები,  
რომ წააღლოს ტონ ვიღაცას ამავ?

თავს ვეკითხები — დავმშვიდდე როგორ? როდესაც კეთილს ბოროტი ჭაბნის? ვერ გამიგია, რად დადის გოგო ძალანან მოკლე, გაქრიბილი კაბით?

ზოგი ქეთობს და ტებილად ძინავს,  
ზოგი ნაგავში ეძებს ნარჩენებს.  
ვხედავ, კეთილ კაცს არა აქვს ბინა,  
როცა თაღობითი გარეუს აშენებს.

ღამეში მესმის ხალხის გნიასი,  
ვიღაც დაძრწის და სხვას ლუკმას ართმევს,  
დილით ის შედის ეკლესიაში,  
აღბათ ემაკაბს დაუნთებს სანთოლს!

ბოლმა გულს აწევს, როგორც ბორკილი,  
მზე ვერ იხილა გულის ხახილმა,  
ხალხი გამრჯე და კეთილშობილი  
ბაზარმა როგორ გათანხსირა!

მძიმე დარღვებმა სახე დაღარა,  
მწარე ფიქრები იღარ მომცილდა.  
გადმოიხელე, ღმერთო მაღალო  
და გამიყვანე ამ ქანისიდან!

## პატარე აგვივენეს

ՃՐԺՈՎ ԱԾԱՇԽԾԵՂԵՆ

ბათუმის ბულვარს აშვენებს ქეგლი,  
სიმტკიცე ამკობს ფიქრიან სახეს.  
თავზე დანათის ზეცა ნათელი,

პატრიოტ მნახველს ფიქრებში გახვევს.  
 მე მოკრძალებით შევდგები ძეგლთან  
 ცხარე ბრძოლებში გატანჯულ კაცის.  
 მას ვერ აქრთობდა სიმრავლე მტერთა,  
 ვერ აშინებდა ცხოვრება მყაცრი.

ხალხში ბრწყინავდა, როგორც კანდელი,  
 მტერთან ჭიდვილში დაუცხრომელი.  
 სამშობლოსათვის ტანჯვით, წამებით  
 მან გაიმუშარა წუთისოფელი.

მას შეცემოდა მთელი ქვეყანა,  
 გადაიტანა ცხარე ომები,  
 რომ სინათლეზე გამოეყვანა  
 წყვდიადში მყოფი ხალხი მშრომელი.

თუმცა ბრძოლაში დაღვარა სისხლი,  
 არ ეშინოდა სიკვდილთან შეხლის  
 და ანაცვალა სიცოცხლე თვისი  
 თავისუფლებას მშრომელი ქვეყნის!

იყო ვაჟკაცი დაუდგრომელი  
 და მტერს ზარავდა მისი სსენება.  
 ქვეყნად სიმართლის გამარჯვებისთვის  
 დაკარგა ძილი და მოსვენება!

ახლა კი ხედავს შრომის ქუხილი  
 მთებიდან მთებში როგორ გადადის  
 და განახლებულ მხარეს უღიმის  
 კაცი, ათასომგადანახადი.

## მუსიკის ხეოვნას

თავს დაგიქანცავს ფიქრთა ჭიდილი,  
 გულში სიცოცხლის ქრება ხალისი,  
 როცა შემოდის სახლში სიკვდილი  
 და ოჯახს ტოვებს დიასახლისი!

მძიმე ნაღველით გული გაქვს სავსე,  
 ნერვებს გიწერავს დარდი ულევი,  
 შენი ოცნების კამკამა ცაზე  
 იზმორებიან შავი ღრუბლები.

მძიმედ იზრდება სევდა მტანჯველი,

დარიალებენ შავი ჩრდილები  
 და გეჩვენება სახლის ფანჯრები  
 მოგშტერებიან დაღვრემილები.

თითქოს დღეს შენთვის ზეცა ბნელდება  
 და აზროვნება ძალიან გიჭირს.  
 გვონია ჭერი თავზე გენგრევა,  
 მუდამ რომ ტირის ოცი წლის ბიჭი.

ირგვლივ დუმილი სამარის მსგავსი,  
 არსად ელფერი, არსად ხალისი,  
 როცა შემოდის სახლში სიკვდილი  
 და ოჯახს ტოვებს დიასახლისი!

## ქვითირი

ვინ დაგარქვა ქვიტირი? წარსულს ხომ არ მიტირი?  
 თალარიან ეზოდან მესმის ბალლის ტიტინი.  
 ზღაპარს მოჰვავს ათასფრად გაფოთლილი ტყისპირი,  
 კრთის ფოთლებში ცისპირი, ვინ დაგარქვა ქვითკირი?  
 იელვარებს ვაზანებს მზიან დილის სიცილი,  
 ნაკადული ჩხრიალებს, თუ გრუხუნებს წისქვილი?  
 ეხუტები გრილ მიწას ღვინით სავსე ქვევრებით,  
 ეტმასნები ქუთაისს ბროწეულის ტევრებით.  
 მინდა გერქვას ედემი, გულზე ცეცხლად მედები,  
 დგანან კერის ბურჯებად ახალგაზრდა დედები  
 ვინ დაგარქვა ქვიტირი? წარსულს ხომ არ მიტირი?  
 თალარიან ეზოდან მესმის ბალლის ტიტინი.

## ფეხი აყენებ სიმართლეს

თამაზ წიგწივაძეს

გონება საღი, ნათელი  
 ეპოქის ბურსს გინათებს  
 და ბალაზივით გათელილ  
 ფეხზე იყენებ სიმართლეს!

გეჭიბრებიან წერაში,  
 ვით ყვავი არწივს ფრენაში.  
 გიწყობენ მზაკვრულ თავდასხმებს  
 ფრაზებით, ყურით ნათრევით,  
 ყვირიან, ალყას გარტყამენ,  
 ვით საკაძეს—თათრები.

ზოგს მწერალს თითქოს არ ესმის  
 შენი ალალი ფიქრები,  
 შენ ხარ სიმართლის ტალკვესი,  
 ამაოდ გიტევს მლიქვნელი!

მტრების ჭინაზე მღერიხარ,  
 თუმც გქანცავს ჭაფა ორმაგი.  
 შენ, უნიჭობის მტერი ხარ,  
 ნიჭიერების — ქომაგი!

შენი კალმის ნაპერწკლებს  
 ვხედავ გახვეულს ღადარში,  
 ფრთხილად, როს უტევ თავხედებს,  
 ხმალი არ გატყდეს ვადაში!

## ეპსარომათი

ეს ხეობა დაბურული  
 ჩემი კუთხის ჭიშკარია.  
 ონის ხიდზე შებიჯება  
 რატომ აღარ მიხარია?

ვინც მელოდა, აღარ მელის,  
 გული როგორ გაიხარებს?  
 ჭილულასპირს მეგობარი  
 ვეღარ მიღებს მარნის კარებს.

რომ მივადგე ღარულასპირს  
 სახლს კაცივით ჩაფიქრებულს,  
 ვერ ვიხილავ კეთილ სახეს,  
 წრფელ ღიმილით გაბრწყინებულს.

თუ დამჭირდა ამ სოფლებში  
 შევაბიჯებ მე ონიდან,  
 არავინ ჩაიბუხუნებს —  
 შეხე, ქალო, ვინ მოვიდა!

მეფანტება ფიქრი ქარში,  
 ბრჭყალებს მისვამს გულზე სევდა,  
 ონის ბოლოს, ონის თავში  
 ჭიგარ მოყვრებს ვეღარ ვხედავ.

# 306 მოძის მოავტოდან


გორგა აბულაძე

## დ უ ე ბ ი

დღეს ისევ ვდგავარ სულის სარკესთან  
ქმარა, ხვალ სულ სხვა ცხოვრებას ვიწყებ.  
მეყო ლაციცი მსუბუქ ლანდებთან,  
შენ, ორეულო, დუელში ვიწვევ!

შენ შემაძულე სიცოცხლის სხივი,  
ლალი ოცნება შენ შემაძულე,  
მორჩა, ხომ ხედავ, იღარა ვჩივი,  
ჩემი სახლიდან გაგაბუნდულებ:  
შენ სატანასთან ხარ წილნაყარი,  
ხომ შემაძულე მთელი სამყარო,  
უდვე გაფსწორდი წელში საპყარო,  
და მზად ვარ, ჩვენი გზები გავყარო.  
მე შენს წილ სულსაც არა ვცემ თაყვანს,  
სხეულსაც გავყოფ, წაიღე წილი,  
შეგხვდები გზაში, დაგიდებ თათმანს,  
ლუელში მოგქლავ, გადვიხდი ქორწილს.  
მაშ დამიღექი, კმარა ფიქრები,  
ცალკერდ ხმლითა და დამბაჩით ცალკე,  
მალე ორიდან ერთი ვიქნებით,  
მოგიქნიე და...

თაიმსხარა სარკი.



\* \* \*

როგორ ვიცოცხლო,

თუ სიცოცხლე არ მაგდებს ჩირად,  
დარღი და სევდა  
შემზევია დღეს ჩემდა ჭირად,  
როგორ ვითმინო,  
რომ მიწაზე ქრისტეს მოსვლამდი  
დათარეშობს და  
სულს ყიდულობს ბილწი ვოლანდი

განვედ სატანავ,

ჩემს სულს უკან ნუ იმაღები,  
მე ვერ მაცდუნებ,  
წაგცივდება შურით თვალები.  
ჩემი სავალი გზა  
სულ სხვაა, ვერას გაიგებ  
მაშინ მოკვდები,  
ჩემი ხელით ძეგლს რომ ავიგებ.

\* \* \*

დღეს, როგორც გუშინ, დაღამდა

მე ისევ ისე მარტო ვარ.  
კიდევ ერთი დღე დამაკლდა,  
კიდევ ერთმა დღემ დამტოვა.  
დრო ისე, უჩუმრად გადის,  
ვერა ვგრძნობ ფერისცვალებას.  
მე ჩემს მაგივრად მოვკვდები,  
არავინ გენაცვალება.

\* \* \*

ჩემი ქალღმერთი სხვისი ყოფილა,  
სხვა აჰყოლია მის ნაწინავს კლდეზე,  
მე კი სულ მარტო შემოვჩინ ფიქრებს  
და მიგიჩქარი ჩახლართულ გზებზე...

და მაინც, თუ კი ამქვეყნად სადმე  
ვნახავ მას, ვისი თვალებიც დამწვავს,  
ნანატრ განძივით მივისაკუთრებ,  
და იმ წუთშივე მოვაჭრი ნაწინავს.

\* \* \*

მიყვარხარ, ძლიერ მიყვარხარ,  
ჩემო არჩო და ნუტრია,  
მგონი, ამიხდა სურვილი,  
ჩემთვისაც გამოუდრია.

ქარის წისქვილთან მეომარს,  
თვალებს ამიხვევს სატანა,  
ისევ დამიმსხვრევს როსინანტს,  
მიშირს ამდენის ატანა.

მგონი, მზე მაღე ამოვა,  
დღეს დამავწეუბს ღრუბლიანს,  
ნელა გავყვები იმ გზაზე,  
სადაც დონ კითოტს უვლია.

ჰოდა, სჯობს ისევ იწვიმოს,  
ვინებ იმ გზაზე ვიარო,  
ხვალინდელ ტკივილს სჯობია,  
მტკიოდეს ძველი იარა.

## ლელა გუგულაძე

### შევედები მაღა

თხუთმეტი გაზაფხულს შევხვდები მაღე,  
თხუთმეტი იების ცვენას,  
შეირჩევიან ვარდის კოკრები,  
არ მომბეჭრდება ცქერა.

თხუთმეტი ახალ წელს მომილოცავენ,  
თხუთმეტი სიმღერის მღერით,  
თხუთმეტი ლექსს ვიტყვი საქართველოზე  
ვაჟას, ილიას ენით.  
თხუთმეტი სიცოცხლეს ვადღეგრძელებ და  
თხუთმეტჯერ ვტყორცნი ისარს,  
თხუთმეტჯერ ვაქებ საქართველოს ცას,  
საქართველოს მზეს, მიწას.  
თხუთმეტჯერ ვიტყვი, რომ პოეტები  
არა კვდებიან ქვეწად,  
სულით რჩებიან, აზრით რჩებიან,  
ლექსით რჩებიან ჩვენთან.

### მე ლექსი მასში...

მე ლექსი მესმის, —  
გულში მოგხვდეს, როგორც ისარი,  
უდიდეს მპყრობელს პოეზიის როგორც სჩვევია.  
მე ლექსი მესმის, —  
ანთებული ცოდნის ლაბარი,  
შეჭიდებული ბოროტების მფლობელ გენიას.  
მე ლექსი მესმის, —  
აღმართული ხმალი ფხიანი,  
ხმალი ფხიანი, მტერს კვალდაკვალ რომ ედევნება.  
მე ლექსი მესმის, —  
მოყვრისათვის სიტყვა წყლიანი,  
სიტყვა წყლიანი, ნათელ გულს რომ მოეფერება.  
მე ლექსი მესმის, —  
სინატიფე, ნაზი შშვენება,  
გულის სილრმიდან წარმოთქმული სიტყვა მართალი,  
მე ლექსი მესმის, —  
უმაღლესი გაცისკროვნება,  
ქვეყად რომ არ ჰყავს ბრწყინვალებას მისას ბადალი.  
მე ლექსი მესმის, —  
ოცნებების ზეცა უღრუბლო,

ვარსკვლავთ ციმციმი, სიყვარულის მძივი ასხმული.

მე ლექსი მესმის, —

სარკე გულის, სარკე სინდისის,

შიგ დანახული უდიდესი ჩვენი წარსული.

მე ლექსი მესმის, —

სიკეთისთვის სიტყვა მართალი,

სიტყვა მართალი, სამშობლოსთვის მტკიცედ დარგული,

მე ლექსი მესმის, —

სიყვარული გრძნობა გამთბარი,

გულის სიღრმიდან ბოროტება გადაკარგული.

მე ლექსი მესმის, —

გულში მოგხვდეს, როგორც ისარი,

უდიდეს მპყრობელს პოეზიის, როგორც სწვევია.

მე ლექსი მესმის, —

ანთებული ცოდნის ლამპარი,

შეჭიდებულ დღემდე უთქმელ ნათელ გენია!

### ნ 3 ი მ ა ს

წვიმის წვეთები ეცემიან ფოთლებს ჭადრისას,  
მოგონებებში ჩაძირული მრჩება წამები.

შევცერი ქუჩებს,

ნაცნობ სახელებს,

ნაცნობ აიგნებს

და ოცნებების ქარიშხალში მივექანები.

წვიმს...

როგორ შევის ის ჩემს ქალაქს,

ისეც მშვენიერს,

შევცერი ტრფობით და თავი კი

სიზმრად მგონია.

თვალს ვერ ვაცილებ წვიმის წვეთებს,

შრიალა ფოთლებს,

მშვენიერებას რამოდენა ძალა ჰქონია.

### მე ისე წადი...

შენ ისე წადი, არც კი გითქვამს რომ მშორდებოდი,

რომ სამუდამოდ დაიხურა ტრფობის კარები,

რომ ყველაფერი სიზმრად ნახულ ზმანებას ჰგავდა

და რომც მეცადა უსასოოდ შეგიყვარებდი.

შენ ისე წადი, რომ არ ერქვა მას განშორება,

უფრო იდუმალ მოჩენება იყო ფარული,

მაგრამ ცხადია, რომ წაიღე თან მოგონება,

წაიღე ცრემლი, დარდი, ტანჯვა და სიყვარული.

შენ ისე წადი, რომ დატოვე იდუმალება.

და მის ბურანში გახვეული მეც დამივიწყე,

შენ სხვა სამყაროს შეეკედლე, სხვა გარემოცვას  
და ერთმანეთი დროთა სკლაში გადავივიწყეთ.

შენ ისე წადი, რომ არ ერქვა მას განშორება,  
უფრო იდუმალ მოჩვენება იყო ფარული,  
მაგრამ ცხადია, რომ წაიღე თან მოგონება,  
წაიღე ცრემლი, დარდი, ტანჯვა და სიყვარული.

## ი ყ უ ჩ ჩ ე !..

იყუჩე, რადგან დუმილია ყველაფრის მთქმელი,  
თვით მეტყველებაც უძლურია მის მეფურ ძალთან  
და ღმერთმაც უხვად ამ ყოვლისმთქმელ  
მეტყველ დუმილში<sup>1</sup>  
გადმოიფერთხა მოწყალების ღვთიური კალთა.

იყუჩე!.. დუმილს გადაეცი სათქმელი შენი,  
და ის გამანდობს შენი სულის იდუმალებას,  
იყუჩე! ტრფობას უფრო მეტად დუმილი შვენის,  
გრძნობა მომითხროს სევდიანმა შენმა თვალებმა.

იყუჩე! მინდა ამ დუმილში მეც გითხრა ჩემი,  
მყუდროებაში მეც გაგიღო გულის კარები.  
იყუჩე! დუმილს გაგატანოთ გრძნობები წრფელი  
და სიყვარულზე ვამეტყველოთ მხოლოდ თვალები.

## სადღაც ჰორიდან...

დავწერე ლექსი,  
შენი ლექსი,  
შენთვის შექმნილი  
და როცა ადრე,  
მივაწერე ბოლო თარიღი  
და მხოლოდ მაშინ შეგამჩნიე,  
რომ ერთი წელი,  
ისე გაფრინდა,  
ისე გაქრა  
თავად არ ვიცი.  
წავიდა ცრემლით,  
სიყვარულით,  
იებით სავსე.  
ისე ქურდულად გაიპარა,  
როგორც მოვიდა.  
მე მეჩვენება, რომ უეცრად  
დაგვშორდა იგი  
და როგორც ბავშვი, ჩვენ ხელს გვიქნევს  
სადღაც შორიდან.

## გზია პვირისიმი

\* \* \*

წადი, ნუ ატკენ გულს  
 ჩემს ყვავილებს,  
 წადი, გახსოვდეს ეს ყოველივე.  
 და ერთი წამი, მოცლილი წუთი  
 ამ მოგონებას შემოალიე.  
 მეც ხომ მარტო ვარ ჩემს სტრიქონებთან —  
 თეთრი ფიქრების უდიდეს მთებთან...  
 მოდი სიჩუმევ, მოდი იჩქარე  
 და წამიყვანე იმედთან ერთად.  
 წადით, დამტოვეთ,  
 ჩემს ყვავილებთან,  
 არ დაივიწყო ეს ყოველივე.  
 და ერთი წუთი, მოცლილი წუთი  
 ჩემს მოგონებას შემოალიე!

\* \* \*

ზეცას ცრემლებად ჩამოჰყვა წვიმა,  
 გული შეტოკდა...  
 ეუცნაურა სრული მსგავსება  
 ცას და ჩემს შორის,  
 ოცნება ჩემი გადაშალა  
 ციცქა წვეთებმა,  
 ოცნება ჩემი, ფიქრის ტევრში  
 წამით ნაპოვნი.  
 მინდა გავუხსნა გული ამ წვიმას,  
 მაგრამ სად? რისთვის?!..  
 მან ხომ წამართვა ოცნება და  
 ცრემლები თვალზე.  
 ნუთუ გამიგებს, წვიმა ჩემი გულის სურვილებს,  
 ნუთუ მომითხრობს აამეს უცნობს,  
 ჩემს მომავალზე?!

\* \* \*

იმედი ჩემია...  
 ეს ერთი გამაჩნია... მისით მდიდარი ვარ,  
 ამ ერთსაც ნუ წამართმევ...

ხომ იცი როგორი ვარ?...  
 პატარა ყვავილივით დაგჭერები მზეზე,  
 იმედი ჩემი სუნთქვაა და ნუ გამწირავ.  
 გადამარჩინე უფსკრულის პირზე.

\* \* \*

დარღი შეადნა დაორთქლილ  
 მინებს,  
 გარეთ კი ისევ წვიმდა და წვიმდა,  
 გულმა ააგო ოცნების კოშკი  
 ააგო, მაგრამ ისევ დაინგრა.  
 გადაიღალა სული დარღისგან,  
 გაუმართლებელ ბედის ტრიალით.  
 ვილოცო?!

ლოცვა ჩემი ლექსია,  
 შშვიდი, მართალი და სევდიანი.  
 ვიტირო?!

ცრემლი ამაყს არ შვენის,  
 სასოწარკვეთას არ მივეცემი.  
 ლექსების წერა ჩემი ხვედრია  
 და მისი ცეცხლით მუდამ ვენთები!



## სიმონ ნაპაშიძე

### შ რ ბ ა

შობა წელიწადში მხოლოდ ერთხელაა. ოთახში ნაძვის ხეს დგამენ. სუფრა სამზადისშია.

დილაადრიან გაგეღვიძება და ფიქრობ: დღეს შობის წინადღეა და მთელ ასელიწადში ამაზე უკეთესი დღე არც შეიძლება იყოსო.

ბებიაჩემმა ოთახი მორთო, როგორც წეს და რიგია. თვალს ახარებს ბუხარში ცეცხლს მიფიცხებული შამფურები, გაჭვარტლულ ჯაჭვზე ჩამოყიდებულ ქვაბზე ღერლილის ღომი თუხთუხებს.

ბებია გავარგარებული კეციდან მორიგეობით იღებს კვერცხიან ღვეზელებს. პირი ნერწყვით გვეცება.

უეცრიად ჭიშკარი აჭრიალდა. ეს იმას ნიშნავს, რომ საღაცაა სტუმარიც შემოაღებს კარს და... აპა, კარზეც აქაეუნებენ.

— მობრძანდით, მობრძანდით, ბატონო, — ამბობს ბებია და ჩიბუხს დაფერთხავს, კარს გააღებს და თავის ძმისწულს გადაეხვევა.

სტუმარი ჩვენც გვესალმება.

— მინდა დღესასწაული მოგილოცოთო! — აროხროხდა არტემიჩი, — ოჯახის თავკაცი, მწვადის სუნი რომ ეცა. სული მოითქვა და გადაიხარხარა, დაკვირვებითაც შეგვათვალიერა და ცეცხლს მიუფიცხა გათოშილი თითები.

მერე სუფრაც გაიშალა და თავთავიანთი ადგილი დაიკავა ყველამ.

თოვდა! ვებერთელა ფიფქები მინებს ეკტროდა.

სასმისი სასმისს მისდევდა.

ბებიაჩემმა გიტარა გამოიტანა და დაამლერა. ტკბილი ხმა ჰქონდა ბებიაჩემს. ხან აუწევდა ხმას, ხან დაუწევდა.

უეცრიად ბებიაჩემმა გიტარა ძირს დაუშვა და სმენად იქცა.

— რა ამბავია? — ეკითხებიან ბებიაჩემს. — რამე ხომ არ მოგვეყურა?

— ძალი აყეფდა, — თქვა მამაჩემმა.

— ვიღაცა მოვიდოდა! — გაისმა სუფრაზე.

— აბა, ვის ეშინია, როცა გაშლილი სუფრაა?! — კარის გასაღებად გაემართა ბებიაჩემი. თან ძალლისთვის ხორცის ნაჭერი წაიყოლა და წინკარში გავიდა. საცოდავი ძალლი წინკარში ატუზულიყო, კარს ყნოსავდა და საცოდავად წერტუხებდა.

ძალლი მიელაქუცა ბებიაჩემს.

ტყუილიდ კი არ ამბობენ: „ძალლი ზოგჯერ ადამიანზე უკეთ ხედავსო“.

ბებიაჩემმა ხორცი დაუგდო ძალლს და კარი გააღო.

— ვინ არის? — იკითხეს სუფრიდან.

— გრიშაა... გრიშა... — გამოსძახა ბებიაჩემმა სუფრას.

გრიშა შემოსვლისთანავე გადაეხვია არტემიჩს და საშობაო საგალობელიც დააგუგუნეს!

გვიან ღამით ძილმორეული ბებია ჩემს საძინებელ ოთახში გავიდა. კვარი დახლია, ცეცხლი დაანთო და იქაურობაც განათდა.

მაინც როგორ გაჭიალარავებულიყო ბებიაჩემი, თითებიც დაჭინობოდა სულ, მაგრამ ხმა შერჩენოდა ძველებური, ალერსიანი. სახეზე ათინათი დასთამაშებდა. ხვეწა-ხვეწით გაიხადა ტანსაცმელი, მიწვა ხის ტახტზე, მოხუჭა თვალი და ფიქრით ძილისპირულს მიჰყვა. სინათლე მოპირდაპირე კედელს სცემდა, იქიდან ასხლეტილი სხივი კი მეჭეჭეს უნათებდა ბებიაჩემს.

## ლეინის სუფრასთან

დოლ-აკორდეონის ხმა საბანკეტო დარბაზის კარებთან მიჩუმათდა. სტუმარი და მასპინძელი მიუსხდნენ თუ არა სუფრას, მაშინვე ახმაურ-აწერიალდა თევზები. როცა ყველა ერთად ლაპარაკობს, ერთმანეთისაც აღარავის ესმის;

აუტანლად ცხელოდა და ფანჯრები გამოიღეს. ფანჯრებიდან შემოსული ცივი ჰაერის ნაკადი ოთახის კედლებს აწყდებოდათ თითქოს და უკან იხევდა.

ახლადგადმოდგმულ ხაშლამის ორთქლი ასდიოდა. მთელი სუფრა ხაშლამით პირსავს თევზებით აივსო. მაძლარმა სუნმა თავგრუ დამისხა. ეტყობოდა, სხვებიც ამასვე განიცდიდნენ, რადგან სუფრა ერთბაშად ჩატარდა და ჩატარდა, მხოლოდ ნერწყმობმდგარი ტუჩების მოწყვეტილი წკლაბუნის ხმა თუ ისმოდა.

აქ-იქ სიმღერაც წამოიწყეს, მაგრამ მაშინვე მიწყდა.

ცოტა ხანიც და სუფრაც ძველებურად ახმაურდა. სტუმარი და მასპინძელი რაღაცას გაცხარებით უმტკიცებდნენ ერთმანეთს. ოჯახის ბაბუა ვლადიმერსა და გოგიას შუაში ჩაუკდა და ორივე აალაპარაკა.

მაგიდის ბოლოში კი ქალებს მოყყარათ თავი და მხოლოდ მათთვის გასაგებ, გუნება-განწყობილებით ერთმანეთს უწყვობდნენ ხმას.

მეორე მაგიდიდან ხასანდეგურა შემოსძახეს. იგი სასმელით შეუიუღინებულმა დათიკომ წამოიწყო, რასაც მაშინვე შეეწყო წერიალა და მოუთმენელი კრიმატეული, სიძლერა არც კი იყო დამთავრებული, რომ მოსულმა სტუმარმა ყველის გასაგონად • წამოიძახა: „ვაშა, ბიჭებო, თქვენ, ვაშა! ეს ხომ სასწაული სიმღერაა!

და ბოლო არ უჩანდა ხალხური სიმღერებისა და ცეკვების ამ ხალისიან შეპაეჭრებას.

ოფლი ღვარად ჩამოსდიოდა ყველას, მაგრამ ცეკვა-თამაშის შეწყვეტა არავის უფიქრია. მეც მომეძალა ნათელი სიხარულის განცდა და სულიც სასიამოდ ამიწრიალდა.

— აბა, მოდით და ჩვენი სუფრის სადლეგრძელო დავლიოთ! — წამოიძახა თამადამ და ილავრებს გადავიდა.

... გაიგონებდნენ დოლ-აკერდეონის ხმას გოგო-ბიჭები და წამოიჭრებოდნენ თავთავიანთი აღილებიდან. არც კი უცდიდნენ ერთი მეორის მიპატიუებას, ისე იწყებდნენ ცეკვას და ფეხის ცერებზე შემდგარნი ამაყად მიირწ-მიირხეოდნენ.

## ნოდან ზაქარაძე

\* \* \*

მთვარეს მოჰყავს თავისაკენ,  
ვარსკელავების მაყარი...  
მოდიოდა ტაატით  
ღრუბლების ქარაგანი.

\* \* \*

მთვარე, როგორც ანგელოზი,  
აბრეშუმის აფრითა  
გადმოგორდა ციდან და  
მთის მწვერვალზე დაფრინდა.

### ლექსი — ცეცხლი

ეს ლექსი, ლექსი კი არა,  
ცეცხლია, ცეცხლი ბრიალა,  
ეს ჩემი გულის იარა  
ჩირალდანია ბრდლვიალა.

\* \* \*

სევდის ლამაზი ნაბალი მბურავს,  
თავს დამლულუნებს მთვარე მტრედივით,  
დარჩება ლექსი — ჩემი ბეღურა,  
სევდის ბულიდან ამოფრენილი.

### შემოდგომა

ქარი ამხელრდა, დაიწყო გმინვა,  
შემოახია ტყე-ველს ჩითები,  
კოკისპირული დაიწყო წვიმა,  
დაფრთხენენ, შეშინდნენ ნაზი ჩიტები.

\* \* \*

მძიმე ხურჭინი ამაკრა,  
დროის მდინარის დინებამ, —  
გულზე რომ დანა დამარტყათ  
სისხლი არ გამოდინდება.

\* \* \*

ღამე წყნარი, მშვიდია,  
სევდა ცრემლებს აპკურებს.  
ცაზე მთვარე ჰკიდია —  
ანტიკური საყურე.

# თარგმანი

ჯეპ ლოდონი

## მოთხოვის დასასრული

ოთხი კაცი ხის მაგიდაზე ბანქოს თამაშით ირთობდა თავს. შილიფად ჩაცმულებს სიციფისაგან ფეხები სულ გათოშოდათ. მიუხედავად იმისა, რომ მდინარე იუკონს ყინულის საფარი ჭერაც არ გადაკეროდა, თაროზე შემოდებული ხორცი კაიხანია გაყინულიყო.

კაცები კარტს თამაშობდნენ პირობით: წაგებულ წყვილს უნდა გადაეჭრა ანკასი, ხუთი ნაბიჯის სიღრმეზე რომ ჩაეშვათ გაყინულ მდინარეში.

— ძალიან ცივა, — თქვა ერთმა, — საინტერესოა, რა ტემპერატურაა, ექიმი?

— დაახლოებით ორმოცდათი, — თქვა ექიმმა.

ექიმი იყო ტანძალალი, ჯანმრთელი და ძლიერი აღნაგობის. იგი სწრაფი და მოძრავიც ჩანდა; შვენიდა მუქი თმა, განსაკუთრებულ იერს აძლევდა შავი და ჰქვიანი თვალები. მისი სანთელივით ჩამოქნილი ხელები მხოლოდ და მხოლოდ ნაზი სამუშაოსათვის თუ იყო განკუთვნილი. ყოველივე ეს საოცარ შთაბეჭდილებას ახდენდა მნახველზე.

უეცრად კარზე დააკუკუნეს.

— რა მოგივიდა? — ჰერთხეს უცნობს.

მოსული ცდილობდა რაღაცის თქმას, მაგრამ ვერ ახერხებდა. საწყალ კაცს აღელვებისაგან მუხლები უთრობდა. უდაო იყო, დიდხანს ევლო ფეხით; სუსხსა და ავდარში სახე მოყინვდა. თვალი მოავლო იქაურობას და უქმაყოფილებისაგან თავი გადააქნია.

— მე არაფერი მჟირს, — თქვა მან ცოტა ხნის შემდეგ — აქ რომ ექიმი იყოს, მისი დახმარება ნამდვილად დამჭირდება. მდინარის გაღმა ფოცხვერმა კაცი დაასახირა...

— შორსაა? — ჰერთხეს ექიმმა ლიდნები

— დაახლოებით ას მიღწე აქედან.

— როდის მოხდა ეს ამბავი?

— სამი დღის წინ — მხარი აქეს ნაღრძობი და მარჯვენა მქლავი — მოტეხილი. სამი ჭრილობა თითქმის შეუხორცდა უკვე, სამივე სტომაქში.

— ჰოდა, შეგიძლიათ მკვდრად ჩათვალოთ. თქვა ცოტა არ იყოს გულმოსულმა ექიმმა.

— არა, ეს კაცი სასიკვდილო განწირული მაინც არ უნდა იყოს! მაინც არ უნდა იყოს ისიც იცის ექიმის საძებნელად რომ ვარ წამოსული. იგი თქვენს მოსვლამდე იცოცხლებს. არ მისცემს თავის თავს იმის უფლებას, რომ მოკვდეს.

— რაო?! — წამოიძახა ექიმმა, — ძალიან ვწუხვარ, მაგრამ თითქმის მიცვალებულისათვის ასი მილის გავლას მე მართლა არ ვაპირებ!

— მაგრამ თქვენ. აუცილებლად უნდა მიხვიდეთ იმასთან, ვისაც ასე სწყურია სიცოცხლე!

ლიდნები ისევ იუარა, — მაპატიეთ, მაგრამ დრო ტყუილად დაგიხარჯავთ.

— ჩვენ მაინც მივალთ იქ!

— რატომ ხართ ასე დარწმუნებული? — იკითხა ლიდნები.

შემდეგ ტომ დოუმ ილაპარაკა პირველად და ასე საუკეთესოდ თავის სიცოცხლეში:

— თქვენს მოსვლამდე მას სიყვარული აცოცხლებას. თქვენს დაყოლიებას ერთ კვირაც რომ მოვანდომო, იგი მაინც გაძლებს. მეუღლეც ამხნევებს სულიერად. მათ ძალიან უყვართ ერთმანეთი. მე უკვე მჭერა, რომ თქვენ მას განკურნავთ. ჩემი მარხილით მაინც ჩავალწევთ იქამდე. ჩემი ძალების იმედი მაქვს.

ტომ დოუმ მოიხადა თავისი ყურებიანი ქუდი და გარეთ გავიდა.

— ეშმაქსაც წაუღიხარ! — იყვირა ლიდნები და დახურულ კარს მიაჩერდა.

კარგა ხნის მომქანცველი მგზავრობის შემდეგ ორმა მაინც მიაღწია მდინარის პირა ქოხს. ლიდნები შევიდა ბენელ ოთახში, მაგრამ სიბნელეში ადამიანების სახის გარჩევა ვეღარ შეძლო, თუმცა ორნა რომ იყვნენ იქ, ამის დადგნა არც გაჰშირვებია. ერთ-ერთი მათგანი ქალი იყო. ლიდნების არც მიუქცევია მათთვის ყურადღება და პირდაპირ საქმეზე გადავიდა. მივიდა საწოლთან და თვალი დაჭრილის ხვეულ თმებზე შეუჩერდა. მოეწონა მისი დახვეწილი ნაკვთებიც.

— რა სახვევებს იყენებდით? — შეეკითხა ქალს.

— ჩვეულებრივს, — უპასუხა ქალმა

ლიდნებიმ დაკვირვებით შეათვალიერა ქალი, რომელსაც სახე მიცვალებულივით გაფითრებოდა. მერე მზერა ავადყოფზე გადაიტანა და ბრძანა, რომ დაჭრილის მეუღლესთან სურდა საუბარი.

ადგილიდან არავინ დაძრულა.

— ეს სერიოზული შემთხვევა. მის კოლს მინდა ვესაუბრო, — გაიმეორა ექიმმა.

— მე მძა ვარ მისი! — თავი იმართლასავით ერთმა.

— გთხოვ, ძალიან გთხოვ, წახვიდე... — სთხოვა მაზლს ქალმა.

— ჰმ, ეს არის შენი რექს სტრენჯი? — წამოიძახა ექიმმა, როცა მისი მოთხოვნა შესრულდა.

ქალმა პასუხი არ გასცა.

— რატომ არაფერს ამბობ? — პკითხა ლიდნები.

ქალმა მხრები აიჩეჩა, — რა უნდა გითხრა, უკვე იცი, რომ ეს კიცია რექსი.

— გმაღლობთ! ალბათ, იმასაც ხვდები, რომ პირველად ვხედავ ამ კაცს. დაჭექი! — პატარა სკამზე მიუთითა ექიმმა ქალს და სავარძელები ჩაჯდა თვითონ.

— იცი, როგორ დავიღალე... იუკონიდან აქამდე ფეხით ვიარე, დასვენება მჭირდება.

ქალი ახლაც დუმდა: — რის გაქეთებას აპირებ? — პკითხა ბოლოს.

— უნდა ვჭამო და დავისვენო. მერე გავბრუნდები.

— ამას რას უპირებ? — ავადყოფზე მიუთითა ქალმა.

— არაფერს, — თქვა ექიმმა და მიუახლოვდა ავადყოფს.

— შენ ალბათ ამის სიკვდილს გულისხმობ, — თქვა ქალმა გაუბედავად და ავადყოფის ხუჭუჭე თმებში შეაცურა თითები. — მოკლავ იმით, რომ არაფერს იღონებ, თუკი ხელსაც არ გაანძრევ მის გადასარჩენად.

— ისე იფიქრე, როგორც გინდოდეს, — თქვა ლიდნებიმ და ცოტა ხნის შემდევ

დაუმატო: — ძველად ცოლის მომტაცებელს კლავდინენ!

— ცდები, გრენტ, — თქვა ქალმარწყნარიად, — ხომ არ გავიწყდება, რომ ჩექსს ჩემი ნებით გაყვევი. ძალიან მიყვარს. ჩვენ ერთმანეთისთვის ვართ გიჩენილი. უფრო შართალი ის იქნება, თუ ვატყვი, რომ მე მოვიტაცე ჩემი სიყვარული!

— ვხედავ, დღეს ისე მჭერმეტყველებ, როგორც არასდროს... ალბათ, მოწყინდი კიდეც, — თქვა ექიმმა.

— კარგი მოაზროვნე კარგი შეყვარებულიც უნდა იყოს...

— კარგი, კარგი, გეთანხმები. კაცი ვერასოდეს შეძლებს ჰქვიან ქალთან კამათს და უნდა იცოდეს კიდეც, რომ ქალი ყოველთვის დაამარცხებს.

ქალმა არაფერი უპასუხა. თვალებით გაიღომა მხოლოდ.

— არა! სულელიც რომ ყოფილიყავი, მაინც მოხიბლავდი შენი სილამაზით, ამაში დარწმუნებული ვარ, — ჩაილაპარაკა ლიდნეიმ.

— ვახსოვს უენევის ტბა? — ჰკითხა ქალმა.

— ეს იყო უბედინერესი წუთები ჩემს სიცოცხლეში... — ოცნებამ წაიღო ლიდნეი.

ქალს თვალები გაუბრწყინდა: — ოდნავ მაინც თუ დაფიქრებულხარ ჩვენს სიყვარულზე? — ჰკითხა.

— ო, არა, გმადლობთ! ისეთი ქველმოქმედიც არა ვარ, ყველა გაჭირვებულს რომ მოვუმართო ხელი.

— და მაინც, ამოდენა გზა უცნობი კაცისთვის რატომ გამოიარე?

ახლა კი ნამდვილად გაბრაზდა ლიდნეი: — როგორ გვინაია, დამესიზმრებოდა, რომ აქ ჩემი ცოლის საყვარელს ვნახავდი?!

— მაგრამ აქ ხარ ახლა და ისიც აქ არის. ხომ უნდა იღონო რამე?

— მე ხელსაც არ გავანძრევ. ამ კაცმა მე გამქურდა! — ამოთქვა ლიდნეიმ.

ამ დროს კარებზე დააკაკუნეს.

— გაეთრიეთ აქედან, არ შემოხვიდეთ! — იყვირა ექიმმა.

— იქნებ დაგსმარებოდა ვინმე, — თითქოს თავისთვისო, ისე თქვა ქალმა.

— წყალი მომიტანე!

— და შენ მაინც აპირებ... — ხმა აუკანკალდა ქალს.

— ხელებს დავიბანდი.

— მისმინე, გრეტ... — ცივად წამოიწყო ქალმა, — თუკი არ დაეხმარები, მისი ძმა მაინც მოგვლავს. მან ყველაფერი უნდა იცოდეს.

— ნუ მემუქრები... მგონი საკმარისისად მიცნობ. იმას კი ნამდვილად ვერ ვხვდები, ჩემი სიკვდილით რექსს როგორლა განკურნავ?

— ოხ, გრეტ! მე არ მინდა მისი დაკარგვა. სიცოცხლეზე მეტად მიყვარს. ძალიან გოხოვ, გემუდარები, გადამარჩინე!

ლიდნეიმ ოდნავ შესამჩნევად გაიღიმა.

— ნუთუ მართლა ასე გიყვარს?

ქალმა მგრძნობიარე თვალები მიანათა ექიმს და ამით ყველაფერი თქვა.

— ახლა კი ყურადღებით მომისმინე. ერთი მოთხრობა მინდა გიამბო: ცხოვრობდნენ ლამაზი ქალი და კაცი. კაცი რექსზე უკეთესი თუ არა, ყოველ შემთხვევაში, მასზე ნაკლები არაფრით არ იქნებოდა. იგი მხატვარი იყო და ერთ ადგილზე ვერასოდეს ნახავდით. მთელ თავის დროს მოგზაურობაში ატარებდა; ერთხელ სამოგზაუროდ წაგიდა და უკან იღარ დაბრუნებული. ლოდინით დამძიმებული ქალი ჩამოხმა, მისი არაჩეულებრივი სილამაზეც გაქრა.

კაცი მხოლოდ ათი წლის შემდეგ დაბრუნდა, უკვე — დაბრმავებული. რა თქმა უნდა, ხატა აღარ შეეძლო და ქალსაც უხაროდა, რომ კაცი მის ჩამომჭვნარ სახეს ვეღარ ხდავდა. კაცი სილამაზისა და მშვენიერების თაყვანის მცემელი იყო და წუხდა თვისი სიბრმავის გამო ცოლის მშვენიერი სახის ხილვა რომ იღარ ეღირსა.

ერთ დღეს კაცმა თავისი ჩანაფიქრი გაუმხილა ქალს. სურდა ერთი დიდი ტილო შეექმნა, მაგრამ ამისათვის აუცილებელი იყო, თვალის ჩინი დაბრუნებოდა. ქილს გაუჩნდა ამის შესაძლებლობა, მაგრამ ორ ცეცხლშუა აღმოჩნდა. ერთის მხრივ გულით ეწადა, ეშველა კაცისათვის, მაგრამ მეორე მხრივ არც უნდოდა, რომ ეხილათ მისი უკვე სილამაზედაკარგული სახე და გული აეცრუებინათ მასზე. ასე რომ, კაცის ბედი მაინც ქალის გადასაწყვეტი იყო. ხუთ დღეს ბორგავდა საწყალი ქალი და მექენე დღეს მაინც მისცა კაცს ის სასწაულმოქმედი წამალი.

ლიდნები აქ შეწყვიტა თხრობა. ცოტა შეისვენა და ხმადაბლა ჰკითხა ქალს:

— და შენც ასევე გიყვარს რექსი?

— თუკი მართლაც ასე მიყვარს, მაშინ?

— უნდა მიპასუხო!

— დიაბ!

— და მე წამომყვები?

— დიაბ, თუკი განკურნე მართლა!

— ვგონებ, ისევ ჩემი ცოლი უნდა გახდე...

ქალი გაფითრდა, მაგრამ გადაწყვეტილება აღარ შეუცვლია.

— ძალიან კარგი! მე დახმარება მცირდება. დაუხახე მის ძმებს. ადუღებული წყალი შემომიტანე, დოუ, შენ კი მაგიდა დადგი ფანჯარასთან და კარგად გადაწმინდე. აგერ თქვენც, მისი ძმა უნდა იყოთ, მგონია და... იდექით მასთან ახლოს. გამაყუჩებლის მიცემის დროს შეიძლება საჭირო დარჩეთ. ახლა კი კარგად მიშინეთ...

მომდევნო კვირაში ლიდნების მთელი ენერგიის მოკრება დაჭირდა, რომ ამდენი შრომა და გარჩა წყალში არ ჩავარდნოდა. იგი მართლაც პირველად აღმოჩნდა ასეთ გამოუვალ მდგომარეობაში, მაგრამ ასე კანმრთელი კაცის მნახველიც არასოდეს ყოფილია. იყო შემთხვევა, როცა ავადყოფი უგონოდ, მაგრამ თვალგახელილი იწვა და სიცოცხლის ნიშანწყალიც არ ეტყობოდა. ზოგჯერ პულსიც აღარ უცემდა. ლიდნებისათვის ამ კაცის მარტო გამოცოცხლება როდი იყო საკმარისი, იგი სავსებით უნდა გამოვართელებინა.

— ნუთუ ხეიბარი დარჩება? — ფრთხილად იკითხა მეგიძ.

— არა! არა! პრბენს და იდრინდელივით მომხიბლელიც იქნება. კმაყოფილი ხარ? პირობისამებრ შენ ვეღარ დარჩები მასთან, ეს დაიხსომე!

— გააგრძელე მუშაობა; დამიბრუნე აღრინდელი სტრენჯი! — აღმოხდა მეგიძ.

ლიდნები რამდენჯერმე გამოიყენა გამაყუჩებელი. რა არ იღონა, მაგრამ ერთადერთი, რამაც სტრენჯს სიცოცხლე შეუნარჩუნა, მაინც მისი ამტანობა იყო.

— ასე შენ მოკლავ მას! — უკმაყოფილოდ განაცხადა ავადყოფის ძმამ, — ჯობია ისეთი დარჩეს, როგორიც არის. მკვდარს ხეიბარი სჭობია!

მაგრამ მოიყეთა თუ არა სტრენჯმა, განცვითრებულმა მისმა ძმამ გაკვირვებით წამოიძახა მაშინ: — ექიმო, თქვენ სასწაულს ახდენთ!.. რა გქვიათ?

— ნუ მაწუხებთ! — უპასუხებს ექიმი.

ლიდნებიმ სტრენგს ოპერაცია რამდენჯერმე გაუკეთა მარცხენა მკლავზე. ერთ დღეს ჭრილობა გაეხსნა ავადმყოფს და ექიმმა უბრძანა მის ძმას: — სასწრაფოდ მომიყვანე ცოცხალი, ჯანმრთელი კურდღლები.

... შემდეგ ისევ რამდენიმე ოპერაცია... ძვლის გადასანერგად ასი კურდღლიდან მხოლოდ რამდენიმე შეარჩია და ყველაფერი ეს რამდენიმე კვირას გაგრძელდა. ერთ დღეს კი ასე უთხრა ექიმმა მეგის:

— შენ ჩვენს ქორწინებამდე უნდა გაეყარო ამ კაცს. სიტყვა სიტყვა! ხომ წავალთ ჩვენ უნევის ტაბზე?

— როგორც გსურდეს, — მოწყენით უბასუხა მეგიდ.

შემდეგ ლიდნებიმ დაუმატა: — და მაინც ვერ გამიგია, ისეთი რა ნახე ამ კაცში, რომ... ვიცი, მდიდარია, მაგრამ ღატაკი არც მე ვარ, ორმოცი ათასი პაუნდია ჩემი წლიური შემოსავალი. შეიძლება ამის მიზეზი უკვე მითხარით კიდეც, მაგრამ მე გამომრჩა, ალბათ, მხედველობიდან და...

— შენ ისე იყავი ჩაფლული საქმეში, რომ აღარაფერი გახსოვს...

— ალბათ, შენი რექსიც ნადირობს?

— არა, ეს არაა მიზეზი. მე არც შემიძლია აგიხსნა, რატომ მიყვარს რექსი. მიყვარს! ეს არის და ეს!

დადგა ის დღე, როცა სტრენგის საწოლი მზის სინათლეზე გამოიტანეს.

— ნება მომეცი უთხრა მას ყველაფერი, — ითხოვა ქილმა.

— არა, მოიცა!

მოგვიანებით სტრენგი კიდეც წამოჟდა და გაიარა.

დადგა ზაფხული და ასევე მალე გაილია. აგვისტოს ბოლოსთვის კი სტრენგი მთლიანად განიკურნა.

ერთ დღეს ლიდნებიმ სირბილში გამოიწვია რექსი. ერთი მილიც არ ჰქონდათ გავლილი, რომ რექსი დაეცა და აღარც უცდია წამოდგომა.

— საქმარისია! მეტი აღარ შემიძლია... — ძლივსლა სუნთქვავდა. ჩაჯდა ბალახში და გაუღიმა ექიმს.

— რაიმე ხომ არ გაწუხებთ? — ჰქითხა ექიმმა მზრუნველობით.

— არა, — თავისი ხუჭუჭა თავი გადააქნია რექსმა.

— უკვე კარგად ხარ. ზამთარში ცოტათი კი შეგაწუხებს ჭრილობები, მაგრამ მალე გაგივლის.

— ექიმო, თქვენ სასწაული მოახდინეთ. არ ვიცი როგორ გადაგიხადოთ მადლობა. მე კი თქვენი სახელიც არ ვიცი...

— ამას არცა აქვს მნიშვნელობა, — ჩაილაპარაკა ლიდნებიმ, — მინდა კიდევ ერთხელ გამოგცადო და მხოლოდ ამის შემდეგ დაგმშვიდდები. ტომ დიუს თქმით ადრე ბოგ უინდში წასვლა და უკან მობრუნება სამ დღეში შეგეძლო. აქ დამელოდე. დოუ ყველა საჭირო ნივთს მოგიტანს, შემდეგ წადი ბოგ უინდში და სამ დღეში დაბრუნდი. შენ კი... — უთხრა მეგის, — ერთი საათი გრჩება მოსამზადებლად. ერთ კვირაში დოუსონში ვიქნებით.

— მე მეგონა, რომ...

— რომ პირობის შესრულებას აღარ მოგთხოვდი?

— არა, მაგრამ ეს უსამართლობაა. ამას სამი დღით გზაგნი ბოგ უინდში და

გამომშვიდობების საშუალებასაც არ მაძლევ მასთან.

— შეგიძლია წერილი დაუტოვო.

ლიდენი ბარგის ჩალაგებაში დაეხმარა ქალს. აშკარად იგრძნობოდა, რომ მეგის აქ დარჩენა ყველაფერს ერჩია.

— მეგი! ერთი წუთით! ხომ გახსოვს ის ამბავი, ამას წინ რომ გიამბე... ის მოთხრობა მინდა დავასრულო. გახსოვს, ქალმა წამალი რომ მისცა ქმარს?.. ქალს მაშინვე დაუბრუნდა თავისი სილამაზე და ქმარსაც იეხილა თვალი. ქალის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

მეგი დუმდა. მის თვალებში მოუსვენრობა შეიმჩნეოდა.

— ძალიან ლამაზი ხარ, მეგი! — თქვა ლიდენიმ და ესეც დაუმატა: — ნახვამდის...

— გრეტ!! — აღმოხდა ქალს.

ლიდენიმ ოდნავ გაიღიმა: — მინდა იცოდე, რომ არც ისე ცუდი კაცი ვკოფილვარ, როგორიც გეგონე. სიკეთე ბოროტების წილ... გრეტ!

ლიდენი შეჩერდა და ხმა აუთროთოლდა: — ნახვამდის...

აკანკალებულმა ქალმა აიღო კაცის სასწაულმოქმედი ხელი და ნაზად შეეხო ტუჩებით.

ექიმმა ხელი გამოსტაცა ქალს და დაადგა შორეულ გზას.

ინგლისურიდან თარგმნა  
პატერინე წიელადურმა



# კრიტიკა. პუბლიშისტიკა

იური ბიბილოვის მილი

## თამაშრაზ კომახიძის პუბლიშისტიკა

თეიმურაზ კომახიძე ნაყოფიერ ლიტერატურულ მოღვაწეობას ეწევა. მის კალამს ეკუთვნის საინტერესო მემუარულ-ბიოგრაფიული ჟანრის ნარკვევები ქართული მწერლობის შესახებ. ამ ჟანრის სათავესთან ქართულ მწერლობაში დგას ცნობილი ლიტერატორი იოანა მეუნარგია. მისი ნარკვევები „ქართველი მწერლები“ სწორედ მემუარულ-ბიოგრაფიული ჟანრის თხზულებებია, რომლებიც ძირითადად მისი თანამედროვე მწერალთა პიროვნებების ჩვენებას ისახავს მიზნად. თეიმურაზ კომახიძემ გააფართოვა წრე მემუარულ-ბიოგრაფიული ჟანრის თხზულებათა თემატიკისა და თანამედროვეთა გვერდით წარსული ეპოქის მოღვაწეთა მოქალაქეობრივ სახეებსაც ხატავს მოგონებათა საფუძველზე. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იმსახურებს ნარკვევები ილია ჭავჭავაძის, მემედ აბაშიძის, დავით კლდიაშვილის, თედო სახოვიას, სერგეი და ივანე მესხების, გიორგი ყაზბეგის, გრიგოლ ვოლსკის, ზაქარია ჭიჭინაძის, გულო-აღა კაიკაციშვილის, მემედ ჭყონიას, ხასან კომახიძის, ასლან აბაშიძისა და სხვათა შესახებ. ამასთან თეიმურაზ კომახიძე სისტემატურად აქვთნებს ნარკვევებს მისი თანამედროვე მოღვაწეების შესახებაც, რომლებთანაც აკვშირებს უშუალო ნაცნობობა, მეგობრობა, ნათესაობა და ცოცხალი შთაბეჭდილებების საფუძველზე ხატავს მათ მოქალაქეობრივ სახეებს. მოწოდებული ცნობების საიმედოობის უზრუნველყოფის მიზნით ავტორი ხშირად იყენებს ლიტერატურაში ცნობილ ფამილიარულ ფორმებს: „ბაბუაჩემი“, „ბებიაჩემი“, „დედაჩემი“, „მამაჩემი“, „მამიდაჩემი“, „ჩემი სიდედრი“, „ჩემი სიმარი“, „ჩემი მეუღლე“ და ა.შ. ასეთ დაწერილი ნარკვევები ჰაიდარ აბაშიძის, იბრაიმ აბაშიძის; იუსუფ ფალავას, შოთა ქურიძის, ალექსანდრე ჩავლეიშვილის, დავით მამულაძის, მირიან უსტამშვილის, ედნარ მეგრელიძის, ჯემალ ქათამაძის, ნანა გვარიშვილის, ნანი გუგუნავას, ლამარა ბოლქვაძის, გულიკო კიკნაძისა და სხვათა შესახებ. პროფესორ თეიმურაზ კომახიძის ეს მრავალრიცხვოვანი ნარკვევები გამოქვეყნებულია წიგნებში „აჭარის მომაგენი“, „მემედ აბაშიძე“, „ისინი შვენოდნენ ქალაქს“, „ბათუმის ამაგდარნი“, „ერთი გვარის ისტორია“, „იბრაიმ აბაშიძე“ და მისი ეთნოგრაფიულ-ფოლკლორისტული ჩანაწერები“, „აჭარელი ქალები“ და სხვ.

საზოგადო მოღვაწის პიროვნული თვისებების გათვალისწინებით არის დაწერილი სტრიქონები, რომელშიც ჩანს დედასაქართველოსათვის დაბრუნებული აჭარისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება ილია ჭავჭავაძისა. „თანამედროვეთა გადმოცემით-წერს თეიმურაზ კომახიძე, — ილიას არ უყვარდა სხვა რეგიონებში მოგზაურობა, მას სახლში მჯდომარე კაცს ეძახდნენ“. ამასთან დაკავშირებით ავტორი იმოწმებს მწერალ სოფრომ მგალობლიშვილის სიტყვებს: „ილიას ერთი დიდი ნაკლი ჰქონდა. შინ მჯდომი იყო. გასვლა და მოვლა საქართველოს კუთხეებისა არ უყვარდა. როდესაც აკაცი ყოველ წელს შემოივლიდა მთელ საქართველოს, ილა თავის საგურამოს არ გამოსცილდებოდა... ოცი წელი ვიცხოვრე გორში და ერთხელ არ მინახავს ილია ჩვენთან მოსული“. თეიმურაზ კომახიძე არ

ეთანხმება სოფრომ მგალობლიშვილის ამ შეხედულებას და წერს: ეს, ცადია, ზედაპირული შეფასებაა. როცა საჭირო იყო, ილია ჩამოდიოდა აჭარაშიც სამეგრელოშიც და საქართველოს სხვა კუთხეებში. მაგრამ მისთვის აჭარა მაინც განსაკუთრებულ კუთხის წარმოადგენდა. იგი გრძნობდა, რომ აჭარა და მისი მცხოვრები საჭიროებდნენ მის განსაკუთრებულ მამულიშვილურ მფარველობას და მან ეს დიდი პატრიოტული მისია პირნათლად შეასრულა. ის ხშირად ეწვეოდა ხოლმე, ბათუმს. აჭარაში მის გარეშე არც ერთი საჭირობოროტო საკითხი არ გადაწყვეტილა“. (თეიმურაშ კომანდე — აჭარის მოამაგენი — ბათუმი, 1995, გვ. 109).

ასევე პიროვნული თვისებების წინ წამოწევით არის აღწერილი ილია ჭავჭავაძის დამკიდებულება ბათუმში პირველი ქართული სკოლის დაარსებისა და აქ მასწავლებელთა შერჩევის საკითხებისადმი. სწორედ ილია ჭავჭავაძის საუკეთესო პიროვნული თვისებები იხატება ბათუმის პირველი ქართული სკოლისათვის მასწავლებლის შერჩევაში და ვრწმუნდებით, რომ ილია ჭავჭავაძე არ ითარგლებოდა მხოლოდ საზოგადო მოღვაწის მოვალეობით, არამედ პირადი, როგორც მამულიშვილის პერსონალური პასუხისმგებლობით ზრუნავდა ბათუმში ქართული სკოლის წარმატებისათვის. თეიმურაშ კომანდე წერს: „ილია დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მასწავლებლის პიროვნების, რადგან იცოდა, რომ სწორედ კარგ მასწავლებელზე იყო დამოკიდებული როგორ წარიმართებოდა სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობა. ამიტომაც ბათუმის ქართულ სკოლაში მასწავლებელი ინიშნებოდა ილიას რეკომანდაციით. ამის ნათელი დადასტურებაა 1891 წელს ბათუმის ქართულ სკოლაში დანიშნული გამგე-მასწავლებლის მიხეილ შარაშიძის მოგონება: „ბათუმში გამომგზავრებისას ილიამ მიმიხმ ბინაზე და დაახლოებით ასე მითხრა: ჩემი პირადი სურვილი და განკარგულება იყო, რომ შენ ასეთ პასუხისმგებელ ადგილზე გამეგზავნე. იმედია, გააძართლებ ჩემს ნოობას. იყავ წყნარი და მშვიდი, როგორც მტრედი, ხოლო დაკვირვებული და ეშმაკი, როგორც გველი. დიდი სიფრთხილით არის მუშაობა საჭირო ქართველ მუსლიმანებს შორის. გახსოვდეს, რომ ქართველი მუსლიმანები — ჩვენი ძმები, მეტად ნიჭიერი, დინჯი, დაკვირვებული და ზრდილობიანი ხალხია. იარე საყვაებში, სარდაფებში და, ერთი სიტყვით, იქ სადაც ქართველ მუსლიმანებს სჩვევიათ თავისი შეყრა. დიდი მიღწევა იქნება, ჩვენი მხრივ, თუ წერა-კითხვასთან ერთად, მათ შეაგნებინებ, რომ ისინი ქართველები არიან, რომლებიც ჩვენგან განირჩევიან მხოლოდ და მხოლოდ საარწმუნოებით“ (იქვე, გვ. 111).

ადამიანური, პიროვნული ნიშან-თვისებების დახასიათებით არის გაჭრებული ნარკვევი „მემედ აბაშიძის“ შესახებ. ავტორი ცდილობს ჩვეულებრივი, ცხოვრებისეული, ნამდვილი მემედ აბაშიძის სახე დახატოს, რათა მკითხველს არ გაუჭირდეს მისი აღქმა და მისთვის ადვილი განხდეს მიბაძოს მემედს კეთილ საქმეებში. „მამიდაქმის, ბატიე კომანდის ქარა იუსუფ ქათამაძე — წერს თეიმურაშ კომანდე, — ხშირად დიდი სიყვარულით მოხსენიებდა მემედ აბაშიძეს და იტყოდა: „თუ არა მემედ აბაშიძე, მე უსწავლელი დაგრჩებოდიო. ბიძახემმა მიმყვანა მემედ აბაშიძესთან და სთხოვა რათა საქველმოქმედო საზოგადოების ხარჯზე გავეგზავნე სასწავლებლად თბილისის საფერშლო სკოლაში. მემედ აბაშიძემ ბიძახემის თხოვნა გულთან მიიტანა და საზოგადოების სხდომის დადგენილების საფუძველზე ჩავირიცხე თბილისის საფერშლო სკოლაში“.

## თური ბიბილებიშვილი

მემედ აბაშიძე — განაგრძობს თეიმურაზ კომახიძე, — როგორც დღესაც მოიგონებენ, გაჭირვების ტალკვესი იყო. მასთან სათხოვნელიც მოსული კაცი არასოდეს დაუკმაყოფილებელი უკან არ მობრუნებულა. ამის საუკეთესო ნიმუშად ავტორი იმოწმებს დამსახურებული ინუინრის მუამერ რეეფის ქე ჯაფარიძის მოვნებას: „30-იან წლებში — წერს მუამერ ჯაფარიძე, — ვწავლობდი ბათუმის ინდუსტრიულ ტექნიკუმში. მაშინ ტექნიკუმის დირექტორად მუშაობდა დიდად დაფასებული პიროვნება გაბო ღობორუგინიძე. ერთხელ მან გამოიძახა მამაჩემი და უთხრა, საქართველოს მინისტრთა საბჭოდან მოსულია განკარგულება, რათა მდიდრის შეიღები გამოვრიცხოთ ტექნიკუმიდან. ამიტომაც საქმეს დროზე უნდა მიხედვა, თორემ მერე გვიან იქნებაო. ბატონშა გაბომ თანვე დასძინა, ამ საქმის მოვარება მხოლოდ მემედ აბაშიძეს შეუძლიაო. მამაჩემი იმავე დღეს მოვიდა მემედ აბაშიძესთან და მოუთხრო მისი გაჭირვების შესახებ. მემედი მეორე დღესვე გეგმზავრა თბილისში მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან. ორი დღის მერე მემედი დაბრუნდა თბილისიდან და თან ჩამოიტანა განკარგულება, რომლის თანახმადაც დატოვებული ვიქენი ტექნიკუმში“.

თეიმურაზ კომახიძე მის მიერ არჩეული უანრის (მემუარულ-ბიოგრაფიული) სპეციფიკიდან გამომდინარე საინტერესოდ ხატავს მემედ აბაშიძის ფიზიკურ მახსიათებლებსაც. ამისათვის ის იმოწმებს ცნობილი ქართლოს კასრაძის მოვნებას მემედ აბაშიძის შესახებ, რომელსაც მეგობრული, ოჯახური ურთიერთობა ჰქონდა ცნობილი მწერლის დავით კასრაძის ოჯახთან. ქართლოსი წერს: „მემედ-ბეგზე ბათუმში ლეგენდები დადიოდა, როგორც უძლეველ ადამიანზე და მოუსყიდველ პატრიოტზე. მასსოვს, მემედ-ბეგი ახალი წლის ღამეს თბილისში გვეწვია სტუმრად. მე კისერზე ჩამოვკიდე, რადგან მუდამ ჰქიბეში ბავშვებისათვის ტკბილეული. ესეც არ იყოს, იგი ნამდვილ ღმერთად იყო აღიარებული ჩვენს ოჯახში და ქართველ მწერალთა შორისაც.“

მემედი ჩაფსკვნილი კაცი იყო, რეინისკუნთება, თეთრი თმებით, ყავისფერი ქაველის ბოხონი საოცრად უხდებოდა მის დაღლილ ალერგიან სახეს. გასაოცრად ჭროლა თვალები ჰქონდა, რომელშიც მუდამ უფორიაქებდა სიბრძნის ნაპერწკლები, გულია სიცილი იცოდა.

მისი სტუმრობა ერთ სახელმწიფოდ ღირდა! მამაჩემიც კი, ენციკლოპედიური განათლების კაცი, ბავშვივით სცემდა თაყვანს მას. (იქვე, გვ. 37).

ბელეტრისტის მანერით არის დაწერილი თეიმურაზ კომახიძის ნარკვევი ლუკა ასათიანის შესახებ. ლუკა ასათიანს უდიდესი წვლილი მიუძღვის ბათუმის ქალაქიდ ჩამოყალიბების საქმეში. ის უაღრესად შრომისმოყვარე და ნიჭიერი ორგანიზატორი იყო. მისი ღვაწლის შედეგად ბათუმი დაადგა ევროპიზაციის გზას. მაგრამ ეს არ იყო ადვილი საქმე. ამიტომ ავტორი ასე ბელეტისტურად იწყებს თავის ნარკვევს ამ გამოჩენილი მოღვაწის შესახებ: „ბათუმი 1878 წლიდე სოფელს მოგაონებდათ, რომელიც ძირითადად ახლანდელი თავისუფლების (1999 წლის 31 მარტის შემდეგ ზეთ გამოიწვია გამოსახურდის სახელობის — ი. ბ.) მოედნის ირგვლივ, ზღვისპირის გასწვრივ ტერიტორიაზე მდებარეობდა. მას აკრავდა გაუვალი ჭაობი, რომელიც ყოველგვარი გადამდები სენის ბუდე იყო. ქუჩები ყოველგვარი დაგეგმარების გარეშე იყო გაყვანილი. ქალაქი ძირითადად ფაცხის ტიპის ქოხმახებით იყო გაშენებული. ქუჩები, თუ მას შეიძლება ქუჩები რქმეოდა, ატარებდა შემდეგ სახელებს: მთავარ სანაპირო ქუჩას ეწოდებოდა „ალი ქისის“, დანარჩენს „აჭარა-სოხახი“, „თელეგრაფ-სოხახი“, „

„აზიზიე-სოხახი“, „ურუმ-სოხახი“, „ნურიე-სოხახი“ და სხვა. ქუჩები არც მოშანდაკებული იყო და არც მოასფალტებული. წვმების დროს იტბორებოდა და გაუვალი ხდებოდა. 1878 წლისათვის ბათუმის მცხოვრებთა რიცხვი სამი ათას სულს არ აღმატებოდა“. (იქვე, გვ. 61).

ნარკვევი „ჰაიდარ აბაშიძე“ თანამედროვე სულისკვეთებით არის გამსჭვალული. ავტორი პრინცაპულად, მაგრამ ობიექტურად აშუქებს ბევრ ასეთ საკითხს, რაც საქართველოს ყველა კუთხეში ღრმა გულისყურით უნდა იქნეს გააზრებული. მათ შორის ერთ-ერთ ასეთ საკითხად მუსლიმანი ქართველისადმი დამოკიდებულება მიგაჩნია. მუსლიმანი ქართველი საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ სადაც უნდა ცხოვრობდეს არის ქართველი და მისადმი დამოკიდებულება უნდა იყოს სათუთი და თბილი. ასეთი დამოკიდებულების დამყარებას ქადაგებდნენ დედასაქართველოს ახლადდაბრუნებულ აჭარაში მეტედ და ბაიდარ აბაშიძები. თეომურად კომახიძე წერს: „ქართველებთან ერთობის მოწინააღმდევე პანისლამიზმის მიმღებები და მეფის მოხელეები, რომლებიც ახორციელებდნენ პოლიტიკას „გათიშე დ იბატონე! — სამუსლიმანო საქართველოს მცხოვრებლებს დღენიადაგ ჩასახოდნენ: როგორც მამაძის სჯულის მიმღებები, თურქები ხართო. ზოგჯერ ვაი-ქართველებიც მტრის წისქვილზე ასხამდნენ წყალს და მოძევ სამუსლიმანო საქართველოს მცხოვრებლებს „თათარს“ უწოდებდნენ. ამ გამოვლინებებს ჰაიდარი გამძაფრებული ეხმაურებოდა გაზეთში გამოქვეყნებული წერილებით. კერძოდ, ერთ-ერთ წერილში ის გულდაწყვეტით აღნიშნავს: „რაღად გვიწოდებენ ჩვენ „თათარს“ ჩვენი მოძევ ქრისტიანები, ან ჩვენ რაღად ვაღიარებთ თავს თათრებად, ჩვენ „თურქები“, „ოსმალები“ კი არა, ქართველები გახლავართ... მამაძიანები რომ ვართ, განა ქართველები აღარა ვართ... ქვანიც კი ღალად გვიწოდებენ ჩვენ. აწი მაინც ნუ მიგაჩნია თავი თათრებად და ნურც სხვას მივცემთ ნებას, რომ „ჩვენ თათრები“ გვიწოდონ, სჯული სჯულად იყოს და ეროვნება ეროვნებად... — ქართული პრესა-განაგრძობს თეიმურაზ კომახიძე, — მუდა აქტიურად ეხმაურებოდა აჭარელი მოღვაწის ყოველ გამოსვლას და როგორც წესი, მაღალ შეფასებას აძლევდა მას“. თემურაზ კომახიძე — ისინი შეგნოდნენ ქალაქს — ბათუმი, 1994 წ. გვ. 37). მისი საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს ცნობილი ქართველი პოეტი ქალის განდევილის გამოხმაურება ჰაიდარ აბაშიძის წერილზე „სახალხო ფურცლებში“ მოთავსებული წერილი ჰაიდარ აბაშიძისა. თუ არ წაგიკითხავთ, გთხოვთ წაიკითხოთ და მაშინ დამეთანხმებით, რომ ამ სტრიქონების წაკითხვა უცრემლოდ შეუძლებელია, უცრემლოდ-მეთქი, ვამბობ, ეს ცოტაა! მე ჯევითინებდი ბავშვივით... ამავე აღუღებული გულით მოგმართავთ თქვენ, ყური მიაბყარით იმ საშინელ კვნესას, იმ უმაგალითო უბედურებას, რომელიც ჩვენ მოძმე ქართველ მუსლიმანებს არგუნა ბედმა“ (იქვე, გვ. 37).

აქვე პუბლიცისტი იმოწმებს კიდევ ერთ გამოხმაურებას, რომელშიც ავტორი მაღალ შეფასებას აძლევს ჰაიდარ აბაშიძის ეროვნულ სულისკვეთებას: „ჰაიდარ აბაშიძე — წერს უურნალ „თეატრი და ცხოვრების“ კორესპონდენტი — ქართველ მუსლიმანთა შორის ეროვნული გამოფხიზლების მოციქულია. მისი სახელი ჩვენს მოძმეთა შორის უკვდავი დარჩება. მისი საღი ჭკუა — განშორებული სარწმუნოებრივ ფანატიზმს, ძლიერ მაღა მიხვდა ქართველ მუსლიმანთა ცხოვრების მწარე სინამდვილეს და ხმამაღლა, თამაბად და მოურიდებლად იწყო ქადაგება თანამოძმეთა შორის ქართული ეროვნული შეგნების შესახებ და ეს ხმა არ დარჩა ხმად

მღილადებლისა უდაბნოსა შინა". (იქვე გვ. 38).

პროფესორი თეიმურაზ კომახიძე ჰაიდარ აბაშიძის მოღვაწეობაში სამ მიმართულებას გამოაჩინეს: 1. ჰაიდარ აბაშიძე — პუბლიცისტი, 2. ჰაიდარ აბაშიძე — საზოგადო მოღვაწე და 3. ჰაიდარ აბაშიძე — განმანათლებელი.

ჰაიდარ აბაშიძის, როგორც დიდი მოღვაწის, აღიარებაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ 1917 წლის 20 ნოემბერს მემედ აბაშიძესთან ერთად ჰაიდარ აბაშიძე საქართველოს ეროვნული საბჭოს სხდომაზე 15 კაცისაგან შემდგარ აღმასრულებელ კომიტეტში შეიყვანეს, რომელსაც ფაქტიურად მთავრობის ფუნქცია ეკისრა. ხოლო როცა საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა (1918 წლის 26 მაისი) ჰაიდარ აბაშიძე აჭარის მოსახლეობის სახელით ასე მიესალმა თავისუფალ დემოკრატიულ საქართველოს: „ძვირფასო მანო, მე თქვენი მოძმე ქართველი მაჰმადიანი სულითა და გულით გილოცავთ ამ ბრწყინვალე დღეს, მრავალტანჯულ საქართველოს თავისუფლებას. ვუცეკრი ამ აქტს და ჩემი სული განიცდის სიხარულს, როდესაც ამ ბედნიერების დღეს სამაჰმადიანო საქართველო, ეს თქვენი ღვიძლი მქბი თქვენთან რომ არის... მე მამენევბს ის, რომ მარტო არა ვარ და ჩემთან ერთად არის სამაჰმადიანო საქართველოს მიწა-წყალი, მისი სიამაყ ცახე-კოშკების ნანგრევები და მასთან ერთად მრავალი ქართველი მაჰმადიანი, რომელნიც სულითა და გულით თქვენთან არის და იქნება კიდეც" (იქვე, გვ. 53). ხოლო როგორც განმანათლებელს, ჰაიდარ აბაშიძეს კარგად ახასიათებს ის ფაქტი, რომ 1916 წელს სოფელ ყოროლისთავში ჰაიდარ აბაშიძემ სკოლისათვის უსასყიდლოდ დასთმო დედისეული სახლი. სკოლის გახსნისას კი ჰაიდარ აბაშიძემ ასე მიმართა მოსწავლებს: „ჩვენი წარსული გმირნი დღემდის ჩვენზე უიმედობით ილაზგაწვეტილი და დღეს იმედებით აღჭურვილნი დიდ სიხარულს განიცდიან, რომ უკვე ჩაეყრა საძირკველი იმ ტაძარს, რომელმაც უნდა აღზარდოს მათდა საღმერთებელი მიდამოების მოუიკვეიქნი და მომღერალი... მაშ, ასე, მოვკიდოთ ხელი სწავლა-განათლებას და მით გავსწუვიტოთ ჯაჭვი მონობისა. მაგრად ჩავკიდოთ ხელი მქებმა ერთმანეთს, ვიმენიარულოთ და მათთან ერთად ვამხიარულოთ დღემდის მიძინებული ჩვენი მიდამოები". (იქვე, გვ. 55).

ლიტერატურული და მემუარულ-ბიოგრაფიული ელემენტების შერწყმით გამოირჩევა თეიმურაზ კომახიძის (თანავტორი ნარგიზ აბაშიძე) ნარკვევი პოეტ ნანა გვარიშვილის შესახებ. ავტორი ისტორიულ ფონზე ხატავს დედა-საქართველოსთან სამუდამოდ დაბრუნებული აჭარის წიაღიძან ამოზჩრდილი პოეტის შემოქმედებით სამყაროს. ის წერს: „დაახლოებით ასი წლის წინათ და შემდგომაც, ვის შეეძლო გაეფიქრებინა, რომ აჭარის მოევლინებოდნენ მთელი ქვეყნის მასშტაბით გამოჩენილი, შემოქმედებითი ნიჭითა და უნარით დაჭიდოებული ადამიანები — მწერლები, პოეტები და თავიანთი მართალი სიტყვითა და შემოქმედებით დიდ როლს შეასრულებდნენ განათლების, კულტურის აღორძინებისა და აჭარელთა ეროვნული გათვითურიბირების საქმეში". მაგრამ პუბლიცისტი თვლის, რომ ამის საფუძველი მიინც იყო და მტერს მისი მოსპობა არ შეეძლო. ავტორი განაგრძობს: „ჩვენი წინაპრების გენში ღრმად და მყარად ჩასახლებულმა პოზიტის სიყვარულმა თავისუფალი გზა პპოვა სამწერლო ასპარეზზე გამოჩდნენ აჭარელი ქალები, რომელთა შორის სამართლიანი ინარჩუნებს პირველობასა და მეთავეობას ნანა გვარიშვილი. მან ბავშვობიდანვე, თავისი წინაპრების მიმდევრებით შეაყვარა მშობლიური ქართული ენა



და მის სიღიადეს მიუძღვნა ერთ-ერთი შესანიშნავი ლექსი „დედა ენა“, რომელშიც ნათლად და გარევებით წარმოაჩინა ენის მნიშვნელობა ქართული ენისა და მეობის შენარჩუნების საქმეში“ (ნარგიზ აბაშიძე, თეიმურაზ კომახიძე — აჭარელი ქალები — ბათუმი, 1998 წ. გვ. 185).

თეიმურაზ კომახიძე, როგორც პუბლიცისტი, არ იზღუდება მხოლოდ ლიტერატურის ან გამოჩენილი სახელმწიფო და სახოგადო მოღვაწეების შესახებ დაწერილი წერილებით. მისი მხედველობის არეში და ინტერესების სფეროში წარმოდგენილია ოვით ცხოვრება, რომლის ნიუანსებს ავტორი ეძებს და პოულობს ლიტერატურის, ხელოვნების, მეცნიერების, პოლიტიკისა და სახელმწიფო მოღვაწეების საქმიანობაში. ამიტომ მოულოდნელად არ გვეჩვენება რომ თეიმურაზ კომახიძე საფუძვლიანად წერს არა მარტო მემედ, ჰაიდარ, იბრაიმ აბაშიძეების, არამედ ცხოვრების ყველა სფეროში მოღვაწე აღამიანების შესახებ.

თეიმურაზ კომახიძის ინტერესების სფეროს ასეთი ფართო მასშტაბი მნიშვნელოვნად არის გამსაზღვრული იმით, რომ ის თავად არის ფართო განათლების მქონე პუბლიცისტი. უდაოდ საგულისსხმო ფაქტია ის, რომ საკანდიდატო დისერტაცია თეიმურაზ კომახიძემ ტექნიკის დარგში დაიცვა, ის ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატია, ხოლო სადოქტორო დისერტაცია ისტორიის დარგში დაიცვა და ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მიენიჭა. ამასთან ერთად თეიმურაზ კომახიძე ნაყოფიერად მოღვაწეობს როგორც ხელმძღვანელი. წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა ინდუსტრიულ ტექნიკუმს, იყო ქ. ბათუმის მერი და ამჟამად არის აჭარის ივტონომიური რესპუბლიკის კულტურის მინისტრი. ყოველივე ეს მის პიროვნებაში წარმოქმნის წინამძღვრებს — იყოს მრავალმხრივი ინტერესების მატარებელი და რაც მთავარია მცოდნე ცხოვრებისა. სწორედ ცხოვრების ცოდნა მიგვაჩინა მის მთავარ ღირსებად.

თეიმურაზ კომახიძის პუბლიცისტური ნაშრომები საურადღებოა იმითაც, რომ ისინა უხვად შეიცავს ზნეობრივ ასპექტებს. ავტორი დაურიდებლად იმხელს მის თანამედროვეთა უზნეო ჭცევებს და მართალია პირდაპირ არ სახელებს მათ გვარსა და სახელს, მაგრამ ძნელი არ არის მათი დადგენა. თუმცა ამას დღეს არცა აქვს მნიშვნელობა, რადგან მთავარია არა ის, თუ ვინ დაუშვა შეცდომა, არამედ ის, თუ რა უზნეობანი შეიძლება მოხდეს და არ უნდა ხდებოდეს. ამის სანიმუშოდ დავიმოწმებთ ადგილს ნარკვევიდან „იბრაიმ აბაშიძე და მისი ეთნოგრაფიულ-ფოლკლორისტული ჩანაწერები“, რომელშიც თეიმურაზ კომახიძე წერს:

„ამ პერიოდისათვის მე დავამთავრე ბათუმის ცენტრალური უნივერსიტეტის მშენებლობა... ახლადაშენებულ უნივერსიტეტის დირექტორს ვთხოვ ჩემი სიდედრის — შესტერის სამუშაოზე მიღება, რაზედაც იგი დამთანებდა, მაგრამ სამწუხაროდ, კინკაცობა ბოლომდე ვეღარ გასწია-ერთი წელიც არ იქნებოდა გასული, რომელიდაც ნათესავისა და ახლობლის სამუშაოზე მოწყობა დასჭირდა და... ჩემი სიდედრი, რომ იტყვიან, „ჯგარს აცვა“, ყოველმხრივ შეავიწროვა და ბოლოს იძულებული გახდა კიდეც დაეტოვებინა სამუშაო“. ნარგიზ აბაშიძე, თეიმურაზ კომახიძე — იბრაიმ აბაშიძე და მისი... გვ. 26)

მაგრამ, თეიმურაზ კომახიძე, როგორც პუბლიცისტი თავის ნაწერებში სიკეთეს უფრო მეტ ყურადღებას აქცევს, მკითხველს უფრო კეთილ საქმეებს შეახსენებს და შთააგონებს, რომ ამჟამად სახელის მოხვევა მარტო სიკეთით შეიძლება. ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს იბრაიმ აბაშიძის ნაწარმოები ოჯახისადმი ერთ

დროს აქარის სახელოვანი თავკაცის (საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის) დავით მამულაძის გულისხმიერი დამოკიდებულების ფაქტი. 1957 წელს მემედ აბაშიძის რეაბილიტაციის შემდეგ, — წერს თემურაზ კომახიძე — დავით მამულაძემ, თავისი პირადი ინიციატივით, კაბინეტში დაიბარა იბრაიმ აბაშიძე და უთხრა, — ჩემო იბრაიმ! თქვენმა ოჯახმა სრულიად უსამართლოდ და დაუშასხურებლად ბევრი ტანკვა-წამება გადაიტანა, რისთვისაც ვალდებული გარ ბოდიში მოგიხადოთ. თქვენი მამა, მემედი, რომელიც ჩენი საუკეთესო ნამდვილი პატრიოტი და ნამდვილი ლიდერი იყო, საქართველოს კეთილდღეობას ზეარავით შეეწირა. ახლა ძალიან ძნელია იმ უსამართლობის გამოსწორება, რომელიც მემედისა და მისი ოჯახის წევრთა მიმართ იქნა ჩადენილი. მაგრამ რისი გაკეთებაც კი შეიძლება, იმას მაიც გავაკეთებთ მემედის ოჯახისათვის. როგორც გავიგე, ნამდვილად ცუდია თქვენი საოჯახო პირობები, გაქვთ ძალზე გამოუსადეგგარი ბინა, ძალიან მცირე ფართი. ახლა ჩვენ ასე მოვიქცევით, მიღით და დაათვალიერეთ მშენებარე საცხოვრებელი სახლები, ამოირჩიეთ, რომელიც მოგეწონებათ (სართული, ადგილი), გვირდებით, რომელ ბინასაც ხელს დაადგეთ, სწორედ მას აიღებთ საცხოვრებლად.

ჩემმა სიმამრმა მართლაც შეარჩია თავისი მომავალი საცხოვრებელი ადგილი (იქვე, გვ. 27).

თემურაზ კომახიძე როგორც ავლიშნეთ, სიკეთის მაძიებელი პუბლიცისტია. ის უყურადღებოდ არ ტოვებს სიკეთის გამოვლენის არც ერთ ფაქტს და ამით სურს გაამრავლოს სიკეთე დამამიანთა შორის. ამ მიზნით ზემოთაღწერილ ეპიზოდს ასეთი გაგრძელებით გვთავაზობს: „მაგრამ ამ ჩვენ მიერ წამოწყებულ მმავს დავით მამულაძის საუბარს იბრაიმ აბაშიძესთან ბინის მიცემის საკითხზე —ი.ბ.) თავისი დაბოლოება გააჩნია... იმ საცხოვრებელი სახლის მშენებლობა (რომელშიც აბრაიმს ბინა უნდა მიეღო) ჯერ კიდევ დამთავრებული არ იყო, როდესაც დავით მამულაძე თბილისში გადაიყვანეს სამუშაოდ თბილისში გამგზავრების წინ, რკინიგზის სადგურში, სხვებთან ერთად გასაცილებლად მოსულ ადერგინ კოპლატაძეს დავით მამულაძემ დიდის ამბით სთხოვა—ყოველნაირად შეეცადე და იბრაიმ აბაშიძე უბინაოდ არ დამიტოვოთ. ადრეკინი მაშინ ქალაქქომის პირველ მდივნად მუშაობდა. იგი შეპირდა დავითს, რომ მის თხოვნას უყურადღებოდ, რეაგირების გარეშე არ დატოვებდა.

შეპირდა და შესრულდა კიდეც. ჩემი სიმამრის ოჯახი ბინით დააკმაყოფილა (იქვე, გვ. 27).

თემურაზ კომახიძის პუბლიცისტურ წერილებს რამდენიმე სტილური თავისებურება გააჩნია. იგი ნაკარნახევა იმით, რომ რაც შეიძლება უშუალო, მისაწვდომი და სარწმუნო იყოს მოწოდებული შინაარსი. ამ თვალსაზრისით, პირველ და არაერთსტილურ თავისებურებად მიგვაჩნია პუბლიცისტური წერილების განტვირთვა საარქივო მასალებისა და ხშირი ციტირებისაგან. მაგალითად, ბიოგრაფიული ნარკვევი „იბრაიმ აბაშიძე და მისი ეთნოგრაფიულ-ფოლკლორისტული ჩანაწერები“, რომელიც, როგორც მოსალოდნელი იყო დამყარებული იქნებოდა საარქივო და სხვა მასალებზე, სრულიად თავისუფალია ამ მასალებისაგან და მთლიანად ავტორის ცოცხალ შთაბეჭდილებებით არის დაწერილი.

მეორე თავისებურება თემურაზ კომახიძის პუბლიცისტური ნარკვევებისა არის ის, რომ ავტორი საგანგებო ყურადღებით ეკიდება საზოგადოებრივ აზრს და მის

გათვალისწინებით ჰქიდებს ხელს ნარკვევის გმირის დახასიათებას. მაგალითად, ნარკვევს გამოჩენილი ქართველი რეჟისორის შალვა ინასარიძის შესახებ ამ სიტყვებით იწყებს: „ბათუმის დრამატული თეატრის მსახიობებს კვითხე თეატრის აწ გარდაცვლილ თანამშრომელთა ღვაწლის შესახებ. მათ დაუფიქრებლად ჩამომითვალეს რამდენიმე გვარი, რომელთა შორისაც ერთ-ერთი პირველი იყო შალვა ინასარიძე და ამიტომაც აღმერა სურვილი ძირფესვიანად შემესწავლა ამ დიდი კაცის განვლილი ცხოვრებისეული გზა და დამეწერა პატარა წერილი“ (თეიმურაშ კომახიძე — ისინი შევნოდნენ ქალაქს — ბათუმი, 1994 წ. გვ. 152).

თეიმურაშ კომახიძის თხზულებებისა მესამე ნიშანი: ნარკვევის შინაარსის მრავალფეროვნებისა და ობიექტურობის უზრუნველყოფის მიზნით ავტორი ნარკვევის გმირის უკეთ წარმოჩინებისათვის მიმართავს თავის თანამედროვეთა მოგონებებს. წერილ იუსტუფ ფარავზე ნარკვევს საფუძვლად უდევს შოთა ზოიძის, ფრიდონ ხალვაშის, ნოდარ ფარავის, იური ბიბილეიშვილის მოგონებები, პროფესორ ალექსანდრე ჩავლეიშვილზე იური ბიბილეიშვილის მოგონება, საინტერესო ნარკვევისათვის პოეტ ჯემალ ქათამაძეზე გამოყენებულია შოთა ზოიძისა და ამირან ხაბაზის სპეციალურად დაწერილი მოგონებები.

მეოთხე — თეიმურაშ კომახიძის ცალკეული ნარკვევები დაწერილია მკვეთრად გამოხატული ტენდენციით, წარსულის ფაქტების მოგონებით — განგაშის ზარები შემოკრას თანამედროვეთა საყურადღებოდ, რათა მომავალში არ განმეორდეს მსგავსი რამ. ამ თავისებურებებით გამოიჩინა წერილი „შალვა ინასარიძე“. შალვა ინასარიძე, აღიარებული ქართველი თეატრალური მოღვაწე, 40 წელიწადს ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის უცვლელი რეჟისორი, ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, რომ ვერ ეღირსა ნორმალურ საბინაო პირობებს. საქართველოს კომპარტიის აქარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის პოსტზე ორი ხელმძღვანელი შეიცვალა, ეს იმას ნიშავს, რომ საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე შალვა ინასარიძე წერდა განცხადებებს ბინის შესახებ. 1966 წელს დაწერილ განცხადებაში საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის სახელზე აღნიშნულია: „ჩემი მძიმე საბინაო მდგომარეობის შესახებ მე უკვე პირადად მოგახსენეთ. თქვენი დადებითი დასკვნაცაა ამის შესახებ. მზად ვარ დღესვე ჩავაბარო ჩემი ბინა და გადავიდე დროებით ნაერთავებ ბინაში. ერთი თვის წინათ ჩემმა შეიღმა ქალი ითხოვა და ამ მხრივ მდგომარეობა უფრო გამირთულდა. ვიმეორებ, ჩემს ბინას არავითარი სათავსო არა აქვს. ტუალეტიც ეზოშია, მოშორებით. პირადად მე არა მაქვს შემოქმედებითი მუშაობისათვის კუნჭულიც კა“.

ანალოგიური განცხადებით მიმართა შალვა ინასარიძემ საქ. კპ. აჭარის საოლქო კომიტეტის ახალ პირველ მდივანს: „გთხოვთ თქვენს დახმარებას, რათა აღმასკომა ჩაიბაროს ჩემი ერთი ოთახი და სამაგიეროდ მომცეს ორი კეთილმოწყობილი ოთახი, სადაც მე გადავად ცოლ-შვილთან ერთად, რათა ბოლოსდაბოლოს ამიხდეს ოცნება და შემექმნას ნორმალური პირობები“. მოუხედავად ამისა ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მთაგარი რეჟისორი (დიდხანს, შემდეგ რიგითი რეჟისორი) ვერ ეღირსა სანუკვარ ბინას, თუმცა ბათუმში ყოველ წელიწადს ექსპლოატაციაში ასობით ახალი ბინა გადაიცემოდა. ამასთან დაკავშირებით ნარკვევის ავტორი თავის თხრობას იწყებს ასე: „ამას წინათ (ამ ნარკვევის დაწერის დროს პროფ. თეიმურაშ კომახიძე ქ. ბათუმის მერის თანამდებობაზე მუშაობდა — იყტ) მივიღე მიმართვა თეატრის მსახიობებისაგან,

რომელიც ითხოვდნენ დადგენილების გამოტანას, რათა სახლზე, სადაც ბატონი შალვა ცხოვრობდა, მის პატივსაცემად გაქრულიყო მემორიალური დაფა. როდესაც საკითხი კომისიის სხდომაზე გავიტანე, კომისიის ყველა წევრმა დადებითი სიმპათით მოიხსენია შალვა ინასარიძის ღვაწლი და ერთხმად დაუჭირა მხარი ჩემს მიერ დასმულ წინადადებას. 17 წელი გავიდა ინასარიძის გარდაცვალებიდან, მაგრამ მის სახელს დღესაც დიდი სიყვარულითა და პატივისცემით მოიხსენიებენ. მე მას შორიდან ვიცნობდი, მაგრამ მისი დახვეწილი ჩაცმულობა, სიმპათიური გარეგნობა, სისპერაცე და ავტორიტეტი ყოველთვის ჩემს დიდ პატივისცემას იმსახურებდა. ის ყო უპრეტენზიო კაცი. ზოგიერთი მის ადამიანურ თვისებებს თავის სასარგებლოდ ბოროტად იყენებდა. ამის ერთ ერთი მაგალითია მისი ნორმალური საცხოვრებელი ბინით დაუკმაყოფილებლობა წლების მანძილზე. აქვე წარმოგიდგენთ პარტიის საოლქო და საქალაქო კომიტეტების პირველი მდივნების სახელზე გაგზავნილ ორი განცხადების მოკლე შინაარსს, დასკვნა კი მკითხველმა თვითონ გააკეთოს. მე შევნებულად მდივნების გვარს არ მოვიხსენიებ იმიტომ, რომ ორივე ცოცხალია. მაგრამ ვინც დაინტერესდება, ადვილად მიხვდება ვინ არიან ისინი, ეს უნდა იყოს გაკვეთილი ყველა ხელმძღვანელისათვის. მათ უნდა იცოდნენ, რომ კარგი კაცის ღვაწლი სიცოცხლეშივე უნდა დაფასდეს, რათა მათ მიეცეთ შემოქმედებითი სტიმული". (იქვე, გვ. 153)

თემისაზე კომისიის პუბლიცისტიკა ცხოვრებიდან იღებს სათავეს და ცხოვრებისეული პრობლემების გადაწყვეტაზეა ორიენტირებული.



## რამაზ სურანიშვილი

### დავით კლდიაშვილი და აჭარის აღდგენა-დაწინაურება

ქართველ კლასიკოს მწერალთაგან დავით კლდიაშვილი ერთად-ერთია, ვინც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ბათუმში იცხოვდა (1882-1908), გაეცნ ქალაქისა და მთლიანად აქარის მოსახლეობის ყოფაცხოვრებას, ისტორიას და, რაც მთავარია, მონაწილეობდა იმ გარდაქმნებში, რაც ამ მხარეში ოსმალთაგან გათავისუფლების შემდეგ განხორციელდა.

მწერლის შთაბეჭდილებები ვრცლად აისახა მემუარულ ნაწარმოებში, „ჩემი ცხოვრების გზაზე“, რომელიც რამდენიმექვერ გამოქვეყნდა. ჩვენ ვისარგებლეთ 1961 წლის გამოცემით, მიუვევით ავტორისეულ ქრონოლოგიას, ციტატებიც ამ წიგნიდან მოვიტანეთ და შევცალეთ მეტნაკლებად წარმოგვეჩინა ის ამაგი, რაც მან აქარის დასდო.

დავით კლდიაშვილი ბათუმში ჩამოივიდა 1882 წლის სექტემბრის ბოლოს, როცა აქ ჯერ არ იყო რკინიგზა, ამიტომ, ბუნებრივია, ის მოხვდა სრულიად კეთილმოუწყობელ ქალაქში, თოხიათასი მცხოვრებით, „თუ კი შეიძლებოდა მისი ქალაქიდ წოდება“ (გვ. 26). ე.ი. ეს იყო სოფლის ტიპის დაბა ქოხმახებით, ვართ მოუკირწყლავი ქუჩებით, სადაც პორტო-ფრანკო და კონტარაბანდა ერთმანეთში არეულიყო, სადაც უცხო ადამიანს „ან გაძარცვავდნენ, ან დასჭრიდნენ, ანდა კლავდენენ“.

თვით ქალაქი და მისი შემოგარენი ჰაობებით იყო დაფარული და საშინელი მაღარიის ბუდეს წარმოადგენდა. ამგარად ჩვენს მწერალს ბათუმი დახვდა პირველყოფილი სახით, როგორიც იყო ანტიკურ ხანაში.

ერთი წლის შემდეგ ბათუმში პირველმა ორთქმავალმა შემოაყირა, მალე პორტო-ფრანკოც გაუქმდა და ბათუმშა, როგორც კაბიტალისტურმა ქალაქმა, დავით კლდიაშვილის თვალწინ იწყო განვითარება, ამას დაემთხვა მუჰაჯირობაც, მოსახლეობის (განსაკუთრებით მუსლიმანური) მშობლიური ადგილებიდან აყრა-გადასახლება.

სწორედ ამ მოვლენებმა განაპირობა რუსეთის პროვინციებიდან და ცენტრალური ქალაქებიდან მიწების შეძენის მსურველთა, პლანტატორთა, მთაგარაკეთა მოზღვავება, რამაც გარკვეულწილად ხელი შეუწყო ბათუმის კეთილმოუწყობა-განაშენიანებას, სამრეწველო კაბიტალის შემოჭრას და ქალაქის მოსახლეობის რიცხვის ზრდას: „ვინ არ ესახლებოდა და რა ოცნებას არ ეძლეოდა აქაური ცხოვრების მოწყობის შემდეგ! მთავრობა მათ ხელს არ უშლიადა დასახლებაში; ეტყობოდა ეს მისთვის სასურველიც იყო: ვინაიდან მისი მიზანი იყო ადგილობრივი მცხოვრებლები აეყარა და მათ ადგილის რუსთა მოსახლეობა გაეჩინა“ (გვ. 28). ვფიქრობთ აქ გაბეჭულად და ნათლიადა ნათქვამი „დიდი მეზობლის“ შორეულ გეგმებსა და განზრახვაზე.

ქართული ინტელიგენციის იმდროინდელი ცხოვრება აღბათ ისე დეტალურად

არაგის აღმუწერით, როგორც დავით კლდიაშვილს, მისი ბათუმში ჩასვლა ჰქონდა შემთხვევაში მრავალ ღირსშესანიშნავ მოვლენას: ის-ის იყო გაიხსნა პირველი ქართული სკოლა, დაიწყო თეატრალური ხელოვნების განვითარების პირველი ნაბიჯები, ყოველივე ამას კი ქალაქის ინტელიგენციის რიცხვის ზრდაც მოჰყვა. ახალგაზრდა მწერალმა აქ გაიცონ მსახიობები: მაკო საფაროვა-აბაშიძისა, ქეთევან ანდრონიკაშვილი, ვასო აბაშიძე, სანდრო ყაზბეგი, ლადო მესხიშვილი; ექიმები: გიგო გაბაშვილი, გრიგოლ ვოლსკი, ალექსანდრე შატილოვი, გრიგოლ ელიავა, კონდრატი შხეიძე, პედაგოგები ალექსანდრე ნანევიშვილი, მოსე ნათაძე. მათი სიხარულით ხარობდა და მათი ტევილი ტანხავდა.

დავით კლდიაშვილს მწერლის ოსტატობით აქვს დახატული თვითმყრობობისდროინდელი უსამართლობა, ძალმომრეობა და სამხედრო-ბიუროკრატიული რეჟიმი. ამის მაგალითებად მას მოჰყავს აჭარელი ყაჩაღების მევლუდ დიასამიძის და ილიას ხილაძის გასამართლება. მევლუდისათვის ვიღაცის გაძარცვა დაუბრალებიათ და დაუპატიმრებიათ, მაგრამ ბუნებით ამაყს, გულადსა და მართალ კაცს გამოძიებამდე გაქცევა მოუხერხებია, შეუდგენია შურისმაძიებელთა ჯგუფი, რომელიც „მოსვენების არ აძლევდა იღმინისტრაციას თავისი თამამი, გაძედული თარეშით“ (გვ. 40). მევლუდ დიასამიძეზე პარმენ ლორიამ ვრცელი რომანი დაწერა, ნიკო სანიშვილმა ფილმიც გადაიღო, მაგრამ სახალხო გმირის შეპყრობის ფაქტი ზუსტად არ არის გადმოცემული (ზოგი ავტორი ამას თუფან-ბევ შერვაშიძეს მიაწერს). ამაზე დავით კლდიაშვილი არაფერს ამბობს.

სარწმუნო წყაროებით მტკიცდება (აბდულ მიქელაძის წერილები, ძევლი გაზეთები და ა.შ.), რომ ყაჩაღის შეპყრობა ქედის მაზრის უფროსის თოვან-ბევ შერვაშიძისათვის მართლაც უთხოვათ, მაგრამ მას მრავალი მოსახურიდან განუცხადებია (მევლუდი მისი ნათლული იყო), რაც ბეგის სამსახურიდან გადადგომის მიზეზი გამხდარა. მაზრის უფროსად დაუნიშნავთ ახალი კაცი, ეროვნებით რუსი, ვლადმირ ივანეს ძე ვოსკერესენსკი, რომელიც „გულმოდგინედ შეუდგა ფირალების დევნას“ (აბ. მიქელაძე. წერილები აჭარიდან. თბ. 1991 გვ. 63), 1898 წლის ოქტომბერში ვ. ი. ვოსკერესენსკის მოღალატეები მოუსყიდნია და სოფელ წონიარისში მყოფ მევლუდს გარს შემორტყმიან. ორი აბრავი მოუკლავთ, ხოლო მძიმედ დაჭრილი მევლუდი შეუპყრიათ.

სასამართლოს თარჯიმნად დავით კლდიაშვილი დაუნიშნავთ, ამიტომ იგი დაწვრილებით გადმოგვცემს პროცესის მიმდინარეობას.

დამცველისა და თვით განსასჯელის მგზებარე სიტყვებს, აგრეთვე დავით კლდიაშვილის შთამაგონებელ თხოვნას მოსამართლეებზე ისე უმოქმედია, რომ მიუხედავად განაჩენის წინასწარ გამოტანისა (მთავარმართებელი გოლიცინი კტევების მოთხოვდა სიკვდილით დასჯას), ჩამოხარჩიბის ნაცვლად მევლუდს სამუდამო კატორლა მიესახა: „გოლიცინი კი კინაღამ ჰკუიდან შეიშალა და სასამართლოს განაჩენი გაგზავნა პეტერბურგში, უმაღლეს სამხედრო სასამართლოში და მოითხოვა, რომ განაჩენი საქმის ხელმეორედ გაურჩევლად შეცვალათ. მოთხოვნა შეწყნარებულ იქნა: განაჩენი გადისერა და მევლუდას ჩამოხარჩიბა მიესახა! არც კასაცია, არც ახლად საქმის გარჩევა, ჩამოხარჩეს მევლუდა! მოსამართლებს გამოეცხადათ სასტიკი საყვედური, მეაცრმა მმართველმა თავისი ქნა“ (გვ. 41).

ანალოგიურია ილია ხილაძის \* ბედიც. მან სრულიად უდანაშაულოდ მოკლული

\* მწერალს ეს გვარი შეცდომით ხელაძედ. მიუჩენებია.



ძმის სისხლი, აიღო, რომელსაც მაშინდელი ტრადიცია მოითხოვდა. მევლუდის ისტორიით დაშინებულ მოსამართლეს, ივანენკოს, რომელიც თავისი ლიბერალობით გამოიჩინდა, ვერ გაუტედაგს ილიასაზე კანონიერების ბოლომდე მიყვანა და მისთვის სიკვდილის განაჩენი გამოუტანია იმ პირობით, რომ თავად აუხსნიდა მთავარმართებელს ილიასას საქმეს და როგორმე გადაარჩენდა მაგრამ... „მხეცს სისხლი სწყუროდა და არაფერი შეისმინა. გოლიცინის ბრძანებით ბათუმის ოლქის უფროსმა ილიასა წაიყვანა აქარაში, ქედაში შეცყარეს მრავალი ქალი, კაცი, ბავშვებიც კი და ილიასა საჯაროდ ჩამოახრჩეს“ (გვ. 44). ამ შემთხვევას (1899 წელს) ესწრებოდა ცნობილი სახალხო მთქმელი რეჯებ მუავანაშე (1873-1929). მნ მაღვ დიდი ბალადა, „ფურტიოელ ილიასას ლექსი“, შექმნა, რომელიც ხალხმა აიტაცა და სიმღერად აქცია. ლექსში ადმინისტრაციამ ნათლად დაინახა მისადმი მიმართული მწვავე პროტესტი, რის გამო დაიწყო ავტორის დევნი. რეჯებ მუავანაშე ისმალეთს შეაფარა თავი. იგი 56 წლისა გარდაიცვალა ქალაქ ედრემითის, იენიჭე რაიონში (ემენ დაგითაძე, მამია ხარაზი, აჭარის სახალხო მელექებები. ბათუმი 1993 გვ. 69-113).

დავით კლდიაშვილი კინემატოგრაფიული სიზუსტით აღწერს ბათუმს — ნავთის ქალაქს, რომელიც რკინიგზის შემოსვლის შემდეგ „ყველას ენაზე ეკერა... ყველასათვის საშოგაო აღგიღად შეიქმნა აღიარებული; ყოველი მხრიდან მოჩბოდნენ, რომ აქ ფეხი ჩაედგათ და ჯიბე გაესქელებინათ, სულ მოკლე ხანში დაიყიდა მიწები და გაშენდა ახალი ქალაქი...“ (გვ. 47).

ქალაქის კეთილმოწყობას, ავტორის თქმით, ხელს უწყობდა პოლიცემისტრად ახლად დანიშნული პოლკონიკი ვოზნესენსკი, რომელსაც ფოთიდან გაღმოუყვანია გერმანელი მებაღე რესლერი. ამ პიროვნებას მართლაც დაუმშვენებია ბათუმის ზოგიერთი ქუჩა. საყურადღებოა, რომ რესლერისა და ვოზნესენსკის შესახებ ვერცერთ წყაროს და საარქივო დოკუმენტს ვერ მივაკლიეთ, მათი გვარები გვხვდება მხოლოდ დავით კლდიაშვილის მემუარებში. იგივე შეიძლება ითქვას ქალაქის არქიტექტორ კარცევზე, პირველ ქალაქისთავზე გავრონსკიზე, მის შემცვლელზე კოიანდარზე და სხვ. (ამ მხრივ გამონაკლისია 6. დერუავინის „ბატუმ ი ეგო კრესტნოსტი“. ბათუმი. 1906 წ.)

ავტორი განსაკუთრებული სიზუსტით აღწერს ბათუმის, როგორც სამრეწველო ქალაქის განვითარებას, მაგრამ მხედველობიდან არ ტოვებს აჭარის სოფლებსაც. მას საგანგებოდ აქვს აღწერილი ადგილები მდ. ჭოროხის ნაპირებზე და ართვინის გზატკეცილის დაყოლება, ბარცხანის ხეობა, ყოროლისწყლის ჭალები, მახინჯაური და მისი აგარავები, ჩაქვის, ჭობულეთის არქმარე და ა.შ.

როგორც ავლინიშნეთ ქალაქ ბათუმში და მის თვითმართველობაში ქართველთა ფრთა ძალზე სუსტი იყო, რაც ხელს უწყობდა შოვინისტთა თარეშს და მათი გეგმების განხორციელებას. საქმე კრიტიკულ დონემდე მივიდა, ასე გაგრძელება აღარ შეიძლებოდა.

გამოჩენენ გაბედული, მამაცი ენთუზიასტები გრიგოლ ვოლსკი (პოეტობაში უმწიფარიძე) და ივანე მესხი, რომელთაც განიზრახეს თვითმმართველობაში ქართველების უმრავლესობისათვის მიეღწიათ. დაიწყეს საიდუმლო მოლაპარაკება ბერძნებთან, რომელთაც თანხმობა განაცხადეს იმ პირობით, რომ ხუთი ხმოსანი ბერძნენი იქნებოდა. დავით კლდიაშვილი, როგორც რესეტის არმიის ოფიცერი, საიდუმლოდ მონაწილეობდა ამ შეთქმულებაში. არჩევნები, რომელსაც დიდი ილია

ქწრებოდა, ბრწყინვალედ ჩატარდა, ქართველობა უმრავლესობაში აღმოჩნდა. ახლა საჭირო იყო ქალაქისთავადაც ქართველი ეკრიით. ადგილზე შესაფერისი კანდიდატურა არ მოინახა, არჩევანი შეაჩერეს ქუთაისის ყოფილ ქალაქისთავზე ლუკა ასათიანზე, რომელიც იმუამად გუბერნიის სამართველოს წევრი იყო. შეადგინეს თხოვნა ოცდაერთი კაცის ხელმოწერით და ქუთაისში მოსალაპარაკებლად აფრინეს დავით კლდიაშვილი. მან ასათიანს გადასცა ბათუმელთა თხოვნა: „მე არ დაუმალე არაფერი, ვუთხარი, რომ არიან სხვა კანდიდატებიც და რომ შესაძლებელია ერთი ან ორი კენჭით გავიდეს მხოლოდ, მაგრამ ამას ნუ ითაკილებ-თქო.“

ჩამოგბრუნდი ბათუმში და ასათიანის თანხმობა ჩამოვიტანე“ (გვ. 71).

არჩევნები ცხარე ბრძოლებში ჩატარებულა. ასათიანი ერთი ხმით გასულა, ორი სხვა კანდიდატი (სომები და რუსი) გაშავდნენ. ამ არჩევნებს ქართველობა დიდი აღტაცებით შეხვდა. ქუთაისის გუბერნატორმა შალიკაშვილმა, რომელიც გამოიჩინდა ლიბერალობით, მაშინვე დაამტკიცა ლუკა ასათიანი, მასთან ერთად იყვნენ გრ. ვოლსკი (მოადგილი), ივ. მესხი (მდივანი) და ივანოვი, გარუსებული ლეკი. დავით კლდიაშვილი მეგობრობდა ახალ ქალაქისთავთან და მისი არაოფიციალური, მაგრამ ფაქტობრივი მრჩეველი იყო.

ამ ამბავმა ააფრიაქა ბათუმის შავრაზმელობა. განსაკუთრებით აქტიურობდა გაზეთ „ჩერნომორსკი ვესტნიკის“ რედაქტორი პალმი, რომელიც ხშირად აქილიკებდა ქართველ ინტელიგენციას, ამჟრად კი მთელი თავისი ირონია ლუკა ასათიანზე გადაიტანა. ამან დავით კლდიაშვილის დიდი აღშფოთება გამოიწვია. შეერალი მომენტს ელოდა პალმთან ანგარიშის გასასწორებლად.

1896 წლის ზამთარში ქუთაისში გარდაიცვალა გაბრიელ ეპისკოპოსი. იგი ქართველობამ დიდი პატივით დაკრძალა, პალმა კი თავის გაზეთში მოათავსა ქუთაისის გიმბაზის მასწავლებლის იურკოვსკის წერძლი, სადაც სასაცილოდ იყო იგდებული ხალხის გლოვა, გასვენების პროცესია. დავით კლდიაშვილი ტელეფონით დაუკავშირდა პალმს, მის გაზეთს „ქუშუბიანი, გათახსირებული“ უწოდა, ხოლო თვით რედაქტორი დუელში გამოიწვია. დუელის დღე დაინიშნა, მაგრამ შეშინებულმა პალმმა მეტოქეს საჭაროდ ბოდიში მოუხადა და ეს ინციდენტიც ამით ამოიწურა.

დავით კლდიაშვილისა და გრიგოლ ვოლსკის მეგობრობაც სამაგალითო იყო. მისი „ახლობლები ვიყავით ან მე ან ილექსანდრე აბაზაძე, ან ექიმი კონდრატი შეეიძე. აქვე იყო ჩვენი საყვარელი ილექსანდრე ლორთქიფანიძე, გამომძიებელი, უფროსი მა მწერალ ნიკო ლორთქიფანიძის“ (გვ. 85).

ქილაქის ხელმძღვანელობასთან ქართველი ინტელიგენციის მშედრო კავშირს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. შედეგიც სახეზე იყო. ლუკა ასათიანის ქალაქისთაობის პერიოდში მრავალი მნიშვნელოვანი საქმე გაკეთდა: „სულ მოკლე ხანში დამთავრდა ბათუმის გიმნაზიის გახსნის საქმე, აგებულ იქნა მისთვის ჯერ დროებით, შემდევ დიდებული, მუდმივი ორსართულიანი შენობა. მშევნიერი აიგო აგრეთვე საქალაქო სასწავლებლისათვის. აშენდა ქალაქის გასანათებლად საკუთარი ელექტრონული სადგური; გაიხსნა ისოცასწოლიანი საავადმყოფო, \* რომლისთვისაც

\* აქ მწერალი ცდება. მართალია მშენებლობები დაწყებული იყო, მაგრამ ქალთა გიმნაზია 1901 წელს. ხოლო საავადმყოფოს 1902 წელს გაიხსნა, როცა ლუკა ასათიანი გარდაცვლილი იყო (ავტ. შენიშვნა).



აგებულ იქნა სამაგალითოდ მოწყობილი შენობები: გაიხსნა რამდენიმე დაბალი სკოლა ცალ-ცალკე ყველი ეროვნებისათვის, დაწესდა ლომბარდი, გაიხსნა ქალთა გიმნაზია". განახლდა ბათუმის გარშემო მდებარე ჭაობის დაშრობისათვის საჭირო მუშაობა ქალაქის გასაჯანსაღებლად; აიგო ნურიის მოედანზე მშვენიერი შენობა დახურული ბაზრისათვის; გაკეთდა ასფალტიანი ტროტუარები ზღვისკენ მიმავალ ქუჩაზე შეუდგენ ქალაქის გამგეობისათვის შენობის აგებას, იმ შენობას, რომელიც დღეს ამშვენებს ბათუმს. ერთი სიტყვით ეს ოთხი წელიწადი მართლა რომ სამაგალითო და საარაკო მუშაობაში ჩატარდა. ყველაფერი კეთდებოდა ფიცხლად და ხალისიანად" (გვ. 80).

მიუხედავად ამისა მდგომარეობა არათუ შემსუბუქდა, კიდევ უფრო დამძიმდა. ახლოვდებოდა ქალაქისათვის არჩევნები, კვლავ წამოყევს თავი სომხებმა და შოვინისტმა რუსებმა. არჩევნებში გამარჯვებისათვის ქართველთა ძალები კვლავ უნდა გაერთიანებულიყო. უნდა შეენარჩუნებინათ ბერძნთა მხარდაჭერაც და ამ საქმის შუაგულში კვლავ დავით კლდიაშვილი აღმოჩნდა მან შეძლო სხვადასხვა პარტიის წარმომადგენელთა თავმოყრა: „ორი კვირა ვირბინე იმისათვის, რომ შემეცერებინა და თავი მომეყარა ჩვენებური მეთაურებისათვის მოსალაპარაკებლად. როგორც იქნა დავიყოლიე და გავმართოთ პატარა კონფერენცია... აქ იყო გრიგოლ ვოლსკი, ივანე მესხი, საშა წულუკიძე და სხვები. მომხსენებლად ყოფნა მე შემხვდა – სწერს დ. კლდიაშვილი" (გვ. 92,93).

მომხსენებელს იღუნიშნავს, რომ პარტიებს შორის ატეხილი დავით საერთო ქართული საქმე დაზარალდება, არის წინსვლა, ჩვენ დავამტკიცეთ, რომ შეგვიძლია საქმიანობა, ამიტომ საჭიროა შეთანხმებული მოქმედება და საერთო პლატფორმის გამონახვაო.

კრებაზე მყოფ ჩევიძეს (ალბათ კარლოს) რადიკალური წინადადება წამოუყენებია: ეროვნული მიდგომით წინ ვერ წავალთ, საჭიროა თვითმყირობელობის დამხობაო, ხოლო საშა წულუკიძე თვლიდა, რომ შეთანხმება არ მოხდება, რადგან სხვადასხვა პოლიუსზე ვდგევართო. ასე რომ დავით კლდიაშვილის დიდმა მეცანიერობამ შედეგი ვერ გამოილო (როგორ მეორდება ეს პატიული წაჭედულებებიანა დღევანდელ საქართველოში). მიუხედავად ამისა ლუკა ასათიანი მაინც გავიდა ქალაქისათვად და კვლავ გააგრძელა ნაყოფიერი შრომა. სამწუხაროდ იგი მალე გარადიცვალა და ახლა იუცილებელი გახდა ახალი ქალაქისათვის ამორჩევა. საქმეში ჩაერია დიდი ილია, რომლის წინადადებით კანდიდატია დასახელდა პროფესიით აგრძონები ივანე ანდრონიკაშვილი.

დიდი წინააღმდეგობების მიუხედავად ქართველთა ეს კანდიდატურაც გავიდა. მან კიდეც გაამართლა იმედები: „ასათიანის მემკვიდრე სასურველი მუშაკი გამოდგა: მან სავსებით გაამართლა ილიას რეკომენდაცია და დიდხანს იყო ბათუმის ქალაქის მეთაურად" (გვ. 99).

მე შეგნებულად თავს ვარიდებ დავით კლდიაშვილის სამხედრო სამსახურის აღწერას. ეს სულ სხვა თემად მიმართია, მაგრამ არ შემიძლია არ ავლიშნო ერთი მომენტი, სადაც კიდევ ერთჯერ გამოჩნდა დიდი მწერლის მამულიშვილობა და თანამემამულებისადმი ზრუნვა.

სამხედრო უწყებას გამოუცია განკარგულება, რომლის ძალითაც ქართველი და რუსი გარისკაცები ერთმანეთში უნდა შეერიათ. ამას დიდი არეულობა მოჰყვა, რადგანაც ახალწვეულმა ქართველებმა სრულიად არ იცოდნენ რუსული ენა. მათ

არ ესმოდათ რას უბრაძანებდნენ, რის შესრულებას ავალებდნენ, ამიტომაც ცურაული იყენებდნენ დღეს პირშეთქმულებმა მიატოვეს ნაწილი და გაიპარნენ: „ერთი კვირის შემდეგ ჯყლანი უკლებლივ დაბრუნდნენ, დაინიშნა გამოძიება იმის გამოსარკვევად, თუ რამ აიძულა ისინი ასეთ მოქმედებაზე და ასე თავშეყრილიად გამოიძიება მომანდვეს ჟე“ (გვ. 114). აქ კი დავით კლდიაშვილმა ნამდვილი მამობრივი ზრუნვა გამოიჩინა ახალწეულების მიმართ, ნაწილის უფროსს, პოლკოვნიკს, დაწვრილებით მოუყვა მომზდარი, წერილობითაც წარუდგინა და დააკერა, რომ მათ ობიექტურმა მიზეზში ჩადენინა ეს დანაშაული. სწორედ ასეთმა თავდადებამ იმოქმედა, რომ არცერთი ქარისკაცი არ დაუსჭიათ, პირიქით, პოლკოვნიკმა რაზმის უფროსებს უბრაძანა, სხვაგვარიად მოპყრობობდნენ და მათი მდგომარეობა შეემსუბუქებინათ. ეს კი იმში მდგომარეობდა, რომ ახალგაზრდებს პირველ რიგში რუსული ენა უნდა შეესწავლათ, რაშიც თვით დავით კლდიაშვილი ეხმარებოდა.

ჰუმანისტი მწერლისთვის ყველაზე დიდი ტვირთი იყო 1902 წლის მარტში მუშათა გამოსვლების ჩატობაში მონაწილეობა, როცა გაიფიცნენ როტშილდის ქარხნის მუშები. დავით კლდიაშვილის რაზმს მორიგეობით მოუხდა იმ ობიექტის დაცა, სადაც 400-მდე მუშა ჰყავდათ დაკავებული. შემთხვევის ადგილას მოსულა გენერალ გუბერნატორი დრიაგინი. მას მუშებთან საუბარი უნდებდია. ერთ-ერთ მუშას, გვარად გოგიბერიძეს (ჩვენი აზრით ეს მემედ გოგიბერიძე უნდა იყოს) ხელი მოუკიდია დავითისათვის და უთქვამს: „ეს იქნება თარჯიმნადო“.

სანამ საუბარი დაიწყებოდა ოდესის (ახლა პუშკინის) ქუჩაზე, თუთან-ბეგ შერვაშიძის სახლთან სროლა გაისხა, რასაც კაბიტან ესტატე ანთაძის გუნდიდან საბასუხო სროლა მოპყვა. რამდენიმე მუშა დაიღუპა, მრავალი დაიჭრა, რისი უნებური მოწმე გახდა დავით კლდიაშვილი: „რა მინდოდა მე ამ რიგებში? — ეყითხება მწერალი თავისთვის — რატომ ვხვდები მოწმე ამგვარი საშინელებისა, ამ საზიზრობისა! ო, რა ტანკვა გამოვიარე! დარეტიანებული დავდიოდი მთელი სალამო! მიჩლუნებული გონება აღარ მუშაობდა“. (გვ. 140, 141).

დავით კლდიაშვილი შედიოდა ბათუმის ვაჟათა გიმაზიის მშობელთა კომიტეტის შემადგენლობაში. ამ ერთის შეხედვით უპრეტენზიო პოსტს ის აქტიურად იყენებდა შოვინისტი პედაგოგების ასალაგმავად. უფრო მეტიც, სწორედ მისი უშუალო ჩარევითა და ზეგავლენით გიმაზიის ჩამოშორდა მისი დირექტორი ვინოგრადოვი: „ის გადაიყვანეს სტავრობოლში. მასთან ერთად სხვადასხვა ადგილას გადაიყვანეს რამდენიმე მასწავლებელიც; ზოგი თავის ნებითაც გაშორდა აქაურობას, შეშინებული იმ განწყობილებით, რომელიც დამყარდა მოსწავლეთა და მასწავლებელთა შორის“ (გვ. 177, 178).

სე ძლელვარედ, შემოქმედებით წვასა და მამულიშვილურ საქმიანობაში გაიარა იმ 26 წელმა, რომელიც დავით კლდიაშვილმა ბათუმში გაატარა. ალბათ საყვარელ ქალაქში ის კვლავ გააგრძელებდა მოღვაწეობას რომ არა არასასიამოვნო მოულოდნელობა. ერთ მშვენიერ დღეს, ეს იყო გამდვინვარებული რეაქციის დროს, 1908 წელს მას ნაწილის უფროსმა გამოუცხადა, რომ ის სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილია. ამას მწერალი ყოველგვარი წუწუნის გარეშე დაეთანხმა და თავის ზემდგომ ჩინოვნიერსაც საკადრისი პასუხი გასცა. შემდეგ მწერალი თავის მემუარებში იტყვის: „მივატოვე ბათუმი, სადაც ოცდაექვსი წელიწადი გავატარე და საცხოვრებლივ გადავვედი ქუთაისში, რომლის მახლობლად ჩემი სამშობლო სოფელია, სიმონეთი“ (გვ. 211).



ამის შემდეგ დავით კლდიაშვილი ვერც კი იფიქრებდა, რომ კვლავ მოუხდებოდა სამხედრო ფარავის ჩატარება და ჩვეულ აღგილებში დაბრუნება, მაგრამ ეს სწორედ ასე მოხდა.

პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე ახლადნააგადმყოფარი, 53 წლის დავით კლდიაშვილი კვლავ ჯარში გაიწვიეს და ქართველებისა და რუსებისაგან შემდგარი შერეული დრუუინის უფროსად დანიშნეს.

ბათუმში ჩამოსული მეთაური გენერალ ლიახვის ბრძანებით ჭორობის ხეობით ართვინისაკენ გაემგზავრა და ბორჩხასთან ახლოს დაბანაცდა. შემდეგ თვენახევრით თბილისში მიავლინეს, რათა კავკასიის ფრონტზე საერობო კავშირის ისტორია შეედგინა, ამის შემდეგ კი იგი ბათუმ-ტრაპიზონის ხაზზე, ლაზეთის სოფელ პირონიტში კომენდანტად დანიშნეს, სადაც წელიწად ნახევარს, საომარი მოქმედების დამთავრებამდე დაჰყო.

ისტორიული აჭარა-ლაზეთის ბედით შეწუხებული მწერალი ნათლად წარმოაჩენს ამ მხარეების უმძიმეს მდგომარეობას, ხალხის აყრის და ოსმალეთში გახიზნებას, ჭორობის ხეობა დავით კლდიაშვილს ასე აქვს წარმოდგენილი: „საოცარ სანახაობას წარმოადგენდა ეს მხარე აჭარისწყლიდან დაწყებული. უკან დახვევისას ოსმალებს თან გაერევათ მცხოვრებნი და სრულიად დაეცარიელებინათ აქაური სოფლები. საზარელ სანახაობას წარმოადგენდნენ ეს ჩიყრუებული, ჩაღუმებული, გადამწვარი სოფლები. შეიხედავდი დანგრევას და ცეცხლს გადარჩენილ სახლში: აყრილი იატაკი, მილეწილი კედლები, ყრია ძონები, ტანისამოსის ნაფლეთები, ბევრგან დამტვრეული აკვნები, ეზოში კარებ-ჩამოვალეჭილი ბელლები, გარშემო მიმობნეული სიმინდის მარცვალი, ლობიო... არავითარი ჭაჭანება ადამიანის, აგრე-ეგრ ისმოდა მხოლოდ ძალის ღმუილი, საზარელი ღმუილი, გულის მომკვლელი“ (გვ. 219, 220).

ასევე დანგრეული და მიყრუებული დახვდა მწერალს სარფი, მაკრიალი, ლიმანი, აბუ ისლა...

ლაზეთში ყოფნისას დავით კლდიაშვილმა განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია მცხოვრებთა განათლებას და ამ საქმეში დაინტერესებულ აღგილობრივ პიროვნებებს. აბუ ისლაში ასეთი იყო ჰასან ჰასენი აშივოლლი, აღგილობრივი ლაზი, რომელმაც განაცხადა, რომ გადაწყვიტეს ქართული სკოლის გახსნა, ქართულის შესწავლა, რადგანაც კარგად იციან, რომ ქართველები არიან, შეუყროვებით შეიდასი მანეთი, სტამბოლში გაგზავნიათ კაცი ნებართვისათვის, მაგრამ ეს საქმე რომ შეუფლებებია.

აქვე გაეცნო მწერალი მუსტაფა ბექირ-ოღლის, რომლის გვარი ჩხეიძე ყოფილა. მის ქართულს სტუმარი გაუყოცება. ასევე ახასიათებს სოფელ ფილარგეთის მცხოვრებს ჰასან დაიროლლის, რომელსაც მშიდრო ურთიერთობა ჰქონია გურიელ ერისთავებთან და ნაკაშიძეებთან.

ბათუმში ყოფნისას დავით კლდიაშვილი მოელაპარაკა საქველმოქმედო საზოგადოებას, რათა გაეგზავნათ წარმომადგენელი ლაზეთში აღგილობრივი მცხოვრებლების ეროვნული გათვითცნობიერებისათვის. მართლაც აქ ჩამოსულა კონსტანტინე კობასიძე, რომელიც ატარებდა კრებებს, დამსწრეთ უხსნიდა, თუ ვინ იყვნენ ლაზები, როგორი იყო მათი ისტორია, ყოფა-ცხოვრება და ა.შ.

დავით კლდიაშვილი აქვე შეხვდა ცნობილ მოღვაწეს იოსებ ყიტიძეს, რომელიც აქ მოგზაურობდა ჭანურ-მეგრულის შესასწავლიდ. დავითმა მას გააცნო მუსტაფა

ბეჭიროლი-ჩხეიძე, აგრეთვე ხოფაში გაატანა წერილი თავის ნაცნობებთან კელენჯოლებთან და ომერ აზაკოლლისთან, რათა იოსებისათვის ხელი შეეწყოთ მუშაობაში.

ბათუმში დავით კლდიაშვილის სამწერლო მოღვაწეობა ჩვენ შეგნებულად ბოლოსთვის მოვიტოვეთ. წინასწარ ვიტყვით, რომ მთელი მისი შემოქმედება სწორედ ამ ქალაქში გაიშალა, სწორედ ბათუმი გახდა მისი შთაგონებისა და მწერლობის ადგილი, საყურადღებოა, რომ მისი უმნიშვნელოვანესი ნაწარმოებები აქ დაიწერა: „შერისხვა“, „შესვერპლი“, „სოლომონ მორბელაძე“, „წრფელი გული“, „სამანიშვილის დელინაციალი“, „მრევვლში“, „ქამუშაძის გაჭირვება“, „მიქელა“ და სხვები. აქაური ინტელიგენცია, ექიმები, იურისტები, მასწავლებლები იყვნენ ის პირები, რომელთაც დამწყები მწერალი უზიარებდა თავის გეგმებს, ნაწარმოების მონახაზებს: „გრიგოლ ვოლსკი, კონდრატი მხეიძე, ალექსანდრე შატილოვი (ექიმები). ალექსანდრე ლორთქითანიძე (იურისტი), იყვნენ ის პირები, რომელთაც ვუყვებოდი ყოველი განზრახული მოთხოვნის შინაარსს, სურათებს, დეტალებს, განსხვავებული ხალისით შევუდგებოდი ხოლმე მათ მომართვას.

— აბა მოყევი! — მაქეზებდნენ ისინი და მეც მოგყვებოდი. მოთხოვნი ამ მოყოლაში შენდებოდა იოლად, ხალისიანად” (გვ. 240).

ქართული რეალისტური კლასიკური სკოლის შესანიშნავია წარმომადგენელმა დავით კლდიაშვილმა, პატრიოტმა და ჰუმანისტმა მწერალმა თავისი საქმიანობით, სიტყვით და კალმით ქართველ ხალხს აუწონავი ამაგი დასდო. იმ მხრივ ცალკე აღნიშვნას იმსახურებს ის ზრუნვა და თავდადება, რომელიც მწერალმა აჭარის აღდგენა-დაწინაურებას, მის კულტურულ წინსვლას მოახმარა.



## ზურაბ ჯობეგი

### "კონტი ესვალსახელების ჩრდილში"

როცა ვფიქრობ ცნობილი პოეტისა და უფროსი მეგობრის ზაალ ებანოძის პიროვნულ თვისებებსა და შემოქმედებაზე, მექმნება განწყობილება თითქოს მთელი ცხოვრება ერთმანეთის გვერდიგვერდ გვიმოღვწია, ერთად გვიზეიმია ახალი წიგნისა და ლექსის დაბადება, გავიზიარებია წყენა და სიხარული. ცალკე საუბრის საგანია პირადი ურთიერთობებია პოეტთან, რაზეც მომავალში დავწერ ალბათ. ამჟამად უურადღება მინდა გავამახვილო ერთ შეხვდრაზე.

1994 წლის აგვისტოში ზაალ ებანოძე შვილებთან ერთად მშობლიურ სოფელში მეწვია. 95 წლის ბაბუაქემის — ახმედის გაცნობით სიხარულით ცას ეწია. ორივე კარგი მოსაუბრენი გამოდგნენ. ხელი-ხელ ჩაკიდებულნი დადიოდნენ სოფლის შუა-ორლობებში, ჰყვებოდნენ ქვეყნის წარსულსა და მომავალზე. როცა პოეტის ზემო აჭარაში სტუმრობის შთაბეჭდილებანი დაღვინდა, დაწერა კიდეც მშვენიერი ლექსი:

#### აშარა - ბატონი ახველი

შოთას მამა,  
ზურაბის ბაბუა

სოფელი შემომატარა, სვენებ-სვენებით ვიარეთ,  
სათქმელი შემომაპარა-პირი გაეხსნა იარებს.  
„დიდ დედეს გაუმარჯოსო — თავის მორჩილი დაწევით,  
გვეგებებოდნენ გზადაგზა სოფლის ალალი კაცები.

ვეკითხებოდი წარსულზე, მეკითხებოდა ხვალეზე,  
მზე ჩადიოდა, ქედები მწუხრის სამოსელს ელოდა...  
მამაშვილურად ერთმანეთს მოვეფერ-მოვეალერსეთ,—  
მთელ საქართველოს ვხედავდი, მთის მაღალ საქართველოდან.

მთას გავდა-მთაზე გამდგარი, ჩამოთოვლილი თმა-წვერით,  
ხელჭოხზე ხელის დაყრდნობით, მეორე ხელის-მოჩრდილვით,  
ვუზიარებდით ერთმანეთს, რაც გულზე გვქონდა ნაწერი,  
ის-რა თქმა უნდა, ბატონი, მე — მისი მონა-მორჩილი.

ვუზიარებდით ერთმანეთს, გულის ხვაშიადს ვუმხელდით,  
იქვე, ბებერი თუთიდან, ჩიტი გოდებდა ღაბუა:  
ოლიმპიური სიმშვიდით იდგა ბატონი ახმედი —  
ორი პოეტი ზოიძის დიდი მამა და ბაბუა.

ამ ლექსს ჩემი შვილები ხმამალლა რომ კითხულობენ, თვალი გამირბის ჩემს

სამუშაო კაბინეტში თელის გაშალაშინებულ კედლისაქენ, სადაც მეგობარი მწერლების ავტოგრაფების გვერდით ზაალ ებანოიძის ოთხიოდე სტრიქონიცაა:

„თუ სტრიქონები თავისით იშვა,  
 მაშინ ვიწამებ ლექსის ბუნებას,  
 პოეზიაში დაკარგვა ნიშნავს,  
 ოშში წასვლას და არ დაბრუნებას“.

ზაალ ებანოიძე

19 ივნისტო, 1994 წელი

ზაალ ებანოიძე ექვსი ათეული წლის გახდა. მიჰყვება ცხოვრების აღმართს მეტი საფიქრალ-სადარდებლით, ამჭერად უფრო ცნობილი, ბაგვივით სათანო გულის პატრონი, სიტყვის ნამდვილი ოსტატი.

ბერის მეტყველია პოეტის სიტყვები: „ხუთი ათეული წლის შემდეგ სხვანაირი პასუხისმგებლობა მეუფლება, როგორც პოეტსა და რიგით მოქალაქეს. ჩემდაუნებურად წამომცდარი წყალ-წყალა სტრიქონი მკითხველის თვალში შეღავათის განწყობილებას ვერ შექმნის, რამეთუ ჩემი მდგომარეობის შემოქმედს მეტი პასუხისმგებლობის გრძნობა უნდა ჰქონდეს და არა უხვმოსავლიანობით გატაცების სურვილი...“

პოეტის ნათქვაში უფრო მეტად სიტყვისადმი ერთგულება ჭარბობს, მისი ყველა ბოლოდროინდელი ლექსი პროფესიონალის ხელითაა შექმნილი. შთაბეჭდილებისათვის წაგიკითხოთ „და ეს იქნება“. „შეიძლებოდეს, გავიქცეოდი საღმე, შემიგებლებდა მაწანწალების გუნდი: შენგან მოძღვნილი ჩემი კუთვნილი დავთმე და ერთგულებით ვზიდე მონობის ხენდი. ვაი თუ მაინც შევხარბებივარ ვიშეს, ოდად ჩათვალი ხავსმოდებული სორო — სადაც აქმდე ჩემივე გულის მღვიმეს შეფარებული საყდრის ბერივით ვცხოვრობ. არც რა ახალი, არც რა ძელია რამე, (მდორე დინებას დასაბამიდან ვენდე), ვდგავარ პირისპირ მე და ლუსკუმი ღმევ და ერთმანეთში იმედს ამაოდ ვეძებთ. თავზე გვახურავს გალატეიკების ბანი, ბანზე ლამაზი ვარსკვლავებალები სხედიან, გადახსნილია მეტეორების დანით გათი მაჯები და ჩემი გულის სევდა. სევდის სარკმლიდან ამოშზირალმა ზემოთ, შემოგატირე ჩემი ჩალა და თივა, წუთისოფელი მწერლარტეს მიტოვებს გემოს და რო არ ველი — იმ ცროს მატტვრებს და მცივა: ვაი, საბრალოვ, ჩემო ცოლო და შვილო, უფრო საბრალოვ, — ალბათ უთქმელად ხვდებით, დამატარებენ ქარის სუდარას — ტილოს, დამიტარავენ მკერდს ღამეების თმებით და ეს იქნება... როდის იქნება ვინ თქვას, — სული ცოდვილი იგერ ჭახირობს ჭერიც: მიმინისავით წინ გამიშვია სიტყა და მუშა კაცის ხვითქი მისველებს პერანგს“. მე კი იმას დავძენ: ზაალ ებანოიძის ცხოვრება და შემოქმედება, უპირველეს ყოვლისა, ნიჭიერებისა და კაცურკაცობის ნათელი გამოვლინებაა.

ზაალ ებანოიძის რჩეული ლექსებისა და პოემების კრებული „მარადიული რთველი“ გამომცემლობა „საქართველომ“ დაბეჭდა 1989 წელს სოლიდური ტირაჟით, მაგრამ იგი გამოსვლისთანავე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა. ამის უპირველესი მიზეზი ის გახლავთ, რომ პოეტმა თავისი ცხოვრებისა და შემოქმედების შუალებზე წიგნში თავი მოუყარა საუკეთესო ქმნილებებს.

გვერდი მინდა ავუარო პირდაპირ სათქმელს. ზაალ ებანოიძე ერთ-ერთი

პირველია ქართველ პოეტთაგან, რომელმაც სულითხორცამდე განიცადა ჩიმომეწყვირილი აქარის მთიანეთის საწუხარი. 1989 წ. ყოველივე ეს შესანიშნავიდ გამოხატა ლექსში „აჭარა“, რომლითაც გაამხნევა მთის შეილები და მუდმივი თანადგომა აღუთქვა:

„ახლავს ბედთან შეჭიდებას  
ცრემლიც ღაწვზე განასკვული,  
მზად ვარ როცა შენ გჭირდება,  
დავახიო დანას გული“.

თუმცა ოდნავ შემპარავად, ოდნავ შებინდულად, ჩვეული მოკრძალებით მიმართავს ერთგან თავისი სამშოს საუფლოსა და საცხოვრისს:

„მოვიარე შენი გზები,  
შუახევი, ქედა, ხულო,  
ძმურად მაინც შემიწყრები,  
ხშირად რაკი ვერ გნახულობ“.

ეს სტრიქონები დასტურია იმსა, რომ პოეტი კუთხური პარტიულარიზმისაგან შორს დგას, მისთვის თანაბრად საყვარელია შორეულიც და ახლობელიც. ეს რომ ასეა, იმას კიდევ ერთხელ შევიგრძნობთ „მარადიული რთველის“ წაკითხვისას, რომელშიც დიდი ისვირცეა ჩატეული. იგი შშობლიური იმერქოთის სანახებიდან იწყება და არ მთავრდება. სულ უფრო ფართოვდება, იტოტება და უსასრულობას ერთვის:

„შენ რა გამოგლებს,  
სულ იმატებ და სულ დიდდები...“

დაე, თავისი არშინებით გზომონ მგოსნებმა,  
ხეზე რამდენიც დამსხვილდება მარტში კვირტები,  
ჩემთვის იმდენი სამყარო ხარ  
და საოცრება...“

ლექსს „შენ რა გამოგლებს“ ჰქვია. იგი წიგნის ერთგვარი პროლოგია. ამ რამდენიმე სტრიქონში დიდი სათქმელია ჩატეული, რაც იმაზე მეტყველებს, რომ პოეტს აქვს უნარი მოკლედ და ლაკონურად გადმოსცეს გულის ფიქრი.

ზაღლ ებანოიძე იშვიათად მიმართავს რთულ მანერებს, წერს საღად, მარტივად, მკითხველისათვის გასაგებ ენაზე, თუმცა მისთვის უცხო არ გახლავთ სიახლეთა მიგნება. სხვანაირად არც შეიძლება, რადგან ძიების გარეშე არ იბადება ჰეშმარიტება. ამ უკანასკნელის გარეშე კი მართალი სტრიქონი. კარგად იცის პოეტმა ყოველივე ეს და გულისთვის როგორც ძალუბს იმდაგვარად ამხელს.

პოეტისათვის სხვა თვისებებთან ერთად გამბედაობაა საჭირო, საკუთარ შესაძლებლობებთან წილნაყარი გამბედაობა. იგი ეყო ბოლომდე კაცს, რომლისთვისაც დალხინებას ფრთხები არ გამოუსხმია, შრომაში, გარჯაში თვალსა და ხელს შეუ გაეპარა ორმოცდაათი გაზაფხული, ორმოცდაათი შემოდგომა და სადღაც მოგონებაში:

„ბაგშვიობა დარჩა  
გადაფრენილ ჩიტის დარაჯად  
და მეოცნებე თვალი აქვს სველი“.

ამ მიგნებული სალექსო ტაეპის მიღმა მთელი ცხოვრება ჩავლილა მთის ანკარა

წყაროსაცით; კრისტალივით წმინდა, მაგრამ ორმოცი წლის პოეტი ელდანა კრავიგით ჩერდება, როცა დაგმანულ კარს გამოხსნის ნაშუალამევს, შეკრთება კიბეზე შემდგარ კალის მაძიებელ მყეფარას წინაშე, რომელიც საბელით უკავია, შეავლებს თვალს:

„წამის მეთასედში გავიარე გზა,

ორმოცი გაზაფხული რომ ამშვენებს,

შემში გავიარე, ნათელში გავიარე

და მაინც ტერფამდე გავიყინე“.

გამოირკვა, რომ მაგანს მეზობელი გაუქურდაგს. კვალის დასატარავიდ პოეტის სახლის კარებს მისდგომია, დაახლოებით ასეთი შინაარსია გატარებული ლექში: „სიმართლეს, სიმართლეს გაუმარჯოს“, ამგვარი სიძლიერის ლექსები უზვადა აქეს პოეტს, მაგრამ ამ ლექსზე იმიტომ შევჩერდით, რომ წუთით შევიხედოთ პოეტის სულის ხელულებში, სადაც უდიდესი შინაგანი დეპრესია ბობოქრობს, ერთად ზღვადება ადამიანის მიერ ადამიანის უფლების ხელყოფა, კაცის ხელით ჩადენილი უკეთურობანი, ამის განცდა და შეგრძენება ზარივით რეკავს წიგნის სახასიათო ლექსებში და მოუწოდებს მოყვასს მუდმივი ერთგულებისაკენ.

სულით ხორცამდე შემძრა ლექსებმა — „ძველი ლექსი მამაჩემზე“ და „დედა“ პირველი 16 სტრიქონია, მეორე — რვა, ორივე სხვადასხვა დროსაა დაწერილი ორივეში დიდი სანათლე, ტკივილი, შემპარავი სევდა და კმაყოფილება გამოსჭვივის“

„ბედნიერი ვარ შენი ეტლით

შენი ბორანით,

არ შეგაღამდე სხვის მიწაზე

და სხვის მამულში“.

მაგრამ დედასთან გასაუბრება უჭირს წვიმის შვილს.

მცირე შესვენების შემდეგ მკითხველმა მიიღო ზაალ ებანოიძის ახალი წიგნი ცოტა უცნაური სახელწოდებით: „პოეტი ნაცვალსახელების ჩრდილში“. იგი ქუთაისის გ. ტაბიძის სახელობის სააქციო საზოგადოება „სტამბის“ საგამომცემლო უნტრმა გამოსცა 1996 წ.

... შეღავათების დრო ჩავლილია... მეექვსე ათეული მიახლოვდება... შენი ხმალი და ჩემი კისერი მკითხველო! — იყავი პირუთგნელი შემფასებელი — წერს წიგნის ანოტაციაში ავტორი.

ამ კრებულში სხვადასხვა მხატვრული ღირებულების ლექსებია შესული. ისინი ხუთათეულ წელს გადაცილებული პროფესიონალის ხელმა შექმნა. თითოეულ მათგანში ისეთი მძაფრი ენტრიგია ნალივითაა ჩადებული, რომ გაყინულ დარბაზს გაათბობს, ბნელს გაანათებს, უძლურს ღონეს შეპრატებს, უნუგეშოს — ნუგეშს მისცემს, სულით ხორცამდე შეძრავს ადამიანს და მეტ სიცხოველეს შეძენს მისი სიცოცხლის დედააზრს.

წავიჟოთხოთ ლექსის „ნასხისარივით ვატარებ სხეულს“ ბოლო სტრიქონები:

„როგორც მებოძე, ისე მინდა დავბრუნდე შენში —

ვაშლის ყვავილით, ატმის რტოთი, ვაზის კურცხალით

და საამისოდ მე უკვე ფრთხებს ვშელი,

თუ შენს წამიერ გააზრებას სალიმს ვუგზავნი“.

კითხულობ პოეტის ახალ ლექსებს და წამის გაელვებაში გროვდებიან

ბრჭყვიალა თვლებივით მოჭარბებული ემოციები და სხვა განზომილება ენიჭება ცხოვრების საზრისს.

თავიდანვე ხომ გასცა თავისთავი პოეტმა და დასძინა: შეღავათების დრო წასულაო. ამაში დიდი დატვირთვის ქვეტექსტი ჩადო, რადგან ახლა სიჭარმაგეში შესული კაცი თვალებით ექცეს ყველაფერს იმას, რასაც სიღრთხილით მიღდომა სჭირდება. ყოველთვის გონების თვალს ავლებს რეალობასა და პათეტიკურად კითხულობს ვინ არის „ის“ მესამე, ათასი ფიქრისა და დარღის აღმძრელი. პირდაპირ სათქმელს თავს არიდებს, აბაში ნაცვალსახელების კრიალოსანს:

„ის“ ჰყება ამბავს, — „ის“ — მესამე, ვდუმვირ და ვისმენ,

(შენგან — მეორე, ჩემთვის ერთი შორი და უცხო),

ხანგამოშვებით სევდა რამე ასხლტება სიმზე

და დამითქორავს საყანებს, დარჩენილს უწყლოდ.

ხომ ვიცი, ჩემი საწუხარი თავისად უჩანს

და ეფიცება ჩემი ხელით დანთებულ კოცონს,

ერთის მაგიერ სამი ლანდი უხდება ქუჩას

თუ სამი კაცი ერთი კაცის ტკივილით ცოცხლობს.

იცვლება როლი, მერე შენიც დადგება ჯერი

ლანდიდან ლანდში გაბიჯების ფარული ნიჭით,

ერთდაიმავე საწუხარზე ვტირით და ვმღერით

და მშენობს შენად, მე რომ ჩუმად გამხელა მიჭირს.

ბოლოს როდესაც დაღალული ვბრუნდები თავთან —

(მაფრთხილებს გული ამომჯდარი და მაჯის ფეთქვა),

დავაწყობ სიტყვით ჩემი ნებით არეულ დავთარს

და ვიწყებ „მე“-თი მიტოვებულ საუბარს თქვენთან

(„პოეტი ნაცვალსახელების ჩრდილში“)

ეს საუბარი პოეტმა კარგა ხანია დაიწყო. გზადაგზა აკეთებდა წუთ-შესვენებას, ნათქვამ-გააზრებულისათვის თვალი რომ გადაევლო, დაეჭვებ-ჩაფიქრებისათვის დრო გამოენახა, წუხილი და ცხოვრებისეული ჯირი გაენელებინა:

— შემოვიარე სანახები მე რომ მიყვარდა,

ვითიქრე წუხილს წუთით მაინც გამინელებსო,

მაგრამ ვაი, რომ თვალი ჭალებს აღარ მიხარბდა,

არც მთები იყო ძელებურად საინტერესო...

ჭუჭა ჩირგვები გვირილების იდგა ცხორებში

და მობიურე ბელურებიც ცაზე ეხატა

და შემოვიხმე თავი მე ჩემს სიმყუდროვეში,

რომ საიდუმლო პარაკლისი გადამეხადა“

(შემოვიარე სანახები)


კრებულს დასაწყისიდან დასასრულამდე ყველა სტრიქონი რწმენის ნათელითაა გასხვისნებული, რასაც ახლავს აბსტრაქტული მცენება — იმედი, რომელიც პოეტის თქმით ზოგჯერ სხეულს შეისხამს, თეთრ ხალათს მოისხამს და ხალხში დადის:

„გივი წულეისკარის სახით...



ვახტანგ ბესელია

ნიკორწმინდა



ვახტანგ ბესელია

საქსოფონი

ჭონდო და არჩილ მხედვების სახით...

გიორგი ცისკარაშვილის სახით...

კისკარაშვილი სამრეკლოს გურით,

ଓଡ଼ିଆ ଲେଖକ ମହାନ୍ତିର

ჩვენ ლექსიბს ვწერდით,

ହିତରେ ଲୋକିଶ୍ଵରଙ୍କ ପାଦମଣି

და თვალი ჩუმალ გვეჭირა კისკინ“.

ის გმინარითი მოვიტანე „ზიგზაგით წასაკითხი ლექსი №2დან.“ რომელი

კრებულში ბევრი ისეთი ლექსია, წაკითხვისთანავე რომ ამაღლებს გუნება-განწყობილებას, ჩასახლდება სულში, დიდხანს თავს ვერ დააღწევ მოჭარბებული ემოციებს, გადამდებ ურუოლასა და მუსიკას. ერთი წაკითხვით ჩემში ისეთი შთაბეჭდილება დატოვა ლექსებმა: „როგორ მაგონებ“, „გაატან მზერას ფეხადგმულ ნიავს“, „ეზოდან იმის უალოო ყივილი მამლის“, თითქოს ყოველი ის არის, რაც გსურს, „დაუწერელი ლექსის დატირება“, „ჩრდილოვან ხეთა შრიალი მოდის“, „რამ თვალის მომჟრელ ციტიმს“, „ტანს მაღე ჩამოითეთრებს“, „აბასთუმანი“, „მამა“, „მწვანე მინდორში“. ჩემი აზრით ყველაზე მეტად ამ ლექსებში წარმოჩნდა 5 ათეულ წელზე გადაცილებული პოეტის ინდივიდუალობა სათქმელისადმი ახლობერი დამკითხებულების თანასაზრისით.

ჩემი მიზანი არ გახლავთ პოეტის ახალი კრებულის სრულყოფილი იდეურ-შეატვრული ანალიზი, მაგრამ მინდა შეგახსენოთ, რომ კრებულში უხვადაა შედარება-ანალიზის ნიმუშები (და გულს გავარდნილს სხეულში თოფად, საღამოს მწერი წამოუხსრავს „და ითელება უხებში ლექსი, ყველაზე დიდი ვალუტის კურსი“. „გამოხვალ გარეთ-სახლში ისცე დამძიმდა წერა და ახლა ჭურა თავზე უფრო გემდება, მწამს ჩემი თეთრი კარმიდამორი დავესიზმრები შენს სიმარტოვეს, „და მეც აქ ვარ, ცა მახურია აულერებული ხევნების მჩატე სამოსით“, „ჰაობიდან ბოლო წეროც მიდის და მიაქვს სითბო, საგზალი ამ ქვეყნიდან იმ ქვეყანაში, ირნევა თეთრი კატაბარები, ქედებზე როგორც ქარში ფაფარი, „გინდა თუ არა სანახვეროდ, ხარ აქცური და ათასებში ამის გამო გამოიჩინება, „მო გაზაფხულო, შუბლზე გრილი შემახე ხელი“, „ცოტაა ალბათ დახვეწილი ჯამბაზის გეში — საფრთხის გარეშე იარო კავშა“ ყველა მათგანი მთლიანობაში სრულყოფილი ლექსი ვით იკითხება.

„პოეტი ნაცვალსახელების ჩრდილში“ ორიგინალური ხედვის მქონე პოეტის დაწერილი წიგნია. მასში დამკვიდრებული ლექსები სხვა თვალით იღიერებიან.

ვერ ვიტყვი ზაალ ებანოიძის მეექვსე ათწლეული მარტო ლექსებით შემოიფარგლა. არა ერთი საინტერესო ესეი, ლიტერატურული ნარკვევი გამოაქვეყნა

მეგობარი მწერლების შემოქმედებასა და მიმდინარე ლიტერატურულ პროცესებზე.

ბევრი მათგანი დაიბეჭდა ჩვენს პერიოდიკაში. როცა მათი ცალკე წიგნიდ გამოცემის ამინდი დადგება ივტორი ამით ერთ საინტერესო შტრიხს შექმატებს ქართულ ესეისტურ აზროვნებას.

თავს ვერ მივცემ უფლებას არ ვთქვა ზაალ ებანოიძის „დედა მუხა ლექსებზე.“ (ს. ს. გამომცემლობა „ჭარა“ 1997წ.) მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გამოცემული წიგნი — აღმომში შეტანილია ცხრა ისეთი გახმაურებული ლექსი „ბავშვობიდან რომ აგყვება და სამარის პირამდე მიგაცილებს“. მათ თან ერთვის ვრცელი ეს იმ ავტორებზე ლიტერატურის ისტორიაში რომ დარჩენ თითო-ოროლა ლექსით. საუბარს აღარ განვაგრძობ წიგნი-აღმომში გამოცემის გნიშვნელობაზე. კარგი საქმე გააკეთა იმ წიგნის შედგენა-გამოცემით ზაალ ებანოიძემ მიმდინარე ლიტერატურული პროცესის სასარგებლოდ.

დრო მიდის. დასასრულს უახლოვდება კატაკლიზმებით აღსავსე საუკუნე. მალე შემოაღებს კარებს ახალი ათასწლეული, რომელიც არსებითად განსხვავებულ მოთხოვნებს წაუყენებს ლიტერატურას. შეღავათი არ დასჭირდება ნაცვალსახელების ჩრდილში მდგომ პოეტს.



**მარკა ვარგანის ერთი უცნობი ლექსის ისტორია**

1997 წლის ნოემბერში ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის დრამატულ თეატრში საქართველოს სახალხო არტისტის, „განდაგანას“ უბადლო შემსრულებლის ფატმა კობალაძის საიუბილეო საღამოზე უნდა გამართულიყო. პროგრამის მომზადებისას პირველ რიგში იმ ადამიანების სიის შედგენას შევუდევი, ვინც საღამოს დააშვერებდა. უპირველესად ასეთი მხცოვანი პოეტი ბატონი მამია გარშანიძე იყო. სახლში დაუტენირდა, მოვიკითხე, მოვეფერე საყვარელ მოსანს და ვუთხარი რაშიც იყო საქმე. გულით გაიხარა — ფატმა კობალაძე ჩინებული ქალბატონია, მის იუბილეზე სიამოვნებით გამოვალ და მივესალმებით. ვთხოვე შევხვდროდით ერთმანეთს, დათქმულ დროს მის საყვარელ ადგილას — გაზეთ „აჭარას“ რედაქციის წინ შევხვდით. ბათუმის ქუჩებს დაუუყევით, აქეთური ვთქვით, იქეთურზე ვისაუბრეთ და შევთანხმდით, საიუბილეო საღამოზე გამოვიდოდა, ერთი ლექსიც უნდა გულვნაო, მითხრა.

სამწუხაროდ, ფატმა კობილაძის საღამოზე ბატონი მამია ვერ მოვიდა. მოხდა დასანანი გაფრებრობა. რაზეც შემდეგი შინაარსის წერილი მომწერა.

ბატონი ამირან!

გახსოვთ ოლქათ, გზად ჩვენ მოვილაპარაკეთ, რომ სიტყვით გამოვსულიყავი ფატმა კობალძის საღამოზე.

მე არ აღმოგნდი იმ საღამოზე და აი, რატომ: მითხვეს, ფატიმას საღამო გადადებულიაო. მერე და რატომდაც არ იშოვებოდა გაზ. „აჭარა“, რომ შემომეწმებინა — იყო თუ არა მის შესახებ ინფორმაციები, წერილები, თქვენი ტელეფონი არ ვიკოდი და ოღარც ვცდილვარ, რაკი ორჟოფულ ორპირ ქარში აღმოგნდი, ვითიქერე, აღბათ გადადეს-მეტები, ამ ბოლო ღრის ეს ჩვევიათ იმათ, ვინც ამას აწესრიგებს, ზოგი რიცხვს სტოვებს, საათს ცვლის — ისიც 3 საათით გადასწევს ხოლმე.

თქვენი მოსაწვევი მე არ მხვდლა წილად, მიუტანიათ რეინიგზის სამშართველოში. მისი უფროსი კი ადგილზე არ იყო. მისმა უფროსმა 15X1 მნახა ღამით და ეს ფაქტი გადმომცა.

අඳුනු මිත්‍රී දාගිණෝරු තු, රැම මේ උප්පූල අර මිවුවා, තාක්ත් ගිට්‍රූව්ද, රාජ මුවා මිත්‍රී පෙනු ලද සෑයුන්තාන ජ්‍යෙෂ්ඨත්වයි.

ასე, რომ მე სიტყვის კაცი ვარ და ნუ დარჩები ნაშენი.

პარივისკუმით მამია ვარშანიძე

18 XI 97

— ეს წერილი იმიტომ მოგწერე, რომ დამიჯერო რაშიც იყო საქმეო, მითხრა ბატონმა მამიამ პირველსაც შეხვედრაზე. არადა, ფატმასათვის სიტყვაც თბილი მქონდა მომზადებული და ლექსიც სპეციალურად დაგწერე. ნახე, ალბათ,

წერილთან ერთად სამსახურში იმ სიტყვის ხელნაწერიც დაგიტოვე და ლექსიც.  
„ჩემი ნაპერწკალიც შერიოს ამ ვარსკვლავის უინულილებს“, ასე დაუსათაურებია პოეტს საიუბილეო სიტყვა. გთავაზობთ ამ ტექსტს უცვლელად.

ჩემი ნაპერწკალიც შერიოს ვარსკვლავის უინულილებს...

მე ერთი ლექსით ვაპირებდი ამ საღამოზე გამოსვლას. არ ვიცი მომატყუა თუ არა გონებამ, ასეთი სახელდახელო მინაწერი გაგუკეთე — მსოფლიოში ეპოქებს ანსხვავებენ გამოჩენილ ხელისუფალთა მოღვაწეობით, განსაკუთრებით ლიტერატურისა და ხელოვნებაში. მაგალითად, საბერძნეთს — ალექსანდრე მაკელონელის შუქი ფარავდა, ნაპოლეონ ბონაპარტი საფრანგეთს, ერთ-ერთი ნიჭიერი ფარაონისა — ძველ ეგვიპტეს, რომელმაც ააყვავა ხელოვნება. ამიტომ ამბობენ — პიროვნება მამოძრავებელი ძილაა ისტორიისაო. მაშასადამე, ჰვევანა პირობითად იყოფა ხოლმე ორ განსხვავებულ ეპოქად... შეიძლება იგივე ვთქვათ სამხრეთ საქართველოზეც, კერძოდ, აჭარაზე. ანუ გავმიჯნოთ ორიად—ძველი და ახალი აჭარა, ძველი აჭარისათვის დამახასიათებელი იყო მხოლოდ ხალხური ხელოვნება, საღაც თითქოს მიმერალი იყო ქალის ნიჭი. ქალი ვარსკვლავი არავის გაუგონია. ეს სახელები გაჩნდა მხოლოდ იმ აჭარაში, მე ორმ გავიზარდე. იმ დალოცვილ უამმა მრგვაცა ბრწყინვალე ასპარეზი ნიჭის წარმოჩენისა. ჩვენს საყვარელ იუბილარს ფატმასაც იმ ბედნიერმა დღეებმა გაუბრწყინა ნიჭი და გონება — გაიჭრა ხალხში ამაღლებული ხელოვნებით, მაგრამ ხელოვნებაში, რომ ამაღლდე, ორი რამ უნდა ამშვენებდეს ადამიანს — სილამაზე და ალვისატანადობა. ამ რაზ განძით ბუნებამ ჰეშმარიტად დააგილდოვა ქალბატონი ფატმა კობალაძე. მისი გამოჩენა და მიმორხევა სცენაზე, მიმზიდველი მშვენება იყო, ხოლო თვითონ — ზღაპრული მშვენება. მაგრამ ეს არ იქნებოდა საკარისი, იგი ნიჭიერად განსწავლულიც იყო ქორეოგრაფიაში, ამრიგად, სამი ბრწყინვალება შეერთდა ამ ადამიანში — სილამაზე, კენარტანობა და სახელოვანი განსწავლულობა. იგი ამ ბრწყინვალებამ აქცია საქართველოს ვარსკვლავად. მე მას ვულოცავ ამ გამარჯვებას, 70 წლის დასაკუთრებას. მე ცოცხალს შევსწრებოდე, როცა იგი 100 წლის ვარსკვლავი იქნება. ჩვენს მთიან მაჭახელში 107 წლის ქალბატონია და ჭეირანივით დაპქრის თურქე მშობლიური სოფლის აღმართ-დაღმართზე. ამიტომ, უცხო თქმად ნუ მოეჩენება ვინმეს ჩემი სურვილის გამხელა — ასი წლის ჩვენს ფატმას შევსწრებოდე მე მასზე ცოტათ უმნენესი მგოსანი მეთქია.

ქალი თავისი ბუნებით პოეზიაა. ამიტომ ქალებს ჩვენზე უფრო უყვარს პოეზია... და თუ პოეტური სტრიქონებით შევიტრები მის ამაღლებულ სილამაზეში, ამ ვარსკვლავის უინულების დანამატად ჩამეთვლება... და ლექსიც გაანათებს. რა იქნება, ჩემი ნაპერწკლებიც შეერიოს ამ ვარსკვლავის უინულებს.

აქვე სრულად გთავაზობთ მამია ვარშანისის ზემოთაღნიშნულ ლექსს.

### ზღაპარის ხარ. ლეგენდას ხარ...

კუპრენი ჩვენს საყვარელ ვარსკვლავს

ქალბატონ ფატმა კობალაძეს

გარსკვლავი რომ უინულებს დაპქრის, მერე თითქოს სცვივა დაბლა, აფეშნებ აქ კი იშერს ქორფა გოგო, ესირმება თეთრი კაბა.

ღმერთო ჩემო, ისეთია, ანგელი ცით ჩამოფრინდა,  
 ასი ვარდი გაეფურჩქნა, ფურცელ-ფურცელ ჩამოფინა,  
 და სურნელი სულს შეეტკბო, ქალი თურმე რა ყოფილა!

მუდამ დამრიდ სოფლელ გოგოს თვალი წყვილი უბრწყინვდა,  
 შაბაშ იმას, იმ მთებიდან ვინც კეთილად უწინამძღვრა.

საოცრებაც ამას ჰქვია, ხელია თუ ცისარტყელა,  
 გუდიაშვილს გააოცებს, იმ წამიდან მისი ტყვე ვარ,

სცენაზე გოგო მორცხვი, სინაზე რომ შვენის ვარდის,  
 ჩემი ლექსის სიტკბოება, ღიმილი და ჩემი დარდი.  
 შავი ფერი ჩამოხია სახეს მისას რომ აჭინობდა,  
 ასი თვალი ულიმოდა, საპატარძლოდ ვიღაც ბჭობდა.

ასე იყო, როს პირველი დატმამ სცენა მოიხილა,  
 ვინ აღუნთო გულმი ცეცხლი და რომელი მოიხილა?!  
 რა ვნახეო, რა ცას მოსწყდა, ტაშიც, გულიც ერთად მოსკდა,  
 პოეტები ასე ვიტყვით: ზღაპარ იყო მისი მოსვლა!

ამო არის ქალის რხევა, თვალთა ელვა, ბაგის ბრწყინვა,  
 ხან ზღაპრული ოქროს ხეა, ხან თოვლი, ხან ოქროს წვიმა.  
 თუ სცენაზე არ გინახავს, როკვა მისი არ გინახავს,  
 შენ არ იცი საოცრება და ვერც მის განძს შეინახავ...

საიდან სად იქაშკაშა, საით იყო, რომელ მხარეს,  
 მოდი, მითხარ ჩემო დატმა, გულები ვის გაუხარე?  
 შენ სდუმხარ და არას მეტყვი, ჩამოვფურცლავ მე შენს ამბავს,  
 არაბეთში, არაბები საოცრებად გაგინაბავს.

თქვეს, ჩვენი ცის ვარსკვლავია, ვერ გავუშვებთ აქედანო,  
 შეზოუნახავს ვინ დაგითმობთ, ასი ხმალით დაგედაონ!  
 დადნა შავი ისტორია, ღიმილია მფრქვევი ვერცხლად,  
 შენც არაბო, მოყვასი ხარ, ცას საჩუქრად ჩამოკეცავ!

აღარ მეყო ლექსის ძალა, მივეხალე პალესტინას,  
 და რუსთაველს შველა ვთხოვე, თურმე მასაც აეტირა,  
 გაიხსნა ჩვენი ბედი, როცა ყავდით მონად ტირანს,  
 მითხრა: — მესხო, აჭარელო, მეც შენთან ვარ, იშაირე,  
 ლარებს ცეცხლი მოუკიდე, მარგალიტსაც შიგ გაირევ!  
 გმადლობთ შოთა რუსთაველო, არაბეთშიც ვიშაირე!

ისიც მოვლეთ, ესეც მოვლეთ, ყველგან გაგყვა, ჩემო ფატი  
 შენი ოქრობრწყინვალება, ისევ ცეცხლს ჰყრის ჩემი ნატვრა  
 ისევ გიწევ სცენაზე და შენი ნაზი რწევაც მესმის,

შენ ჩემი ცის ვარსკვლავი ხარ, ჩემი მუზა, ჩემი ლექსი  
მოგიტანა შენ მგოსანმა გული, რასაც გპირდებოდა,  
შენ სცენაზე, მე კი ლექსში არვის დავთმობთ პირველობა.

ბატონ მამია ვარშანიძის წინამდებარე წერილები და ლექსი პირველად  
ქვეყნდება.

ვიმედოვნებთ, რომ შეიქმნება ჩვენი საყვარელი პოეტის სახლმუზეუმი და მისი  
პირადი არქივი ბინას დაიდებდა ან აქ, ან აჭარის განათლებისა და კულტურის  
მუზეუმში. მომზადდება და გამოიცემა მამია ვარშანიძის პოეზიისა და წერილების  
სრულტომეული. მაშინ, წერილის ავტორი, სიამოვნებით დათმობს საყვარელი  
პოეტის მოტანილ ხელნაწერებს.



# ხელოვნება

მანანა პაშია

## ხაზისა და სიტყვის ფერმწერი

ნინო ნიუარაძის ხატვის მანერას, ხასიათსა და თავისებურებას მინიატურული, მცირე ფორმის ნაწარმოებები განსაზღვრავს — აქ თავს იჩენს ტელე-კინო მხატვრობისათვის დამახასიათებელი მხატვრული ხედვის სპეციფიკა.

ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს კოლაჟებში: „მოკითხვა ბათუმიდან“, „ბათუმი“, „იმედი“, „თარო“, რომლებშიც მხატვრულად განზოგადოების ფორმის აბსტრაგირებისაკენ მივყავართ. კონტურების ან სხვა გამოყენებული საგნების, ლითონის, ნაჭრების, სარკეებისა და ფორმების რთული, მკაფიო ნახატი კომპოზიციის დეკორატიულ გადაწყვეტასთან ერთად სურათებს გარკვეულ სიბრტყობრიობასაც ანიჭებს.

ოდითგანვე ხელოვნების განვითარებას თან ახლდა მოწოდება — ესწავლათ ბუნებისაგან, ეძიათ სილამაზე ბუნებრიობაში. „ბუნებრიობის გარეშე არ არსებობს ჰეშმარიტი სილამაზე“: — წერდა დიდრო.

შეიძლება ითქვას, ყველაზე საოცარი მხატვრულ-ესთეტიკურ მოღვაწეობაში არის სინამდვილე აღიქვა შემოქმედებით კატეგორიებში. თავად ბუნებაში ყველაზე მეტად შთამბეჭდავია ის, რაც ბუნებრივი სახით გადმოსცემს ადამიანურ ქმნილებებს. იქმნება ეს ქვის ზედაპირზე უზორი ან ხის ქერქის ფაქტურა, ყვავილის, კრისტალის, ზღვის ნიუარის ფორმა თუ მზის ამოსვლისა და ჩასვლის ყოველდღიური ბუნებრივი წარმოდგენები — სწორედ ეს გილვიძებს სურვილს, გამოთქვა მიამიტური აღტაცება, „როგორც სურათზე“.

მხატვარი თანაბარი გატაცებით წერს პეიზაჟებს, ნატურმორტს, პორტრეტს. მიუხედავად ამისა, ნამუშევრების უმრავლესობა გრაფიკულია, თუმცა მათ შორის გვედებით ფერწერულ ნაწარმოებებსაც — მხატვარი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს კოლორიტის პრობლემას. წინასწარ გაზრდებულ ფერადოვან გამას ამდიდრებს მოულოდნელი იმპროვიზაციებით. მსუსე მონასტების გვერდით ხმარობს თხელ, გამჭირვალე ფერადოვან ლაქებს. მის საუკეთესო ნამუშევრებში ფერი, კომპოზიცია, ნახატი ორგანულ მთლიანობაშია.

ნინო ნიუარაძის შემოქმედებაში საინტერესო ადგილი უჭირავს ზღვის პეიზაჟებს — მარინებს. პეიზაჟების პალიტრა ფერთა სიუხვით არ გამოირჩევა, ძირითადად გამოყენებულია შავი, მუქი ლურჯი, მოწვანო-მოყავისფერო ტონები („სუნიერები“, „ზღვა — შეე ჩასვენა“, „შზის ჩასვლა“, „ზღვისპირა პეიზაჟი“). მიუხედავად თავშეკავებული ტონალობისა, მახვილი თვალითაა დანახული ესა თუ ის ადგილი — დღის სხვადასხვა მონაკვეთში, სხვადასხვა განათებისას, რაშიც, შეიძლება ითქვას, იგრძნობა მხატვრის იმპერსიონისტული ხედვის უნარი. ლოკალურ ფერთა გარკვეული თანაფარდობისა და მკვეთრად გამოხატული კონტურისა, პეიზაჟებში იგრძნობა სივრცის შთაბეჭდილება. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფონსაც და კონტურის მონახაზებსაც.

თავად ნინო ნიუარაძის „ტექნიკა“ თავისი არსით არის ხედვის საშუალება, ხოლო „შემოქმედება“ ღრმა შეგრძნების უნარი.



სილამაზეს სათავეში უდგას ბუნებრივი ფორმა. ის, მხატვრის სიტყვებით რომ ვთქვათ, „სულის მატარებელია, რომელიც შენ ერთს გაგეხსნება და მოგყვება ...ზე“. ასეც ხდება, როცა ნინო ხატავს ყვავილებს „ნატურმორტი...“ „თეგირის ესკიზი“, „ნატურმორტი ნიუარით“, „დიდი ნატურმორტი“, „ნატურმორტი შპალერზე“ ღრმა ხედის საფურცელზე იხსნება ბუნებრივი ფორმის თავად სული. კონტურებითა და ხაზებით შთაბეჭდვეს ორა ფორმის, ორამედ მისი შექმნის საიდუმლოებას, მხატვარს სურს მთელი რეალობით გადმოსცეს ნახატი, ამას აღწევს კიდეც, როცა კალმით გაკეთებული მონასმებისათვის მოუხმობს ფერებს.

პროფესიული ოსტატობითა და მხატვრული ამოცანის გადასაწყვეტიად ორიგინალური ხერხების მიგნებით გამოიჩინება ნინო ნიუარაძის ნატურმორტები. მხატვარი არ ეძებს უცხო თემებს, მას აინტერესებს საგნების ურთიერთდამკიდებულება, მიმართება და საამისოდ ხშირად ერთი და იგივე საგნებით ქმნის კომპოზიციებს.

ნინო ნიუარაძის ნატურმორტები არ წარმოადგენენ საგანთა მკვდარ ბუნებას — ნატურმორტს.

საგანთა მკაფიო ფორმისა და მოცულობის მისაღწევად მხატვარი მიმართავს ფერთა კონტრასტებს, რითაც ხაზს უსვამს ტუშით, გუაშითა და კალმით ნახატის სტრუქტურულ ერთიანობას. შევიდი, ფერადოვანი გამა იქმნება მწვანე, ლურჯი, შავი, მოყავისფრო, მოვერცხლისფრო ფერების ფაქიზი ტონალური გრაციებით. („ნატურმორტი მარაოთი“, „ნატურმორტი ბროწეულით“, „სოკოები“, „ნატურმორტი სანთლით“, „დესერტი“, „ცისფერი ნატურმორტი“, „ბოთლები“, „სამი ფორთოხალი“, „მწვანე ნატურმორტი“).

განსაკუთრებით ფერთა სათუთი შეგრძნებით გამოიჩინება „მწვანე“ და „ცისფერი“ ნატურმორტი. თეთრი სუფრის ფონზე განლაგებული ლურჯი და მწვანე ფერის სურიები და ლარნაკები წარმოშობენ უამრავ ნახევარტონებს — ვალიორებს. ასე თავისებურად აირეკლავს თეთრი მინა მწვანესა და ლურჯს. იქმნება საოცრი ბაცი, გარდამავალი ნახევარტონების გრადაციები დრაპირებული თეთრი სუფრის ფონზე.

ნინო ნიუარაძის ნახატებში იგრძნობა ფერმწერის ოსტატობაც მხატვარი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს განათების ეფექტს, რითაც იგი გამოჰყოფს ცენტრალურ ფიგურებს. მიმართავს შუქ-ჩრდილის მკვეთრ დაპირისპირებას, რაც აძლიერებს ნაწარმოების ემოციურ მხარეს. ნახატებში ხშირად მიმართავს სხვადასხვა ტექნიკის კომბინაციებს (ტუში, კალამი, გუაში). დახვეწილი, ფერადოვანი გამა, „რომელიც ზოგჯერ სულ რამოდენიმე მოსმითაა შექმნილი, აფართოებს ნახატის შესაძლებლობებს. იძლევა ჰაეროვანი გარემოსა და სიღრმის გადმოცემის საშუალებას.

ნინო ნიუარაძის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს თეატრის თემას. („მსახიობი ქალი“, „კამბაზი“). ძალზე შთამბეჭდავად არის შესრულებული მსახიობი ქალის თეატრალური სამყარო, მისი შემადგენელი ანტურაუის და აქსესუარების გარემოვაზი, თვითონეული საგანი — დრაპირებული ფარდა, სამოსა, მსუბუქად შემოვლებული კონტური ოსტატის გაწაფულ ხელს ემორჩილება და მდიდარ პლასტიკის ქმნის, რაც მთლიანობაში გარკვეულ დინამიურობას სქეს ნაწარმოებს. „გიმბაზში“ მხატვარი მიმართავს ფიგურის თავისებულ დეფორმაციას. ამით გროტესკულ სახეს აძლევს გამოსახულებას, რაც უფრო მეტყველს ხდის ჰეროსონაუს, ეს იმავე დროს ნახატს ანიჭებს ექსპრესიულობას. მაყურებლის

უურადღებას აუცილებლად მიიპყრობს ფანჯარა და პერლამუტრისფერი ნიუარა, რომლებიც მისი შემოქმედების ლაიტმოტივად აღიქმება („ქალი ფანჯარასთან“, „ფანჯარა“, „ნატურმორტი ფანჯრის ფონზე“ და ა.შ.).

ნინო ნიუარაძის შემოქმედებაში აღსანიშნავია გარემომცველი სამყაროს სიმბოლურობა. ზოგიერთი მათგანის ეზოპეს ენა და აზრი ძნელი გასაგებიცაა. სიმბოლური იყოს სამოსის ნაკეცები, მცენარეები, ცხოველები, საგნები, ყვავილები, ასევე სიმბოლური შეიძლება იყოს ფერიც.

ნინო ნიუარაძის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს პორტრეტულ ფანრს. მის პორტრეტებში ჩანს ადამიანის შინაგანი სამყაროს გადმოცემის უნარი, სათუთა დამოკიდებულება ხასიათის ამოხსნისადმი, ადამიანის სულიერი მდგომარეობის ფრესისრებისადმი.

პასტელით შესრულებულ მერისა და მზიას პორტრეტებში სახე მსხვილი პლანითა მოცემული ნეიტრალურ ან პირობით ფონზე. იგი არ ისწრაფის ნატურის შელამაზებისაკენ, არამედ ცდილობს წამოსწიოს ხასიათის განუმეორებელი თავისებურებანი. მხატვარი აღწევს მოდელის მართალ დახასიათებას.

ნინო ნიუარაძის შემოქმედებაში ვხვდებით ისეთ ნაწარმოებებსაც, რომლებსაც თან ახლავს ქართული კალიგრაფიით შესრულებული ტექსტი — ეპისტოლე. ეს ეპისტოლური ტექსტი შინაარსობრივად დაკავშირებულია ნაწარმოების ხასიათთან და ეხმერება ნაწარმოების იდეური და მხატვრული არსის ყოველმხრივ გაგებას. საქართველოში საუკუნეების მანძილზე კალიგრაფია ითვლება უმაღლეს ხელოვნებად და უთანასწორდება გრაფიკას.

ნინო ნიუარაძის შემოქმედებაში ამ ხელოვნების ფენომენალური მოვლენაა პოეზიისა და ფერწერის სინთეზი, როცა ქართულ კალიგრაფიაზე ვლაპარაკობთ, თვალწინ უპირველეს ყოვლისა, ის ასო-ნიშნები წარმოგვიდგება, რომელიც ქართულ ანბანს შეადგენს. ნინო ნიუარაძის შემოქმედებაში თვითონეული ასო — ნიშანი, თავის მხრივ მცირე ზომის გრაფიკული ფიგურა. ამ ფიგურების ანუ ასოების მოხაზულობა, იმდენად განსხვავდება ერთიმეორისაგან, რომ თვალი მკაფიოდ და თავისუფლად აღიქვამს ურთიერთსხვაობას, მაგრამ, ამავე დროს ასონიშნებია ერთმანეთთან გარკვეულ მსგავსებასა და ერთიანობასაც ამჟღავნებენ, რაც იმის დამადასტურებელია, რომ თითოეული ასოს მოხაზულობა ანბანის ერთიან გრაფიკულ სისტემას ექვემდებარება, რომ ასოებს შორის გარკვეული კავშირი და ურთიერთშესაბამისობა არსებობს. ამდენად, თითოეული ასონიშნის ხატი მოცემული ანბანისათვის დამახასიათებელი კანონზომიერებით არის განსაზღვრული.

ნინო ნიუარაძის მიერ შესრულებული კალიგრაფიული ეპისტოლები ფერწერის, კალიგრაფიისა და ბეჭედვითი უანრების აბსოლუტური მთლიანობის სინთეზია. ეს „ერთიანობა“ იყითხება შემოქმედებით პროცესშიც და საერთო კომპოზიციაშიც და ეს ერთიანობა, კოდირებულ კომპოზიციაში მხატვრის მიერ მისაღებია ქართველის ესთეტიკური გემოვნებისთვის.

ნინო ნიუარაძე 1981-88 წლებში ბათუმის თოჯინების თეატრის მხატვრად მუშაობდა. გაფორმებული აქვს თხუთმეტამდე სპექტაკლი, რომელთა სცენოგრაფია ორიგინალური სახითი გადაწყვეტით, დრამატული მასალის ღრმა წვდომით გამოიჩინა. მხატვრის ერთ-ერთ დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს რეჟისორის ფუნქციებში შეჭრა და თანაავტორობა. ა. პოპესკუს ზღაპარი „მზის სხივი“ (რეჟ. გ. სარჩიმელაძე) რუმინული დრამატურგიის ფესტივალზე საუკეთესო რეჟისურისა და მხატვრულობისათვის პირველი ხარისხის დიპლომით დაჯილდოვდა.

## რაჭი ჩიბურდანიშვილი

### მხატვარი ვახტანგ გასელია

თანამედროვე ქართული მხატვრობის ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენელს ვახტანგ (ბესო) ბესელიას 55 წელი შეუსრულდა . ამ თარიღთან დაკავშირებით 20 სექტემბერს აჭარის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის მცირე დარბაზში მოწყობებისას აღმოჩნდა „25 პასტელი“. ექსპოზიციაზე წარმოდგენილი იყო შემოქმედების ბოლოდროინდელი ნამუშევრები — დამთვარიელებელი კიდევ ერთხელ ეზიარა მაღალ ხელოვნებას.

ვახტანგ ბესელიას ხელოვნება ინტელექტუალურია, გამსჭვალულია სულისმიერი საწყისების აშკარა პრიმატით. იგი ხასიათდება ლაკონიური მეტყველებით, ფორმისა და შინაარსის პარმონიით. ფერწერულობისა და პლასტიკურობის ერთიანობით, რაც ოსტატის მხატვრული ხედვისა და შესაძლებლობების მთლიანობას აღასტურებს.

ადამიანის სულიერი ყოფის ფაქიზ ნიუანსთა შეცნობა ვ. ბესელიას შემოქმედებითი ინტერესების ერთ-ერთ უმთავრეს საგანს წარმოადგენს. მხატვარს გააჩნია განსაკუთრებული უნარი მოდელის ანალიტიკური კვრეტისა, რაის წყალობითაც მისი პორტრეტული სახეები ინტიმურობას, ინდივიდუალობას იძენენ.

ნაწარმოებისათვის ავტორი ვერტიკალურ ფორმატს ირჩევს. პორტრეტირებულთა გამოსახულებები კადრში მჭიდროდ ჩაჭედილ კომპოზიციებს ქმნიან, სადაც მთელი ყურადღება პიროვნების ფსიქოლოგიურ დახასიათებას ეთმობა („ავტოპორტრეტი“, „მოქანდაკე ოთარ დარჩიას პორტრეტი“, „მხატვარ თამაზ დიასამიძის პორტრეტი“, „შვილის პორტრეტი“ და სხვა). ნეიტრალურ ფონზე მსვილი პლანით წარმოდგენილი, მსუბუქად უტრირებული მეტყველი სახეები ინარჩუნებენ ნატურასთან მსგავსებას, მათში ნათლად იკითხება პერსონაჟის ხასიათი, განწყობილება, შინაგანი ცხოვრება თუ გარემომცველ სამყაროსთან დამოკიდებულება.

ვ. ბესელიას პეიზაჟები სისადავეს და სურათის მკაფიოდ გამოვლენილ არქიტექტონიკას ინარჩუნებენ. მათ ხასიათს მინიშვნელოვნად განსაზღვრავს კომპოზიციური და კოლორისტული საწყისები, რომელიც თითოეული ნაწარმოებისათვის საგულდაგულოდ არის გააჩნიებული. ამგვარი ასპექტებით იქმნება მრავალფეროვანი შეგრძნებებითა და საერთო განწყობილებით ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული სურათები — ლირიზმით აღსავს პარმონიული ხედები („ცისფერი პეიზაჟი“, „ბათუმი“ და სხვა) თუ შინაგანი დრამატიზმით გამსჭვალული ლანდშაფტები („შემოდგომა“, „ნიკორწმინდა“ და სხვა). ისინი სულიერების იმ ნიშანს ატარებენ, რაც ესოდენ დამახასიათებელია მხატვრის შემოქმედებისათვის. ვ. ბესელიას პეიზაჟების პორტრეტურ-ემოციური მუხტი ბუნებისადმი, სილამაზისადმი ცხადი სიყვარულის გამომხატველია.

მხატვრული გამომსახველობის გარკვეული სპეციფიკა, შესრულების ერთგვარი ნატურალური მანერა და დახვეწილი ვიზუალური ეფექტები ვ. ბესელიას

## რატი ჩიბურდანიძე

ნატურმორტებს თავისებური ხიბლით აღავსებს („თასი“, „დილა ზღვაზე“, „ბოთლები“ და სხვა). ასეთ ნამუშევრებში ყოფითი საგნები ერთგვარ პერსონიფიცირებულ იქრსახეს იძენენ, სასურათო სიბრტყეზე მათი სხვადასხვაგვარი განთავსება კი აღქმის ასპექტთა მრავალფეროვნების მახასიათებელია. განსაკუთრებულ მოწონებას იმსახურებს ვ. ბესელიას ნატურმორტების ციკლი მუსიკალური ინსტრუმენტების თემაზე („ტუბა“, „ვალტორნა“, „საქსოფონი“ და სხვა), რომელიც საგნობრიობის და ფაქტურულობის მძაფრი შეგრძნებით აღინიშნება.

თვითმყოფადი სტილიტურ-ესთეტიკური მრწამსით თუ სუბიექტური სახვითი ინტერპრეტაციით ვახტანგ ბესელიას სურათებში მიიღწევა იდუმალების ერთგვარი განცდა. მხატვარი ქმნის მიმზიდველ სამყაროს, სადაც საგნები და მოვლენები თავისებური სიმბოლური ინტონაციებით ხმიანებენ. მისი შემოქმედებითი ალლო, დახვეწილი გემოვნება და შინაგანი ინტელექტუალური ნაწარმოების სილრმის, მხატვრული ღირსების განმსაზღვრელია.



# ფოლკლორი

ჯეგაღ ჯაყელი



## ქართული ხალხური ეპიური ციკლების მხატვრული გამოსახვის პიარენოლური თავისებურებანი

ქართული ენის მდიდარი ლექსიკური ფონდი პოეტური გამოსახვის მეტად მრავალმხრივ და მრავალფეროვან საშუალებას იძლევა. პოეტური სემანტიკის ისეთი გამორჩეული და კონკრეტული წინამდღვრები, როგორიცაა

ჰიპერბოლა და ლიტოტესი, აგრეთვე: ტრაპი, მხატვრული შედარება, მეტაფორა, განპიროვნება, ალეგორია, მეტონიმია, სინკლონე, ეპითეტი, ირონია თუ პერიფრაზი, — ეს ისეთი მრავალფეროვანი „გამაა“, რომელიც მხატვრული ნაწარმოებისადმი წაყენებულ ოთხივე ძირითად მოთხოვნას აქმაყოფილებს, აძლიერებს და აღამაზებს. ეს მოთხოვნებია: აღმზრდელობითი, საკომუნიკაციო, შემცნებითი და ესთეტიკური ფუნქცია. მხატვრული ნაწარმოების ამ ოთხივე ფუნქციაში იგი იქცერს მეტად საინტერესო ადგილს, სრულყოფს სათქმელის მხატვრულობას და კითხველზე ახდენს უდიდეს ზემოქმედებას. პოეტური სემანტიკის ზემოთ ჩამოთვლილი სახეების გარეშე ნაწარმოების მხატვრულობა წარმოუდგენერლია. ამ სახეთა შორის ჩვენს ყურადღებას იპყრობს ჰიპერბოლა თავისი ლიტოტესით, როგორც მხატვრული გამოსახვის მეტად თავისებური საშუალება.

ეს თავისებურება იმდენად ძლიერი და განსაკუთრებული ვრაა მხატვრულ ლიტერატურაში, რამდენადაც — ქართულ ზეპირსიტყვიერებაში და, საერთოდ, ფოლკლორში. იგი განსაკუთრებულ გამოვლინებას პოულობს ეპიკურ ციკლებში. ეს იქნება ქართული ხალხური საუნჯე, რუსული „ბილინები“, ჩრდილოური „კალევალა“, „ნიბელუნგები“, სომხური „დავით სასუნელი“, ლური „ნართები“, თუ აზიური ქვეყნების სადევგმირო-სარაინდო ხასიათის ხალხური ქმნილებები. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ჰიპერბოლა, ხშირად მისი თანმხლები ლიტოტესით, გვხდება არა მარტო სადევგმირო-სარაინდო ხასიათის ხალხურ ქმნილებებში, არამედ რომანტიული ხასიათის როგორც პოეტური, ასევე პროზაული უანრის ნაწარმოებებში.

ამჯერად ჩვენი მეცნიერული კვლევის ინტერესების სფეროს წარმოადგენს ქართულ ხალხურ ეპიურ ციკლებში მარგალიტებად განთვენილი მხატვრული გამოსახვის ჰიპერბოლური თავისებურებანი. ამ მიმართებით ქვემოთ განვიხილავთ ისეთ ხალხურ ეპიურ ციკლებს, როგორიცაა: „აშირანი“, „ტარიელიანი“, „როსტომ ჭაბუქი“ და „ეთერიანი“.

\* \* \*

რა არის ჰიპერბოლა?

ჰიპერბოლა არის გადატანითი, არაპირდაპირი მნიშვნელობით ნახმარი სიტყვის ან ფრაზის სახეების ისეთი ხატოვანი გამოთქმა, რომელიც საგნის, მოვლენის,

განცდის გაზიადებული წარმოსახვით ხასიათდება. ლიტერატურის თეორიის მცირე ლექსიკონი, თბ. „ნაკადული“, 1971 გვ. 170 (ტროპი), გვ. 193 (ჰიპერბოლა). ამასთანავე არ უნდა დაგვავიწყდეს ის გარემოება, რომ საგნის, მოვლენის ან რაიმის გაზიადებულად, გადიდებულად წარმოდგენის გარდა არის აგრეთვე მეტად დამახასიათებელი უპირატესი ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, მეტად შემცირებულად, დაქნინებულად, დამცირებულად წარმოდგენა იმავე გაზიადებასთან მიმართებაში. ასეთი შემთხვევა აღინიშნება ერთი სიტყვით, როგორიც არის ლიტოტესი. ლიტოტესი მაშინალურად კაშირებისა აღმავალ გაზიადებასთან. ამის შესანიშნავი მფალითა „ამირანი“, სადაც ვითხულობთ:

„ცოტა კაცია, ამირან,  
ცოტა სმა-ჭამა ეყოფა  
სადილად ბუღა-კამეჩი  
ვახშმად არც სამი ეყოფა“.

აქ მოტანილ სტროფს ორ ბოლო სტრიქონს თუ ჩამოვაცილებთ, იგი დაკარგავს ლიტოტესის სახეს და გაიგება, როგორც ჩვეულებრივ ვითხულობთ და გვესმის ხოლმე. მთავარი აზრი ის იქნება, რომ ამირანი არის პატარა, მცირე შესაძლებლობების კაცი, ხოლო თუკი ორ პირველ სტრიქონს მიცუმატებთ ორ ბოლო სტრიქონს და ერთად წავიკითხავთ, მაშინ სიტყვები „ცოტა კაცია“ და „ცოტა სმა ჭამა ეყოფა“ გაიგება, როგორც ლიტოტესი ანუ პირუკუ გაზიადებული წარმოდგენა ამირანზე, რადგან ამირანი თურმე ისეთი ცოტა“ კაცი ყოფილა, რომ სადილად ერთი ბუღა-კამეჩი არ ყოფნის და ვახშმად, უფრო შეტიც, სამი ბუღა-კამეჩიც არ ყოფნის.

ინ, სწორედ ასე უნდა იქნეს გაგებული ლიტოტესი, როგორც მხატვრული გამოსახვის თავისებური ფორმა და ანალოგიურად ასევე უნდა იქნეს გაგებული ჰიპერბოლა, როგორც, იგრეთვე, მხატვრული გამოსახვის თავისებური ფორმა. ამის შემდეგ ერთხელ კიდევ მოვიტანოთ კონკრეტული განმარტება ჰიპერბოლისა და ლიტოტესის:

ჰიპერბოლა „ტროპის ისეთი სახეობაა, რომელიც მოვლენას გაზიადებულად გამოხატავს“. (ლიტერატურის თეორიის მცირე ლექსიკონი, თბ. 1971, გვ. 93) ჰიპერბოლა ბერძნული სიტყვაა და გაზიადებას, განდიდებას ნიშნავს.

ლიტოტესი ბერძნული სიტყვაა და უბრალოებას, დამცირებას, სიმარტოვს ნიშნავს. ლიტოტესი („ტროპის სახეობა“) ეწოდება მოვლენის დამცირებულად გამოხატავს. ლიტოტესის ფუნქციას შეადგენს მოვლენის დამცირების გზით მისი რომელიმე დამახასიათებელი ნიშნის ემოციური ხაზგასმით წარმოსახვა. იგი ჰიპერბოლის საპირისპირო შინაარსის მომცველია“. (იქვე, გვ. 92-93.)

წინამდებარე ნაშრომში ქვემოთ განვიხილავთ ქართული ხალხური ეპიური ციკლების „ამირანის“, „ტარიელიანის“, „როსტომ-ჭაბუკის“ და „ეთერიანის“ ხალხური მხატვრული გამოსახვის ჰიპერბოლურ თავისებურებებს.

უბირველესად — იმის შესახებ, თუ რა არის ეპიური ციკლები, როგორ ესმის იგი ქართულ ზეპირსიტყვიერებას.

„ზეპირსიტყვიერებაში“ ეპიკური ციკლის ნაწარმოებები გამოირჩევიან უანრობრივი თავისებურებებით. ამ ნაწარმოებთა სიუჟეტების განვითარება განსხვავდება როგორც ზღაპრების, ისე საისტორიო ეპოსის ნაწარმოებთა სიუჟეტების განვითარებისაგან. ეპიკური ციკლების ნაწარმოებთათვის დამახასიათებელია შერეული ფორმა. სიუჟეტის განვითარებისას ფორმათა შერევის

ორგვარი სახე არსებობს: პოეტური, პროზაული და შერეული, როცა გაღეჭვისილი და პროზაული ეპიზოდები ენაცვლება ერთიმეორებს ანუ ლექსისად ნათქვამი მეორდება პროზად და პროზად ნათქვამი კი — ლექსიად. ასეთ შემთხვევაში საქმე გვაქვს ეპიკურ განმეორებასთან, რაც აძლიერებს შთაბეჭდილებას. ქართული ზეპირისიტყვიერების ეპიკური ციკლის გავრცელებული ნიშნებია: „ამირანი“, „ტარიელიანი“, „როსტომიანი“ და „ეთერიანი“... ამირანიანი ანუ თქმულება ამირანის შესახებ საგმირო-მითოლოგიური ხასიათის ნაწარმოებია. იგი შექმნილია შორეულ წარსულში. ჰესიოდეს, ესქილეს, აპოლონ როდოსელის და სხვათა ცნობებით შეიძლება დავასკვნათ, რომ საბერძნეთში ჩვენს წელთა აღრიცხვამდე იცოდნენ კლდეზე მიზანებული გმირის კოლხიდაში გავრცელებული თქმულება. თქმულება ამირანის შესახებ ყოველთვის იყო და არის წყარო პროგრესული ქართული ლიტერატურისა...

საგმირო-რომანტიკული ხასიათისაა ტარიელიანი ანუ ამბავი ტარიელისა. ეს საქმიანოდ ვრცელი ეპიკური თქმულება შოთა რუსთაველის გენიალური პოემის ხალხური ვერსიაა.

საგმირო ხასიათისაა როსტომიანიც. იგი შეიცავს ფირდოუსის „შაპნამე“ ანალოგიურ ეპიზოდებსა და მოტივებს... ზოგ შემთხვევაში დამოუკიდებელი ნაწარმოების სახით არის გავრცელებული როსტომიანის ბოლო ნაწილი ბეჟანიანი... საიდანაც არ უნდა იყოს შემოტანილი როსტომიანის სიუჟეტური ჩონჩხი, იგი უდავოდ ღრმად ეროვნული ნაწარმოებია. თავისი შეხედულება ცხოვრებაზე ქართველ ხალხს გადმოცემული იქვს ეპიკური გმირის როსტომის პირით...

ეპიკური ციკლის ნაწარმოებებიდან თავისი ხასიათთ გამოირჩევა ეთერიანი ანუ ამბავი აბესალომისა და ეთერისა. ეთერიანი რომანტიკული ეპოქის ბრწყინვალე ნიმუშია. წარმოშობით იგი მეთერთმეტე საუკუნეს მიეკუთვნება... ეთერიანი დაედო საფუძვლად ვაჟა ფშაველას პოემას „ეთერი“ და ზაქარია ფალიაშვილის კლასიკურ თბერას „აბესალომ და ეთერი“... ეპიკურ ნაწარმოებებში გამოხატულია ქართველი ხალხის ოცნება ნათელ მომავალზე, ბრძოლა თავისუფალი და სამართლიანი ცხოვრებისათვის“. (ქართული ხალხური სიტყვიერება, (ქრესტომათია) თბ. 1970 გვ. 94-95.)

\* \* \*

„ამირანში“ სიუჟეტის განვითარების ფორმათა შერევის კლასიკურ მაგალითთან გვაქვს საქმე. ამ ნაწარმოებში გაღეჭვისილი და პროზაული ელემენტები ერევა ერთმანეთს. ასეთივე ფორმითაა შექმნილი „ტარიელიანი“ და „ეთერიანიც“.

მართალია, ჩვენი კვლევის ძირითადი მიმართულება არის ეპიური ციკლების პოეტური გამოსახვის პიპერბოლური თავისებურებების კვლევა, მაგრამ ურიგო არ იქნება, თუკი ამ ნაწარმოებთა შერეულ ანუ ამ შემთხვევაში პროზაულ შენაცვლებებში მოვქებნით ზოგიერთ პიპერბოლურ გამონათქვამებს. მითუმეტეს, რომ ისინი ნაწარმოების მხატვრულობას დიდად უწყობენ ხელს. ეს მეტად საინტერესოა და ჩვენი ყურადღებაც მცირე ხნით იმიტომ შემობრუნდა ამ კუთხით.

„ამირანში“ ვკითხულობთ:

„სულკალმახის სახლში გლახად ჩატყული ქრისტე-ღმერთი მოვიდა და თხოვა სულკალმახს, შენი შვილი მე უნდა მომანათვლინო. სულკალმახმაც უარი ვერ უთხრა და მოანათვლინა შვილი. ქრისტეღმერთმა ამირანს დაანათლა: გაქანებულის

ზვავის სიმარდე, თორმეტულელა ხარკამეჩის ღონე და მგლის მუხლი“. („ივერია“, 1889 წ. №240. გადმოიბეჭდა „ქართულ ხალხურ სიტყვიერებაში“.)

აქ სიტყვები: „გაქანებულის ზვავის სიმარდე“. „თორმეტულელა ხარკამეჩის ღონე“ და სხვ. სხვა არაფერია, თუ არა პიპერბოლური გაზვიადება. რადგან შეუძლებელია ადამიანს ქონდეს გაქანებული ზვავის სიმარდე.

ანალოგიურ გაზვიადებასთან გვაქვს საქმე, როცა იქვე კვითხულობთ „უცებ უზარმაზარი ტანისა და უზარმაზარებიანი ირემი გამოუხტიათ“. (იქვე) „ამირანი“ ზღაპრის უანრს რომ განეცუთვნებოდეს, სხვაა, მაგრამ რაკი იგი ზღაპრისაგან შორს დგას, უნდა მივიჩნიოთ პიპერბოლურ ფორმად.

პიპერბოლურ თავისებურებასთან გვაქვს საქმე, როცა ამავე ნაწარმოებში კვითხულობთ: „ესროლა უსუპმა ისარი და ცხრა ადლი კუდი მოსწყვიტა გვლეშაპს ... „დარევანისქეს პელეჭდა გულმუცელს და იკლაკნებოდა ქარცეცხლიც საშინლად“. (ქართული ხალხური სიტყვიერება, იქვე, გვ. 100) ამირანი წასწვდა ხელმწიფეს, „წაპეგლიჭა თავი“, გამოხვია კალთაში და წამოულო იგრის“. (იქვე)

ჯერ ერთი — ცხრა ადლი კუდი, ხოლო მეორეც ამ კუდის ერთი ისრით წარმატა პიპერბოლური ხასიათისაა. მეფეზე თავის წაგლეჭაც გაზვიადებულია, რადგან იგრის თხოვნით ამირანს ხელმწიფესგან ნებართვა უნდა მოეტანა. ამირანმა კი ნებართვის ნაცვლად მეფის წაგლეჭილი თავი მოიტანა.

„ამირანში“ კვითხულობთ, რომ თურმე ამირანს „საცრისოდენა თვალები იქვს“. გარდა ამისა, ამირანი თურმე „დაერია თავისი მოკლე ხმლით და სულ ერთა ან ამოულიტა დევები. დევების სისხლით სახლი თავამდე აივსო. სისხლის გუბე ყელამდე მოადგა ამირანს. შეიკრა, შეკუთდა და დაახრჩოს კიდეც ამირანს უცილოდ, რომ ბედისაგან განწირული ყოფილიყო. ამირანი ამ ყოფაში იყო. მიიწ-მოიწია, მისძრა, მისძრა სისხლის ტბა“. (იქვე)

„დევების სისხლით სახლი თავამდე აივსო“, „სისხლის გუბე ყელამდე მოადგა“, „სისხლის ტბა“ და სხვა. არის პიპერბოლური გამოთქმები. (ქართული ხალხური სიტყვიერება, იქვე, გვ. 103)

გვაიხსენოთ ეპიზოდი, სადაც ამირანმა ქრისტეს ჭიდაობა გაუტედა... „მაშინ აიღო ქრისტელმერთმა თავისი ჯოხი, დაარჭო და უბრძანა ისეთის ფესვების გადგმა, რომ მთელს ქვეყანასა ჰქონიყოს იმისი ფესვები ირგვლივ სარტყელივით შემორტყმული. მისი წვერი კიდევ ზეცაში ყოფილიყოს გართხმული“ (იქვე, გვ. 110) წავიდა მონადირე იქითვენ, საითაც კენესა ისმოდა და გამოქვაბულის კლდეში კი შევიდა. ნახა, რომ ერთი უზარმაზარი დევეივით კაცია მიბმული კლდეზე ჭაჭით. თმა-წვერი ასხია ისეთი, რომ დაბლა ლოგინადა ქონია. ერთი გოშია კიდევ გვერდზე უდგა, ლოკავს ჭაჭებს. მონადირე შეშინდა, გაქცევა გაბედა, მაგრამ დაჯავეცულმა გმირმა დაუძახა: — თუ ქრისტიანი ხარ, ნუ გაიქცევი... ის ხმალი მომაწოდე, იქ რომ ცრემლად იღვრება... ეს დაინახა ამირანმა და ისე დაიკენესა, რომ მთებმა დაიწყეს ნგრევა და ქუხილი. (იქვე, გვ. 112)

ზემოთ ხაზებსმული სიტყვები და სტრიქონები ქართული ხალხური პიპერბოლური ფორმების კლასიკური გამოხატულებაა. უმეტესწილად კი — ბოლო სტრიქონი, სადაც კვითხულობთ: ამირანმა ისეთი გულისტკივილით „დაიკვნესა, რომ მთებმა დაიწყეს ნგრევა და ქუხილი“. პიპერბოლა ანუ საგნისა თუ მოვლენის ამაზე უფრო გაზვიადებულად წარმოდგენა საქმიოდ ძნელია, თუკი ისევ ხალხური ლექსიდან არ გავიხსენებთ ვახტანგ მეფეს, რომელმაც „იალბუზზე ფეხი შედგა,

დიდმა მთებმა იწყეს დრეკა“.

მეტად საინტერესო სურათს იძლევა პოეტური ტროპის საყურადღებო სახეობა ჰიპერბოლა შერეული ხასიათის „ამირანიანის“ სალექსე სტრიქონებში. აქ იგი გაცილებით უფრო მოქნილად ემსახურება ნაწარმოების მხატვრული მხარის გაძლიერებას, მის ემთკიურობასა და შთამბეჭდაობას.

ამირანის პიროვნების გასაძლიერებლად და განსაღიძებლად სალექსე სტრიქონში გამოყენებულია ჰიპერბოლური გამოთქმები, რაც ამირანის გაზვიადებულად წარმოგვიდგენს. მას თურმე „საღილად ბუღა-კამეჩი, ვაშმად არც სამი ეყოფა“. (იქვე, გვ. 97)

ნაწარმოებში ბადრის, უსუპის და ამირანის დასახასიათებლად ვხდებით ჰიპერბოლურ თავისებურებებს:

„ბადრი ქალსა ჰეგავს ლამაზსა,

საქმიარედ გამზადებულსა.

უსუპი ბროლის ციხესა,

თავ-ბოლო გამაგრებულსა.

ამირან-შეგვა ლრუბელსა,

საავდროდ გამზადებულსა“. (იქვე)

ვაჟაცის გარეგნულად ლამაზ ქალთან, თავ-ბოლო გამაგრებულ ბროლის ციხესთან და საავდროდ გამზადებულ შავ ლრუბლებთან შედარება ჰიპერბოლის ნათელ მაგალითს წარმოადგენს. იგი იმავდროულად შედარებაც არის და მხატვრული დახასიათებაც, რაც მხატვრულობის თვალსაზრისით საინტერესო სახეებს ქმნის.

ნაწარმოებში ქვემოთ კვითხულობთ:

„მთას ირემი წამოუხტათ ოქრო იყო რქანი მისნი

უცხო მთაზე კოშკი ნახეს ანაგები ბროლის ქვისი...

სადაც რომ მზემ პირი მოჰკრა, ამირანმა — მუხლი მგლისი...

კოშკმა პირი იქ გააღო, იქ შეიბა კარი მისნი“ (იქვე, გვ. 97)

გამოთქმები „ოქრო იყო რქანი მისნი“, „ანაგები ბროლის ქვისი“ და „ამირანმა — მუხლი მგლისი“, სადაც იგულისხმება, — ამირანმა თავისი „მგლის“ მუხლი პერა მცვიდრად ნაგებ კოშკს და ამ უკანასკნელმაც სწორედ „კარი იქ შეიბა“ ანუ ამირანმა კოშკი მუხლის კვრით შეანგრია.

ყოველი ეს შესანიშნავი პოეტური ჰიპერბოლებია, რაც კიდევ უფრო გაზვიადებულად წარმოგვიდგენს საგანსა და მოვლენას და სამ ლამაზ ცნობას გვაწვდის: ირემი იყო ოქროს რქოსანი, კოშკი იყო ბროლის ქვით აგებული და ამირანმა მუხლით შეანგრია ციხე-კოშკი.

ამირანს რომ „მგლის მუხლი ქონდა“, ეს ჩვენ ჯერ კიდევ ადრე ვიცოდით, როცა ნათლიამ დაანათლა ბევრი სიკეთე და მით შორის მგლის მუხლი, რაც მოცემულ ეპიზოდებში განსაკუთრებული ძალით აუღერდა.

ზემოთდასახელებული სამივე ცნობა ჰიპერბოლური თავისებურების მეშვეობით კიდევ უფრო ღიღდ მხატვრულობასა და გამომსახველობას იძენს, სიუჟეტის მოცემულ ნაწილსაც ამძაფრებს და მიმზიდველობას ანიჭებს. რაც შეხება სალექსე სტრიქონს: „ზღვას ერევა ცრემლი მისი“ — მგლოვარე ქალის შესანიშნავ სახეს ქმნის სწორედ ამ პოეტურ-ჰიპერბოლური ხასიათითა და ამ მეშვეობით თავისი დიდი გამომსახველობით, პოეტური პლასტიკითაც, რაც მოძრაობაში დანახული პოეტური

სახის შშვენიერებით ვლინდება და მუღავნდება.

ჰიპერბოლური თავისებურების კლასიკურ ნიმუშთან გვაქვს საქმე სტრიქონებში, რომლებშიც გადმოცემულია ამირანისა და დევის ბრძოლის ბატალიური სცენა:

„დევ და ამირან იბრძოდნენ,  
მიწა და მყარი ხვიოდა.

იმათ ნაომარ ადგილზე

სულ ქვა და ლოდი ცვიოდა“.

ან

„დევ და ამირან იბრძოდნენ,  
მიწას გაჰქონდა გრიალი.

ამირანმა დევი დასკა,

ადგილი შეხვდა ქვიანი,

დასკა და მხარი მოსტეხა,

დააწყებინა ღრიალი“. (იქვე, გვ. 98)

აქ ხაზგასმული ადგილები სწორედაც ჰიპერბოლური ხასიათისაა და ამირანისა და დევის ბრძოლის ბატალიურ სცენას თითქმის ათანაბრებს ჰერაკლესა და ანთეოსის ან ელინთა მითოლოგიის სხვა ბუმბერაზთა ორთაბრძოლას, რომლის ამაზრზენი ხასიათი ყოველგვარი იარაღ-აბჯარის ჯახუნის გარეშე შეიგრძნობა და წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე.

ჰიპერბოლის სულ სხვა, ლამის არის ლირიკული მიდრევების ხასიათთან გვაქვს საქმე, როცა კვითხულობთ, თუ როგორი უნდა იყოს „საყამარიო კაბანი“.

„საყამარიო კაბასა შვიდი დღე უნდა მზიანი,

შვიდგვირეული საპონი, შვიდმეტი კოკა წყლიანი“.

ყამარის დამახასიათებელ მხატვრულ დეტალთა შორის მოსაუბრებ ასეთი ინფორმაცია მიაწოდა ამირანს. ესეც, რა თქმა უნდა, მითოლოგიური ამორბალების ანუ უძლეველი ქალების დახასიათებისათვის ნიშანდობლივი დეტალია, თუმცა ყამარი სრულებითაც არ არის უძლეველ ქალთა წარმომადგენელი.

საინტერესოა ეპიზოდი, — ამირანმა გაიგო, რომ მას შიკრიკი ატყუებს გზის არევის მიზნით. ამირანმა შიკრიკს უთხრა:

„შიკრიკო, გზანი გაიხვენ, თუ არ ხარ

თავის მისანი,

თორებ აგილე, გაგთალე,

ვით საკიდობნე ფიცარი“. (იქვე, გვ. 99)

პიროვნების „აღება“ და საკიდობნე ფიცრად გათლა სწორედაც შედარების ისეთ მხატვრულ ხერხზე მიგვანაშნებს, რაც ჰიპერბოლის ხვედრია.

პოეტური გამოსახვის ულამაზეს ჰიპერბოლურ თავისებურებასთან გვაქვს საქმე იმ სტრიქონებში, ამირანის დევებთან ბრძოლის ეპიზოდს რომ ასახავს. ამირანი შეეპრა დევებს სახლში, დახოცა ისინი, სისხლი ყელაძე მოადგა, ლამის არის უნდა დამხრჩივოყო. მოაგონდა შშვენიერი ყამარი, რომელთანაც შეხვედრას ესწრაფოდა, ყამარის ხათრით დახრჩიბისაგან თავისთავი დაენანა, სისხლის „ტბაში“ მოფართხალე დევი გაისროლა, კედელი გაამტვრევინა და სული თავისუფლად რომ ამოითქვა, დასძინა:

„ჯაჭვის კალთები დამაცვდა

ამდენი სისხლში რევითა,

ვაიმე, ჩემო ყამარო,  
ვერ გავდეს შენის ხვევნითა“.  
ან

„ბადრო, მათხოვე თეთრონი,  
ზღვაში გავიდე ნგრევითა,  
გავიდე, გამოვიყვანო, ქალია  
თეთრი მზე ვითა.  
თან ყურძნე გამოვიყოლო,

ტკბილია დედის რძე ვითა“. (იქვე, გვ. 104)

აქ ხაზმინიშნებული ადგილები განსაკუთრებული ლირიზმის შემცველი და, ამასთანავე, ვაჟკაცური ხასიათისანი არის. ჭერ ზღვაში ცხენდაცხენ გასვლაა თავისთავად გრანდიოზული რამ და მერეც — ზღვაში გასვლა ძლიერად, უშიშრად, მედგრად, „ნგრევით“ არის ჰიპერბოლის შესანიშნავი ნიმუშები.

ჰიპერბოლური თავისებურების შემცველ კიდევ ერთ საინტერესო მაგალითთან გვაქვს საქმე სტრიქონებში, რომლებშიც გადმოცემულია ამბრის ცხედრის გადასვენების ეპიზოდი. ვკითხულობთ:

„ამბრი ჩაჰეონდა დედასა,  
თორმეტ უღელა ხარსაო.

გადმოვარდნიყო ბარკალი

მიწას არღვევდა მყარსაო“. (იქვე, გვ. 109)

მიცვალებულის „თორმეტუღელა“ ხარით გადასვენება, ამასთანავე ის ფაქტი, რომ ურმიდან „გადმოვარდნილი“ მისი ფეხი მყარ მიწას „არღვევდა“, არის წმინდა სახის ჰიპერბოლი, რაც გაზვიადებულად წარმოგვიდეგნს თვით ამბრის. ამავე მიზანს ემსახურება ეპიზოდი, სადაც მიცვალებულის დედა ამირანს თხოვს, ურმიდან უნებლიერ გადმოცურებული ფეხი ამბრისა აიღოს და ისევ ურემზე შემოდოს. აქ მეითხველს მინდა შეეხსენო, რომ ამირანმა რომელიც ჩვენს რწმენა-წარმოდგენებში არის მეტად ძლიერი პიროვნება, დევების, ვეშაპების, ცის ბატონის, ნახევრად ქაჯი მებრძოლების დამმარცხებელი, ბროლის ციხე-კოშკის მუხლით შემანგრეველი, დედის დავალების შესრულებაში მარცხდება. — ამბრის ფეხს ოდნავადაც ვერ წამოსწევს. გაფავრებული და გულაცრუებული დედა ამბრისა ეუბნება:

„აის ქვეყანაც ქრულია, სადაც შენ ამირანბდი,

თავს იხურავდი ჩაჩქანსა ბოლოზე ჭაჭვიანობდი“. (იქვე, გვ. 109)

თვით ეს ფაქტიც ამბრის გაზვიადებულად წარმოდგენის ჰიპერბოლურ ხასიათს ატარებს. მითუმეტეს დედა საკველურის კილოზე დაუმატებს:

„წესი თუ იყოს დედათა,  
ადვილად გინადირებდი,  
მოგკრავდი მათრახის წვერსა,  
ცას გიდელ-გიდელ გაგრევდი.  
ღმერთმა იცის, ჩემო ამირან  
ამბრის ვერ ედარებოდი  
ვერც სმაში, ვერცა ჭამბში,  
ვერც ომში ედარებოდი.  
მკვდარმა გაჯობა ცოცხალსა,  
ცოცხალს რად ედარებოდი.

თუ მაგის მეტი არ იყავ,

ჩემ შვილს როგორდა ჰმტერობდი". (იქვე, გვ. 109)

აქ, თუ შეიძლება ასე ითქვას, ამბრის დასახასიათებლად, მისი რაინდული სახის წარმოსადგენად მეტად რელიეფური და, ამასთანავე, „ჩაძირული“ ჰიპერბოლური სასიათის მხატვრულ გამონათქვამთა მთელი კასკადია მოცემული. ნაწარმოების მოცემული ეპიზოდის მხატვრულობაც ამითაა განპირობებული ისევე, როგორც მისი ემოციურობა და მიმზიდველობა.

ასეთია „ამირანის“ წროზაული, პოეტური და შერეული სახის გარიანტთა მხატვრული გამოსახვის ჰიპერბოლური თავისებურებები. რაც განუმეორებელ ხიბლს ჰმატებს ნაწარმოებს: ამძაფრებს სიუჟეტურად, აკეთილშობილებს მხატვრულად და ნაწარმოებს წარმოგვიდგენს მონუმენტურად.

„ტარიელიანში“ ვკითხულობთ:

„რა ნახა ტარიელის რაშმა, რომ იმის პატრონს ისრებს ესვრიან და ეომებიანო, დაუწყო მიწას ფეხით თხრა და ააბეჭა ის ალაგი, სადაც ტარიელს ეძინა, რომ ტარიელი ბეჭიდან გადმოვარდნილიყო და გაღვიძებოდა. მართლა ასე მოხდა. გაღვიძებულმა ტარიელმა მაღლა მფრინავი ორბი დაინახა. ესროლა ისარი, ორბი მოჰკლა და ჩამოაგდო მიწაზედ, ორბს ისრისთვის ფრთხები ააძრო და ხურჯინში ჩააწყო... გარშემო ჭარი შემორტყმოდა. განრისხდა ტარიელი... შევარდა ჭარში, მრავალი დახოცა“. (ჩაიწერა დ. ხიზინაშვილმა, ივერია 188 №230-231; მ. ჩიქოვანი „ხალხური ვეფხისტყაოსანი“.)

შთაბეჭდილების გაძლიერებულად წარმოდგენის მიზნით აქ საქმე გვაქვს ჰპერბოლის სახარბიელო ნიმუშთან, თითქმის ისეთთან, როგორიც გვხდება მხოლოდ ჭადოსნურ ზღაპრებში.

აქვე მინდა ხაზგასმით და დაბეჭითებით ავლნიშნო, რომ სამწერლობო ლიტერატურისაგან განსხვავებით, სადაც სუფთა ჰიპერბოლურ გამოვლინებითან გვაქვს საქმე, აქ, ხალხურ შემოქმედებაში იგი გარკვეულწილად იზიარებს ზღაპრის, უმეტესწილად კი — ფანტასტიკური ზღაპრის ელემენტებს, თუმცა მისგან დიდად განსხვავდება და ფართედაც ემიგნება მას.

ეს დებულება, მე ვფიქრობ საყურადღებო უნდა იყოს და ამ მიმართებით მუშაობა საჭიროა, როგორც ცალკე პლეიგვის თემა და საგანი.

ზემოთ მოტანილ ტექსტში ჩვენს გამახვილებულ ყურადღებას იპყრობს სიტყვები, სადაც ლაპარაკია იმაზე, რომ გულისხმიერმა ცხენმა გადაარჩინა ტარიელი. ტარიელმა ორბის ფრთხები „ისრებად გამოიყენა“, მტერი „მრავალი დახოცა“ და განსაკუთრებით — ცხენით იმოდენა მიწათხრილი დადგა, რომ „ტარიელი ბეჭიდან გადმოვარდა“. ასე გააღვიძა ცხენმა პატრონი.

როგორც ითქვა, ეს ჭადოსნური ზღაპრის სასწაულებრივი ქმედების ეპიზოდს გავს და ზოგიერთი დეტალით მასვე ენათესავება, მაგრამ მისგან დიდად განსხვავდება, როგორც საგმირო რომანტიკული ხასიათის ეპიკური თქმულება.

ჰიპერბოლური გამოსახულების თვალსაზრისით საინტერესო მასალას იძლევა საგმირო-სარაინდო ხასიათის ეპიური ქმნილება „როსტომ-ჭაბუკი“. ეს საკმაოდ ტრაგიკული ნაწარმოებია. თავისი მასტრაბით იგი სოფოკლეს „ოიდიპოს მეფის“ წვდება და ცალკეული, კერძოდ იოდიპოსისა და მისი მამის ლიარტის ურთიერთ შებრძოლების სცენას მოგვაგონებს. მცირე პარალელით თუ დავკმაყოფილდებით, ავლნიშნავ, რომ ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს ერთმანეთისათვის სრულიად



უცნობ მამა-შვილთან და მათ შებრძოლებასთან. „ოიდიპოსთან“ შვილი ოიდიპოსი ამარცებს მამას, აქ, „როსტომ-ჭაბუკის“ მიხედვით კი მამა კლავს შვილს. ეს საინტერესო პარალელია.

მეორეც: ორივე შემთხვევაში ცხადი ხდება, თუ ვინ ვის წინააღმდეგ აღმართა ხელი და ვინ ვისან მოიკლა.

მესამეც: როსტომმა (მამამ) ზურაბი (შვილი) რომ მოკლა, როგორც უცნობი რაინდი, იგლოვა. თორმეტი წლის განმავლობაში საბნელოში იყო, მუხლებზე ესვენა შვილის ცხედარი და ომერთს ეცვეშებოდა მის გაცოცხლების. თავისთავი დაისახა საბნელოში ჩასვლით და თორმეტი წლის განმავლობაში უჭმელ-უსმელობით. ოიდიპოსმა კი, გაიგო თუ არა, რომ მამამისი მოუკლავს და დედა ცოლად შეურთია, თვალები დაითხარა და თავისთავი სასტიკად აწამა.

ანალოგიური სიუჟეტებიც ცალკე კვლევის საგანია, რადგან ბევრი კლასიკური ქმნილება მითოლოგიურ სიუჟეტს ეყარება, ხოლო მითოლოგია ფოლკლორის ისეთივე საკუთრებაა, როგორიც ხალხური ეპიური ციკლები.

ახლა, წმინდად, ჰიპერბოლებზე:

„მოიქნია როსტომმა ზურაბი, მუხლებამდე მიწაში ჩაფლა. მოიქნია ზურაბმა, წელამდე ჩაფლა როსტომი. როსტომმა უთხრა ზურაბს: ჭაბუკებს ჩვევად აქვთ, რომ სამჯერ იჭიდავებენ ხოლმე, დღეს ამიშვი, ხვალ და ზეგ ისევ ვიჭიდავოთ“. (ქართული ხალხური სიტყვიერება, 1970, გვ. 127) ამის შემდეგ როსტომმა მუხანათურად დაამარცხა ზურაბი, რომელიც გამოდგა თავისი შვილი.

მეორეც „ამ დროის განმავლობაში (რაც როსტომი საბნელოშია და მოელის შვილის გაცოცხლებას ჯ.ჯ.) წვერი ისე გაეზარდა, რომ ფეხებამდის წვდებოდა“. (იქვე, გვ.128)

ერთი მოქნევით, როგორც დავინახეთ, როსტომმა ზურაბი მუხლამდე ჩასვა, ხოლო ზურაბმა როსტომი — წელამდე. ან კიდევ წვერი ისე გაეზარდა, რომ ფეხებამდე წვდებოდა — ეს ყველაფერი ვაუკაციბის, რაინდობის და ტრალედის გამოსახვის ნათელი ხალხური ჰიპერბოლური ხერხია, რაც ზეგავლენის ახდენს მკითხველზე და ცალკეულ ეპიზოდს ინტერესით აღავსებს.

ქვემოთ გავანალიზებთ „ამირანის“, როგორც შერეული ეპიკური ციკლის პოეტური ნაწილის მხატვრული გამოსახვის ჰიპერბოლურ თავისებურებებს. უპირველეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ სიტყვა „თავისებურება“ გაგებული უნდა იქნას სამწერლობო ნაწარმოებთა ჰიპერბოლებისაგან განსხვავებულად. იქ მას მხოლოდ ერთი ფუნქცია აქვს და ის თავისებურებად არ ჩაითვლება. ეს ფუნქცია არის რაიმე საგნის ან მოვლენის გაზვიადებულად წარმოსახვა, მხოლოდ გაზვიადება, რისი მსგავსიც რეალურ ცხოვრებაში არ არსებობს. რაც შეეხება ფოლკლორულ ქმნილებას, აქ უკვე გვაქვს საქმე „თავისებურებასთან“. ეს თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ საგნისა და მოვლენის გაზვიადებულად წარმოდგენის გარდა იგი უახლოვდება ეგრეთწოდებულ ჯადოსნურ ელემენტებს, შედარებას და ზღვარს გაცდენილობას. ყველაფერი ეს ხშირად გახვეულია ზღაპრულ სამოსელში და იგი ხელს უწყობს ეპიური ხსიათის ქმნილებათა გამხატვრულებას.

აქვე უნდა შევნიშნოთ ერთი მეტად დამახასიათებელი გარემოება. ეპიური ციკლის ნაწარმოებები უფრო მითოლოგიური ბუნებისაა, ვიდრე სადევვემირო-სარაინდოს მსგავსად რეალურისა, მაგრამ აქაც შეინიშნება ამ უკანასკნელისათვის დამახასიათებელი ელემენტები. აქაც მინიშნებულია მებრძოლთა კატეგორიების

ისეთ დიფერენცირებულ წარმომადგენლებზე, როგორიცაა ჭაბუკი, გმირი, რაინდი და, რაც შეტად დამახასიათებელია ბერძნული მითოლოგისათვის, ბუმბერაზი. აქ არ შევუდგებით მსჯელობას იმის შესახებ, თუ ამირანი რომელ მათგანს განკუთვნება, ჭაბუკს, გმირს, რაინდს თუ ბუმბერაზს, რადგან ეს ჩვენი კვლევის ინტერესების სფეროს სცილდება, დავსძონთ მხოლოდ, რომ ამირანის პერსონი, რომელიც ჰყავს „შავსა ღრუბელსა საავდროდ გამზადებულსა“, შეიცავს კველა ზემოთდასახელებული კატეგორიის მებრძოლთა თვისებებს. იგი ჭაბუკიც არის, რაინდიც არის, გმირიც და... ვაი, რომ ურმიდან ძირს გადმოგდებული ამბრი-არაბის ფეხი ურემზე ვერ შემოსდო, ვერ ზიდა (ამაზე ქვემოთ). არადა, საკმარისია გავისხენოთ, თუ ამ ერთმა კაცმა როგორ გაულიტა დევები ან იგრი ბატონის მეფეს როგორ წააძრო კისერზე თავი, რომ დავრწმუნდეთ ამირანის განუშეორებელ ბუმბერაზობაში. მისი ორეული მხოლოდ ბერძნულ მითებში შეიძლება მოიძებნოს, უპირველესად — პრომეთეს სახით.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს თემას სცილდება ამბრი არაბის ცხედრის წინაშე ამირანის გაწმილების ეპიზოდი, ერთი აბზაცი იმის თაობაზე აქ მაინც უნდა მოვიტანოთ.

ის ფაქტი, რომ ურემზე დასვენებული ცხედრის ცალი ფეხი მიწაზე გადმოვარდნილიყო, თავისი სიმძიმის გამო მიწას მიარღვევდა და ღრმა კვალი გაჰქინდა, ეს არის ან:

1. ისეთი კომპილაციური წესით გმირის გამოსაცდელად წინააღმდევობათა გადალახვის ამსახველ-შემმოწმებელი რომელიღაც ცალკე არსებული და ჩვენამდე მორწეული მითიური ქმნილების საინტერესო პლასტი (რასაც ცალკე კვლევა სჭირდება)!..

2. „ამირანის“ უპირველესი და უკრცელესი ვარიანტის წინა ან მომდევნო ეპიზოდებიდან, ჩართული სიუჟეტის მაგარი რამ, რომელიც ღრმა ფილოსოფიური გააზრებით მიანიშნებს აღრეწარმართული ეპოქის ღრმად აქტიური აგრარულ-სამიწათმოქმედო მუსრენობაზე გადასცლის და ამ განვითარებაზე პროცესის დაუძლეველობას. ამას გვაფიქრებინებს ის გარემობა, რომ ამირანი დარგობრივი ღვთაების ანუ პოლითიკიზმის ეპოქების შვილია, იმ ეპოქებისა, როცა იდამიანთათვის მთავარ საარსებო წყაროს ნაღირობა და ნანაღირევი წარმოადგენდა. საჭირო იყო აგრარული პროცესების დაწყება, ისეთი აქტიური დაწყება, რომლის შეცვლაც, უკუგდებაც არავის და არაფერს შეეძლო. ხალხურმა რწმენა-წარმოდგენებამა ამირანს ამიტომაც არ შეაძლებინა მიცვალებულის ფეხის წამოწევა და ეტლზე შემოდება, თორებ ვეშაპების, დევების, ქაჯების დამმარცხებელი ამირანი ვანა მიცვალებულის ფეხს ვერ წამოწევდა? წამოწევდა? აქვე უნდა აღინიშნოს მეტად საგულისხმო ფაქტი: ამირანს რომ ამბრი არაბის ფეხი წამოეწია, რომელიც მიწაზე ხნულს ავლებდა, ეს იქნებოდა აღრეწარმართობის დროს სამიწათმოქმედო მუსრენობაზე გადასცლის პროცესის უარყოფა, ახალი რევოლუციური პროცესის უკანვე შემობრუნება.

აქ შესაბამის დავისახელოთ ამირანისა და ქრისტეს ჭიდაობა. ამირანი, როგორც ვთქვით, პოლიტიკიზმის დროის შვილია, ქრისტე — მონოთეიზმისა. მონოთეიზმი პოლიტიკიზმთან ანუ მრავალმერთიანობასთან შედარებით გაცილებით პროგრესული მოვლენა იყო. ამიტომ, ეს იყოდა რა ხალხმა, მათი რწმენა-წარმოდგენებით ამირანს ვერ უნდა გაემარჯვა ქრისტესთან პაექრობაში, თორემ

რომ გაემარჯვა, ეს უკვე პროგრესზე უარის თქმა და ისტორიის ჟანრიზაციაში ჩარჩოს უკან დაბრუნება იქნებოდა.

აქ ანალოგიურ მსჯელობას გამთავრებ, რადგან იგი ცალკე სერიოზული კვლევის საგანია და გადავდივართ იმ პრობლემათა კვლევაზე, რაც ჩვენი თემისათვის არის აუცილებელი. ეს გახდავთ ხალხური ეპიური ციკლების ჰიპერბოლური გამოსახვის პოეტური თავისებურებანი. როგორც ზემოთ ითქვა, ვუბრუნდებით „ამირანს“ ოლონდ ამჯერად — მის პოეტურ ნაწილს.

\* \* \*

ბადრი, უსუპი და ამირანი ობლები დაიზარდნენ. ბავშვობაში სიბეჭავე დაებედათ, მაგრამ დიდობაში — გმირობა და ჭირსახდელი, განსაკუთრებით — ამირანს. როგორც ვთქვით, ამირანი ისეთი ვაჟკაცი „გაიზარდა, მიწას უმძიმდა იმისი ტარება“.

„სანაღიროდ წამოვიდნენ ამირან და ძმანნი მისნი,  
გადაიარეს ცხრა მთანი, მეათენი აღგეთისნი,  
მინდორს კვალი მაუკვლიერი დანაჭლიკი ეშმაკისი,  
მთას ირემი წამოუხტათ, ოქრო იყო რქანი მისნი.  
უცხო მთაზე კოშკი ნახეს ანაგები ბროლის ქვისი  
სადაც რომ შეემ პირი მოჰკრა — ამირანმა მუხლი მგლისი...  
კოშქმა პირი იქ გააღო, იქ შეიძა კარი მისი.

იმას თავით რაში ება, ტოტით მიწას სთხრიდა ისი,  
მარცხნივ რო შუბი ეყუდა, წვერი ცასა ხევდა მისი.  
მარჯვნივ ედო თავის ხმალი, პირი ჰქონდა ალმაისისი.  
ერთ კუთხეში — ოქრო-ვერცხლი, ნაგროვები ცამცუმისი.  
გვერდით ეჭდა თავის დედა, ცრემლით სტიროდა შვილს ისი,  
თავით ერთი ქალი ეჭდა, ზღვას ერევა ცრემლი მისი“. (ქართული ხალხური სიტყვიერება, 1970, თბ. გვ. 93)

აქ წარმოდგენილი ამონაშერი მეტად საინტერესოა პოეტური გამოსახვის გაზვიადებულად წარმოდგენის თვალსაზრისით.

ირმის რქა შეიძლება იყოს ლამაზი, ქორბუდა და სხვა, მაგრამ არა — ოქროსი. აქ მხატვრული გამოსახვის სწორედ იმ თავისებურებასთან გვაქვს საქმე, რომლის შესახებაც ზემოთ ითქვა. ესაა შედარებასთან წილნაყარი ჰიპერბოლა. მაგრამ მაინც ჰიპერბოლა. იგი სხვა თავისებურებითაც ხასიათდება. აქ საქმე გვაქვს ისევ და ისევ იმ ზღაპრულ მიმოკევასთან, რომელზეც ზემოთ ვისაუბრეთ. შედარებისა და ზღაპრისათვის დამახასიათებელი ატრიბუტების გაზრებათა სინთეზი გვაძლევს ჰიპერბოლური გამოსახვის მხატვრულ თავისებურებას.

ფრაზაში — „ამირანმა მუხლი მგლისი“ იგულისმება, რომ რადგან ციხეში შესავლელი კარი ვერ ნახეს, ამირანმა მუხლი ჰქრა საოცრად მკვიდრად ანაგები ციხესიმგრის კედელს და შეანგრია იგი.

ლამაზი ჰიპერბოლა!

მას არ ჩამოუგარდება ფრაზები: ცამცუმის ხმალს „პირი ჰქონდა ალმაისი“ და (ცამცუმის თავთან მჯდომარე): „ზღვას ერევა ცრემლი მისი“.

ეს შშვენიერი პოეტური ჰიპერბოლები ეპოშში გაბნეულ მარგალიტებივით ანათებს.

ქვემოთ ისევ ამირანის გმირობაზეა ლაპარაკი. კერძოდ იმ ეპიზოდზე, სადაც ლაპარაკია ამირანისა და ბაყბაყდევის ძალისმიერ პაექრობაზე: ცამცუმის ციხესიმაგრიდან მომავალ ამირანს გზაზე დევი შეხვდა. კითხვაზე, თუ სად მიღიოდა დევი, მიიღო ასეთი პასუხი:

ცამცუმი მომკვდარა და მის შესაჭმელად მივდივარო

ამირანი გაბრიაზდა ასეთ თაეხედობაზე და დევს სამკვდრო-სასიცოცხლოდ შება:

„დევ და ამირან იბრძოდნენ, მიწას გაპქონდა გრიალი

ამირანმა დევი დასცა, ადგილი შეხვდა ქვიანი

დასცა და მხარი მოსტეხა დააწყებინა ორიალი“. (ქართული ხალხური სიტყვიერება, 1970, თბ. გვ. 98)

ბოროტი ძალა დამარცხდა, მაგრამ ამით არ დამთავრებულა ყველაფერი. ამირანს დევმა შეეხვეწა:

„ნუ მომქლავ დარეჯანისძევ, ხელი გაფიცო ხმლიანი,

მანდილი დედაშენისა თაკლაი ოქროიანი.

ზღვის გაღმა ქალი გასწავლო, სახელად ყამარ ჰქვიანი,

სამყაროსა კაბასა შვიდი დღე უნდა მზიანი,

შვიდკვირული საპონი, შვიდმეტი კოკა წყლიანი

წასვლა ადვილი იქნება, მოსვლა იქნება გვიანი“. (იქვე)

შიკრიქმა ამირანს „მიასწავლა“ გზა ყამარისაკენ, — შეეცალა დაებნევია, გზას აეცდინა ამირანი. ამირანმა ეს გაუყო და მეტად მგაცრად უთხრა:

„შიკრიქო, გზანი გაიხვენ, თუ არ ხარ თავის მისანი,

თორემ აგიღე, გაგოლელე, რო საკიდობნე ფიცარი“. (იქვე, გვ. 98-99)

ბოლოს ამირანმა გაიგნო სწორი გზა ყამართან მისასვლელად და ძმას თხოვა თეთრონი:

„ბადრო, მათხოვე თეთრონი, ზღვაში გავიდე ნგრევითა,

გავიდე, გამოვიყვანო, ქალია თეთრი, მზე ვითა,

თან ყურძენ გამოვიყოლო, ტკბილია დედის რძე ვითა“ (იქვე, გვ. 101)

შეტად საინტერესო ხალხური პოეტური გამოსახვის კონკრეტულ მაგალითებთან გვაქვს საქმე. ამირანისა და დევის ჭიდაობა განეკუთვნება ბრძოლის ისეთ ბატალურ სცენებს, რომლებიც ბლომად მოიპოვება არა მარტო რომანტიკულ და სხვა ხასიათის ნაწარმოებებში, არამედ სადევვმირო-სარაინდო ხასიათის ქმნილებებში. ამირანისა და დევის შერკვენა ისეთ ხმებსა და ძალისხმევასთან იყო დაკავშირებული, რომ „მიწას გაპქონდა გრიალი“, ბოლოს და ბოლოს ამირანმა დევი დასცა“ და სასტიკად დამარცხებულს „დააწყებინა“ ორიალი.

ჟეშამარიტად ბატალური სცენაა.

ამ სცენას ამძაფრებს და ეპიზოდის მხატვრულ აღქმას აძლიერებს პოეტური გამოსახვის ის მხატვრული ძალა, რაც ჰიპერბოლური სიძლიერითა და კანონზომიერებით არის გადმოცემული.

აქ პირშინდა ჰიპერბოლასთან გვაქვს საქმე და იგი განსხვავდება მომდევნო მაგალითისაგან, სწორედ იმ თავისებურებით, რაზედაც ზემოთ ვთქვით და რაც გულისხმობს გაზღაპრებულ შედარებას. ამაში დარწმუნება ადვილია, თუ ზემოთ საზღაბმულ ადგილებს კვლავ გადავავლებთ თვალს:

„შიკრიქო, გზანი გაიხვენ თუ არ ხარ თავის მისანი

თორემ აგიღე, გაგოლელე, რო საკიდობზე ფიცარი“. მაგრა მარტო ამავე სასტიკად დამარცხებულს „დააწყებინა“ ორიალი.

ან კიდევ

„გავიდე, გამოვიყვანო, ქალია თეთრი, მზე ვითა

თან ყურძენ გამოვიყოლო, ტბილია დედის რქე ვითა“.

ზემოთ ციტირებულ სტრიქონებში ქვედვით ზაუმურ, მაგრამ შინაარსის შემცველ სიტყვას „რო“, ხოლო მომდევნოში — უკვე სრულად მოტანილ სიტყვას „ვით“. ეს ორივე ერთი და იგივე შინაარსიანი არის. „რო“ არის იგივე, რაც — „როგორც“. ასევე „ვით“ არის იგივე, რაც „როგორც“, ოღონდ ძელი ქართულით. უნდა იკითხებოდეს: „თორებ აგილე, გაგთალე, როგორც საკიდობ ფიცარი და, ქვემოთ, „გავიდე, გამოვიყვანო, ქალია თეთრი, მზე ვითა“.

აქ ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს, უპირველესად, შედარებასთან, მაგრამ ორივე შემთხვევაში გაზიადებულად წარმოდგენასათანაც გვაქვს საქმე და ვიტოვებთ მცირე უფლებას ვთქვათ, რომ იგი ჰიპერბოლის ელემენტებისადმი მწყრალად არ არის.

სხვა ამბავია ამავე კონტექსტში მოტანილი სტრიქონების გაგება:

„საყიძაროსა კბასა შვიდი დღე უნდა მზიანი

შვიდკირეული საპონი, შვიდმეტი კოკა წყლიანი“

და

ბაღრო, მათხოვე თეთრონი, ზღვაში გავიდე ნგრევითა“

აქ განსაკუთრებით ამ ბოლო სტრიქონში, საქმე გვაქვს პირწმინდა ჰიპერბოლასთან.

პოეტური გამოსახვის ასეთი, მეტად საინტერესო ჰიპერბოლურ თავისებურებასთან გვაქვს საქმე უკვდავ ხალხურ ეპოსში, როგორიცაა „ამირანი“.

დიდი ხანია იკვლევენ „ამირანს“. მას ბევრი გამოკვლევა მიეძღვნა, ეს გამოკვლევები გამოიცა, სამეცნიერო სესიებშე გამოტანილი იქნა პრობლემატური საკითხები, ცალკე დიდტანიანი წიგნი გამოსცა პროფ. მ. ჩიქოვანმა სათაურით „მიზანული ამირანი“, მაგრამ მას ვრჩისითიკაციული თვალი ნაკლებად შეხებია და, რაც ამ შემთხვევაში ჩვენთვის მთავარია, ამირანისა და ქრისტეს ორთაბრძოლის, როგორც ორი ეპოქის — წარმართობისა და ქრისტიანობის პირველი ეტაპის საქვდორ-სასიცოცხლო ბრძოლის, ანუ პოლითიკურისა (ამირანი) და მონოსტი ზმის (ქრისტე) ურთიერთ ბრძოლის სწორი გავება არავის აზრად არ მოსვლია. არადა, ეს სხვა არაფერია, თუ არა მრავალმეტრთიანობის ეპოქის დასასრულისა და ერთობლივ თანაბრძოლების ეპოქის დასაწყისის წინააღმდეგობრივი პროცესების ამსახველი ღრმად ფილოსოფიური, გენიალური ხალხური ეპოური ქმნილება.

ქართული ხალხური ეპიური ციკლის მეტად საინტერესო ნიმუშია „ტარიელიანი“ ანუ ერთი ჩანწერის მიხედვით „ტარიელი“. ეს, ალბათ, მეტად საინტერესო და პოპულარულია, რომ იგი წარმოადგენს ხალხურ „გეფხისტყაოსანს“. დიახ, „ტარიელი“ არის გენიალური შოთა რუსთაველის „გეფხისტყაოსანის“ ხალხური ვარიანტი. იგი მდიდარია მხატვრულ გამოსახვის ჰიპერბოლური კომპლექსით.

გთავაზობთ მის მოკლე შინაარსს პოემისთან შესადარებლად, და მერე, გვანანალიზებთ ჰიპერბოლურ თავისებურებებს ამ ქმნილების პოეტური ნაწილისა.

შინაარსი ასეთია:

იყო ერთი ხელმწიფე, ჰყავდა თავისთან დაახლოებული ვეზირი. მეფესა და ვეზირს დიდხანს შვილი არ შეეძინათ. ბოლოს მათი ცოლები დაფეხმდიმდნენ.

ერთმანეთს უთხრეს თუკი ქალ-ვაჟი შეგვეძინოს, ერთმანეთზე დავაქორწინოთ. ხელმწიფის ცოლს ქალი დაებატა, ვეზირისას — ვაჟი. ქალს ნესტან-დარეჭანი დაარქვეს, ვაუს — ტარიელი.

ტარიელს მშობლები ადრე დაეხოცა. დარჩა მხოლოდ მამიდა, მეფემ ტარიელს მამის ადგილი უბოძა.

ტარიელმა მეფეს მამის ანდერძისამებრ ქალი თხოვა. მეფემ უარი უთხრა. ქალიშვილსაც ატყობდა სიყვარულს და გადაწყვიტა ტარიელის განშორება.

ხატაულები ტარიელის მამის გვარის მოსისხლე მტრები იყვნენ:

მეფემ ტარიელი ხატაულს გაგზავნა საომრად. ნესტან-დარეჭანი კი სხვაზე დანიშნა, ის იყო, ქალი უნდა წაეყვანათ. რომ ტარიელი დაბრუნდა. „სასახლეში ნახა, რომ ქორწილია“ — ათხოვებენ ნესტან-დარეჭანს, ატყუებენ, რომ ტარიელი ხატაულს მოუკლავთო. სწორედ ამ დროს იქ შედის ტარიელი. ტარიელი ამბის დაწვრილებით შესატყობად მიღის ქალის მამასთან. მეფემ, პირიქით, უსაყვედურა ტარიელს — „თუ ჩემი ქალი გინდოდა, რატომ არ შემატყობინე“.

ვაჟის მოყვრები დარწმუნდნენ, რომ ტარიელთან ძალით ვერაფერს გახდებოდნენ და წავიდნენ. მეფე გაბრაზდა, არც ხატაულებს მისცა თავისი ქალი და არც — ტარიელს. ამ მუქარის შემდეგ გააკეთებინა კიდობანი, ჩასვა შიგ ნესტან დარეჭანი და ზღვაში გადაავდეს.

ერთ დღეს მოტივტივე კიდობანი დაინახეს ქაჯებმა და გამოიტანეს. იქ აღმოჩნდა ულამაზესი ქალი ნესტან-დარეჭანი. ქალი ქაჯებმა თავიანთ ციხეში ჩაჰეტე — ქაჯეთის ციხეში.

ეს მოხდა სხვის სახელმწიფოში.

ხელმწიფე იმ დროს დიდი ლხინი ჰქონდა გამართული.

ხელმწიფე კოჭლი მონა გაგზავნა ტარიელის სახელმწიფოში. ამ ცნობილი გმირის დასაპატიუებლად, მაგრამ იგი ვერსად ნახეს. კოჭლი მონა მივიდა ტარიელის მშიდასთან და ტარიელის მამის მმაღნაფიც ფრიდონთან: კოჭლი მონა მივიდა წყლის პირას, რომელიც იქვე ზღვას ერთვოდა. ტარიელი მდინარის გაღმა დაინახა და დაუქახა, ცხენი მათხოვე, რომ გამოვიდეო. ტარიელი იწვა წყლისპირას და ეძინა. მონის ძანილმა ძლიერ გამოაღვიძა ტარიელი. ტარიელმა ცხენი არ ათხოვა, „გაშალა მკლავი მდინარეზე ხილად“. კოჭლმა მონამ ტარიელის მკლავზე შშვიდად გაიარა, მივიდა ხელმწიფესთან და მოახსენა:

„ერთი კაცი ზღვისა პირსა

ნამტირალსა ჰყვანდა გმირსა,

ზღვის კიდენი შეათროვილნეს

ცრემლსა იმისი ნატირისა.

ხელთ ეჭირა თავის რაში,

მკვიდრად დაემგარა გმირსა.

უხდებოდა მარგალიტი

იმის ცხენის უნაგირსა.

ცხენი ვთხოვე, არ მათხოვა,

წყალნი მაილიკებს ძირსა

თავის მკლავი გამოშალა,

გასდო, როგორც ხილი ხისა.

გვარი ვკითხე, არ მასწავლა,



ნუდამც მიეცემა ლხინსა.

სახელი სთჭვა ტარიელი

გაბრუნდიო, მექადრა პირსა“. (ქართული ხალხური სიტყვიერება, იქვე გვ. 117)

ამ სახელმწიფოში ცხოვრობდა ტარიელის დედის ძმა ავთანდილი. ავთანდილთან ერთად მეფესთან ძალიან დაახლოებული იყო ორი ძლიერი გმირი სახელად ედემ და ომარი. ესენი გააგზავნა მეფემ ტარიელის მოსაყვანად.

ედემ და ომარიმ კოჭლი მონა თან წაიყვანეს მეგზურად.

ტარიელმა უცხო ხალხი რომ დაინახა, შეება და ისეთი დღე დააყენა, „მტრისაგანაც შესაბრალისი გახადა“. კოჭლი მონა ამბის წამლებად გააგზავნა თავის მეფესთან:

„კოჭლი მონა მოხინჩილებს,

თავში მოიშენდა ქვასა

— ედემ ცისკენ გაგვიგზავნა,

ჯერაც არ მისულა ცითა.

იმის ჩოხის ნაგლეჭები

მესამე დღეს ჩამოდისა.

ომარე მინდორს გაგვიკრა

ბრუნაც, როგორც ჯარა ხისა“. (იქვე. გვ. 118)

შეწუხებულმა მეფემ ტარიელის შესაბყრობად ავთანდილი გააგზავნა.

„ტარიელი სულ ტიროდა. იქამდის დაოსდებოდა, რომ ბოლოს ერთის თვის კილით დაიძინებდა“. (იქვე)

ავთანდილი მივიდა ტარიელთან. ტარიელს ეძინა. ავთანდილმა ჯარი შორისახლოს დააყენა და ტარიელს დაუწყო ისრების სროლა. ისრები ტარიელს სულ „აასხა ნაბარზე, რომელიც ძილის დროს ეხურა“. ამის მიზანი იყო მართვა მეფესთან და მაგრამ ავთანდილს კი ხელი არ ახლო. ამის შემდეგ წავიდა და დევთა უბანზე გაიარა. მას შორის-ახლო მისდევდა ავთანდილი, რომ მოსალოდნელი ხიფათის შემთხვევაში მიშველებოდა.

ამის შემდეგ ტარიელს კიდევ ბევრი წინააღმდეგობა შეხვდა. ბოლოს, ავთანდილმა გაბედა შელაპარაკება, სად მიდიხარ, რატომ სახლისაკენ არ იბრუნებ პირსო. ტარიელმა მუქარით უბასუხა, თავად შენ წადი სახლში, ნუ მომსდევ, სანამ გვიანი არ არისო.

წავიდა.

ავიდა ერთ მთაზე

ნახა, რომ ერთს ლომს და ვეფხს „გაცხარებული ომი აქვთ“.

ამის შემდეგ მივიდა სახლში. დახვდა ავთანდილი. იცნო. გაეხარდა. ტარიელმა თავისი თავგადასავალი ავთანდილს დაწვრილებით მოუთხრო. ავთანდილმა ტარიელს ცხენი მოსთხოვა ნესტან-დარეკანის გამოსახსნელად. ტარიელმა ცხენი თავისი ბიძისაგან, ფრიდონისაგან ინათხოვრო. ამ დროს ფრიდონიც წავიდა მათთან ერთად ქაჭთა წინააღმდეგ საბრძოლველად. ბოლოს გადაწყდა, რომ ავთანდილი ოკით გადასულიყო ქაჭთა ციხეზე. ასეც მოიქცა, სანათურიდან ჩავიდა ციხეში და მოპატიუებულ სტუმრებში სტუმრივით გაერია. თან წაილო ტარიელის ბეჭედი

და ნესტორ დარეგანს გადასცა. ქალმა ბეჭედი იცნო. წამოხტა, კარებისაკენ გაექანა, ჰაგრამ ცხრაკლიტული ვერ გააღო. ქაფები მიხვდნენ, რომ ავთანდილი შემოძარული იყო. დაესინ. ავთანდილი ქაფებს ხოცავს, ისინი კვლავ ულეველი არიან. ავთანდილმა დაინახა, ერთი ბებერი ფეტვს აბნევდა. ფეტვის ყოველი მარცვალი ქაფებად იქცეოდნენ და ებრძოდნენ ავთანდილს. ამ უკანასკნელმა ეს ბებერი მოკლა. დარჩენილი ქაფების წინააღმდეგ ომი კვლავ გრძელდებოდა. ავთანდილმა ტარიელი მოიხმო. ორივემ ქაფები ამოწყვიტეს. ტარიელმა შეირთო ნესტან-დარეგანი და იცხვერეს ბედნიერად". (მთქმელი გეგურა პაპუაშვილი. ჩაწერილია ს. არტანში, თაინეთში, დ. ხიზანიშვილის მიერ. დაიბეჭდა „ივერიაში“ 1888 წ. №№ 230-231 გადაბეჭდილია მ. ჩიქოვანის წიგნში-ხალხური ვეფხისტყაოსანი, აქედან კი — ჯართული ხალხური სიტყვიერების ქრესტომატიაში, 1970, გვ. 113-124.)

როგორც დავინახეთ „ტარიელიანი“ სხვა არაფერია, თუ არა ხალხური „ვეფხისტყაოსანი“. აქ უკუფენის კლასიკურ მაგალითთან გვაქვს საქმე. ავტორისეული ნაწარმოები ცალკეული სცენების კომპილაციური სიუჟეტით გახალხურდა და ფოლკლორის საკუთრებად გადაიქცა. ასე შეემატა ქართულ ზეპირსიტყვიერებას რომანტიკული ხასიათის ნაწარმოები „ტარიელიანი“, რომელიც ბევრად ახლოს დგას ქართულ სადევგმირო-სარაინდო ქმნილებბთან. ამასზე მიუთითებს ის ბატალური სცენები, რაც დაკავშირებულია ტარიელის სახელთან, ნაწილობრივ კი ავთანდილის სახელთან. განსაკუთრებით საგულისხმოა ავთანდილის ბრძოლა ქაფების წინააღმდეგ. საგულისხმოა, რომ მსგავსად პოემისა, „ტარიელიანშიც“ ინარჩუნებს ავთანდილი წინდახედულებას, გონიერებას და სიტუაციაში სწორი ორიენტაციის უნარს.

ახლა — უშუალოდ ჩვენი თემის ირგვლივ.

„ტარიელიანში“ ბლომად გვხვდება მხატვრული გამოსახვის პიპერბოლური თავისებურებები, გახვდება იგი მის როგორც პროზაულ, ასევე პოეტურ გარიანტში. პროზაული ტექსტიდან აღსანიშნავია სცენები, რომლებშიც განსაკუთრებულ მხატვრულ და ემოციურ დატვირთვას იღებს პიპერბოლური მაგალითები.

კოჭლი მონის ხახილზე ტარიელმა „გაშალა მქლავი, წყალზედ გადო ხიდივით. კოჭლმა მონამ ზედ გაიარა ტარიელის მქლავზედ მშვიდობიანად. (ქართული ხალხური სიტყვიერება, იქვე გვ. 116)

მდინარეზე მცლავის ხიდად გადება გმირის გრძნობად-კონკრეტულ სახეს ქმნის და სადევგმირო-სარაინდო ნაწარმოებისათვის დამახასიათებელ დეტალზე ემოციურად მიუთითებს.

„ტარიელი სულ ტიროდა, იქმდის დაოსდებოდა, რომ ბოლოს ერთი თვის ძილით დაიძინებდა“.

აქაც პიპერბოლასთან გვაქვს საქმე. ეს ამ შემთხვევაში არა თუ მხატვრულობის, არამედ სიუჟეტური ხაზის განვითარების მიზნით არის გამოყენებული და მიზეზ-შედეგიანობის პრინციპით ქმნის ამბის გამძაფრების საწყისს, რაც ქმნილებას ანიჭებს ცხოველურ ინტერესს. ტარიელის „ერთის თვის ძილი“ იმიტომ გაიდა საჭირო, რომ მის გასაღვიძებლად ავთანდილს შორიდანვე დაეშინა მისთვის ისრები. ბოლოს და ბოლოს „მორტუმული ისრები ტარიელს აასხეს ნაბადზე“.

აქვე უნდა ითქვას, რომ ეს ბოლო ფრაზაც პიპერბოლური ხასიათისაა და იგი მოცემულ ეპიზოდში ნაწარმოების ემოციურ მხარეს აღლიერებს. აქვე შეიძლება ითქვას, რომ წინა პიპერბოლური ხასიათის ფრაზა გახდა მომდევნო პიპერბოლური



ხასიათის ფრაზის მოტივირების საფუძველი.

აქვე ვკითხულობთ:

„რა ნახა ტარიელის რაშმა, რომ იმის პატრონს ისრებს ესვრიან და ეომებიან, დაუწყო მიწას ფეხით თხრა და ააბუქა ის ადგილი, სადაც ტარიელს ეძინა, რომ ტარიელი ბეჭადან გადმოვარდნილიყო და გაღვიძებოდა“. (ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერება, იქვე, გვ. 119)

აქ, როგორც ვხედავთ, ერთ წინადადებაში ჰიპერბოლის ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული მაგალითი გვაქვს. პირველი — რაშმა მიწას დაუწყო „ფეხით თხრა“, რაც მიწიერი პრაქტიკული და რეალობასთან ახლო მდგომია (აქ „თხრა“ არის ჰიპერბოლა, რეალობა იქნებოდა „ჩიჩქნა“, „ჩხვერვა“ და სხვ. ხოლო ის ფაქტი, რომ ამგვარად მოთხრილი მიწისაგან ბეჭი ანუ გორა დადგა, რომ გაღვიძების მიზნით ტარიელი ამ ბეჭიდან გადმოედო, არის წმინდა წყლის ჯაღისნური ზღაპრისათვის დამახასიათებელი ჰიპერბოლის მხატვრული ფანტასტიკური გააზრება. ასე რომ პირველი ყოფითი და პრაქტიკულია, მეორე — ფანტასტიკური, ორივე შემთხვევაში — ჰიპერბოლური.

ქვემოთ მოყვანილი მაგალითი კი წმინდა პოეტური და, მაშასადამე, მხატვრულია. ტექსტში ვკითხულობთ:

„დიდი ხნის გაუცინარ ტარიელს გაეცინა და იმისი კბილების შუქმნა მაღალ მთას უწია“. (იქვე გვ. 120) სულ ახლოს, აქვე ვხედებით ჰიპერბოლის მაგალითს, რომელიც განსხვავებით ზემოთმოტანილი მაგალითებისა, წილანყარია სადევვემირო-სარაინდო ნაწარმოების დამახასიათებელ დეტალებთან. აი, ისიც:

ტარიელი „წინ შეეჩხა დევების ხარ-გუთანს. ტარიელმა ფეხი ამოკრა და შორს გაისროლა“. (იქვე)

ფეხის ამოკრით დევების ხარ-გუთნის შორს გასროლა სწორედ მოულოდნელი ჰიპერბოლა იმ ლამაზი პოეტური გამონაკრთობის შემდეგ, როგორიცაა — „იმისი კბილების შუქმნა მაღალ მთას უწია“.

ტარიელი თავისი მამიდას ეუბნება:

„ჩემი დედის ძმის (ავთანდილის) მსგავსი ვიღაც მომსდევს. მე სანადიროდ წავალ და შენ შინ დაუხვდი. ბანზე დაჭექი, მატყლს რთვა დაუწყე და როცა მოვიდეს, სახლში შემოვიდეს, იქ ნართის გორგალი, რომელიც შენ დაგირთავს, ბანიდან ჩაგდე. თუ მოერია და იმისი ისევ ბანზე ამოტანა შესძლო, მაშინ უკველად ავთანდილი იქნება“. (იქვე. გვ. 122)

აქ, როგორც ვხედავთ, გმირის გამოცნობის ნაცად და ტრადიციულ ხერხთან გვაქვს საქმე. ამ ამონაწერით ვრწმუნდებით, რომ ნართი არის მეტად, ფანტასტიკურად დიდი და მძიმე, რაღაც ავთანდილს რომელსაც ვიცნობთ, როგორც ღირსეულ რაინდს, არ უნდა გაჭირვებოდა ნართის გორგალის ზიდვა...

ნართის ანუ გორგალის სიდიდესა და სიმძიმეზე ნაწარმოებში არსად ლაპარაკი არ არის. ამიტომ, ამდენადაც მოულოდნელი არ იყოს აქ ვანსახილველად მოტანილი აბზაცი მთლიანად არის ჰიპერბოლური ბუნებისა და ხასიათისა.

როგორც ადრე ვიცოდით, მოცემული მაგალითის ქვემოთაც კარგად და ნათლად არის მითითებული ავთანდილის ძლიერებასა და ვაჟკაცობაზე, რაც კიდევ ერთ სავაჟკაცო ხსიათის ჰიპერბოლიდან ჩანს: „ავთანდილმა იმდენი ქაჯები დახოცა, რომ მთელი ციხე ივსებოდა სისხლის გუბეთი“. (იქვე. გვ. 124)

ასეთია „ტარიელიანის“ შერეული (პროზაულ-პოეტური) ტექსტი პროზაული

ნაწილის მხატვრული გამოსახვის ჰიპერბოლური თავისებურებანი. ქვემოთ განვიხილავთ ამავე ნაწარმოების ვარიანტის პოეტური ტექსტის მხატვრული გამოსახვის ჰიპერბოლურ თავისებურებებს. პოეტური ვარიანტის სახელწოდებაა არა ჩვეულებრივ „ტარიელიანი“, ორამედ „ტარიელი“.

გთავაზობთ სათანადო მაგალითებს თანმიყოლებით. ხაზგასმული ადგილები არის ჰიპერბოლური ბუნებისა, რომელიც ხელს უწყობს ნაწარმოების გამძაფრებას, გამხატვრულებას და ემოციურობას.

„დეკრიტივილა დიდი ველი იმის ცრემლის დანატირსა“

„ისე შექვრულა კბილები, დანაც არ უღებდა კბილსა“

„იმისმა სიმშვენიერებ ჩვენ ხომ ჭიუაზე შეგვშალა“

„ხელთ ეჭირა ერთი რაში, პგვანდა მეტად ლომსა გმირსა“

„ხშირად ესხა მარგალიტი ლაგამ-აბჯარ უნაგირსა“

„დაქარგვოდა საყვარელი, ვერ უქსნიდა დანა პირსა“

„თითოთ ირემი აიღო, ბურთივით დაატრიიალა“

„მეცხვარეს თავი წაბელიყა, სუ ჭიუიდან გადირია“

„ნეკზე აიცავ ირემი, ბურთივით დაატრიიალა“

„სასიძოსა, მეფის შეიღსა თავი ჭვითა უდალაყა“

„შიგ ქალი ჩასვეს მზევინარ, ძალითა არა ნებითა“

„ტარიელ მზის მახვარი წყლის ნაპირს იარებოდა“

„მკლავნი უდგენ ლოგინით, მოვარე გულს ეამებოდა“

„ბრძანება იყო ბატონო, ბაგეთა შენთა ბროლთაგან“

„ცხენი ცხენს ჰკრა, კაცი-კაცა, გორე ევა ცხენ-კაცისა“

„ერთი ცაში შეისროლა, კერაც არ მოსულა ცითა“

„სამოცი ჭუფთის ისარი კალთაში ჩაითვალია“

„ავთანდილ ჩავა დილაზე, ჩამტვრევს ქვასა, რეინასა“

„შე დევო, მამის მმობილო, კაცმა ვინ ჩამოვიარა“

„ხელი გამიკრა ქამბარსა, წყალგაღმა გამიტრიალა“

„ლიმნი (გაიღიმა) ქმნა, კბილი გამოჩნდა, შუქმა მთა ვადაიარა“

„ა, იმ დიდსა მინდორჩია სისხლის ბრუნავდიან ტბანი“

„კუფხე გულს გამაიხვია მზის თვალთ აკვლევდა დობასა“

გულზე დაუწყო კაწრევა, სისხლი აღინა ღვარათა“

„წინ ტაბლა გიღგა სევდისა ზედ ნაჩ-უკალი მიუჩია“

„მზე იყო, მზეი მზეობდა, თინათინ თინათინობდა“. (აქ დასახელებული მაგალითები (სტრიქონები) იხილეთ „ქართული ხალხური სიტყვიერება“ ოთხ ტომად, ტ. 1, თბ. 1964, გვ. 30)

აქ მოტანილი მაგალითები მეტად მრავალფეროვანი და, მით უფრო, საინტერესოა. განსაკუთრებით საინტერესოა პოეტური, პოეტური შედარების, მეტაფორის, რაინდული ქმედების, ეპითეტის და სხვა ხასიათის ჰიპერბოლური გამოთქმები, რაც დიდ ინტერესს, ემოციურობასა და მიმზიდველობას მატებს ნაწარმოებს.

ასეთია ხალხური ვეფხისტყაოსნის ანუ „ტარიელიანის“ ორგორც პროზაული, ასევე პოეტური ტექსტის მხატვრული გამოსახვის ჰიპერბოლური თავისებურებანი.

\* \* \*

ხალხური ეპიური ციკლებიდან ერთ-ერთი საპატიო ადგილს იჭერს „როსტომ

ჭაბუკი“. აქ უპირველესად უნდა განვიხილოთ, თუ როგორ გაიგება და გაიგებოდა სიტყვა „ჭაბუკი“.

ჭაბუკი არის სახალხო გმირი. მიუხედავად ასაკისა, იგი იხსენიება როგორც ჭაბუკი. როსტომი, მაგალითად, მოხუცდა მაგრამ იგი მაინც ჭაბუკად იხსენიებოდა. ჭაბუკი იდრე ნიშავდა გმირს ასაკის მიუხედავად. შემდგომ ეპოქებში სიტყვა „ჭაბუკი“ გადაიქცა ახალგაზრდის, ჯელის სინონიმიდა.

ჭაბუკთა ერთერთი დამახასიათებელი ნიშან-თვისება ის იყო, რომ ისინი უარს ამბობდნენ ცოლის შერთვაზე და ნორმალურ ადამიანურ ცხოვრებაზე. მათი მიზანი იყო ბოროტი ძალების წინააღმდეგ ბრძოლა. (თედო ბექიშვილი, ქართული ფოლკლორი. თბ., 1941. გვ. 127-134.)

საჭიროდ მიგვაჩნია „როსტომ ჭაბუკის“ მოკლე შინაარსის გადმოცემა, რათა უკეთ იქნას გაგებული ის ჰიპერბოლური ხასიათი, რაც ნაწარმოებს ბოლომდე გასდევს.

გთავაზობთ მისი პროზაული ტექსტის მოკლე შინაარსს:

ქექეოზ კეისარის საბრძანებლოში ყარადაში ცხოვრობდა როსტომ თურანელი. როსტომს ჰყავდა ძმები გივი და გურგენი და ერთიც — მისწული ბეჟანი. ჯექევზი იყო გივის შვილი. იგი დიდად აფასებდა როსტომს, რადგან ეს უკანასკნელი მის საკეისროს იცავდა დევ-მხეცებისაგან.

როსტომი მოხუცებულობაში რომ „შევიდა“, ქექეოზ კეისარმა ქვეშევრდომები შექყარა და გადაწყვიტეს ეზრუნათ, რათა ამ გმირისათვის ცოლი შეერთო, — მასავით ძლიერი შვილი დაებადება, იგი გაიზრდება და სამეფოს მტრებისაგან გადაგვირჩესონ.

ამ თავურილობაში ერთი ქალი ერია. მან მოთათბირენი დაარწმუნა, რომ „მე შეუუჩნდები და ჩემთან დავაწვენ“. ქექეოზ კეისარი დიდ ჭილდოს შეპირდა ამ ქალს.

ქალმა როსტომი დაპატიჟა ვახშმად. იმ ღამეს როსტომი იქ დარჩა. ვახშმობის შემდეგ დაიძინა თუ არა, ქალი მიუწვა როსტომს. გმირმა გაიღვიძა და იწყინა, თანაც გალანძდა — ხომ იცი ჩემისთანა კაცი ქალთან არ წვებაო. როსტომმა მესამე ლოგინი გამოიცალა — იქნებ მოშმორდეს ეს ქალიო, მაგრამ ამაოდ. იდგა და წასვლა დააპირა. ქალმა ხელი სტაცა და უთხრა, — მე არ ვიცოდი თუ ამისთანა ჭაბუკს მიმაყაცობა არ გქონდათ.

როსტომს შერცხვა ქალის სიტყვებზე და დაწვა ამ ქალთან. მეორე დღეს უთხრა: „თუ ვაუი გეყოლოს, ზურაბი დაარქვი, როდესაც წამოიზარდოს და ჭაბუკობა მოინდომოს, ერთი შარნი ჟელზე მოაბი, ჰეშმა ჯბეშში ჩაუდევი და მუზარადი ტახტზე დააკრე. ვინიცობაა, ერთმანეთს სადმე შევხედეთ, ამით ვიცნობ ჩემს შვილის. შენ კი სანამ ძლიერ არ გაგიჭირდეს, მანამ ნუ გაუმხელ, რომ იგი ჩემი შვილია“. (ქართული ხალხური სიტყვიერება, თბილისი, 1970, გვ. 126.)

მალე წამოიზარდა ზურაბი, გაძლიერდა, გახდა თითქმის უძლეველი, მისი მომრევი არავინაა. ერთხელ ქექეოზ კეისარის შვილებმა წამოსახეს, — „შენ კარგი ბიჭი თუ ხარ, მოძებნე მამაშენი, კაცმა არ იცის, დევ-მხეცებმა შეგიჭამა თუ ველურმა ღორებმა“. (იქვე)

ბიჭი მივიდა დედასთან და ჰეითხა, თუ ვინაა მისი მამა. ხალდატანების შემდეგ დედაც გამოუტყდა, რომ მისი მამა არის როსტომი. ზურაბმა გადაწყვიტა წასულიყო მამის საძებრად. დედამ, როგორც დაბარებული ჰქონდა ქმრისაგან, ყელს შარნი

შება, „ჯიბას ჰეშმა ჩაუდგა“ და მუზარადი უნაგირს ტახტზე დაუკერა. ზურაბი შეკლა ცხენსა და გასწია ყარაისაკენ.

გზაზე ზურაბს ქალის სახით ქაჯი შეხვდა და დასცინა, კარგი ჭაბუკი ხარ, მაგრამ ქალის ყელსაბამი გიკეთიაო. ეს რამდენჯერმე განმეორდა. ზურაბი გაჭავრდა, შარნი ყელზე შემოიწყვიტა, მუზარადიც მოხსნა და უნაგირქვეშ დამალა. ასე მივიდა ყარაიში. იქ ნადირი მრავლდა დახოცა. როსტომმა გაიგო, რომ იქ ვიღიცას ნადირი დაუხოცია. მივიდა ზურაბის კარავში და ნახა ახალგაზრდა ვაჟკაცი ზურაბი. ვერც ყელზე შარნი დაუნახა და ვერც უნაგირზე მუზარადი. ვერ დარწმუნდა, რომ ეს მისი შეილია და საჭიდოდ გამოიწყვია. ეცნენ ერთმანეთს. მოიქნია როსტომმა ზურაბი და მუხლებამდე მიწაში ჩასვა. მოიქნია ზურაბმა როსტომი და მიწაში წელამდე ჩასვა. როსტომს გული გაუტყდა და ზურაბს უთხრა:

ჭაბუკების წესი ასეთია, — სამჯერ უნდა იჭიდავონ. თუ მესამედაც დამცემ, გამარჯვება შენი იქნებათ. ახლა კი ამიშვიო. ზურაბმა დაუკერა და გაუშვა.

შეურაცხოფილმა როსტომმა გადაწყვიტა დალატით მოეცილებინა თავიდან ზურაბი. მივიდა მშედელთან, ორი შები გამოაცდევინა, გამოვიდნენ საჭიდოად. ზურაბმა როსტომი კვლავ წააქცა. როსტომმა ქვემოლან მუხანათურად ამოკურა შები და ზურაბი მოკლა. სიკვდილის წინ ზურაბი როსტომს დაემუქრა:

— მუხანათურად ხომ მომკალი, ამას გაიგებს მამაჩემი როსტომი და ყველგან მოგძებნის, რომ გაიციტორდეს. „კლდეში შეხვალ, — ჯიხვად გადაიქცევა. ზღვაში — კალმახად და მიწაში — თაგვად.“

როსტომი მიხვდა, რომ თავისი შეილი მოუკლავს. ამ ამბავმა თავზარი დასცა, — სწორედ ჩემი შეილი მოვკალიო. მან ზურაბი მკლავებზე დაისვა, დაიჩოქა და ღმერთს შეხვეწა, თორმეტ წელიწადს ორმოში ჩავალ და ვილოცებ, ოღონდ გამიცოცხლეო შეილი.

როსტომი მართლაც შევიდა საბნელოში. მუხლებზე დაიწვინა ზურაბი და დაელოდა მის გამოცოცხლებას. გავიდა ათი წელი. როსტომს წვერი ისე გაეზარდა, რომ ფეხებამდის წვდებოდა.

ათი წლის განმავლობაში ქექეოზის სამეფოს ისე მოედნენ დევმხეცები, რომ ბუროვრებლებს სახლებში ეჭრებოდნენ და ანადგურებდნენ. როსტომი საბნელოდან არ ამოდის. როსტომის ძებებს გივის და გურგენს ჭაბუკობა არ შეუძლიათ. გივის ყავს შეილი ბეჟანი, იგი ჯერ ყმაწვილია. მეტი გზა არ იყო, კეისარმა გივის სთხოვა ბეჟანი გაეგზავნა დევ-მხეცების წინააღმდეგ საომრად.

ბეჟანმა მშვილდ-ისარი „მოიმარაგა“. გურგენს საგზალი „დააკავებინა“ და წვიდა. სულ ამოწყვიტა ველური ღორები. ეშვები რომ დააცალეს, ასი ურემი გამოვიდა.

ტახების დახოცის შემდეგ გურგენმა ბეჟანს უთხრა:

შენ სულ მამაშენს როსტომს გაეხარ. ძლიერი ჭაბუკი ხარ, წადი და ერანელთა კეისარს აფრასუანს ქალიშვილი მარუჯანი მოსტაცეო. გურგენმა იცის, რომ იქ ბეჟანს მოკლავენ და იმ მიზნით აგზავნის, რომ ამ დევ-მხეცებისა და ტახების დახოცვა მან მიიწეროს, ვითომ ბაჟენმა კი არა, მან დახოცა.

ასი ურემი ეშვები ქექეოზს მიუტანა გურგენმა და უთხრა, მე დავხოცე ტახებიო. კითხვაზე, თუ სად არის ბეჟანი, ბიძამ უპასუხა, ბეჟანმა რომ დევ-მხეცები დაინახა, შეეშინდა, უკან გამოიქცა, დაეწია ერთი ტახი და გაფატრიაო. იცრუა, ტახები მე დავხოცეო. სინამდვილეში ბეჟანი მივიდა აფრასუანთან, რომელსაც კოშკში ყავდა



მარუხანი. ბეჟანი და მარუხანი შეულლდნენ აფრასუანის უნებართვობ, რის გამც ბეჟანს ბორკილები გაუყარეს. ბოლოსღაბოლოს ბეჟანი ორმოში ჩასვეს და ზემოდან ქვა დაახურეს.

ამასობაში როსტომი ორმოში ზის და ღმერთს ზურაბის გაცოცხლებას ეცვეწება. მას თავს წაადგა დიაკონი და უთხრა, — ამოდი შე რეგვენ ბებერო, თორემ დევ-მეცებმა თავი მოგვაბეჭრესო. ზურაბს, რომელსაც გაცოცხლების ნიშნები ეტყობოდა, დიაკონის ამ სიტყვებზე გაბრაზებულმა როსტომმა მუხლებიდან გადააგდო და წამოხტა დიაკონის დასასჯელად. ზურაბი მიწაზე დაეცა და ისევ მოვდა.

ზურაბი მეორედ მომაკვლევინეო — შესძინა დიაკვანს და... შუაზე გასჭრა. მერე წავიდა და, რატომ გამომიგზავნე დიაკვანი, ქექოზ მეფის ორი შეიღლი მოკლა.

როსტომის გვარეულობას ჰქონდა „საწუთროს უამი“. როდესაც იმაში ჩაიხედავდნენ, ქვეყნიერებას ხედავდნენ. როსტომმა დაინახა თავისი მისწული ბეჟანი ორმოში და წავიდა მის გამოსახსნელად. იმ ქვეყანას რომ მიაღწია, ნიშნად გაუგზავნა ცერის ბეჭედი, წერილი და ერთი ქათამი.

ბეჟანმა იცნო ბიძა როსტომი. როსტომის თანხმლებმა თორმეტმა ჰაბუქმა ბეჟანის ორმოს ქვის სარქველი ვერ ასწიეს. ბეჟანმა თვითონ ასწია და გასტყორცნა. ბეჟანმა აფრასუანი სასტრიკად დაამარცხა და ბიძასთან ერთად წამოვიდა ქექოზ კეისართან. ბეჟანმა გადაწყვეტი ბიძამისის გურგენის მოკლა, მაგრამ როსტომმა გადააფიქრებინა. როსტომი და ბეჟანი მიდიან ყარაის მინდონში საცხოვრებლად.

როსტომი მოხუცდა. ჰაბუქობს მარტო ბეჟანი. დევებმა გაიგეს როსტომის დაუხლურება. ერთმა დევებმა გამოიწვია საჭიდაოდ და დაამარცხა. როსტომმა თხოვა, ხვალაც მეჭიდავეო. მეორე დღეს მოვიდა დევი და დაუხახა, როსტომ, გამოდი გარეთო. როსტომმა ბეჟანს გადააცვა თავისი ტანსაცმელი და გაუშვა დევთან საჭიდაოდ. ბეჟანმა დევი დაამარცხა. იმიერიდან როსტომი აღარ ჰაბუქობდა. იგი ცხოვრობდა მის ძმისშვილ ბეჟანთან ერთად. ასეთია „როსტომ ჰაბუქის“ მოკლე შინაარსი (პროზაული ნაწილისა).

იქვე უნდა აღინიშნოს, რომ პოეტური ვარიანტი თავისი ლექსწყობითი შეზღუდულობის გამო ბევრგან სცილდება პროზაულ ვარიანტს აღნიშნული ნაწარმოებისას. უფრო ზუსტად: პოეტურ ვარიანტში არ არის მოცემული: 1). ქექოზ კეისრის მიერ მოწვევა თათბირისა — როგორმე ცოლი შერთონ როსტომ-ჰაბუქს, რომ მისებრ ძლიერი შეიძინოს, თორემ როსტომის მოხუცობის შემდეგ კეისრის სამეფოს დევმხეცნი იყლებენ... 2) ქალის მიერ როსტომის ცოლნება. 3). ბიჭის ზურაბის მიერ დაძალება დედისადმი, რათა გაეგო თუ მისი მამა ვინ იყო. 4) ზურაბის ღალატით აღსრულება. 5) როსტომის საბნელოში შესვლა. 6) დიაკვანის დიალოგი როსტომთან. 7) ეშმას ქალის სახით გამოცხადება ზურაბის მოსატყუებლად და სხვა დეტალები. ამასთანავე, პოეტურ ვარიანტში მოცემულია არა თუ „როსტომ-ჰაბუქი“, როგორც ეს პროზაულ ვარიანტშია, არამედ „როსტომი და ზურაბი“. რაც შეეხა ბეჟანს, იგი ცალკეა მოცემული „ბეჟანის“ სათაურით. ეს ეტყობა იმიტომ, რომ ჩამწერს, ან უფრო შესაძლოა, მთქმელს, მოხევენა ცალკე ნაწარმოებად იმის გამო, რომ მისი სიუჟეტი თითქმის დამოუკიდებლად ვითარდება და გამოირჩევა როგორც ორიგინალობით, ისევე სიმძაფრით და ტოვებს ცალკე ნაწარმოების შთაბეჭდილებას.

იქნებ ეს ასეც იყოს... შესაძლოა, პროზაულმა ვარიანტმა მიერთა „ბეჟანის“

ცალკე გმირული ეპიზოდი. იგი როსტომის ძმისშვილად წარმოადგინდა და სამოყალიბდა, როგორც ერთი მთლიანი ნაწარმოები.

ვარიანტების კვლევა მეტად საინტერესოა, მაგრამ ვინაიდან იგი ჩვენს ამოცანას სცილდება, მას აღარ გამოვედევნებით და ამით დავკმაყოფილდეთ. პოეტური ტექსტის მოკლე შინაარსს აღარ გავიმეორებთ.

ახლა-პროზაულ ვარიანტში მოცუმული ჰიპერბოლის შესახებ:

როსტომი „მოჰყვებოდა და ერთი კიდიდან მეორე კიდემდე სულ გააწყალებდა მეცებს და ამნაირად გასწევნდდა სამეფოს“. (იქვე, გვ. 126-132)

„ზურაბმა მეორე ნაპირს მისვლამდე იმდენი ნადირი დახოცა, რომ საღამოს ჭლებისაგან კარავი გააკეთა“.

როსტომი და ზურაბი ისე ჭიდაობდნენ, რომ „იქაურობას სულ მტვერი აადინეს. მოიქნია როსტომმა ზურაბი, მუხლებამდე მიწაში ჩაფლა. მოიქნია ზურაბმა, წელამდის ჩაფლა როსტომი“.

„ამ დროის განმავლობაში წვერი ისე გაეზარდა, რომ ფეხებამდის წვდებოდა“.

„ბეჟანმა სულ ამოსწყვიტა ველური ღორის ჭოგი. დახოცილი ღორები იმდენი გამოდგნენ, რომ ეშვები რომ ააცალეს, ასი ურემი დაიტვირთა“.

„გამოლის ბეჟანი კოშკიდან. შეებრძოლება და აფრასუანის ჭარს ანახევრებს“.

„ბეჟანს ფეხებში ბორკილები გაუყარეს. ბეჟანი მისწივ-მოსწევს ფეხებს და ბორკილებს ისე სწყვეტს, როგორც წვრილ ბაწარს“.

„როსტომმა აიღო თავისი ხმალი და თქვა: თუ ვემართლებოდე ამ დიაკონს, ერთის მოქნევით ეს ტყვიათ დატვირთული ვირიც გაუჭრია ჩემს ხმალს და დიაკონიც. თუ არა-არაო. მოუქნია ხმალი, გასჭრა ვირი, დიაკონი და თორმეტი მხარი მიწა. ეს შენ გქონდეს, რადგან მეორეჯერ მომაკვლევინე ზურაბიონ“.

„მოკიდეს ხელი ქვას, ვერ ასწიეს, მაშინ ბეჟანი მარტო კიდებს ქვას ხელს, გაისვრის აფრასუანის კოშკისაკენ. ქვა კოშკს ხვდება, თავსა უტეხს, მერე კლდეს ხვდება, უკან ბრუნდება და შუაგულ ნართის ქალაქს ანგრევს“.

„ბეჟანმა როგორც პატარა წნელი, ისე ამოთხარა ნაძვი. წვერიდან ხელი გადაუსვა ნაძვს და ერთი შტო არ შეარჩინა. ეს ნაძვი ესროლა ცხენზე მჯდომ აფრასუანს. ნაძვმა უნაგირქვეშ გაირა, დაიტანა აფრასუანის კალთები, ერთი ბოლოთი მიწას დაესვა და აფრასუანი ცხენიანად მიაკრა მიწას“.

ქვემოთ მოვიტანთ სათანადო მაგალითებს ნაწარმოების პოეტური ვარიანტიდან:

„ზურაბ მჯდომი კოშკსა ჰევანდა,

გარს რომ ევლო გალავანი“

ზურაბი...

„ამბობს: ქექეოზ რა იქნა, მოკლა ჩემისა ხელითა,

ავიღო შუბის წვერითა, ავაგდო მაღლა ცაშია“

„მათი ჩექემების ქუსლები სამარის ჭარს გააღებდნენ“

„ცალი ხელი კისერს მოსდო, ცალი ბარკალს შემოხვია,

ასწია და ძელმან დასცა, დააძინა რაბონია“

„აქა ერთი ფალავანი სპილოს ტანსა ელჭინება,

წინა პირველ არას იტყვის, თავპატიუთ მიიღებსა“. (პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, თბ. 1964 ტ. 1, გვ. 24-29.)

„წამოვიდა ქაქოზსკენ, წამოვიდა ვითა ქარი.

იმას შვილნი დაუხოცნა, გეგონება ღვინით მთვრალი“.



„მან ისეთი დაისტვინა, იმისი ხმა ზეცას წვდება“.

„იგი ორით სულ ამსილა, არ ელევა სიმრავლეო,

კლდეს აქცევენ, ხევს აქცევენ, კბილები აქვთ ხმლის სიგრძეო“.

„მას სიპი ქვა ვერ გაუძლებს,

წახდა ქვეყნის ჭირნახული“.

„მოუბრუნდა, ლახტი დაჰკრა,

ადგილ ტვინი დაუმთხია“

„წელზე რომ ლახტი გარტყია,

რათა ჯარი არ გახლია?

ათარეშებ მაგ შენს რაშსა,

ბრუნავ ოქროს ბურთივითა“

„რა ქნას, ლომმა, თუ ჭანგები

არა სჭრისა“.

„თავ გელაზი დავითაროთ,

ათთავ დევით მოტანილი“.

პროზაული ვარიანტის პირველი მაგალითი წმინდა პიპერბოლური ხასიათისაა, როსტომს მეტად გაზვიადებულად წარმოგვიდგენს, მეორე ფანტანტიკურს წააგას, მესამე — ფანტასტიკური პიპერბოლაა, მეოთხე — გაზვიადებული რეალობა, მეხუთე — წმინდა პიპერბოლური ხასიათისაა და ა.შ.

ნაწარმოების პოეტური ვარიანტიც მეტად საინტერესოა თავისი მრავალფეროვნებით:

„ზურაბ მჯდომი კოშქსა ჰევანდა“ შესანიშნავი შედარება-პიპერბოლაა. ქექოზი „ავილო შუბის წვერითა, ავაგდო მაღლა ცაშია“ ზურაბის მეტად გაზვიადებულად წარმოჩენაა და იგი უშუალოდ პიპერბოლასთან არის წილნაყარი.

პიპერბოლური გამოთქმები, „წმინდა ქარი“, „იმისი ხმა ზეცას წვდება“, „კლდეს აქცევენ, ხევს აქცევენ, კბილები აქვთ ხმლის სიგრძეო“, „მას სიპი ქვა ვერ გაუძლებს“, „ბრუნავს ოქროს ბურთივითა“, „ათთავ დევით მოტანილი“ გამოირჩევან დახვეწილობითა და რაფინირებით. ეს გამოთქმები, განსაკუთრებით — შედარებითი ხასიათის პიპერბოლები ნაწარმოებს ამშენებენ, როგორც მხატვრული სამკაულები, აკეთილშობილებენ და ქმნიან კიდევ უფრო საინტერესოს.

ასეთია „როსტომ-ჭაბუკის“ ანუ „როსტომ-ბევანისა“ და სხვა შემთხვევაში „როსტომ-ზურაბის“ მხატვრულობის გასაღები შედარებითი, ჯადოსნური თუ ფანტასტიკური ხასიათის პიპერბოლური თავისებურებებით.

\* \* \*

„ეთერიანი“ მეტად პოპულარული ხალხური ქმნილებაა. ეპიკური ციკლის ნაწარმოებიდან თავისი ხასიათით გამოირჩევა ეთერიანი ანუ ამბავი აბესალომისა და ეთერისა. ეთერიანი რომანტიკული ეპოსის ბრწყინვალე ნიმუშია, წარმოშობით იგი X-XI საუკუნეს მიეკუთვნება. სიუჟეტი თქმულებისა აგებულია შშრომელთა წრიდან გამოსული ულამაზესი ქალისა და მეფის ვაჟის უბედურ სიყვარულზე. ნაწარმოებში მოცემულია წარსული სოციალური ურთიერთობის სურათები. ეთერიანი დაედო საფუძვლად გვაა-ფუაველის პოემას „ეთერი“ და ზაქარია ფალიაშვილის კლასიკურ პატერას „აბესალომ და ეთერი“. (ქართული ხალხური სიტყვიერება (ქრესტომათია) თბ. 1970 გვ. 95)

მოცემულ ეპიკურ ციკლებს, მათ შორის, რა თქმა უნდა, „ეთერიანს“ არ მოქანება სამწერლობო სიუჟეტი, არც სხვა ქვეყნის მოარულ სიუჟეტზეა აგებული. ის არის წმინდა ქართული ეროვნული ხალხური ქმნილება, რომელშიც, როგორც ყველა ეპიური ციკლის ნაწარმოებში, გაძმოცემულია ოცნება ნათელ მომავალზე. ბრძოლა თავისუფალი და სამართლიანი ცხოვრებისათვის, დიდი სიყვარული და დამსხრეული ოცნებები.

„ეთერიანს“ მოკლე შინაარსი ასეთია:

„ხელმწიფისშვილს“ შეუყვარდა მეწისქვილესთან „მდგარი მესაფეჭვავე“, სახელად ეთერი. დედას მოახსენა ასეთი ქალის არსებობაზე: „ის მომეწონა დედაო, ის არის ჩემი საფერი“. დედა შვილს გაუპირდა ეთერის შერთვის. მეფისშვილი გამოეცხადა ეთერის და ეუბნება, ცოლად უნდა წამყვეო. ეთერი უარზეა, — მე გლეხის ქალი ვარ, შენ ხელმწიფის შვილი ხარ, ჩვენ არა ვართ საფერი, დამანებე თავი, წამი შენს გზაზეო.

ელუსალიმელმა ანუ მეფის შვილმა უთხრა: ეთერი, მე შენ არასოდეს არ გიღალატებ. შენს მოლალატეს ზეცით ღმერთი გაუწყრესო, მტრის წინააღმდეგ მოქნეული ხმალი ვადანშიმც გადაუტყდებათ.

ეთერი ცოლად გაყვა ელუსალიმელს — მეფის შვილს. ამას გვერდით ყავდა ერთი ყმა, ეშმაკებთან წილადაყარი შერელომა.

შერელომამ რა დაინახა, რომ მის პატრონს ულამაზესი ქალი მოუყვანია, შეშურდა და შეეცადა იმ ქალის გათავისება. საამისოდ მოიწვია ეშმაკები და უთხრა, ელუსალიმელს დაატოვებინეთ ეგ ქალი და მე მომეცითო.

ეშმაკებმა აიღეს ერთი მუჭა ფეტვი, შეულოცეს, მისცეს შერელომას და უთხრეს, როცა ისინი „ჯარზედ“ დასხდებიან, ეს ფეტვი ეთერის შეაყარე, ფეტვი უთვალავ მებენარებად გადაიქცევა და დაესევიანო.

შერელომა ასეც მოიქცა. ეთერს ტილები დაესია. ბევრი ეცადნენ, მაგრამ ამაოდ, ეთერს მებენარები ვერ მოაცილეს. ელუსალიმელმა ეთერი მიატოვა. იგი ცოლად შეირთო შერელომამ. ერთხელ, სანადიროდ რომ წავიდნენ, ელუსალიმელმა ჩიტყვა ჩამოაგდო ეთერზე, ჰყითხა შერელომას, როგორ არისო ეთერი. შერელომამ მოუთხრო, რომ ეთერი ძალიან კარგადააო და თანაც მისი გარეგნული მშვენიერება განსაკუთრებული ფერებით დაუხატა. ეს რომ მოისმინა, სახლში მოვიდა და დედას ყველაფერი უამბო, თანაც ძალიან „წუხათ შეიქმნა“ (შეწუხდა) რომ ეთერი ასე უსახელოდ დაკარგა. დედა წავიდა ეთერთან, ატირდა და თავი შეაცოდა, წამყევი, შვილი ავად არის, შენ რომ დაგინახავს, მორჩებათ. ეთერი არ გაყვა, მაშინ ელუსამელის დაი მოვიდა, მული, და ეთერის თხოვა, წაყოლოდა. მულიც უარით გაისტუმრა, თუმცა ძალიან უნდოდა ენახა ავადყოფუ.

ამ დროს ინდოეთში ომი გამოცხადდა. შერელომა ასისთავი იყო და ლაშქარში მისი წაუსვლელობა არ შეიძლებოდა. მეორე დღეს იგი გამოეთხოვა ეთერის. გამოთხვების წინ ქმარმა თხოვა დაელოდოს. ეთერიმ უსაყვედურა:

„მაპატიე, შერელომო,

ჯერ სხვას მივეც დიდი აღთქმა,

გვიღალატე წამლებითა,

ღმერთმა გთხოვოს ჩემი წართმა.

წუთისოფელ დამიმწარე

საბნელოში ვზიგარ რათა?!“



როგორც კი შერელომა ლაშქარს წავიდა, ეთერი მივიღა ბატონიშვილთანა. ამ დროს ბატონიშვილი ელუსამელი სიყვარულით ისე დასნეულებული იყო, რომ კვდებოდა. ეთერის მოსვლის ამბავი გაიგო თუ არა, მოიხედა და თქვა, — ეთერს საღარი ცხენი აჩიქებთო. ეთერმა უთხრა — მე არა თუ საღარი ცხენი, არამედ ჭავარიანი დანა მომეცითო, რომ თავი მოვიკლაო. ელუსამელმა ლექსად უთხრა:

„თუ მოხველ, შინაც შემოდი,

მოკლე გაქვს შემოსავალი;

მე კარზედ ვეღარ გამოვალ,

სული წავიდა მთავარი.

გილალატე ქალო ეთერ

ჰერ ჩემს თავს მივე მრავალი.

რო მკლავდა შენი სურვილი,

ვან იყო ჩემი წამალი.

ეთერი, დანა დაიეც,

ჩემთან შენც დასთმე თავია.

ცოცხალსა შერელომასა,

მე აქ გერჩივნო მკვდარია.

ცალ-ცალკემაც დაგვაღირებენ,

ერთადამც დაგვმარხვიანო.

ფოთოლთამც მოგვაღირებენ,

მიწათამც მოგვაყრიანო,

საფლავზედ ჩვენზედ იანი

ფოთოლსამც გადაშლიანო,

შერელომაის საფლავზედ

ექალიმც იქნებიანო.

ნარიძც ამოვა, ეკალიმც,

ვირებიც მოსძოვდიანო.

ჩვენ თავით ციფი წყაროა,

შიგ ცერცხლის თასინ დგიანო

შამავალ-გამომავალი

შენდობას გვეტყოდიანო (ქართული ხალხური სიტყვიერება, ქრესტომათია, თბ. 1970 გვ. 138)

„დაუშთავერებია თუ არა ეს ლექსი, მაშინვე სული დაულევია ბატონიშვილს და ეთერისაც დანა დაუცია გულზედ და თავი მოუკლია. დაუმარხნიან ერთადა. ამ დროს ორ ეშმაქს უთქომს:

„რა მშვენიშვრები სვენიან,

ისემცა აღდგებიანო.

ადგომა წესიმც ნუ არი,

სულითამც ცხონდებიანო“. (იქვე)

„ეთერიანი“ — ეს ხალხური შედევრი (აღნიშნული ტექსტი დავით ხიზანიშვილმა ჩაიწერა 1888 წელს ფშავში, ს. არტანში მთქმელ გეჭურა პაპუაშვილისაგან. დაიბეჭდა „ივერიაში“ 1888 წელს. №274. გადაბეჭდილია „ეთერიანი“ მიხეილ ჩიქოვანის რედაქციით. შესავალი წერილითა და შენიშვნებით. — „ხალხური სიტყვიერება, IV თბ. 1954 გვ. 157-163.) გვხდება შერეული სახით. აქ პოეზია ენაცვლება პროზას. თხრობა იწყება უბრალოდ და მიმზიდველად. არის მეტად

მომზიბლავი თავისი რომანტიკულობით. იმდენად საყურადღებო ნაწარმოებია, რომ, როგორც უკვე ავლიშნეთ, ორმა დიდმა კლასიკოსმა ზაქარია ფალიაშვილმა (ობერა „აბესალომ და ეთერი“) და ვაჟა ფშაველამ („ეთერი“) მის სიუკეტზე შემნეს უკვდავი ნაწარმოებები. ლიტერატურულ-მუსიკალური ნაწარმოებების მიხედვით ელუსამელი ცნობილია, როგორც აბესალომი, ხოლო შერელომი — მურმანი. იმდენად ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ამ ნაწარმოებებმა მსმენელსა და მკითხველზე, რომ ხალხური ქმნილების აქ წარმოდგენილი გარიანტის პერსონაჟთა სახელები ეთერის გარდა არსად იხსენიება. „ეთერიანმა“ უდიდესი გამაკეთილშობილებელი გავლენა მოახდინა სამწერლო ლიტერატურაზე, მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ იმავე სამწერლო ლიტერატურულმა ნაწარმოებებმა განიცადეს საინტერესო უკუფენა ფოლკლორისაკენ და ძნელად თუ ვინმე მოიძებნება, აბესალომის ნაცვლად ახსენოს ელუსამელი და მურმანის ნაცვლად კი — შეელომი. ეს ურთიერთ ძლიერი გავლენა მიუთითებს ნაწარმოებთა უნიკალობაზე. „ეთერიანი“ შეშმარიტად უნიკალური რომანტიკული ხასიათის ქართული ფოლკლორული ნაწარმოებია.

როგორც უკვე ითქვა, იგი შერეული ჟანრის ნაწარმოებია, ამიტომ, უპირველესად, დავძებნოთ მისი პროზაული ნაწილის, ხოლო შემდეგ პოეტური ნაწილის მხატვრული გამოსახვის ჰიპერბოლური თავისებურებანი.

აი, ისიც: (იქვე, გვ. 189)

„ელუსამელმა დაინახა ქალი, ერთი სიტყვით, მზეს უდრის, და ჰყითხა, ქმრიანი არის თუ არაო“ ეს პროზაული გარიანტიდან).

„მთავარი სული იმ დროს დალია“

„ბაღდათს რომ უფლის ყანა დგას

ქარის წისქვილებ უბრუნავს.

მესაფეჭვავეთ ყავს ეთერი

ის მომეწონა, დედაო,

ის არის ჩემი საფერი“.

„შენ დიდი ხარ, დიდებული

დედა-მამითა ქებული“.

„ეთერ, შენ მოღალატესა

ზეცით ღმერთი გაუწყრება,

მტრისად მოქნეული ხმალი

ვადაშიც გაუტყდება,

იალბუზის მინდორზედაც

ქარიშხალი აუტყდება.

ძალინ მოწყვრებულსა

წყაროს წყალი დაუშრება“

„ხო შენც იცი, ბროლის ციხე

როგორ ცამდე მაღალია,

შიგა ზის ქალი ეთერი,

ყელი მოუღერებია,

ცხვირი სივირი, ქბილი მძივი,

ბაგე ხახვის ფურცელია.

კარზე უდგას ცხრანი მაზლნი,

ფხაასხმულნი აფთარნია.



თავით უზის მამამთილი  
გველეშაპის მყლაპავია  
გვერდით უზის თავის მული,  
ცით ჩამოსულ ვარსკვლავია“  
„გამომყევ ქალო, ეთერო,  
მზესა იმ შენის ძმისასა  
კარზედ აგიგებ ჩარდახსა  
სულ ბროლ-მარილის ქვისასა“  
„შემიხვევ ქალო, ეთერ,  
ძუძუ-მკერდსა ბროლისასა.  
ხვალე ლაშქარს უნდა გაჟყვე  
დიდის ინდოეთისასა“  
„ვინ თქვა თუ ეთერ მოვიდა —  
მზე გორთა დილა მავალი.  
ეთერსა აქ მოსვლისად  
ცხენი უბძოეთ საღარი“  
„თუ მოხველ, შინაც შემოდი,  
მოკლე გაქვს შემოსავალი.  
მე კარზედ ვეღარ გამოვალ,  
სული წავიდა მთავარი.

შერელომაის საღლავზე  
ეყალიც იქნებიანო.  
ნარიმც ამოვა, ეკალიმც,  
ვირებიც მოსძოვიანო.  
ჩვენ თავით ცივი წყაროა,  
შიგ ვერცხლის თასნი დგიანო.  
შამავალ-გამომავალნი  
შენდობას გვეტყობიანო“.

პიპერბოლები: „მზეს უდრის „, „უფლის ყანა“, „ქარიშხალი აუტყდება“, „ცამდე მაღალი ბროლის ციხე“, „ებილი-მძივი“, „ფხაასხმული აფთარი“, „გველეშაპის მყლაპავი“, „ძუძუ-მკერდი ბროლისა“, „შიგ ვერცხლის თასნი დგმიანო“ და მრავალი სხვა დიდ მიმზიდველობას ანიჭებს ნაწარმოებს.

ქართული ხალხური ეპიური ციკლები: „ამირანი“, „როსტომ-ჭაბუკი“, „ტარიელიანი“ და „ეთერიანი“ განსაკუთრებით გამოირჩევიან თავიანთი მხატვრულობით, პლასტიურობით, ემოციურობით, გმირთა გამოკვეთილი სახეებით და სხვა. ყოველივე ეს აკეთილშობილებს ნაწარმოების ცალკეულ ეპიზოდებს, ხელს უწყობს სიუჟეტის გამთლიანებას, შეკვრასა და გამძაფრებას. დასახელებულ ნაწარმოებში განსაკუთრებულ ადგილს იქნებს შედარებითი და ფანტასტიკური ხასიათის პიპერბოლა. იგი საინტერესოდ უღრეს ნაწარმოების საყოფიერო ხასიათის ეპიზოდებშიც.

ქართული ხალხური ეპიური ციკლების მხატვრული გამოსახვის პიპერბოლური თავისებურებები მკაფიო მაგალითია იმისა, თუ რაოდენ მდიდარი და სრულფასოვანია ქართული ხალხური ქმნილებები, განსაკუთრებით კი ეპიური ხასიათის როგორც პოეტური, ასევე პროზაული ჟანრის ნაწარმოებები.

# 3000 - ქართული სახელმწიფო - 3000

სიმონ გოგიაშვილი

## დაინავ-დიარი

(ტერიტორია, საზოგადო)

სამეცნიერო ლიტერატურაში დიდი ხანისა ყურადღება ექცევლდა მცირე აზიის აღმოსავლეთ პერიფერიებზე განლაგებული უძველესი ცივილიზაციების შესწავლის. ინტერესი ამ საკითხისადმი ხეთურ-ლუვიური, ასურული და ურარტული იეროგლიფური და ლურსმნული ტექსტების გაშიფრვის შემდეგ კიდევ უფრო გაიზრდა.

ანატოლიის უკიდურეს აღმოსავლეთში (ვანის ტბის ირგვლივ) ძვ. წ. IX ს. შეა ხანებში ჩამოყალიბდა ხურარტული ტრომების ძლიერი გაერთიანება ურარტუს სამეფო; მისგან სამხრეთით არსებობდა ასურეთის სამეფო. ამ ქვეყნებს გარკვეული ურთიერთობა ჰქონდათ ისტორიული სამხრეთი საქართველოს „ქვეყნებთან“.

უძველესი ცნობები ისტორიული სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს შესახებ მოგვეპოვება ძველაღმოსავლურ წყაროებში. ჭოროხის აუზის ისტორიის ცალკეულ საკითხებზე კონკრეტული ცნობები კი ასურულ და ურარტულ ეპიგრაფიკულ ძეგლებში გვხდება. ასურეთის მეფის ტიგლათფილესერ I (1115-1077 წ.წ). წარწერებში მოხსენიებულია დაიაენი (დაიახი-ტაოხი-ტაო), კილხი (კოლხა), მუშკები (მესხები) და მთა შეშე (ურარტული და ქართული წყაროების შეშეთი-შაგშეთი). მომდევნო პერიოდში (განსაკუთრებით ურარტულ ეპიგრაფიკაში) მოგვეპოვება საკმაო მასალა ამ რეგიონების ისტორიული გეოგრაფიის, პოლიტიკური ისტორიის და სოციალურ-ეკონომიკური საკითხების კვლევისათვის.

ასურული და განსაკუთრებით ურარტული წყაროების გულდასმით შესწავლამ, წყაროების ანალიზმა და მკვლევართა მიერ გაკეთებულმა დასკვნებმა მოგვცა საშუალება დაგვეზუსტებინა დაიან-დიაოხის ლოკალიზაცია და საზღვრები.

ძვ. წ. XII-VIII სს-ის ძველაღმოსავლურ წყაროებში დაცულია საინტერერესო მასალა დაიან-დიაოხის მოსახლეობის ბრძოლების შესახებ ასურელი და ურარტელი დამპყრობლების წინააღმდეგ. ადრესახელმწიფოებრივი გაერთიანების მეფები სიენი, ასია, უტუფურშინი, მაპუდუბი ღირსეულ წინააღმდეგობას უწევდნენ აგრესორებს. ძვ. წ. VIII ს. შეა ხანებში დიაოხი თავის არსებობას წყვეტს. მისი ტერიტორია ორი ძლიერი მეზობლის — ურარტუსა და კოლხას (კოლხეთი) ფარგლებში ექცევა.

დაიან-დიაოხი ძვ. წ. VI-V საუკუნის წყაროებში (ჰეკატეოსი, ჰეროდოტე, ქსენოფონტი) „მატიანესა“ და „ტაოხის“ ფორმით მოიხსენიება. მატიანეს ტომის ეთნიკური კუთვნილებისა და ლოკალიზაციის განსაზღვრაში ძველაღმოსავლური

და ანტიკური წყაროების გარდა „ქართლის ცხოვრების“ მონაცემებიც გვეხმარება.

დაიავნი-დიაონის სახელი დამოწმებულია ქვ. წ. V-IV სს. ბერძენი მწერალის ქენოფონტეს ანაბასისში „ტაონების“ სახით. სახელი „ტაო“ შემორჩენი ჭოროხის ხეობის ერთ-ერთ ქართულ ოლქს. აკად. გ. მელიქიშვილი შენიშნავს — დაიავნ-დიაონიც „სადღაც მერმინდელი ტაოს რაიონში იმყოფებოდა“. ასეთ შეხედულებას კიდევ უფრო განამტკიცებს ჰეროდოტესთან მოხსენიებული მატიენაც (მა-ტიენა), რომელიც იგივე ტომი უნდა იყოს, რაც დაიავნი. ეს ტომი ძველ ქართულ წყაროებში ზოგჯერ „ტაონის“ ფორმითაც გვხდება. ურარტუს მეფის მენუს (ქვ. წ. IX-VIII სს. მიზნა) წარწერა, რომელიც არზრუმის მიღამოებში კლდეზეა ამოკვეთილი, მოგვითხრობს დიაონისა და მისი „სამეფო ქალაქის“ შაშილუს დაპყრობის შესახებ. უეჭველია, ეს ტერიტორია ქვ. წ. IX-VIII საუკუნეთა მიზნაზე დიაონს ეკუთვნოდა. ამ მიღამოების დალაშქრების შესახებ მოგვითხრობს ასურეთის მეფე სალმასარ III (ქვ. წ. 859-824 წწ.). მას მიუღწევია არზრუმის მახლობლად მდებარე დას. ევფრატის (ყარა-სუს) სათავეებთან და აქ დაიავნის ქვეყნის მეფე ასიასაგან მიუღია ხარკი.

აკად. გ. მელიქიშვილს მიაჩნია, რომ არზრუმისა და ყარა-სუს სათავეების რაიონი დიაონის სამხრეთ პერიფერია უნდა ყოფილიყო. ამ გაერთიანების საზღვარი ჩრდილოეთის მიმართულებით ზაბაზამდე (ჭავახეთი) და ხუშანამდე განივრცობოდა. დიაონის ერთ-ერთი ოლქი — ხუშანი (ხუშალხი) მოგვიანებით კულხის (კოლხა) ქვეყნის საზღვრებში გვხდება.

დაიავნის ლოკალიზაციას არაერთგზის ეხება აკად. გ. მელიქიშვილი. სამხრეთ მიზნებს იგი ზემოთაღნიშნული ტერიტორიით, ხოლო ჩრდილოეთისას — შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპირომდე მდებარე რაიონებით შემოფარგლავს.

ვ. ავდიევის აზრით, დიაონის ტომთა გაერთიანებას ეჭირა ვრცელი ტერიტორია ვანის ტბიდან ჩრდილო-დასავლეთით ევფრატის ზემო დინების რაიონში და შემდგომ ჩრდილოეთისაკენ და ჩრდილო-აღმოსავლეთით შავი ზღვის მიმართულებით. შ. ასათიანი მიიჩნევს, რომ დაიავნ-დიაონის ქვეყანა მდ. ევფრატის სათავეებიდან მდ. ჭორობის შუა წელამდე წვდებოდა. ასეთ თვალსაზრისის, მისი აზრით, ურარტულ წყაროებში დიაონის ქვეყნის მეზობლად ბიანის და ხუშალხის დასახელება მოწმობს, რომლებიც მდინარეების თორთუმისა და ოლთისის შესაყრის ჩრდილოეთით თავსდებიან. ეს სახელები ბანას, ხოშის, ხოშაქის ფორმით ახლაცაა შემოჩენილი.

უზრნალ „ВДИ-ის“ კომენტატორის აზრით, ასურეთის მეფეების ტიგლათფილსერ I და სალმასარ III (ქვ. წ. 859-824 წწ.). დროს დაიავნის ტერიტორია ქ. ბათუმის მიღამოებამდე ვრცელდებოდა. დაიავნის შავი ზღვის სანაპირო ზოლში მდებარეობის შესახებ აზრი გამოთქვეს სხვებმაც. ზოგიერთი ავტორი დიაონის ლოკალიზაციას ევფრატის სათავესა (მურად-სუ) და მდინარე ოლთისის შორის მოთავსებული ტერიტორიით განსაზღვრავს.

თ. ქემერტელიძეს დიაონის საზღვრებში ჰაიასა-აცი შეჲყავს. მისი აზრით, ჰაიასა და დიაონი სხვადასხვა პერიოდებში ერთი და იგივე ტერიტორიაზე განვთენილი პოლიტიკური ერთეულები უნდა იყოს.

თ. მიქელაძის აზრით, დაიავნს აღრეულ ხანაში აია, ხოლო მოგვიანებით

კოლხა უნდა წოდებოდა. მეცნიერი არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და წერილობითი წყაროების ანალიზის საფუძველზე იძლევა საინტერესო დაკვირვებებსა და დასკვნებს. მაშასადამე, გამოდის, რომ დაიაღნი და მისი ტერიტორიის გარკვეული ნაწილი ზღვის სანაპირო ზოლის გასწრივ ყოფილა გადაჭიმული. ზოგიერთი მკლევარი კი პირიქით, გადაჭრით აცხადებს, რომ დაიაღნი არასოდეს არ წარმოადგენდა ზღვის სანაპირო ქვეყანას. დაიაღნა და შავ ზღვას შორის, ტიგლათფილესერ | მიერ დატოვებული წარწერით, „60 მეტის“ ქვეყანა არსებობდა. ესენი მოგვიანო ხანაში „კილხი-კულხის“ სახელის ქვეშ ერთიანდებიან. გ. მელიქიშვილმა ამასთან ერთად ყურადღება მიაქცია ტიგლათფილესერ | წარწერაში კიდევ ერთ ცნობას, რომელიც ასურეთის მეფე თავისთავს უწოდებს „ნაირის ქვეყნის დამპყრობელს თუმედან დაიაღნიმდე (აგრეთვე), კილხის ქვეყნის დამპყრობელს ვიდრე დიდ ზღვამდე“.

ამ ცნობების საფუძველზე აშკარად ჩანს, რომ დაიაღნის გაერთიანების ტერიტორია შავ ზღვას ვერ წვდებოდა. თუ გავითვალისწინებთ ასურული წყაროს ცნობას, მაშინ გამოდის, რომ დაიაღნა და შავ ზღვას შორის კოლხაა მოსათვებელი. ასე, რომ კოლხა საძებარია არა დაიაღნის ჩრდილოეთით, ე.ი. შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს გასწრივ, არამედ სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე. თუ გავითვალისწინებთ, იმ გარემოებასაც, რომ საკუთრივ კოლხები ტრაპეზუნტის მიდამოებშიც მოსახლეობენ, მაშინ ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ დაიაღნ-დიაოხსა და კოლხის შორის საზღვარი ძირითადად მდ. ჭოროხის ხაზით უნდა განისაზღვროს. ურარტულ მეფეთა მიერ დალაშერული თუ დაპყრობილი ოლქები მდ. ჭოროხის აღმოსავლეთ მხარესაა საძებარი. მეორე მხრივ, ურარტულ ეპიგრაფიკაში მოხსენიებული ქვეყნები რომ დაიაღნის უკიდურესი ჩრდილოეთის მიმართულებით განლაგებული ოლქები იყო, ჩანს სარდური II (ძვ. წ. 764-735 წ.წ.). წარწერიდანაც. ურარტუს მეფეს ბრძოლა უხდება კოლხის წინააღმდეგ უკვე ყოფილ დაიაღნის ტერიტორიაზე — ხუშალხი II ხუშანის ქვეყანაში. ეს უკანასკნელი მდ. ოლთისის ჭოროხთან შეერთების ორივე მხარეზე მდებარეობდა. ხუშალხი II ხუშანი კავშირში უნდა იყოს აღნიშნულ ტერიტორიაზე მდებარე ტოპონიმებთან (ხახული, იშხანი). საფიქრებელია, რომ ეს ოლქი დღევანდელ ქალაქ ისპირის მიდამოებამდე ვრცელდებოდა, ხოლო ჩრდილოეთის მიმართულებით დიდის ოლქამდე აღწევდა. ამ ეს უკანასკნელი ჭოროხის ხეობის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობდა. ამ ქვეყნის ტერიტორიაზე თუ მის სიახლოვეს, შეშეთის სამხრეთით საძებარია ქალაქი ზუა. ვერ დავვთანხმებით ნ. არუთუნიანს, რომელიც მიუთითებს, რომ ზუა (ზუანა) საძებარია დიაოხის სამხრეთში, არზრუმის რაიონში, თანამედროვე დასახლებული პუნქტის ზივინის მიდამოებში. დიდის ჩრდილოეთით არტანუგის მიდამოებში განლაგებული იყო ოლქი კულხახალი. მის აღგილმდებარეობას მისი მთავარი ცენტრის ილდამუშა-არტანუჯის იგივეობის მიხედვით ვსაზღვრიავთ. როგორც ჩანს, კულხახალი კლარჯეთის თავდაპირველი ფორმა უნდა იყოს (შეადარე: კულ-კოლ-კალ-კლ).

დიაოხის უკიდურეს ჩრდილო-აღმოსავლეთში შეშეთი თავსდება. მთა შეშე ჭერ კიდევ ასურეთის მეფის ტიგლათფილესერ | ძვ. წ. 1112 წლის წარწერაში

მოიხსენიება. ურარტელი მენუაც იკვეხნის „მივედი შეშეთის ქვეჭნამდღერაშეაღზუა (მდე)“. შეშეთის მოგვიანო ხანის შავშეთში გაიგვება ეჭვს არ იწვევს. იგი დღევანდელ ქალაქ შავშათის რაიონს ემთხვევა. ასურული (მთა „შეშე“), ურარტული (ქვეყანა „შეშეთი“) და ქართული („შეშის მთა“, „შავშეთი“) ტერმინების იდენტიფიკაციის საფუძველს იძლევა დასახელებული წყაროების ცნობათა ინფორმაციული მსგავსება და ტერმინების ლინგვისტური ანალიზი. ნ. არუთუნიანი მიიჩნევს, რომ მთა შეშე და ქვეყანა დაიარნი იყვნენ მეზობელი გეოგრაფიული ობიექტები ნაირის ჩრდილოეთ მხარეში. ურარტული წყაროს შეშე (თინა) ში მთა იგულისხმება, რომელიც დიაოხის ტერიტორიაზე მდებარეობდა. მკვლევარი იქვე სქოლიოში მიუთითებს, რომ ისინი შესაძლებელია ერთი და იმავე გეოგრაფიული ერთეულის შემადგენელი ნაწილები იყვნენ. ნ. არუთინიანი თავისი ნაშრომის სხვა ადგილს აღნიშნავს, რომ იაზილიტაშის წარწერის მიხედვით მთა შეშე განლაგებულია დიაოხის ფარგლებში ან პარხარის მთის ჩრდილოეთ საზღვარზე.

შეშეთის სიახლოესაა საძებარი სარდური II-თან დამოწმებული ქვეყანა ლიკა. არ გამოგრიცხავთ, რომ ლიკა ქართული წყაროების „ლიგანს“ (ლიგანის რაიონს) შეეფარდებოდეს. როგორც ჩანს, ლიკას ქვეყანა დაიარნის უკიდურესი ჩრდილო-დასავლეთი პროვინციაა. ლიკას ქვეყნის ლოკალიზაციას მკვლევარები (გ. ლაპანიანცი, გ. მელიქიშვილი, ნ. არუთუნიანი) სხვადასხვა ადგილას ახდენდნენ.

რომელი ქვეყანა ესაზღვრებოდა დიაოხს ჩრდილოეთიდან?

გამოთქმულია მოსაზრება, რომ თითქოს არგიშთი I დროს დიაოხის გაერთიანებაშივე შედიოდა ვიტერუხი. თუ აჭარაც ვიტერუხუხის შემადგენელი ნაწილი იყო და ვიტერუხის ცენტრს ოძრხე წარმოადგენდა, მაშინ გამოდის, რომ თითქოს დაიარნ-დიაოხი ჩრდილოეთის მიმართულებით კიდევ უფრო შორს განივრცობდა, მაგრამ ასეთი შეხედულება უსაფუძვლო უნდა იყოს. ჩვენი აზრით, დაიარნს მთელი ჩრდილოეთი საზღვარი (გარდა ჩრდილო-დასავლეთისა) უიტერუხთან უნდა ჰქონოდა. ვფიქრობთ სწორადაა ახსნილი სამეცნიერო ლიტერატურაში ვიტერუხ-ოძრხებიძერების იგივეობის საკითხი. სარდური II დაიარნის ყოფილი ერთ-ერთი ჩრდილო ოლქის (კულხახალი), რომელიც 743 წელს უკვე კოლხას ეკავა, დალაშქრვის შემდეგ მიემართება უიტერუხის ქვეყნის წინააღმდეგ. მაშასადამე, არტანუჯის მიდამოების ჩრდილოეთით გადიოდა უიტერუხის საზღვარი.

უიტერუხი (ჭართა გაერთიანება) დიაოხს ეტყობა ჩრდილო-აღმოსავლეთ სეკტორშიაც ეკვროდა. სარდურ II მიერ უიტერუხისაგან ჩამოჭრილი 3 თუ 6 ოლქი, სწორედ ამ მხარეშია საძებარი. ეს ოლქები თავის მნიშვნელოვან ქალაქ ურაიანთან ერთად, სადაც ურარტუს მეფემ დაბყრობილი ტერიტორიის მეთვალთვალედ, თუ გამგებლად თავისი მოხელე დანიშნა, არტაანის პროვინციაში უნდა მოთავსდეს. გ. მელიქიშვილის გამოკვლევით ურარტულ წყაროებში დასახელებული ურიეიუნი II ურაია ძველ ქართულ წყაროებში მოხსენიებულ ქალაქ „ჰურის“ სახელს უნდა შეეფარდებოდეს. ჰური II ვურის ქვეყანა და არტაანის ქვეყანა სომხურ და ქართულ წყაროებში სინონიმებია.

დიაოხის ზემოთ აღწერილი ოლქების პარალელურად, ე.ი. ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მდებარეობდა შემდეგი ქვეყნები (როგორც ჩანს, ისინი ამ დიდი გაერთიანების ფარგლებში ექცეოდნენ) ბიანი, ულთუზა, შერიაზი და სხვები.

არგიშთის წარწერიდან ჩანს, რომ ხუშანის გვერდით ბიანი უნდა მოთავსდეს. ბის ქვეყნას ჩრდილოეთიდან ქვეყანა დიდინი, ხოლო ჩრდილო-დასავლეთიდან ხუშანი ეკვროდა. ბიანი დაიავნის ერთ-ერთი უკიდურესი აღმოსავლეთი პროვინცია უნდა ყოფილიყო. მის ლოკალიზაციას ჩვენ ვახდენთ მდ ლოთისის ხეობაში მდებარე ბანას სახელის მიხედვით. ურარტული წყაროების მონაცემებიდან ირკვევა, რომ ბიანის აღმოსავლეთიდან ესაზღვრებოდნენ მტკვრის სათავეებსა და მის მიდამოებში განლაგებული ქვეყნები — ზაბაზა და კუარზანი. შესაძლებელია, ამავე ბიანის ოლქს უკავშირდებოდეს მოგვიანებით, ძვ. წ. 750 წელს, სარდური II წარწერის აბიანი (სადაც „ა“ პრეფიქსი უნდა იყოს) და არგიშტი I-თან დასახელებული ქვეყანა ბია (სუფიქს „ანი“-ს გარეშე), მით უმეტეს, რომ მისი ქალაქი იდია მოგვიანო ხანის იდისთან (იდესასთან) შეიძლება გაიგივდეს.

ხუშანის სამხრეთით და ბიანის დასავლეთით მდებარეობდა არგიშთი I-ის დროს, ძვ. წ. 784 წელს მოხსენიებული ქვეყანა ულთუზა. ამ ოლქის სახელში შეიძლება მოგვიანო წყაროების ოლთისი დაგინახოთ (ურარტულ ლურსმნულს არ გააჩნდა „ო“ მარცვალის აღმნიშვნელი და მას „უ“-თი გადმოსცემდა; შეად: კოლხა-კულხა, უიტერუხი-ოძრხე IIუნძრხე-ოშერუხი). იგი მდებარეობდა მდ. ლოთისის ზემო წელის მიდამოებში.

შერიაზის ქვეყნის დღეისათვის არსებულ როპონიმე ტოპონიმთან დაკავშირება არ ხერხდება. საგულვებელ ადგილას, ე.ი. ბიანის, ხუშანის და ზაბაზას ქვეყნების სიახლოეს, ამგვარი ეთნონიმიკური მასალა არ მოგვეპოვება, რის გამოც ამ ქვეყნის ლოკალიზაციის დადგენისას იძულებული ვართ დაკვერდნოთ მხოლოდ ისტორიულ-გეოგრაფიულ რეალიებს. ვანის კლდეზე არგიშტი I მიერ ამოკვეთილ წარწერაში ვკითხულობთ: „... დიაუების მეფე მეფედ დავსვი. დავიპყარი შერიაზის ქვეყანა, ქალაქები დავწვი, ციხე-სიმაგრეები დავანგრიო; მივედი (?) ქალაქ ფუთომდე ... მარცხნივ-ქვეყანა ბიანი, ქვეყანა ხუშანი, მარჯვნივ შევიწყალე მე თარიუნის ქვეყანა. გავემართე (სალაშეროდ) ზაბაზას ქვეყნის წინააღმდეგ...“

ხუშანისა და ბიანის ქვეყნების ადგილმდებარეობა უკვე გარკვეულია. მათ აღმოსავლეთით უნდა მოთავსდეს შერიაზის ქვეყანა, რომელიც წყაროს მიხედვით მდებარეობდა ზაბაზას დასავლეთით და ალბათ თარიუნიდან სამხრეთ-დასავლეთით. არ ჩანს ქ. ფუთო შერიაზის ქვეყანაში თუ შედიოდა, მაგრამ უდავოა, რომ იგი ამ ქვეყნის ჩრდილოეთით ან მის ჩრდილო ნაწილში და აბიანის ჩრდილო-აღმოსავლეთით უნდა მოთავსდეს.

ბიანის სიახლოესაა საძებარი მენუას წარწერაში მოხსენიებული ქალაქი უტუხია (... მივედი შეშეთის ქვეყანამდე, ქალაქ ზუა (მდე). ქალაქი უტუხია...). ჩვენი აზრით, ქ. უტუხაი ანტიკური და ფეოდალური ხანის საქართველოს მნიშვნელოვან ქალაქ თუხარისთან უნდა გაიგივდეს. გარდა იმისა, რომ იგი შეავსეთის სიახლოეს თავსდება და სახელებიც (შეადარე: უტუხაი-ულუხა-არ-

ის-ი - ოთვხარისი-თორთარისი) ფონეტიკურად ახლოს დგანან ერთმანეთთან, გასათვალისწინებელია „მეფეთა ცხოვრების“ ავტორის ცნობა, რომ ქ. თორთარისი ამ დროსაა წარმოქმნილი.

გ. მელიქიშვილის გამოკვლევით, დიაოხის ფარგლებში შედიოდნენ მის მიერვე დაპყრობილი ტომები ბალთული, არდარაქისი, შაშქი და კაბილუხი. ამ ქვეყნების ლოკალიზაციის შესახებ ჯერჯერობით ვერაფერს ვიტყვით, გარდა იმისა, რომ ისინი დაიაღნეს სამხრეთ ნაწილშია საძებარი. არგიშტი । ამ ტომების ტერიტორიაზე თავის მმართველებს სვამს.

დიაოხის გაერთიანების უკიდურეს სამხრეთ ოლქს წარმოადგენდა ქ. შაშილუს ქვეყანა (შეიძლება გაიგივდეს შაშქის ქვეყანასთან?) ქ. შაშილუს ქვეყანა დას. ევფრატის (ყარა-სუ) სათავებთან ახლო მდებარე რაიონებშია საძებარი.

შაშილუს ქვეყანა, რომ უკიდურესი პერიფერია იყო დაიაღნის გაერთიანებისა, ჩვენი აზრით, ჩანს შემდეგი ფაქტებიდან: 1. ის ყველაზე ახლო ოლქია ურარტუსთან.

2. ურარტელები მას იპყრობენ და ანადგურებენ ჯერ კიდევ ურარტულ წყაროებში დაიაღნის ქვეყნის გამოჩენისთანავე.

3. ასურეთის მეფე სალმანასარ III მიდის ევფრატის სათავეებთან და მეფე ასიასაგან ხარჯს იღებს.

4. ქ. შაშილუს განადგურების შესახებ წარწერა არზრუმის რაიონშია ნაპოვნი.

5. ურარტუმ შეძლო ეს ოლქი თავის ფარგლებში შეეყვანა.

ამ ცნობის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ ურარტუს სამეფოს შექმნამდე, ე.ი. ძვ. წ. IX-VIII სს. მიზნამდე, დიაოხის აღმოსავლეთ საზღვრად შეიძლება ჩაითვალოს არაქსის სათავეები. შემდეგ საზღვარი ჩრდილოეთისაკენ მიემართება, მტკვრის სათავეში არსებულ კოლას მიმართულებით. ისტორიული ოლქები — კარნიფორა და კოლა ამ საზღვრებს მიღმა უნდა დარჩენილიყო.

მასალების უქონლობის გამო დიაოხის გაერთიანების სამხრეთ-დასავლეთი საზღვრის დადგენა ძნელდება; როგორც ჩანს, იგი ყიზილირმაკის სათავის რაიონს წვდებოდა. მისგან უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთში სუხმა ჩანს. მდ. თერმოდონტის სათავის მახლობლად შესაძლებელია დაიაღნოს კულხისთან ჰერნდა შეხების წერტილი. არ გამოვრიცხავთ დიაოხის ამ მიმართულებით განვრცობას. თუ გავითვალისწინებთ ანტიკური წყაროების მატიენას კავშირს დაიაგნ-დიაოხთან, უსაფუძვლო არ იქნებოდა გვევარაუდა, რომ ამ გაერთიანების ტერიტორია სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით შორს გრცელდებოდა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ხუშალების (ხუშანი) ქვეყნის მიწა-წყალი ქ. სპერის მიდამოებამდე ვრცელდებოდა. შედიოდა თუ არა საკუთრივ სპერის ქვეყანა დიაოხის გაერთიანების ფარგლებში? „სპერის ქვეყანა“ ურარტულ წყაროებში მოხსენიებული არაა. მიზეზი შეიძლება ის იყოს, რომ ურარტუს მიერ დალაშქრული ტერიტორიებიდან იგი შორს დასავლეთით მდებარეობდა, ან უბრალოდ ამ ოლქის დაპყრობაზე მომთხოვნი წარწერა ჯერ არაა მიგნებული. არადა, როგორც ჩანს, სპერის ქვეყანა ძვ. წ. VII საუკუნეში უკვე იწყებს შეზობელი ოლქების დაპყრობას. იგი ძვ. წ. V საუკუნეში კოლხეთის, მიდიისა და სპარსეთის

როგორც ირკვევა, დიაოხის უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთ ოლქს წარმოადგენდა აშკალაში. არგიშტი । ამ ქვეყანაზე შემდეგ ცნობას იძლევა: „...მივეღი (?) ბიას ქვეყანამდე... ხუშანის ქვეყანა (მდე). გავემართე მე (სალაშტროდ) დიდის ქვეყნის წინააღმდეგ, ქალაქ ზუას წინააღმდეგ; ქალაქი ზუა, დიაუხის (ქვეყნის) სამეფო ქალაქი, მე გადავწვი. წარწერა დავდგი ქალაქ ზუაში. წავედი მე ქვეყნის კარით (?) აშკალაშის ქვეყნის წინააღმდეგ... სამი ქვეყანა მე იქიდან მოვგლიკე, (მათი) მოსახლეობა ჩემს ქვეყანას მივუმატე: ქვეყანა ჟადა, ქვეყანა აშკალაში, ქალაქ შაშილუს ქვეყანა...“

ამ მონათხრობიდან ჩანს, რომ ურარტუს მეფე ბიას, ხუშანისა და დიდის ქვეყნების დალაშქრის შემდეგ სამხრეთით მიემართება, რადგანაც ქ. შაშილუს ქვეყანა სწორედ აქ, არზრუმის სანახებში თავსდება. ამ გარემოების გათვალისწინებით ქადა და აშკალაში სწორედ აღნიშნულ რაიონებს შორისაა საძებარი. ჩვენი აზრით, აშკალაში დღევანდელ ქ. აშკალესთან (თურქეთი) და ანტიკური ეპლეცის (აკილისენა) ოლქთან უნდა გაიგიავდეს, ხოლო ქადა შაშილუსა და აბიანს (შესაძლებელია ჩრთილოეთიდან ულთუზაც ესაზღვრებოდა) შორის უნდა მოთავსდეს, აშკალაშის ჩრდილო-აღმოსავლეთით. არგიშტის ლაშქრობის მარშრუტი კიდევ უფრო გისაგები იქნება, თუ „ქვეყნის კარისა“ და „ქართლის ყელის“ იგივეობის საკითხს დაგვსგამთ. სწორედ ამ „ქვეყნის კარისა“ (სამხრეთით) და შაშილუს ქვეყანას (ჩრდილოეთით) შორის უნდა მოთავსდეს ქვეყანა ქადა. ეს უკანასკნელი უეჭველია არა მარტო ხუშანის, არამედ ულთუზას ქვეყნის სამხრეთითაც მდებარეობდა, რადგან „ქართლის ყელი“ ორივე ქვეყნისაგან სამხრეთით თავსდება.

ქვეყანა აშკალაშის სიახლოეს უნდა მოთავსდეს ქალაქ ხალდირიოულხის ქვეყანა და ბალთულხის ქვეყანა. პირველი ურარტულ ეპიგრაფიკაში მხოლოდ ერთხელ, მენუს წარწერაში, ხოლო მეორე — ორჯერ (ერთი მენუა მეფისა და ბალდირიულხის გვერდით, მეორეხელ არგიშტი । ღროს შაშქის, არდარაქიხისა და კაბილუხის ოლქებთან ერთად) მოიხსენიება. ირკვევა, რომ ეს ქვეყნები დიაოხის უკიდურესი სამხრეთი ოლქებია, რაც ჩანს შემდეგი მონაცემებიდან:

1. ურარტუს მეფები ჩრთილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით ლაშერობისას შედიან ამ ქვეყნებში;
  2. საკვლევი ქვეყნები წყაროებში აშეალაშისა და შაშილუს ქვეყნების გვერდით მოიხსენიება, რომლებიც, როგორც აღინიშნა, დაიაღნის გაერთიანების უკიდურეს სამხრეთში თავსდებიან;
  3. ურარტუს მეფები მოგვითხრობენ ამ ქვეყნების დაპყრობაზე და მათი მმართველების გადაუქნებაზე და თავისი გამგებლების დასმაზე, ე.ი. ამ ოლქების ურარტუს სამეფოს ფარგლებში შეყვანაზე;

4. ახლანდელ ქალაქ აშკალესა და ანტიკურ ხანაში ცნობილი აკილისენას (ეკელეცი) ოლქის გვერდით არსებული ფეოდალური ხანის ქ. ხალტოი-არიჭის კავშირი ქალაქ ხალდირიულხის ქვეყანასთან დასაშვებია.

როგორც აღინიშნა, დაიარის ტერიტორია ზღვის სანაპირო ზოლისაკენ არ ვრცელდებოდა. დაბეჭითებით თქმაც ძნელია, რომ მისი საზღვარი მდ. ჭოროხის ღინებამდე იღწევდა. ჟესაძლებელია მისი საზღვარი კოლხესთან ამ სექტორში ჭანეთის მთებს მიუყვებოდა, მაგრამ ვარაუდი რეალური იქნება იმ შემთხვევაში თუ გამართლდება ნ. არუთუნიანის აზრი მარმაშენის წარწერის ირდანიუნისა და თანამედროვე ქალაქ ართვინის იგივეობის შესახებ.

დიაოხის გაერთიანებისა და მისი შემადგენელი ნაწილების („ქვეყნების“) ლოკალიზაციის მსგავსი ვარიანტებია შემოთავზებული ჩვენს გამოქვეყნებულ და გამოუქვეყნებელ ნაშრომებსა და რუკებში.

# წარიღები

ნუგზარ ცეცხლამა

## ქართული ენის ზოგიერთი საკითხი შავგათ-იმარხევის ტოპიკისაზი

(პრეფექტურული წარმოება)

შავშეთ-იმერხევის გეოგრაფიული სახელების წარმოება პრეფექტურული სუფიქსებით საკმაოდ პროდუქტიულია. პრეფექტურული სა-და ნა-თავსართები, რომლებიც სხვადასხვა სუფიქსების დართვით თითქმის თანაბარი რაოდენობის ტოპონიმებს აწარმოებენ. სა-თავსართიანს სახელებში სიხშირით გამოიჩინევა სა — ე პრეფექტურული, ხოლო ნა—თავსართიან ტოპონიმებში ნა—ევ — და ნა—არ (II ნა — ალ — პრეფექტურული სუფიქსი).

საკვლევი ჩეგიონის გეოგრაფიულ ნომენკლატურაში ასევე ხშირია დანიშნულების სახელების მაწარმოებელი ელემენტებით სა — ო, სა—ეთ, სა—ურ — II სა—ლ სა — ელ, სა—ა გაფორმებული ადგილის სახელები.

სა—ე: სა—მაცხოვრ—ე ნაკლესიარი (სოფელი მანატბა), სა—შეშ—ე საძოვარი, ტყე (ხევწრული), სა—კრავ—ე ტყე (მაჩხატეთი), სა—სილ—ე ტყე (კუჭენი), სა—თავ—ე ტყე (სვირევანი), სა—კეც—ე სათესი (ზიოსი), სა—მერცხლ—ე მთა, ტყე (სვირევანი, ივეთი), სა—ბუზანკლ—ე სათიბი (წეთილეთი), სა—მაჩვ—ე ტყე (წეთილეთი), სა—ყინულ—ე სათიბი (ახალდაბა), სა—ნაფორ—ე სათიბი (მანატბა), სა—წილ—ე ტყე (მამანელისი), სა—კანკ—ე საძოვარი (მანატბა) და ა.შ.

როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია შენიშნული, „სა—ო აწარმოებს დანიშნულების სახელებს სახელადი ფუძეებისაგან, იშვიათად ზმური ფუძეებისაგან. იგი იმავე დანიშნულებისაა, რაც სა—ე, სა—ო ხშირია გვარსახელებისაგან ნაწარმოებ ტოპონიმებში: სა—გურამ—ო (გურამიშვილებისათვის განკუთვნილი) „გურამიშვილების მამული“, სა—ბარათიან—ო... ამგვარი წარმოება ხდება მხოლოდ ეთნონიმებისა და გვარსახელებისაგან: სა—ქართველ—ო, სა—მეგრელ—ო, სა—ინგილ—ო... სა—ციციან—ო, სა—მაჩაბლ—ო“ (ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე, ქართული ენის მორფებისა დამოდალური ელემენტების ლექსიკონი, თბილისი, 1988 გვ. 333, 375).

შავშეთ-იმერხევში ამგვარი სახელები თითქმის არ დასტურდება. ტოპონიმის ფუძედ აღებულია ჩვეულებრივ საზოგადო სახელი: სა—საღილ—ო საძოვარი (დასამობი), სა—უბნ—ო სათიბი (ბაზგირეთი), სა—კვირა—ო სათესი (ხოლევი), სა—მარხილ—ო სათიბი (დიობანი), სა—ნადირ—ო ტყე, სათიბი (დასამობი, მანატბა). იშვიათად გვხდება ისეთი შემთხვევა, როცა ფუძე რთული სახელია: სა—ავიდრ—ო (სა—ავი დარ—ო) საძოვარი (მაჩხატეთი).

დანიშნულებას გამოხატავს იგრეთვე სამელემენტიანი მაწარმოებელი: სა—ე—ა (დისიმილირებული ფორმა სა—ია), რომელიც საკმაოდ ხშირიდ გვხდება როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიაში. შავშეთ-იმერხევში ეს პრეფექტურული სუფიქსი აწარმოებს მიკროტოპონიმებს. ამგვარი წარმოების მხოლოდ ერთი სოფელია შავშეთში: სა—თაფლ—ია, ფუძედ აქაც საზოგადო სახელია აღებული:



სა-ბროლ-ია სათიბი (ზაქიეთი), სა-თარგმ-ია საძოვარი (დიობანი), სა-ქორ-ია სათიბი, იალალი (წითვეთი, ზიოსი), სა-ბურთ-ია საძოვარი (ჩიხორი), სა-სკ-ია სათიბი (უბი), სა-თიბ-ია საძოვარი (სინკოთი), სა-ჩარხ-ია სათესი (ითხრევლი) და სხვ. არის შემთხვევები, როცა სა-ია პრეფიქს-სუფიქსით გაფორმებული ტოპონიმი დაირთავს — თ-ი სუფიქსს და ოთხი ელემენტის შემცველ სახელს ვღებულობთ: სა-ე-ა-თ-ი სა-ია-თ-ი: სა-მერცხლ-ია-თ-ი (სა-მერცხლ-ე-ა-თ-ი) სათიბი (ზაქიეთი), სა-ბურთ-ია-თი (სა-ბურთ-ე-ა-თ-ი) საძოვარი (ხევშრული), სა-ნეგვ-ია-თ-ი (სა-ნეგვ-ე-ა-თ-ი სა-ნეგვ-ე-ა-თ-ი) ტყე (მიქელეთი) და ა.შ.

სა-ეთ: სა-ყურ-ე-თ-ი სათიბი (ზაქიეთი), სა-ფის-ე-თ-ი სათიბი (ყვირალა), სა-ლებ-ე-თ-ი სათიბი (ივეთი), სა-ხბუ-ე-თ-ი (სა-ხბო-ე-თ-ი) საძოვრები (მიქელეთი, მანატბა) სა-ჭურ-ე-თ-ი (სა-ჭვარ-ე-თ-ი) სათესი (დაბაწვრილი), სა-ტყ-ე-თ-ი (სა-ტყუ-ე-თ-ი) სათიბი (მორლელი). სა-მაჩ-ოთ-ი სოფელ ტბეთში ჰქვა სათიბს და საზამთრო სადგომს, რომელიც სოფლიდან დაშორებულია 2-3 კმ-ით. უდავოა, რომ გეოგრაფიული ადგილის სახელი მომდინარეობს მაჩისაგან. ამის ადასტურებენ ადგილობრივი ინფორმატორებიც. ტოპონიმის ფუძიდან ამოვარდნილია 3 თანხმოვანი, — ეთ სუფიქსის ნაცვლად ვღებულობთ — თ სუფიქსს. ე.ი. სამაჩოთი იგივე სამაჩვეთია, ადგილი, სადაც ბინადრობს მაჩი.

სა-ურ- (II სა-ულ): სა-ბად-ურ-ი ტყე (მამანელისი), სა-ყან-ურ-ი სათესი (მანატბა), სა-მშე-ურ-ი ტყე (კარავათი), სა-გუნდ-ულ-ი საძოვარი (ივეთი), სა-კისევ-ურ-ი სათიბი (ზენდაბა), სა-ხად-ურ-ი სათიბი (ზაქიეთი), სა-ქინა-ურ-ი სათესი (სვირევანი). დასტურდება ფორმები სა-ბად-ურ-თ ტყე (მიქელეთი), სა-კანჭ-ულ-ი საძოვარი (ზიოსი) და სხვ.

სა-ა: სა-ზელ-ა (სა-გზელ-სა — გრძელ-ა) ტყე (მორლელი), სა-ჩილ-ა (სა-ჩრდილ-ა) სათიბი (დაბაწვრილი), სა-ქოთ-ა (სა-ქოთან-ა) ტყე (დაბაწვრილი), სა-გვით-ა საძოვარი (წყალსმიერი) და ა.შ.

სა-ელ, სა-ელ-ა: სა-მღერ-ელ-ი სათესი (უბე), სა-ზეპ-ელ-ი მთა (ივეთი), სა-ხევშ-ელ-ი გამოქვაბული (ივეთი), სა-ზგირ-ელ-ი მთა, საძოვარი (ბაზგირეთი), სა-ხნ-ელ-ა (სა-ხნე-ელ-ა) სათიბი (წითვეთი), სა-რანწკუნებ-ელ-ა საძოვარი (ბაზგირეთი) და სხვ:

სა-ელ-პრეფიქს-სუფიქსი უმეტესად ტოპონიმებს აწარმოებს ზმნური ფუძებისაგან.

სა-არ, სა-არ-ა: სა-ბუზ-არ-ი სათესი (მაჩხატეთი), სა-ბუზ-არ-ა საძოვარი (ზიოსი), სა-ბუდ-არ-ა სოფლის უბანი, საძოვარი, მთა (მორლელი, ჩიხორი, ჩაქველთა), სა-ყუნდ-არ მთა (დაბაწვრილი), სა-ტყე-ვარ (სა-ტყე-(ე)-ვ-არ) საძოვარი (წითვეთი), სა-ყვა-რ-ა (სა-) (ტ) ყ-ე-(ე)-ვ-არ-ა საძოვარი (ზაქიეთი). ბოლო ორ მაგალითში საპრეფიქსი რთული სუფიქსებით აწარმოებს ტოპონიმებს სა-ე-არ, სა-ე-ვ-არ-ა. თ. ზურაბიშვილი წერს, რომ „ზოგ შემთხვევაში ერთ ფუძესთან ერთდროულად ორი სუფიქსიც ყოფილა გამოყენებული, როგორც —ევ, ისევ —არ, ან-ურ, სადაც ზოგან -ევ-ის-ე ხმოვანი ამოვარდნილია: ნადიკვარი, ნაციხვარი, ნატე(ვ)ური და სხვა“ (თ. ზურაბიშვილი, ტოპონიმიკის შესწავლისათვის: ქართულ ენათა სტრუქტურის საკითხები, II, თბილისი 1961, გვ. 154).

სა-აგ: სა-ქსელ-ავ-ი სათესი (ხოხლევი), სა-ლებ-ავ-ი სათიბი (ზაქიეთი), სა-ყერ-ავ-ი წყარო (წითვეთი)...

სა-ი-ეთ, სა-ი-ე-ნ-თ: სა-ყორნ-ი-ე-თ-ი სათიბი (ციხია), სა-ხვალ-ი-ე-თ-ი სათიბი

(ბაზგირეთი), სა-ნერგ-ი-ეთ-ი სათესი (უბე), სა-ლესვ-ი-ენ-თ-ი, სა-მელ-ი-ენ-თ-ი სათიბები (ბაზგირეთი)...

აყად. ა. შანიძე აღნიშნავს: „ქართულ ენას საშუალება აქვს, საგანი დაასახელოს იმის მიხედვით, თუ რას წარმოადგენდა ის წინათ ან როგორი ვითარება ახასიათებს მას წინანდელთან შედარებით. საამისოდ მას მოეპოვება წყვილ-წყვილი მაწარმოებლები: ნა-არ და ნა-ევ, რომლებიც ერთია ფუნქციით, მაგრამ ერთ ფუძესთან შეიძლება ერთი წარმოება იყოს დამკიდრებული, მეორესთან კი მეორე: „მთ“-ისაგან ნა-მთ-ევ-ი გვაქვს, მაგრამ „იალალ“-ისაგან ნა-იალალ-არ-ი; „ხმლ“-ისაგან ნა-ხმლ-ევ-ი, მაგრამ „ტყვ“-ისაგან ნა-ტყვ-ი-არ-ი...“ (ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თხზულებაზი თორმეტ ტომად, ტ. III, თბილისი, 1980 გვ. 138).

შავშეთ-იმერხევის ტოპონიმიაში წინავითარების სახელთა თავსართი ნა-უფრო პროდუქტიულია — ევ-სუფიქსთან, ვიდრე — არ სუფიქსთან.

ნა-ევ: ნა-ფურნ-ევ-ი მთა, ტყე, იალალი (წეთილეთი, სინკოთი), ნა-სახლ-ევ-ი სათესი (იფხრევლი, წეთილეთი, ზაქიეთი, მანატბა), ნა-დარბაზ-ევ-ი ნანგრევები (ხანთუშეთი), ნა-გაბ-ევ-ი სათიბი (დაბაშვრილი), ნა-სარ-ევ-ი სათიბი (დასამობი), ნა-ქურთ-ევ-ი საძოვარი (ზიონსი), ნა-საყ-დრ-ევ-ი სათესი (ხევწრული), ნა-მარმ-ევ-ი (ნა-მა-რ (ია)მ-ევ-ი) სათიბი (ზაქიეთი), ნა-ბოსლ-ევ-ი, ნა-ასლ-ევ-ი საძოვრები (ტბეთი, დიობანი), ნა-ტბ-ევ-ი ტბა, წყარო (წითვეთი, კარავათი), ნა-ილ-ევ-ი (ნა-ი (ა)ლ-ევ-ი), ნა-ღარ-ევ-ი სათიბები, ტყე (ზაქიეთი, დასამობი, კუჭენი). ამ უკანასკნელი სახელის პარალელურად დასტურდება ტოპონიმები ნა-რლუ-ევ-ი საძოვარი (ივეთი) და ნა-რლვ-ევ-ი სათესი (დასამობი). ულჭვლია, რომ გეოგრაფიული სახელების ფუძეა ღ არო-ლარა, რომელიც ხეზე იმოკვეთილ წყლის საღინებელს ჰქვია. საბაც ასე განმარტავს: „ღარ ნაღარი, ღართი საწვიმარი ნაბადი“ (სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, II თბილისი, 1993, გვ. 247). ფუძეს დართული აქვს ნა-ევ-პრეფიქს-სუფიქსი: ნა-ღარო-ევი ნა-ღარუ-ევ-ი ნა-ღარვ-ევ-ი ნა-რლვ-ევ-ი ნა-რლვ-ევი (ღრ ბგერების გადასმით). ე.ი. ფუძისეული ბოლოკიდური ო ხმოვანის დასუსტების შედეგად მივიღეთ უ და ბოლოს 3 თანხმოვანი, ფუძის შიგნიდან ა ხმოვანი ამოვრდა, საბოლოოდ ფუძისეულმა თანხმოვანებმა ადგილები ინაცვლეს.

ნა-არ - (II ნა-ალ), ნა-არ-ა (II ნა-ალ-ა):

ნა-ფუზ-არ-ი (ნა-ფუზ-არ-ი) სათესი, სათიბი (მიქელეთი, მამანელისი), ნა-ოსპ-არ-ი, ნა-სელვ-არ-ი (ნა-სე-ლ-(ე)ვ-არ-ი სათესები (ხევწრული, ბაზგირეთი), ნა-ყანვ-არ-ი (ნა-ყან-(ე)ვ-არ-ი) სათიბი (ივეთი), ნა-ახუ-არ-ი (ნა-ახო-არი) სათესი (ივეთი), ნა-კორდ-ალ-ი საძოვარი (წყალსიმეთი), ნა-ციხ-არ-ა-ჯასათიბი (ივეთი), ნა-ტუ-ს-ალ-ა და საძოვრები (ბაზგირეთი, ხევწრული).

ნა-ებ: ნა-კალუ-ებ-ი (ნა-კალო-ებ-ი სათიბი (მანატბა), ნა-ჭარლ-ებ-ი (ნა-ჭარ-ალ-ებ-ი ნა-ჭალ(ა)რ-ებ-ი) სათესი (მანატბა). ამ უკანასკნელის ტოპონიმის ფუძეა არა ჭარ, არამედ ჭალა, მომხდარია ბგერათა გადასმა, რომელიც ჩვეულებრივ ნარჩარი ნრლ ბგერებს ახასიათებს.

ნა-ავ: ნა-კორ-ავ-ი (ნა-კორ(დ)-ავ-ი) სათიბი (ბალვანა), ნა-ყორ-ავ-ი სათიბი, სათესი (ჩართულეთი, შავქეთი), ნა-ქოხრ-ავ-ი სოფლის უბანი (უბე), ხ თანხმოვანი ფუძეში შემდგომ გაჩენილია.

ნა — პრეფიქსი სხვადასხვა სუფიქსებით აწარმოებს გეოგრაფიულ სახელებს.

ნა-ავ-ა-თ-ი: ნა-წისქვილ-ავ-ა-თი საძოვარი (სვირევანი), ნა-სვილ-ავ-ა-თ-ი სათიბი

(წევთილეთი)...

ნა-არ-ავ-ა-თ-ი: ნა-ბუქვ-არ-ავ-ა-თ-ი საძოვარი (ხევწრული)...

ნა-ევ-ა: ნა-კალუ-ვ-ა (ნა-კალუ-(ე)ვ-ა ნა-კალო-ევ-ა) სათიბი (ზაქიეთი)...

ნა-ულ-ო: ნა-ჭიბ-ულ-ო საძოვარი (ხევწრული), ნა-ჭიბ-ულ-ო სათიბი (უბე)...

ნა-არ-ებ-ი: ნა-ფუზზ(ა)რ-ებ-ი სათესი (წყალსიმერი, ხევწრული), ნა-შვრ-ალ-ებ-ი სათიბი (უბე)...

როგორც ვხედავთ, მოპოვებული ტოპონიმიკური მასალის მიხედვით ხშირ ჟემთხვევაში ტოპონიმის სახელდებაში ერთ პრეფიქსთან ორი და არაიშვიათად სამი, ოთხი სუფიქსი ღებულობს მონაწილეობას, რაც საერთოდ დამახასიათებელია საქართველოს სხვადასხვა კუთხის გეოგრაფიული სახელებისათვის.

პრეფიქს-სუფიქსური წარმოება ნიშანდობლივია საკვლევი რეგიონის მიკროტოპონიმისათვის. ძალზედ იშვიათია ასეთი გაფორმება ოკუნიმებში. გამონაკლისია შავშეთის სოფელი სა-თაფლ-ია.



## იუზა მკბენიძე

### საინტერესო ნაშრომი ლირსეულ მაჟულიშვილზე

მემედ აბაშიძე XX საუკუნის ქართული კულტურის და ინტელიგენციის ცხოვრებაში ურთ-ერთი თვალსაჩინო ფიგურაა. ამ ნათელი პიროვნების შესახებ ისებ სანიკიძის მიერ საქმის ცოდნითა და სიყვარულით დაწერილ მონოგრაფიაში მის დასახასიათებლად მრავალმხრივ საინტერესო მასალაა თავმოყრილი და გააზრებული. ნაშრომიდან გამომდინარე მემედ აბაშიძის ცხოვრებისა და აზროვნების წესის გაცნობა სრულ საფუძვლს გვაძლევს დავაკვნათ, რომ მისი სახით აჭარას და ახალი დროის სრულიად საქართველოს ჰყავდა ჰემარიტი ინტელიგენტი. რამდენადაც ინტელიგენტობის შინაარსს კულტურაზე ორიენტირებული გონიერივი შრომისაკენ მიდრეკილება, ადამიანის შინასამყაროს მაღალ-ემოციური წყობა შეადგენს, რაკი კრიტიკიზმი და სიახლის ზიარება—შექმნის წყურვილი ინტელიგენტის ქცევის იმპულსებია, ხოლო სასიცოცხლო არსებობის ფორმა კი ზეობრივი უკომპრომისობა, სამშობლოს სიყვარული, საკაცობრიო იდეალებისადმი ერთგულება, ვიწრო-შვინისტური ზრახვებისაგან განთავისუფლება, მის წინაშე არსებული რუტინის გარღვევის მოთხოვნილება, კერძო ურთიერთობებში შემწყნარებლობა — მიმტევებლობაა, ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ინტელიგენტის ყველა აღნიშნული ნიშანი ვლენდება მემედ აბაშიძის პიროვნებაშიც. ისებ სანიკიძის ნაშრომის მიხედვით ცხადი ხდება, რომ ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების კულტურულ ცირკულაციაში აჭარას მე-19 საუკუნისა და მე-20 საუკუნის I ნახევრის საქართველოსათვის არ მიუკია მემედ აბაშიძეზე უფრო მნიშვნელოვანი მოღვაწე — ინტელიგენტი ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით.

ქართული ინტელიგენციის ისტორიის დაწერა დიდი ხნის წინ დაიწყო გამოჩენილმა მოაზროვნემ, მემედ აბაშიძის ერთ-ერთმა მეგობარმა აზრილ ჯორჯაძემ. ცნობილ ვითარებათა გამო მისი დასრულება შემდგომში ვერ მოხერხდა... და თუ ოდესმე ქართული ინტელიგენციის ისტორია დაიწერება, მასში უსათუოდ თავისი მაღალი ღირსების შესატყის აღვილს დაიჭერს მემედ აბაშიძე. ნათელი ჰკუით სავსე ღირსებული მამულიშვილი, რომლის ინტელიგენტური სულის გადმონა შეუქმნილი უპირველეს ყოვლისა იოსებ სანიკიძის ნაშრომში განხილულ ნაწერებშიცაა განვენილი.

იოსებ სანიკიძის მთელს ნაშრომში გაშლილი მსჯელობებიდან გამომდინარე ძირითადი და ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი მაინც ისაა, რომ მემედ აბაშიძეს თავისი შემოქმედებითი ინტერესის საგნად ქცეული აქვს საკუთარი კუთხის — აჭარის უშუალო სინამდვილე. მან, როგორც მოაზროვნებ და მოღვაწებ, თავისი აზროვნების მასალად და სასიცოცხლო არსებობის ფორმად გაიხადა ეს უძველესი, ქართული ცივილიზაციის აკვნად მიჩნეული კუთხე, რომელმაც თავისი ნების საწინააღმდეგოდ 300 წლით დაკარგა ქართული სახელმწიფოსა და კულტურის აღმშენებლობით პროცესში აქტიური მოქმედების ფუნქცია. იმისათვის, რომ თავი გადაერჩინა, ფიზიკურად არ აღვილიყო



„პირისაგან მიწისა“, იძულებით აიფარა სხვა სარწმუნოება და დიდი ძალისხმევით, ტანჯვა-წამებით მოახერხა მაინც ქართული ენის და ცხოვრების ქართული წესის შენარჩუნება. მემედ აბაშიძემ ეს თავისთავად ძეველი კულტურული გენისა და შემოქმედებითი პოტენციის ქართული ტომი, რომლის როლი ზემოაღნიშვნულ მიზეზთა გამო, ადრე ერთგვარად მიჩქმალული იყო, მოაქცია მე-20 საუკუნის დასწყისის ჩვენი საზოგადოებრივი ინტერესების სფეროში, აჩვენა მისი ტკივილი, ამ სატკივარის განკურნების შესაძლებლობებიც და ტანჯვის სიხარულიდ გადაქცევის გზებიც გამოხახა, რითაც გახაზა აჭარის მოუცილებელი, უწყვეტი კულტურული და ფსიქო-ეთნიკური ერთიანობა დედა-საქართველოსთან.

როგორც ადრე, ილია ჭავჭავაძემ კახეთი, აკაკიძ, გ. წერეთელმა და დავით კლიაშვილმა იმერეთი, რაფიელ ერისთავმა, ალექსანდრე ყაზბეგმა და დიდმა ვაჟა-ფშაველამ ქართული მთა, ხალხოსნებად წოდებულმა მწერლებმა ნიკო ლომოურმა, სოფრომ მგალობლიშვილმა, ეკატერინე გაბაშვილმა, იოსებ დავითაშვილმა, ანტონ ფურცელამ ქართლი, ეგნატე ნინოშვილმა გურია გადააქციეს საერთო — ქართულ საფიქროად, ასევე მოგვიანებით, როგორც კი სამისოდ ოდნავი სულიერი კლიმატი შეიქმნა, მემედ აბაშიძემ მრავალტანჯული აჭარა, მისი ალალ-მართალი შვიდრნი შემოიტანა მოაზროვნე საქართველოს გონებრივ ცხოვრებაში.

ესაა სწორედ, საერთო-ეროვნული ამოცანების თვალსაზრისით ილია ჭავჭავაძის მიერ დასახული სანუკვარი ქართული იდეალებისათვის ბრძოლის ერთი გამოხატულება და მემედ აბაშიძის, როგორც ქართველი მოღვაწის, ინტელიგენტისა და მწერლის დამსახურებაც.

„ჩემი მუშაობის უმთავრესი დარგი იყო სალიტერატურო საქმიანობა“ — წერს ერთგან მემედ აბაშიძე... და მართლაც მისი ინტენსიური მთარგმნელობითი საქმიანობა, თარგმანები აღმოსავლური ენებიდან, თარგმანები ქართულიდან თურქულად, მ. აბაშიძის ჩვენამდე მოღწეული ბელეტრისტული თუ პოეტური ცდები, მისივე კრიტიკულ-ლიტერატურული წერილები სხვადასხვა საკითხებზე, იმისი თვალსაჩინო საბუთია, რომ მათი ავტორი ლიტერატურით სულდგმულობს... მაგრამ, სამწუხაოროდ, ამ სფეროში, აქტიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობისა გამო თავისი შესაძლებლობების სრულ ჩეალიზაციას ვერ ახერხებს. ამ მხრივ მან გაიზიარა ბედი მრავალი ქართველი მწერლისა, რომლებიც იძულებული იყვნენ ერის ინტერესებიდან გამომდინარე მდგარიყვნენ პრაქტიკულ-საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა უბანზე. არა და, სად არ გედავთ მას; ახალგაზრდა მემედ აბაშიძე ერთ შემთხვევაში გარკვეულ სიტუაციაში ილია ჭავჭავაძის მოადგილედ გვევლინება, გაზეთის რედაქტორია, ყველა ქართული საქმის წამოწევების ინიციატორი, მეგობრობს კონსტანტინე გამსახურდიასთან, დავით კასრაძესთან, გრიგოლ რობაქიძესთან, სანდრო შანშიაშვილთან და სხვებთან... თავისი ცხოვრების სტილით მ. აბაშიძე ლიტერატურულ პერსონაჟს ჰგავდა, იმდენად რაინდული და ამაღლებული იყო მისი საქმიანობის მასშტაბები და იდეალები. ამიტომაც სახელოვანმა გრიგოლ რობაქიძემ კიდეც უკვდავყო ის „გრაალის მცველში“.

ი. სანიკიძე — თავის ნაშრომში აცოცხლებს სახეს უსამართლობასთან დაუცხრომლად მებრძოლი ქართველი მოღვაწისა, რომელსაც ერთნაირად ებრძების ცარიზმის რუსეთი, ოსმალეთის ხელისუფალი. მემედ აბაშიძეს ხან რუსი იჭერს და ხან თურქი, დიდი აკაკის ნათქვამში: „თავშეხვეულს გავექეცი“ „თავშითელად

## იუზა ეგვენიძე

დამიჭირა“-ო. თავის კონკრეტულ გამოხატულებას ამ სახელოვანი პიროვნების ბედშიც პოულობს. შეუდრეველია და მოუსყიდველი მემედ აბაშიძე და მისი ცხოვრება ასწავლის ადამიანებს, რომ მართალია ძნელია ქართველობა, მაგრამ შეუძლებელი კი არა. სამაგალითო გამდლეობის ნიმუშებს იძლევა ეს ფაქტიზე სულის მოღვაწე და ამიტომაცაა, რომ მასთან ურთიერთობას კეთილად იხსენებს ყველა, ვისაც კი მემედ აბაშიძესთან შეხვედრის ბედნიერება ჰქონია.

როგორც ჩანს, მემედ აბაშიძემ თავისი მოღვაწეობის ყველაზე ეფუქტურ ფორმად შემოქმედების სფეროში მაიც პუბლიცისტიკა შეირჩია, რადგან პუბლიცისტიკა მეოცე საუკუნის დასაწყისში და 20130-იან წლებშიც ყველაზე მეტად შეესატყვისებოდა იმ სამოქმედო პროგრამის აქარის მკვიდრთა გონიერებას, მთელი ჩვენი საზოგადოებისათვის მისი ღირებულების გაცნობიერებას, ვიდრე მწერლობის სხვა უანრები. ოსმალთა უდელებები სამასი წლის ყოფნამ აქარის მკვიდრთ, მართალია, ეროვნული ცნობიერება, რომლის ბაზისი ენაა, ვერ წაართვა, მაგრამ იძულებით სარწმუნოება შეუცვალა და ადამიანის გრძნობათა უმაღლეს საუფლოსაკენ მიმართულ მზერას გზა დაუხშო... „რელიგია ეს გულის საქმეა“-ო – ბრძანებს ერთგან ჰეგელი (Работы разных лет I, გვ. 214). თუ კი ეს ასეა, მაშინ „ყოველგარმა რელიგიამ გავლენა უნდა მოხდინოს ხალხის გულსა და ფანტაზიზე“ (იქვე გვ. 56). ამიტომაც ამა თუ იმ ხალხის რელიგიურ მრწამსში აისახება მისი ეროვნული ფსიქიკური წყობა და იდეალები. იოსებ სანიკიძის მონოგრაფიის გაცნობიდან იჩკვევა, — მემედ აბაშიძეს, რომელიც ხედავს ღირებულებათა ორიენტაციების იძულებით ცვლის სიბნელეში როგორ მოუქცევია უძველესი კულტურული გენის თანამემამულენი, თავის მოღვაწეობის შესაფერის ფორმად განმანათლებლის ამპლუა შეურჩევია.

როგორც ჩანს, მან კარგად უწყის და ინტუიციით კიდევ მეტად გრძნობს, თუ რაოდენ სიფაქიზეს მოითხოვს ჩრდილის სფეროსთან დამოკიდებულება. ამიტომაც დაუინებით ცდილობს მოუნახოს გასაღები ენითა და ყოფითი ცხოვრების აღწერით ეროვნულ ნიადაგზე მდგომ ქართველ მაჭადიანს, მაგრამ ეს მემედ აბაშიძის აზრით, განსაკუთრებულ სიფაქიზეს და სიფრთხილეს მოითხოვს.

დღევანდელი გადასახელიდან შეიძლება სხვაგვარად აღიქმებოდეს, როცა მემედ აბაშიძე ქართულ წიგნთან დაახლოების მიზნით ვარაუდობს თუნდაც ყურანის ქართულად თარგმნას, ისლამის სიბნელეში მყოფი ქართველი რომ არ დააფრთხოს, „დედა-ენაში“ მაჭადის ცხოვრების ეპიზოდთა შეტანასაც... რასაკვირველია, ესაა ძიების გზაზე შემდგარი მოღვაწის მიერ მოსინჯვა შესაძლებლობებისა, რომ რითმე მიაღწიოს მიზანს, განათლების სხივი შეიტანოს ბუნებრივი მონაცემებით მდიდარ თანამემამულეთა გონიერი სამყაროში. თუ სხვამ არა, მემედ აბაშიძემ იმდროინდელ ქართველთა შორის შესანიშნავად უწყოდა, რომ ნაძალადევად სულიერი განვითარების ბუნებრივ პროცესს ჩამოშორებულ აჭარელში უფრო მაღალი იყო დაკარგულის დაბრუნების წყურვილი, თავისი შინაგანი ბუნებით ის უფრო ტბეთისა და ზარჩმის ზარების ექსო უგდებდა ყურს და არა სტამბულის მჩერთის მინარეთიდან გადმომდგარი მოლის ყივილს. მაგრამ ყოველივე ამის თქმა ხომ ყოველ დროში ჭირდა. ამ მხრივ მემედ აბაშიძე შეუშარიტი ქართველი იყო, რადგან განასახიერებდა ქართულ ეთნო-ფსიქოლოგის. მას ილია ჭავჭავაძისა და მისი თაობის დიდ ქართველთა დარიად „ჯანსაღ ისტორიულ კონსერვატიზმზე“ (გამოთქმა ეკუთვნის სერგე ბულგაკოვს) დამყნილი სამყაროს ხედვა ჰქონდა. მემედ აბაშიძეს ათეისტური



და ნიპილისტური შხამით გაუღენთილ ეპოქაში მოუხდა ცხოვრება, მაგრამ არც ერთ შემთხვევაში ის არ აპყოლია დროს ცოტნებას და ბოლომდე ერთგული დარჩა ვაჟას თქმით „საქართველოს დიდი იდეოლოგის“ — ილია ჭიათურავის იდეალებისა. მისი მოღვაწეობის ქვაკუთხედი ყოველთვის იყო ქართველი სამოციანელთა სულიერების მასაზრდოვებელი უშრეტი წყარო — „ეპრობული კულტურის ხის სულიერი წვენი“ (ბულვაკოვი).

მემედ აბაშიძე არც პარტიულ კლანებს მიჰყედლებია, მას დიდი აკაკის კვალობაზედ შეეძლო განეცხადებინა: „ყველაზე პირველი ქართველი მე ვარ, მერე თუ გინდა სხვაგვარი ისტი. სხვისი თვალითაც არ ვიყურები, არ გადამკრია თვალებზე ბისტი“. ალბათ, ამის გამოა, რომ მემედ აბაშიძის, ამ ნათელი მოღვაწის საქმიანობაში, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „ეროვნული შემეცნების ანდამატი“ არღვევს გენეტიკურად ერთი სისხლის ადამიანთა შორის დროებით აღმართულ სარწმუნოებრივ ჯებირებს და ქართველთა გულსა და გონებას მიმართავს ერთანი საქართველოსადმი რელიგიურ დონემდე იყვანილი სიყვარულისათვის.

იოსებ სანიკიძის ნაშრომში ბევრი ისეთი საკითხია წამოჭრილი, რომელსაც ზოგადყულტუროლოგიური ლირებულება აქვს ქართული მენტალიტეტის სწორედ ახსნისათვის. მასალის ასეთი ოპერირებისათვის მოცემულ შემთხვევაში საფუძველს მემედ აბაშიძის როგორც მოღვაწის პიროვნება იძლევა...

სათანადო რედაქციული დამუშავების შემდეგ სასურველია მემედ აბაშიძის შესახებ დაწერილი იოსებ სანიკიძის ამ მონოგრაფიის წიგნად გამოქვეყნება.



## შინაარსი

ღია ტერატურული აქტიზ №12, 1999 წელი

### პროგრამა, პროექტი

1. ამინისტრის ხაბაზი - ღია ტერატურული აქტიზი	3
2. ანთონ კუდა - ასოციაციური (რომანი)	16
3. ფუფუნა ხაჯიშვილი - ღია ტერატურული	52
4. ანა დუნდუა - ნოველი	54
5. ბორის მეტრეველი - ღია ტერატურული	62

### 306 მოდის მომავლიდან

6. გოჩა აბულაძე - ღია ტერატურული	67
7. მზია კვირიტიძე - ღია ტერატურული	69
8. სიმონ ნაკაშიძე - მობა (მინისტრული)	72
9. ნოდარ ზაქარაძე - ღია ტერატურული	74
10. ლელა კუპრალაძე - ღია ტერატურული	76

### თარგმანი

11. ჯეპ ლონდონი - მოთხრობის დახახრული - თარგმნა ქართული წილაურება	77
---	----

### ქრიტიკა, კუპლისტიკა

12. იური ბიბილემიშვილი - თეიმურაზ კომანიძის შუბლიცისტიკა	82
13. რამზა სურმანიძე - დავით ქლიფაშვილი და აჭარის აღდგენა-დაწინაურება	92
14. ზურაბ ზოიძე - შოთა ჩაცემასახელების ნრდილში	100
15. ამირან კილურაძე - მამა ვარძანიძის ერთი უცნობი ღერძის იხტორია	107

### ხელოვნება

16. მანანა კაშია - ხაზისა და სიტყვის ფერმწერი	111
17. რატი ჩიბურდანიძე - მსატვარი ვახტანგ ბებეგლია	114

### ურლებორი

18. ჯემალ ჯაფელი - ქართული ხადახური ენიური ციელების მხატვრული გამოხატვის პიტკროლური თავისებურებანი	116
--	-----

### 3000 - ქართული სახელმწიფო - 3000

19. სიმონ გოგიტიძე - დაიაზნ-დიათხი	143
------------------------------------	-----

### ნერილებები

20. ნუგზარ ცეცხლაძე - ქართული ენის ზოგიერთი ხაკითხი	151
21. იუზა ევგენიძე - ხაინიერენო ნაშრომი	155

კომპიუტერული უზრუნველყოფა – გენადი კომახიძე

ოპერატორი – მანანა ჩავლევალია

კორექტორები – მარინა ბერიძე, ირმა ბერიძე

გადაეცა წარმოებას 24. 01. 2000.

სელმოწერილია დასაბეჭდად 27, 12. 99.

ქაღალდის ზომა 60X90 1/8.

ზირობითი ნაბეჭდი თაბახი 20,75.

სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 20.

ზირობითი საღებავგატარება 20,25.

შეკვეთის № 361.

ტირაჟი 300.

შერნალი აიწყო, დაკაბადონდა და დაიბეჭდა სააქციო სტოგადოება „სტამბა“-ში  
დ. თავდადებულის ქ. №16